რამაზ სურმანიძე

ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საფუძვლები

(დამხმარე სახელმძღვანელო მშობლების, პედაგოგების და სკოლის ექიმებისთვის)

2015 წ.

სარჩევი

შესავალი ----------7
ნაწილი პირველი ----------12
ცოტა რამ მშობლებზე ----------13
ბავშვის განვითარების პერიოდები ----------18
ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარება ---------- 21
სასქესო ორგანოების ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი ---------- 31
გოგონები ---------- 32
ვაჟები---------- 40
სქესობრივი მომწიფების ანუ პუბერტატული პერიოდი ----------43
გოგონები ---------- 44
ვაჟები ----------46
სქესობრივი განვითარების მოშლილობანი ---------- 47
ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის ისტორია და წინაპირობები ----------48
ნაწილი მეორე ----------53
სქესობრივი აღზრდის თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში ---------- 54
სკოლამდელთა სქესობრივი აღზრდა ---------- 54
უმცროსი სასკოლო ასაკი ---------- 59
უფროსი სასკოლო ასაკი (15-19 წ.) ---------- 64
გოგონების და ვაჟების ურთიერთობა სკოლაში (ამხანაგობა, მეგობრობა) ---------- 68
ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის ზნეობრივი საფუძვლები ---------- 73
ყმაწვილური გატაცებები ---------- 78
ნაწილი მესამე ---------- 82
ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდაში დაშვებული შეცდომები და მათი შედეგები ---------- 83
ნაადრევი სქესობრივი მომწიფება და სქესობრივი კავშირი ----------85
აბორტი ---------- 88
ნაადრევი ქორწინება ---------- 92
ონანიზმი (მასტურბაცია, გულდედლობა-საბა) ---------- 97
ჰომოსექსუალიზმი ---------- 99
ლესბოსიზმი ---------- 104
პროსტიტუცია ---------- 104
ვენერული სნეულებანი ---------- 107
შეძენილი იმუნიტეტის დეფიციტის სინდრომი (შიდს-ი) ---------- 110
ნარკომანია და ტოქსიკომანია ---------- 113
მოზარდები და ალკოჰოლი ---------- 117
თამბაქოს მოწევა ---------- 122
ლუდომანია - ყომარბაზობა ---------- 127
ძალადობა ---------- 130
ზნეობრივიძალადობა ---------- 139
სექსუალური ძალადობა ---------- 140
ბულინგი - მამლაყინწაობა ---------- 146
დასკვნები

ქალის და მამაკაცის უფლებებს შორის განსხვავება ოდითგანვე ცნობილია. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცდილობდნენ მათ გათანაბრებას, თუმცა ამას საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია. ქალი მეტ-ნაკლებად კვლავ რჩებოდა ოჯახზე მიჯაჭვულად, შვილების აღზრდა და მოვლა-პატრონობა მთლიანად მის მოვალეობას შეადგენდა.

უკანასკნელ ხანებში შეიქმნა მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის არასამთავრობო ფონდი,,სოხუმი", რომელმაც თავისი საქმიანობა, კერძოდ გენდერული წონასწორობისთვის ბრძოლა უპირატესად დასავლეთ საქართველოში გაშალა.

ფონდმა ,,სოხუმმა" ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა შვილების აღზრდისა და მოვლა-პატრონობისგან შესაძლებლობის ფარგლებში ქალების გამოთავისუფლება და ამ საქმის გადანაწილება ოჯახის წევრებზე (პირველ რიგში მეუღლეზე), აგრეთვე ბაგა-ბაღებისა და სკოლების აღმზრდელებსა და სამედიცინო პერსონალზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მათი სათანადო მომზადება ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის, მათი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დანერგვის, მავნე ჩვევების თავიდან აცილებისა და სხვა საკითხებზე.

ფონდი ,,სოხუმის" თხოვნით მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, დარგის საკმაოდ კარგად მცოდნე მეცნიერმა, პროფესორმა რამაზ სურმანიძემ მოამზადა წინამდებარე წიგნი, რომელიც ამ თემაზე ასეთი სრულყოფილი სახით პირველად გამოდის. იგი ამავე დროს წარმოადგენს ფონდი ,,სოხუმი"-ს პირველ სერიოზულ ბეჭდვით პროდუქციას.

დარწმუნებული ვართ, ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მშობლებს, აღმზრდელებსა და სამედიცინო პერსონალს ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის პროცესების სწორად წარმართვაში, აგრეთვე ამ პროცესებისგან დედების ნაწილობრივ გათავისუფლებაში, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო აქტიურად შეასრულონ მშობლის მოვალეობა და ამავე დროს მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

რედაქტორი: აკაკი ბერიძე, პროფესორი
რეცენზენტი: 1. შორენა ვაშაძე, პროფესორი
2. მარინე გურგენიძე, განაათლების დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მხოლოდ პირველყოფილ გვაროვნულ წყობილებას ახსოვს შედარებით ხანგრძლივი პერიოდი, როცა ქალის უფლებები მამაკაცისას სჭარბობდა, ან მასთან გათანაბრებული იყო. მომდევნო წყობილების დროს მამაკაცი, ფიზიკურად ძლიერი, ადვილად იმორჩილებდა მასზე გაცილებით სუსტ და უმწეო არსებას. იგი, როგორც ნებისმიერი საგანი, ქონება, მის საკუთრებას წარმოადგენდა და უფლება ჰქონდა სურვილისამებრ მოპყრობოდა, გაეჩუქებინა ან გაეყიდა. ფაქტობრივად ქალი უუფლებო მონა იყო.

პატრიარქატის ეს ფორმა დროდადრო იცვლებოდა. ერთხანს გვაროვნული თემები იქმნებოდა ქალის ხაზით ნათესაობის საფუძველზე, ე. ი. ქალი ფლობდა გაბატონებულ მდგომარეობას, მაგრამ შემდგომ პერიოდებში საერთო მდგომარეობა იგივე რჩებოდა. ამორძალების პროტესტმა ვერაფერი შეცვალა და მატრიარქატის დამყარების ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა.

ქალისა და მამაკაცის უფლებებს შორის არსებული დიდი განსხვავების დანაშრევებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. აქ მხედველობაში მაქვს ოჯახში არსებული ფუნქციების განაწილება, ქონებრივი უფლებები, საოჯახო ეკონომიკის მართვა, შვილების აღზრდა, აგრეთვე ქალის დასაქმება, ე. ი. გარე სამსახური, რომელსაც ოჯახთან კავშირი არ აქვს.

ქალის ფიზიკურმა შესაძლებლობებმა, მისმა ანატომიურ-ფიზიოლოგიურმა აგებულებამ ადრიდანვე ერთგვარად გამიჯნა მისი საქმიანობა. იგი უპირატესად შვილების აღზრდით, საოჯახო საქმეებით არის დაკავებული. მამაკაცი ამ დროს უნდა ასრულებდეს შედარებით მძიმე სამუშაოს, როგორიცაა: გარე სამსახური (საწარმოში, ფაბრიკა-ქარხანაში), მიწის დამუშავება, ხვნა-თესვა, მენახირეობა, ცელვა, თივით და შეშით მომარაგება და ა. შ.

მაგრამ, სამწუხაროდ ეს ყოველთვის ასე არ არის. ვის არ უნახავს სოფლის საფიხვნოში ყავის დალევით, ნარდით და ბანქოთი გართული მამაკაცი მაშინ, როცა მისი მეუღლე ბოსტანში მუშაობს, ან ყანას თოხნის. ასეთი ბატონკაცური დამოკიდებულება, ბუნებრივია, ვერ ქმნის ისეთ წონასწორობას, რომ ქალის უფლებები ოდნავ მაინც გაუთანაბრდეს მამაკაცისას.

ყველაზე დიდ გაუგებრობას ვაწყდებით შვილების აღზრდაში: „ქალი სახლში უნდა იყოს და შვილები გაზარდოს“ - ფრაზა ისე დაკანონდა, რომ შვილის ყველა საქციელზე მხოლოდ დედა აგებს პასუხს, ბაგა-ბაღებსა და სკოლებში მამები ბავშვებს იშვიათად აკითხავენ ხოლმე.

ამგვარად, სხვა მნიშვნელოვან საქმესთან ერთად, ქალს ერთი ყველაზე დიდი მოვალეობა - შვილების აღზრდაზე ზრუნვაც აკისრია, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება და უკიდურესად არღვევს იმ ბალანსს, რაც მეუღლეებს შორის უნდა იყოს განაწილებული. ასეთ ვითარებაში ქალის დასაქმებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჩვენი წიგნის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა თანაბრად გადანაწილდეს, როგორც მშობლებზე, ისე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების პერსონალზე, სკოლის მედიკოსებზე და ა. შ., რათა ქალი ცოტათი მაინც გამოთავისუფლდეს იმ დიდი პასუხისმგებლობისგან, რომელიც ბავშვებისა და მოზარდების აღზრდასთან არის დაკავშირებულია და მიეცეს საშუალება ჩაებას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მამაკაცებს წიგნის შესავალშივე უნდა განვუცხადოთ: თქვენ არ შეგიძლიათ სამი რამ: არ დაორსულდებით, ვერ იმშობიარებთ და ჩვილ ბავშვს ძუძუს ვერ აწოვებთ. ეს პროცესები იწყება ჩასახვის დღიდან და თავდება ბავშვის ერთი წლის შესრულებისთანავე, ე. ი. სამივეს ხანგრძლივობა 2 წელზე ნაკლებია და მთლიანად დედის მოვალეობაა. წინ კი გვაქვს ბაგა-ბაღის და სკოლის, ე. ი. კიდევ 16 წელი, როცა თქვენ შეძლებთ ბავშვის მოვლა-პატრონობას, კვებას, ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვას, ბაგა-ბაღში გაცილებას, იქედან მოყვანას, სკოლაში მიკითხვას, აღზრდას და ა. შ. ასე, რომ ფრაზა „ბავშვებთან მხოლოდ დედა უნდა იყოს“– მცდარია, მით უმეტეს, თუ ის საზოგადოებრივი საქმით უკვე დაკავებულია, აქვს სამსახური და საჭიროებს თქვენს დახმარებას.

წიგნი მომზადდა მშობლების, აღმზრდელებისა და სკოლის სამედიცინო პერსონალისთვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ისინი პირველ რიგში თვითონ უნდა გაეცნონ ამ წიგნს, დაეუფლონ ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის წესებს, ხოლო ბავშვებთან ურთიერთობისთვის საკუთარი მეთოდი და ფორმა აირჩიონ.

ასეთი შინაარსით და მოცულობით ამ თემაზე წიგნი პირველად გამოდის, ამიტომ არ არის გამორიცხული მკითხველმა უზუსტობა, შეუსაბამობა და, შესაძლოა, შეცდომაც აღმოაჩინოს. ყველა მართებულ შენიშვნას გავითვალისწინებთ მომავალ მუშაობაში.

ავტორი

შესავალი

ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური და ასაკობრივ-სქესობრივი განვითარება საზოგადოების კულტურული და ინტელექტუალური განვითარების ერთ-ერთი უაღრესად საყურადღებო ნაწილია. მას დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

ახლა სადვოდ არავის მიაჩნია, რომ მოზრდილ ასაკში გამოვლენილი ყველა ფიზიკური ნაკლი, სექსუალური გადახრები და სხვა პათოლოგიური პროცესები ყალიბდება ბავშვობის ასაკში. ამის მთავარი მიზეზი კი მშობლების, ბაღის და სკოლის აღმზრდელების და ზოგერ თვით მედიცინის მუშაკების გაუთვითცნობიერებაა.

მართალია, ფიზიკურ და სქესობრივ განვითარებაში არასასურველი მოვლენების წარმოქმნის ძირითადი ობიექტი ბავშვი და მოზარდია, მაგრამ ხარვეზების მიზეზი სულ სხვაა. იგი შედეგია არასწორი ასაკობრივი აღზრდის და ზოგადად უყურადღებობისა, პირველ რიგში მშობლების, შემდეგ პედაგოგებისა და სამედიცინო პერსონალის მხრიდან. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას რომ მოზარდის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები (კვლავ გავიმეორებთ: მშობელი, ბაღის და სკოლის აღმზრდელი, ექიმი) მთელ ყურადღებას უთმობენ ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, ჩვენს სკოლებში არსებობს ფიზიკური კულტურის სექციები, ტარდება გაკვეთილებიც, ამიტომ, შეიძლება ითქვას, ფიზიკური განვითარების გადახრები შედარებით იშვიათია, რაც არ შეიძლება ითქვას სქესობრივ სფეროზე, რომელიც ყველა დროში ყურადღების მიღმა რჩებოდა, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ,,საჩოთირო საკითხი.''

ერთ მეთოდურ მითითებათა კრებულში, რომელც მამაკაცთა და ქალთა ჰიგიენურ ცოდნას ეძღვნება, ნათქვამია, რომ ლექტორმა: ,,1. მსმენელებს გააცნოს ქალისა და მამაკაცის თავისებურებები შემდეგი პოზიციებიდან: ა) ძირითადი ანატომიურ-ფიზიოლოგიური (სასქესო ორგანოების აგებულების გაშუქების გარეშე) და ფსიქოლოგიური განსხვავება.''

გაუგებარია თუ იმას არ ავუხსნით მსმენელს, რით განსხვავდება ქალი მამაკაცისგან (და ეს განსხვავება, სწორედ სასქესო ორგანოების აგებულებაა), სხვა რა თავისებურებებზე შეიძლება საუბარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ბროშურაში, რომელიც ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ჰიგიენურ მომზადებას ეხება, ნათქვამია: ,,რეკომენდირებული არ არის დაწვრილებით შევჩერდეთ ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე, სქესობრივ კავშირსა და სხვა ინტიმურ საკითხებზე.*

აქაც გაკვირვებას იწვევს ბროშურის ავტორის შიში და უადგილო სიფრთხილე. თუ ამ საკითხებზე არ შეჩერდება, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს როგორღა მოამზადებჰიგიენურად?

სქესობრივ აღზრდაზე კამათი დღესაც გრძელდება, ზოგჯერ სრულიად უტაქტო და მიუღებელ ფორმებში. ხუთიოდე წლის წინ, როგორც კი ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში გაჩნდა ცნობა სკოლებისთვის სქესობრივი აღზრდის სახელმძღვანელოს მომზადების, გაკვეთილების ჩატარების აუცილებლობის შესახებ, მას უმალ მოყვა რადიკალური განცხადებები, თითქოს ეს გამოიწვევს გარყვნილების პროპაგანდას, მოზარდთა გადაგვარებას და ა. შ.

ზოგი ქართველი პედაგოგის და მშობლის აზრით სქესობრივ აღზრდას სპეციალური საგანი და სახელმძღვანელო არ სჭირდება, რადგანაც ამ თემებს ანატომია და ფიზიოლოგია ისედაც მოიცავსო. ეს საკითხისადმი ძალზე ზერელე დამოკიდებულებაა, რადგანაც ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდა გულისხმობს ურთულეს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ მიდგომებს და მეთოდოლოგიას, რომელშიც ანატომიას და ფიზიოლოგიას, გნებავთ მასთან ერთად ბოტანიკა-ბიოლოგიას, რაღაც 7-8% უკავია.

ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის რაიმე ფორმით სკოლებში დანერგვის წინააღმდეგ ყველაზე მეტად ახმაურდა ჩვენი მასმედია, განსაკუთრებით ტელევიზიის ზოგიერთი არხი. ისინი თავისებურად ,,ასაბუთებდნენ'' თავიანთ მოსაზრებას, მაგრამ გაკვირვებას იწვევს მათივე ხმამაღალი გამოსვლები ქალიშვილობის ინსტიტუტზე, როგორც ,,ჩამორჩენილობის'' მანიშნებელ ფაქტზე. არავინ მოითხოვს, რომ თუ ქალმა ერთი შეცდომა ჩაიდინა, ის მოვკვეთოთ საზოგადოებისგან, მაგრამ როცა ისეთი პოპულარული საინფორმაციო საშუალება, როგორიც ტელევიზიაა, ხელაღებით ეწევაპროპაგანდას ქალწულობის არარაობის შესახებ, ეს შეიძლება მივიჩნიოთ წაქეზებად გარყვნილებისკენ; სხვაგვარად მისი ახს-

*ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ჰიგიენური მომზადება. თბ. 1988. გვ. 6.

ნა შეუძლებელია და არც არის ამის საჭიროება. პირველ შეცდომას თუ ქალი არშეიგნებს და სანანებლად არ გაიხდის,რადგანაც თვლის, რომ აპატიებენ, თანაც თუ მას ამუნათებენ, რომ გათხოვებაზე და დედობაზე ფიქრი რამდენიმე პარტნიორის გამოცვლის შემდეგაც შეიძლებაო, იწყება გზა პროსტიტუციისკენ, ეს გზა კი ძალზე მოკლეა.

ინტერესთა ასეთ შეზღუდულობას, პროვინციალიზმს და უმართებულო გამოსვლებს შესაბამისი პასუხი გასცეს და ახლა საზოგადოების დიდ ნაწილს ჩვენში სადავოდ აღარ მიაჩნია, რომ სქესობრივი აღზრდა აუცილებელია, ამ სფეროში ბავშვებს და მოზარდებს უნდა განუვითაროთ სწორი დამოკიდებულება, რათა სექსუალურ ცხოვრებაში თავიდან ავიცილოთ მრავალი არასასიამოვნო გამოვლინებები. სამწუხაროდ საბოლოოდ მაინც არ გადაწყდა, კერძოდ ვინ უნდა აიღოს თავისთავზე ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საქმე, რა და როდის უნდა ასწავლონ ბავშვებს და ა. შ. ამ მხრივ მოსაზრებები ურთიერთსაწინააღმდეგოა.

მშობლების, პედაგოგების და ექიმების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სექსუალური სფეროს ცოდნა შეიძლება მოზარდის ალღოს მივანდოთ, ამის სწავლება ზედმეტიაო და მოაქვთ საკუთარი მაგალითები, ჩვენთვის ეს საკითხები არ უსწავლებიაო. ვეთანხმები, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი ძვრები (უარყოფითი) და განსხვავებები ,,იმ დროს'' და ,,ამ დროს'' შორის, როცა საზოგადოებას გადაშენებით ემუქრება: ნარკომანია და შიდს-ი, პროსტიტუცია და პედოფილია, ჰომოსექსუალიზმი და ალკოჰოლიზმი. სად იყო ,,იმ დროში'' ამდენი უბედურება. ახლა არის და საჭიროებს დიდ ფიქრსა და მოქმედებას. შესაძლოა ზოგ მოზარდს მართლაც არ სჭირდება საუბრები და გაკვეთილები, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისია, უმრავლესობის ალღოზე დაყრდნობა კი მიუღებელია, რადგანაც ყმაწვილების სასქესო სფეროში გადახრები ძირითადად იმის ბრალია, რომ მათ თავის დროზე უფროსებისგან არ მიუღიათ შესაბამისი რჩევა-დარიგებები, ხოლო თანატოლებისგან, ქუჩიდან, რადიო-ტელევიზიით და ინტერნეტით მიღებული ინფორმაცია თითქმის არასოდეს არ პასუხობს მოზარდთა ზნეობრივ ნორმებს, მის ჯანმრთელობას, პირიქით ხშირ შემთხვევებში არაკომპეტენტური და საზიანოა.

ამგვარად, ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე ალალბედზე, თვითდინებაზეა მიშვებული. ღმერთს მადლობა, ჩვენი ძველი,

ეროვნული ტრადიციები ჯერ კიდევ მოქმედებს, მოსახლეობის ერთ ნაწილში ფესვგადგმულია და საკმაო გავლენას ახდენს ოჯახში ახალგაზრდობის მორალურ-ეთიკურ განწყობებზე. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის დიდი მასის თავის დაღწევა ,,უღმერთო კომუნისტების'' გავლენისგან და მობრუნება ქრისტიანული რწმენისადმი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მტკიცედ დგას ჩვენს ცხოვრებაში ყოველგვარი ზნეობრივი გადახრების წინააღმდეგ და ნიადაგ ქადაგებს ადამიანის იმ თვისებების და ღირებულებების შენარჩუნებაზე, რომლებიც მას უფალმა უბოძა.

აღზრდის ამ სფეროს ერთ ძირითად სიძნელეს წარმოადგენს შესაფერისი ლიტერატურის უქონლობა. სამწუხაროდ ზემოთქმული მიზეზების გამო სექსუალურ თემებზე წერილების, ნარკვევების, მით უმეტეს წიგნის გამოცემას არაოფიციალური ტაბუ აქვს დადებული. კაცმა რომ თქვას, ამ თემაზე რაიმეს დაწერას თვით სპეციალისტი სექსოლოგები, ფსიქოლოგები და პედაგოგებიც ერიდებიან.

ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ერთგვარად გაფანტავს ბურუსს ახალგაზრდობის ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საკითხებში და დაეხმარება მშობლებს, პედაგოგებს და მედიკოსებს თავისი ფუნქციების გამიჯვნაში. გამოიკვეთება თითოეული მათგანის როლი და დღემდე ,,საჩოთიროდ'' მიჩნეული საკითხი მათი ერთობლივი ყოველდღიური ზრუნვის და რუდუნების საგანი გახდება.

ჩვენ, ზემოთ სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები ვახსენეთ, ეს ძალზე ცოტაა. უნდა შემოვიღოთ საგანი, რომლის სწავლება სავალდებულო იქნება, ხოლო მასწავლებლები, რომლებიც უკვე სავალდებულო საგნებიდან, მაგალითად, ანატომიის სწავლების დროს სასქესო ორგანოებს ,,გადაახტებიან'', რაც თვით მოსწავლეებში გაკვირვებას და უკმაყოფილებას იწვევს, სკოლიდან უნდა მივაბრძანოთ, ან როგორმე შევძლოთ მისი შესაბამისი მომზადება. კარგი იქნება თუ მასწავლებლებისთვის შემოვიღებთ სალექციო კურსებს, რომლის მოსმენა არც მშობლებს აწყენდათ.

საქმეს ართულებს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში სქესობრივ განათლებაზე ამჟამად მეცნიერები აღარ მუშაობენ. საბჭოთა პერიოდში ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი მეცნიერული კვლევები, რომლითაც რამდენიმე მეცნიერი, მათ შორის ამ წიგნის ავტორი იყო დაკავებული (იხ. წიგნზე დართული შრომების სია), სამწუხაროდ

შეწყდა და ახლა ამ დარგში საქართველო ნაკლებად განვითარებული ქვეყნების რიგში დგას, მაშინ, როცა ბევრ ქვეყანას აღარ აკმაყოფილებს არსებული მეთოდური მითითებები და დახვეწილი და ღრმაშინაარსიანი სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობს.

ნაწილი პირველი

ცოტა რამ მშობლებზე, მათს იოლ და სასიამოვნო მოვალეობაზე

სქესის საკითხებზე ბავშვებთან მშობლების დამოკიდებულება არა მარტო ჩვენთან, უცხოეთშიც მწვავე კამათის საგანი გახდა. ამ დისკუსიის მონაწილე **ეჰრენბერგებმა** 1988 წელს მშობლები ოთხ ჯგუფად დაყვეს: დამსჯელი, თავის ამრიდებელი, აბეზარი და გამომსახველობითი.

ვითვალისწინებთ საკითხის დიდ მნიშვნელობას და მკითხველს ვთავაზობთ თითოეულის დახასიათებას:

დამსჯელი მშობლები ბავშვებს არწმუნებენ, რომ სექსი, ეს ბოროტება და უხამსობაა. ასეთ ოჯახებში ამ თემაზე გახუმრებაც კი აკრძალულია, ქვედა საცვლებით ვერ გაივლი. სქესობრივი აღზრდა რამდენიმე ფრაზამდეა დასული: ,,ეს უწესობაა'', ,,ეს საშიშია'', ,,მოითმინე, ყველაფერს მოესწრები.''

თავის ამრიდებელი მშობლები შედარებით გონივრულად და მოთმინებით იქცევიან. მათ ეს მოვლენა უფრო სასარგებლოდ მიაჩნიათ, ვიდრე საზიანოდ, მაგრამ როგორც კი საკითხი, კერძოდ სქესს შეეხება, იბნევიან. მშობლები ამ თემაზე შვილებთან საუბარს გაურბიან ან, მას რაღაც მოსაწყენ ლექციად აქცევენ. მათდაუნებურად ამ საუბრებს სითბოს, ადამიანურობას და სიყვარულს გამოაცლიან, რაც სექსუალურობის აუცილებელი შემადგენელია, ამიტომ ბავშვები ამ ხარვეზს ძალიან ადვილად ამჩნევენ და მშობლების მიმართ უნდოდ განეწყობიან.

აბეზარი მშობლები სექსს სასარგებლო და ჯანსაღ მოვლენად მიიჩნევენ, მაგრამ იგი მთელი ოჯახის ცხოვრების ცენტრში გადააქვთ და ამით მეორე უკიდურესობაში ვარდებიან. ისინი ძალზე დამთმობნი არიან, ყველაფერს ღიად ყვებიან და ზოგჯერ შვილების წინაშე სქესობრივი ცხოვრების დემონსტრაციასაც კი ახდენენ, რაც საკუთარი ბავშვების გაოცებას იწვევს. ასეთმა გულახდილობამ შეიძლება ბავშვები დააბნიოს და დათრგუნოს;

გამომსახველობითი ტიპის მშობლები სექსს ბუნებრივ მოვლენად თვლიან, ზოგჯერ ამ თემაზე ღიად საუბრობენ, მაგრამ ბავშვთა სექსუალურ აქტივობას რაღაც გონივრულ ჩარჩოებში ათავსებენ, ისევე, როგორც სხვა ქცევებს. ისინი ბავშვებს შთააგონებენ, რომ სექსუალურობა დადებითი და ჯანსაღი მოვლენაა, მაგრამ ბავშვს ურჩევენ, ამაზე არ გადაიტანონ მისი ყველა გულისთქმა და სურვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მარტივად მშობლებს ოთხ ჯგუფად დავყოფდი:სქესობრივი მომწიფების პირველი სერიოზული ნიშნების გამოჩენას მშობლების ერთი ნაწილი მშვიდად ხვდება, იცის რა და როგორ უნდა მოიმოქმედოს. მერე ნაწილი მხრებს იჩეჩავს და წუწუნებს, რა ვქნა, ჩემს შვილს ამ თემაზე რა ველაპარაკოო. მესამე ნაწილი ხელებს ასავსავებს და ლამის მთელი მილეთი შეყაროს, ახლა რა მეშველება, ვინმემ გოგო არ შემიცდინოს ან ბიჭმა სხვისი ქალიშვილი არ გააბახოსო. არის კიდევ მეოთხე, უფრო აგრესიული კატეგორია მშობლებისა, რომლებიც შენიშნავენ ბავშვების საწოლში სქესობრივი მომწიფების პირველ ნიშნებს (მენსტრუაცია, პოლუცია), მაშინვე იწყებენ შვილების შერისხვას, ,,ამოდენა გოგომ, ამოდენა ბიჭმა არ იცი შენს ნაოხრალს როგორ უნდა მოუარო?'', ,,მე შენოდენა რომ ვიყავი...'' და ა. შ. ასეთი დამოკიდებულება გამანადგურებლად მოქმედებს ყმაწვილის ფსიქიკაზე; იგი იბნევა, არ იცის როგორ მოიქცეს, თავი დამნაშავე ჰგონია, მშობელს ველარაფერს უმხელს, პირიქით, მათ შორის დიდი ნაპრალი ჩნდება.

ყველაფერიკი შესაძლოა სრულიად მშვიდად და დელიკატურად მოგვარდეს, ამისთვის კი საჭიროა საკუთარ ნაშიერთან ბავშვობიდანვე ახლოს ყოფნა, თბილი, გულღია, თანაცარასახუმარო დამოკიდებულება და ნდობის მოპოვება.

გოგონა ჯერ კიდევ იმ ასაკშია, რომ დედა ეხმარება ტანის დაბანაში. სქესობრივი მომწიფების პირველი სიგნალი მკერდის წამოზრდაა, იგი წინ უსწრებს თვიურს და ამას პირველად სწორედ დედა ამჩნევს. მისი საუბარი ბავშვთან შეიძლება ასე წარიმართოს:

- შენ თანდათან იზრდები, მშვენდები, მალე ქალი გახდები, განსაკუთრებული პერიოდი იწყება. ჯერ მკერდი წამოგეზრდება, შემდეგ თვეში ერთხელ გექნება დედათა წესი, რომელსაც მენსტრუაცია ქვია. ესაა მცირე სისხლის გამოყოფა სასქესო ორგანოდან, რაც ნორმალური და აუცილებელია, რადგანაც იმის ნიშანია, რომ შენ კარგად ვითარდები და ემზადები დედობისთვის.

საუბარს თან უნდა ახლდეს რჩევა-დარიგება, ბავშვმა რა ჰიგიენური წესები უნდა დაიცვას ამ დროს.

თითქმის ანალოგიურია ვაჟებთან ურთიერთობაც. ძუძუების არეში ისინიც გრძნობენ სიმკვრივეს, ეზრდებათ კიდეც ძუძუს დვრილები. ამის შემჩნევა ძნელი არაა, შეიძლება ბიჭმა თვითონვე შემოგვჩივლოს. თუ მოერიდა და ვერაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვითხრა, მამამ 10-12 წლის ასაკში იგი უნდა შეამზადოს საუბრით, რომელიც მშვიდ და სერიოზულ ხასიათს უნდა ატარებდეს:

- შენ თანდათანობით დავაჟკაცდები, ძუძუ გაგიმკვრივდება, ღამე შეიძლება კვირაში ან თვეში ერთხელ ქალიც დაგესიზმროს, რასაც ასოდან სითხის გამოყოფა მოყვება, შეიძლება საცვლები დაგესვაროს, მაგრამ არ მოგერიდოს. ეს ყველაფერი შენი კაცობაში შესვლის ნიშანია და ჩვენ ძალიან გაგვიხარდება. მთავარია დაიცვა ჰიგიენის წესები: საცვალი მაშინვე გაიხადე, ახალი ჩაიცვი, სასქესო ორგანო ჩამოიბანე. ცოტა ხანში ხმაც შეგეცვლება, ულვაშები ამოგივა, თმები ტანზეც გაგეზრდება...

მალე მშობლების ნათქვამი გამართლდება, რაც ყმაწვილის გონებაში კიდევ უფრო აამაღლებს მის ავტორიტეტს, ნდობას დაიმსახურებს და თავისი ნაშიერი ყველაფერზე მისგან მიიღებს რჩევა-დარიგებას.

ამგვარად, საკუთარი შვილების სქესობრივი მომწიფების პირველმა ნიშნებმა ოჯახში წუხილი, აურზაური და შფოთი კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ სასიხარულო და საამაყო მდგომარეობა უნდა შექმნას; შეიძლება ეს სიახლე გარეთ არ გავიდეს, მაგრამ თავისთვის შინაური პატარა ზეიმი უნდა გაიმართოს, არანაკლები, ვიდრე ბავშვის დაბადების დროს.

***

სკოლაში სქესობრივი აღზრდის გაკვეთილების შემოღებას ამერიკაშიც ჰყავდა მოწინააღმდეგეები. მიზეზი იგივეა, რაც ყველგან: 1. ბავშვებში სექსისადმი ინტერესის გაღვივება; 2. ეს მხოლოდ ოჯახისა და ეკლესიის საქმეა; 3. სკოლებში სექსუალური აღზრდის დონე დაბალია, ასევე არ ვარგა სახელმძღვანელოებიც. ამიტომ, ამერიკელ მშობელთა 5% შვილებს უკრძალავდა გაკვეთილებზე დასწრებას.

ამის მიუხედავად მოწინააღმდეგეებმა დათმეს თავისი პოზიციები და ახლა ზრდასრული ამერიკელების 77% მხარს უჭერს სკოლაში სქესობრივი აღზრდის დაკანონებას. ახლა ამერიკის 23 შტატში შემოღებულია სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები.

ამ ქვეყნის მეცნიერები თვლიან, რომ სქესობრივი აღზრდა სკოლამდელ ასაკში უნდა დავიწყოთ, რა თქმა უნდა, სპეციალური პროგრამით: ,,ჩვენ ვთვლით, რომ მოზარდის ასაკამდე ლოდინი და მხოლოდ ამის შემდეგ სქესობრივი აღზრდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყება დაუშვებელია. ბავშვები ნებისმიერ ასაკში უნდა ავღზარდოთ იმ საშუალებებით, რაც შეესაბამება ამ ასაკს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება თავიდან ავიცილოთ სექსუალურ ურთიერთობებში არსებული სიძნელეები“ – წერენ თავიანთ წიგნში უ. მარტერსი, ვ. ჯონსონი და რ. კოლოდნი.

მაინც როგორ უნდა წარიმართოს 3-4 წლის ბავშვებთან საუბრები?

ამ ასაკში ბავშვები ცოდნას თავის სხეულის და ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციებით ღებულობენ. ისინი კითხულობენ: საიდან ჩნდებიან ბავშვები და შეუძლიათ მიიღონ მატივი პასუხები, მაგრამ ვერ ერკვევიან განყენებულ მცნებებში, ან მოზრდილების სექსუალურ პრობლემებში. მათ უკვე შეუძლიათ შეასრულონ მარტივი ჰიგიენური წესები, ე. ი. ხელები დაიბანონ, კბილი გაიწმინდონ, მიიღონ საკვები, დაიძინონ და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად თანდათან ერკვევიან განმარტოების აუცილებლობაშიც. მშობლებმა თვითონვე უნდა შექმნან იმის პირობები, რომ ბავშვს არ მოერიდოს სხეულის ნაწილებზე, ჯანმრთელობაზე და სქესის საკითხებზე შეკითხვების მიცემა. ამით ბავშვს თანდათან გამოუმუშავდება აზრი, რომ სექსის საკითხებზე თავისუფლად შეიძლბა საუბარი სახლში.

საუბარი 5-6 წლის ბავშვებთან, რომლებმაც უკვე იციან ისეთი რთული საკითხები, როგორიცაა ჯანმრთელობა, სნეულება, სექსუალურობა. მათ აინტერესებთ მშობიარობა, ქორწინება, სიკვდილი. აშინებთ ზოგი სენი,* მაგ. შიდს-ი, ტუბერკულოზი, ვენერული სნეულებები, რომელთა შესახებ ნახეს და მოისმინეს ტელეგადაცემაში. ბავშვები უნდა დავარწმუნოთ, თუ გარკვეულ წესებს დავიცავთ, მათ და მშობლებს ასეთი საშიშროება არ ემუქრებათ. თუ, მაგალითად თქვენმა ბავშვმა ხელი გაიჭრა, მისწრებაა ამ დროს ავუხსნათ, რომ ამ ჭრილობიდან შეიძლება შეიჭრან უხილავი მიკრობები და გამოიწვიონ სნეულება. ამიტომ ზოგად ჰიგიენასთან ერთად აუცილებელია ჭრილობის სისუფთავის დაცვა და სხვ. ამავე ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მშობლების გარეშე წამლების დალევა არ შეიძლება. ისიც უნდა ავუხსნათ, რომ სკოლის მერხზე სნეულ ბავშვთან გვერდით ჯდომა საშიში არაა.

9-12 წლის ბავშვებთან საუბარი. ამ ასაკის ბავშვებში უკვე იწყება პუბერტატული (მომწიფების) პერიოდისთვის დამახასიათებელი ცვლილებები. ბავშვს განსაკუთრე-

*,,სენი, სნეული, სასნეულო'' და არა ,,ავადმყოფობა, ავადმყოფი და საავადმყოფო,'' ესენი ხელოვნურად გართულებული ტერმინებია. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია ,,შუშანიკის წამებიდან'' მოყოლებული დღემდე მხოლოდ ,,სენს'' და ,,სნეულებას'' იცნობდა. ჩვენს დროშიც იშვიათია წიგნი, რომელზეც არ ეწეროს: ,,შინაგანი სნეულებანი,'' ,,ბავშვთა სნეულებანი, ,,ინფექციური სნეულებანი'' და ა. შ.

ბულად აინტერესებს საკუთარი სხეული და გარეგნობა, რაც სრულიად ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ. ზოგიერთ გოგონას ამ დროს ეწყება მენსტრუაციაც. ზოგჯერ ამ პერიოდს ემთხვევა ნარკოტიკების მიღება და პირველი სქესობრივი კონტაქტები. ამიტომ სანამ ამ მავნე ჩვევებს დაიწყებდეს, უნდა გავაძლიეროთ საუბრები, ყურადღება გავამახვილოთ შიდს-ზე, აუცილებელია ბავშვმა იცოდეს როგორ დაიცვას თავი ამ საშინელი სენისგან. ვიმეორებ, სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდი ამჟღავნებს ინტერესს ყველაფრის მიმართ, რაც დაკავშირებულია სქესობრივ ცხოვრებასთან, ამიტომ სწორედ ამ დროს არის აუცილებელი მივაწოდოთ მას სრული და ზუსტი ინფორმაცია. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რაა სქესობრივი კავშირი, ჰომოსექსუალიზმი და სხვა გაუკუღმართებული კავშირები. მათ, განსაკუთრებით გოგონებმა, ისიც უნდა იცოდნენ, რომ სქესობრივ კავშირს შეიძლება მოყვეს დაორსულება და შიდს-ით დასნეულება. აუცილებელია, ავუხსნათ აგრეთვე, რა ზიანი მოაქვს ბავშვთა ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყებას და რომ უმჯობესია იგი გადავდოთ მოგვიანებით დროისათვის. ბავშვები უნდა ერკვეოდნენ, როგორ გადადის შიდს-ი და როგორ შეიძლება მისგან თავის დაცვა (პრეზერვატივის გამოყენებასთან ერთად). ერთი შეხედვით ბავშვზე ამ ახსნა-განმარტების მიცემა ძნელია, თუმცა მისი შესრულება მშობლის მოვალეობაა, მიღებული ცოდნა კი მის შვილს დაეხმარება მომავალ ცხოვრებაში. ბავშვს უნდა განვუმტკიცოთ რწმენა იმის შესახებ, რომ სწორედ მშობლისგან მიიღებს სწორ პასუხს სექსუალური ცხოვრების ვადებზე, ორსულობაზე და შიდს-ზე.

მოზარდთა* ასაკად ითვლება 12-19 წელი. ესაა აჩქარებული ცვლილებების, მძიმე განცდების და ფიქრების პერიოდი. ამ ასაკისთვის ფიზიკური ცვლილებები მოწიფულობის მხოლოდ ერთი ნაწილია. ერთდროულად მოზარდებს მრავალ ფსიქოლოგიურ სიძნელეებთან უხდებათ შეჯახება. ისინი მშობლებისგან დამოუკიდებელნი ხდებიან, ითვისებენ თავის თანატოლებთან ურთერთობის წესებს, გამოიმუშავებენ ეთიკური პრინციპების კომპლექსს, ვითარდებიან გონებრივად, გრძნობენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას. თუმცა ეს სულაც არ არის მათ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების სრული ჩამონათვალი. ამ სრულიად რთულ და ახალ გარემოებებში ცხოვრებასთან ერთად, მოზარდმა უნდა გადაწყვიტოს

*ამ ასაკს, კერძოდ მოზარდს ძველ საქართველოში ნინველი (ვაჟი) და ნინველა (ქალი) ერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექსუალურობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: მოემზადოს ახალი სექსუალური გრძნობების მიმართ, ჩაერთოს სექსუალური აქტივობის სხვადასხვა ფორმებში, შეიძინოს აღმოცენებული სიყვარულის გრძნობა, თავიდან აიცილოს არასასურველი ორსულობა. გასაკვირი არაა, რომ მრავალი მოზარდი ამ დროს განიცდის თავის თავისადმი უნდობლობას და უხერხულობას.

მეორე მხრივ, ეს ასაკი არის სიახლეებისა და გულახდილობის პერიოდი, როცა ფიზიკური განვითარება, დიდ გონიერებასთან და ემოციურ სიმწიფესთან ერთად, ქმნის ამაღლებულებას და თავისუფლებას. მოზარდთა ასაკი არის არამარტო შიშის და საშიშროების პერიოდი, როგორც ადრე მიაჩნდათ, არამედ სასიამოვნო და ბედნიერი, ბავშვობიდან მომწიფებულ მდგომარეობაში გადასვლის მშფოთვარე დრო. ამ ასაკის უცნაურობა და მოულოდნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდება სექსუალურ სფეროში.

ბავშვის განვითარების პერიოდები

1. ცოცხალი ადამიანის წინამორბედი წარმონაქმნია ზიგოტა, რომელიც წარმოიშობა სქესობრივი აქტის შემდეგ მამრობითი და მდედრობითი უჯრედების (გამეტების) შეწყვილების და განაყოფიერების შედეგად. ამ პროცესს თან სდევს მომავალი ადამიანის უჯრედების, ქსოვილების, ორგანოების, ორგანოთა სისტემების სწრაფი ზრდა და საბოლოოდ ორგანიზმის ფორმირება. ეს პროცესები ვითარდება მდედრის შიგნითა სასქესო ორგანოებში (საშვილოსნოში), ამიტომ მას **მუცლად ყოფნის პერიოდი** ეწოდება. იგი გრძელდება 40 კვირას, ანუ 10 სამთვარეო თვეს და იყოფა 2 ქვეპერიოდად: ა) ემბრიონული (ჩანასახი) პერიოდი (8 კვირა). ბ. პლაცენტური (ნაყოფი) პერიოდი (32 კვირა), რომელიც მშობიარობით თავდება.

მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფი იკვებება, იზრდება და ვითარდება დედის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის ხარჯზე. იგი არ სუნთქავს, არ ხარჯავს ფიზიკურ ძალას და იმყოფება სრულიად უზრუნველ მდგომარეობაში.

2. როგორც კი ნაყოფი დატოვებს დედის ორგანიზმს (მშობიარობის შემდეგ) და ჭიპლარს გადაჭრიან, იგი ახალშობილად იქცევა და მოხვდება ამქმელის* ხელში.დე-

*გავრცელებული ტერმინი ,,ბებია ქალი'', რუსულიდან პირდაპირი თარგმანია–повивальная бабка. საბას სიტყვებით, ამქმელი არის მომნათლავიც, დედათ-მოურავიც და მეანიც. ტერმინის საფუძველია აქუმა, აქმა, რაც აყვანას, გულზე მიკვრას ნიშნავს; იგი სრულიად შეეფერება დაბადების მღელვარე შემთხვევას. ამქმელი შეტანილია ქეგლ-შიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის მუცლად უზრუნველ მდგომარეობაში მყოფი სრულიად უსუსური არსება დამოუკიდებელ სიცოცხლეს, პირველი ჩასუნთქვითა და ტირილით იწყებს. მისი ფილტვები იწყებენ მოქმედებას, ყალიბდება აირთა ცვლა და სრულიად უცხო გარემოსთან კავშირი. ახალ ვითარებასთან ახალშობილის შეგუებას გარკვეული დრო სჭირდება. ეს არის **ახალშობილობის პერიოდი,** რომელიც საშუალოდ 10 დღე გრძელდება.

ამ პერიოდის ერთი მეტად მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია ახალშობილის კვება. როგორც ცნობილია, მელოგინე ქალს ამ დროს ძუძუში უგროვდება არა რძე, არამედ განსხვავებული შემადგენლობის ხსენი; მას ორგანიზმი გამოიმუშავებს ორსულობის უკანასკნელ და მშობიარობის პირველ დღეებში. იგი მომლაშო, სუნიანი, სქელი, მოყვითალო სითხეა, ახასიათებს მაღალი მჟავიანობა, მდიდარია ცილებით, ცხიმებით, მინერალური ნივთიერებებით და ვიტამინებით, მასში ნაკლებია შაქრები.

ხსენი ახალშობილისთვის შეუცვლელი საკვებია. ზემოთქმულის გარდა, იგი შეიცავს იმუნურ სხეულებსა და ანტიტოქსინებს, ერთგვარ ბიძგს აძლევს ახალშობილის კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. ესეც ბუნების კანონზომიერებაა; ახალშობილის ახლადჩამოყალიბებულ საჭმლის მომნელებელ სისტემას მხოლოდ ხსენი სჭირდება და მისი მონელება ძალუძს. რამდენიმე დღის შემდეგ (3-7 დღე) იგი რძედ იქცევა და ჩვილის კუჭ-ნაწლავი, რომელიც ხსენმა აამოქმედა, ადვილად ითვისებს მას.

ზოგადად უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ზრდა-განვითარებასთან ერთად იცვლება დედის რძის შემადგენლობა (შეესაბამება ასაკს), ამიტომ თუ დედას რძე არ ყოფნის და აუცილებელია ძიძა, სასურველია მას ჩვილიც იმავე ასაკისა ჰყავდეს.

3. **ძუძუს წოვების პერიოდი** ხანმოკლეა და მთავრდება დაახლოებით ერთი წლის ასაკში, მაგრამ იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ბავშვის ცხოვრებაში. ამ დროს, როგორც წესი, ბავშვი იკვებება მხოლოდ დედის რძით (6 თვემდე),თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი საკვების მიწოდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედის რძის მსგავსი პროდუქტი სამყაროში არ არსებობს და ჯერჯერობით ვერცერთმა ლაბორატორიამ ვერ შექმნა. დაბადებიდან და დედის ორგანიზმიდან მოწყვეტის შემდეგ, მასთან ახალშობილი კავშირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგრძობს სწორედ ძუძუს წოვებით. რძესთან ერთად იგი დედისგან ღებულობს არამარტო ყუათიან საკვებს, არამედ ჰორმონებს, ანტისხეულებს და იმუნურ სხეულებს, რომელთა გამომუშავება მის ორგანიზმში ჯერ კიდევ არ ხდება. ისინი კი აუცილებელია, რათა ჩვილის ორგანიზმმა გაუძლოს გარესამყაროს (ტემპერატურა, ბაქტერიები და სხვ.) ზემოქმედებას.

კარგად ორგანიზებული ძუძუთი კვება იმის გარანტიაა, რომ ჩვილი არ დაავადდება წითელათი, ქუნთრუშით, წითურათი, ხოლო ზოგი საშიში დაავადება დიფთერია, ტიფი და სხვ. ასეთ ბავშვებში იოლ ფორმებში მიმდინარეობს. ამ პროცესებზე დადებითად მოქმედებს აგრეთვე დედისგან გადაცემული თანდაყოლილი იმუნიტეტი და უპირობო რეფლექსები.

დასკვნა ასეთია: დედამ არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა თქვას შვილის ძუძუთი კვებაზე, რადგანაც, როგორც ვთქვით უკეთესი პროდუქტი, ვიდრე დედის რძეა, არ არსებობს. მითი, თითქოს ძუძუს წოვება ქალის გარეგნობაზე და ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, მითად რჩება. ძუძუს წოვება ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიური, ე. ი. ნორმალური პროცესია. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ქალები, რომლებიც უმიზეზოდ და ნაადრევად წყვეტენ ძუძუთი კვებას, ხშირად ხდებიან მკერდის კიბოს მსხვერპლნი, მათ ხშირად ემართებათ აგრეთვე ჰორმონული მოშლილობანი, მენოპაუზის დაგვიანება ან ნაადრევი განვითარება და ა. შ.

4. სკოლამდელი პერიოდი

ა) ადრეული სკოლამდელი პერიოდი (1-3 წ.წ.);

ბ) ბაღის ასაკი (4-7).

5. სკოლის (ყრმობის, ყმაწვილობის) პერიოდი*

ა) უმცროსი სასკოლო ასაკი;

ბ) საშუალო სასკოლო ასაკი;

გ) სქესობრივი მომწიფების პერიოდი;

დ) ჭაბუკობის (ქალიშვილობის) პერიოდი.

შენიშვნა: უმცროსი და საშუალო სასკოლო პერიოდის ვაჟების და გოგონების ასაკობრივი დაყოფა პირობითია, რადგანაც გოგონები ვაჟებს 1-1,5 წლით ასწრებენგანვითარებას.

*დიახ, ყმაწვილი და არა თინეიჯერი. ,,ყრმა და წული'' უძველესი ქართული სიტყვების შეხამებით წარმოქმნილი ეს სიტყვა კარგად ჟღერს და სწორად გამოხატავს შინაარსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარება

ფიზიკურ განვითარებაში იგულისხმება ადამიანის სხეულის აგებულება, მისი გარეგანი მიმზიდველობა, სხეულის სხვადასხვა ნაწილის ჰარმონიულობა, ორგანიზმის ძალმოსილება, შრომისუნარიანობის (სწავლისუნარიანობის) და გამძლეობის მაღალი მაჩვენებლები.

ადამიანის ფიზიკური განვითარება დამოკიდებულია მემკვიდრეობით გადმოცემულ თანდაყოლილ თვისებებზე და იმ გარემო პირობებზე, რომლებშიც იგი იზრდება, ვითარდება, იძენს ახალ თვისებებს, ცხოვრობს და შრომობს.

ფიზიკური განვითარება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, დასნეულების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ერთ-ერთი საზომია. იგი დამოკიდებულია ყოფა-ცხოვრების პირობებზე, რომლის გაუმჯობესებასთან ერთად უმჯობესდება ფიზიკური განვითარებაც. უფრო მეტიც, ფიზიკურ განვითარებას, ჯანმრთელობას, სნეულებას და სიცოცხლის ხანგრძლივობასშორის არსებობს პირდაპირი კავშირი.

წარსულში მიაჩნდათ, რომ საცხოვრებელი გარემო არ ექვემდებარება ადამიანის ზემოქმედებას, რადგანაც ხალხთა უთანასწარობა, დაბალი და მაღალი რასების არსებობა ბუნებრივიაო. ასეთი თეორიები რათქმაუნდა, კაცთმოძულე და მცდარია, რადგანაც ყოველი ადამიანი, განურჩევლად ქონებრივი ცენზისა, რასისა, ეროვნებისა და ეთნიკური წარმომავლობისა, თვითონ წარმოადგენს სოციალურ არსებას, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესში ქმნის საკუთარი ცხოვრების პირობებს, თავის სასარგებლოდ ცვლის გარემო ფაქტორებს და ბუნებას.

საბოლოოდ დადგენილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ცხოვრების წესი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ფიზიკური კულტურა. პროცენტულად თუ გავიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ ჯანმრთელობა დამოკიდებულია: ცხოვრების წესებზე (50-55%), გარემოპირობებზე (20-25 %), გენეტიკურ ფაქტორებზე (15-20 %) და სამედიცინო უზრუნველყოფაზე (10-15%). ჯანმრთელი ცხოვრების წესი კი გულისხმობს მოძრაობის რეჟიმს, გამოწრთობას, სწორ კვებას, დღის რეჟიმს და მავნე ჩვევებზე უარის თქმას.

მოსახლეობის ფიზიკურ განვითარებას საფუძველი ეყრება ბავშვობის და ყმაწვილობის ასაკში. რაც უფრო კარგადაა ორგანიზებული მათი ფიზიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა, ვარჯიშები, გამოწრთობა და სხვა გამაჯანსაღებელი მეთოდები, მით უფრო სრულყოფილად ვითარდება მოზარდი, რაც მას ხნიერ ასაკშიც გაყვება და თუ კვლავ არ შეანელებს ყურადღებას, იგი მთელ სიცოცხლეში შეინარჩუნებს სიმხნევეს, მოხდენილობას და ენერგიას.

მოზარდთა (განსაკუთრებით ვაჟების) ფიზიკური განვითარების ერთგვარ სარკეს წარმოადგენს ახალწვეულთა ვარგისიანობის შემოწმება. წრსულში რუსეთის ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკის წვევამდელთა ვარგისიანობა 80 %-ს შეადგენდა, ანალოგიური მდგომარეობა იყო ზოგიერთ საზღვარგარეთის ქვეყანაში.

ამგვარად, მოზარდთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებელი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთერთი მნიშვნელოვანი მონაცემია, რომელიც ამავე დროს ნათლად ასახავს მოზარდების ყოფა-ცხოვრებას, სანიტარულ და კულტურულ დონეს.

დღეისათვის მსოფლიოში სპორტის მრავალი სახეა ცნობილი. მათი უმრავლესობა საერთაშორისოა. არის სპორტის სახეობათა მცირე ნაწილი, რომელიც ჯერჯერობით ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული კუთვნილებაა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდისთვის სპორტის სახეობის შერჩევას. იგი ინდივიდუალურია, ამიტომ ფიზკულტურის მასწავლებელმა ყმაწვილებს უნდა შეურჩიოს ისეთი სახე, რომელშიც მას მომავალში შესაძლებელია ქონდეს კარგი შედეგები.

ამ დროს, სპორტული მონაცემების გარდა აუცილებელია ანგარიში გავუწიოთ ასაკს, სქესს, თვითონ მოზარდის მდგომარეობას.

ზოგადად ვაჟებისათვის სპორტის ყველა სახე მისაღებია, მაგრამ გოგონებისთვის, მათი ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულების გათვალისწინებით, სპორტის ყველა სახეობაში მონაწილეობა მიუღებლად მიმაჩნია. მართალია სურვილი გვაქვს გვყავდეს მრავალი ჩემპიონი, მედალოსნები, მაგრამ ეს არ უნდა გაკეთდეს გოგონას, მომავალი დედის ჯანმრთელობის და გარეგნობის შელახვა-დამახინჯების ხარჯზე. სამედიცინო თვალსაზრისით და სპორტის მთავარი დანიშნულების გათვალისწინებით, ჩემთვის სრულიად მიუღებელია ქალთა კრივის ყველა სახე, ძალოსნობა და ჭიდაობა.

ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი მიზანია ადამიანის გამოწრთობა, გაჯანსაღება, გარეგანი მოხდენილობა, შინაგანი ორგანოების ფუნქციების გაძლიერება და ა. შ.

ამ მთავარ მიზნებს სრულიად ეწინააღმდეგება კრივში ქალის გამეტებით ცემა ისეთ ადგილებში (სახე, მკერდი), რომლებიც ქალს ალამაზებს, მის სიამაყეს წარმოადგენს, რითაც ის ყველას თვალს იტაცებს, უფრო მეტიც, მკერდი, საიდანაც მისმა შვილმა სასიცოცხლო საკვები უნდა მიიღოს, მკერდი, რომელიც ცემა-ტყეპის კი არა, უბრალო მექანიკური დაზიანების დროსაც ადვილად ხდება საშიში და საბედისწერო სნეულების შეყრის საგანი.

ძალოსნობა ინდივიდუალურად შესასრულებელია და დუელის გარეშე ტარდება, თუმცა აქ ფიზიკური დაძაბულობა იმდენად დიდია, რომ ქალი ყოველთვის დგას შინაგანი ორგანოების დაზიანების საშიშროების წინაშე (კუნთების გაგლეჯა, ორგანოთა ცთომა, საშვილოსნოს გამოვარდნა). ყველაფერთან ერთად სპორტის ეს სახე ქალისთვის ესთეთიკურადაც სრულიად მიუღებელია (სახის მანჭვა, ქშენა-კივილი). ვაჟებში ნაცემ-ნაბეგვი სახე ასატანია, შვენით კიდეც ნაჭდევები და ნაწიბურები:

,,ვაჟკაც ნაჩეხი სჯობია,
ხელში ნატეხი ხმლისაო''...

სპორტმა უნდა გააჯანსაღოს, გააკაჟოს ქალის სხეული და არა დაანგრიოს და დაამახინჯოს. მან, ვითარცა ქართულმა ცეკვებმა, სილამაზე და სინარნარე უნდა გადმოაფრქვიოს. სპორტის ასეთი სახეები კი, იცოცხლეთ, რამდენიც გვინდა: მხატვრული ტანვარჯიში, ცურვა, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, მძლეოსნობაის ყველა და ათეულობით სხვა სახეობები.

მშობლების, ბაღის აღმზრდელების, პედაგოგების და სკოლის სამედიცინო პერსონალის უპირველესი მოვალეობაა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ განვითარებაზე მუდმივი მეთვალყურეობა. ფიზიკურად სუსტი ბავშვების დროული გამოვლინება და გამაჯანსაღებელი პროცედურების გამოყენება.

მეცნიერულად დასაბუთებულია ფიზიკური განვითარების კავშირი ისეთ ქრონიკულ დაავადებასთან, როგორიცაა: რაქიტი, ტუბერკულოზი, დისტროფია, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სნეულებები და სხვ.ამავე დროს საჭიროა ვიცოდეთ, რომ

ხანმოკლე, მწვავე, მათ შორის ინფექციური სნეულებები მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ ფიზიკურ განვითარებაზე და თუ ამ დროს სახეზეა ოდნავი ჩამორჩენა, განსაკუთრებით წონაში, მისი აღდგენა განკურნების შემდეგ სწრაფად ხდება.

ფიზიკური განვითარების შესასწავლად არსებობს წინასწარ შემუშავებული ანთროპომეტრიული ნორმები და სტანდარტები ცალკეული ასაკის და სქესის ბავშვების და მოზარდებისთვის. ეს მაჩვენებლები წლითიწლობით იცვლება, განსაკუთრებით ჩვენს აჩქარებულ ხანაში, როცა ბავშვებსა და მოზარდებს შორის შეიმჩნევა უჩვეულო ზრდა-განვითარება (აქსელერაცია). ესაა რთული ბიოსოციალური მოვლენა, რომელიც გულისხმობს ბიოლოგიური და ფსიქიკური პროცესების აჩქარებულ განვითარებას, სხეულის და მისი ცალკეული ნაწილის ზომების ზრდას, სქესობრივი და გონებრივი მომწიფების ადრე დადგომას. ახლანდელი მოზარდები ფიზიკურად ვითარდებიან და სქესობრივად მწიფდებიან 2-4 წლით ადრე, ვიდრე მათი თანატოლები 30-50 წლის წინ.

აქსელერაციის შედეგები უპირატესად ნათლად ჩანს მრავალი ანთროპომეტრუ-ლი ნიშნის, კერძოდ წონის, სიმაღლის, გულმკერდის გარეშემოწერილობის და სხვ. შედარებისას. მკვლევართა ერთი ნაწილის დაკვირვებით გაირკვა, რომ 80 წლის წინანდელი მოზარდების სიმაღლის საშუალო მაჩვენებელი დღევანდელთან შედარებით16 სმ-ით ნაკლებია. შეიცვალა ფიზიკური განვითარების დასრულების ვადებიც. თუ ადრე ეს პროცესი მხოლოდ 24-25 წლის ასაკში მთავრდებოდა, ახლა იგი 18-20 წლის მოზარდებს დასრულებული აქვთ.

ფიზიკური განვითარების ნიშნებიდან ჩვეულებრივ ზომავენ სიმაღლეს (მდგომს, მჯდომს), კიდურების სიგრძეს, გულმკერდის, მენჯის სიფართეს და ა. შ. პრაქტიკულად კი ხშირად იკვლევენ სამ ძირითად ნიშანს: სხეულის სიმაღლეს, გულმკერდის გარშემოწერილობას და წონას.

ამ ნიშნების რიცხობრივ გამოსახულებას უნდა ახლდეს ზოგი სომატოსკოპური ნიშანიც, როგორიცაა: ჩონჩხის მდგომარეობა, ტანის მოყვანილობა, კუნთების და ცხიმოვანი ქსოვილის განვითარება, სქესობრივი განვითარება და ა. შ. ასევე აუცილებელია ზოგიერთი ფუნქციური ნიშნის შესწავლაც: კუნთების ძალა (დინამომეტრია), ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა (სპირომეტრია), სისხლის არტერიული წნევა და სხვ. ზოგჯერ ყოველივე ზემოთქმულს ემატება სომატური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვლევები: იმუნოლოგიური სინჯები, ლაბორატორიული, რენტგენოლოგიური, ექოსკოპიური, კარდიოსკოპური და სხვა მონაცემები.

ასეთი წესით მიღებულ მონაცემებს ადარებენ ნორმებსა და სტანდარტებს, რის შედეგად გამოაქვთ დასკვნა მოზარდის ფიზიკური მდგომარეობის და ჯანმრთელობის შესახებ. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდის სხეულის განვითარებას, ფუნქციური ნიშნების შესაბამისობას ნორმალურ ფიზიოლოგიურ პროცესებთან და, რაც ჩვენი თემისთვის მთავარია, ფიზიკური და სქესობრივი განვითარების ურთიერთკავშირს, მათს ჰარმონიას.

სხვა ორგანოებთან და სისტემებთან ერთად ბავშვის ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები იცვლება სქესობრივი მომწიფების პერიოდში, თუმცა ამ საკითხზე ნათქვამს დავჯერდებით, რადგანაც ჩვენი წიგნის მთავარი თემა მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდაა, რომელსაც გაცილებით ვრცლად შევეხებით. მანამდე კი აუცილებელია ასევე მოკლედ შევეხოთ ბავშვის ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს, როგორც სექსუალური განვითარების ერთ-ერთ მთავარ წამყვან ძალას.

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოსექსუალური სამყარო

მედიკოსთა და ფსიქოლოგთა მეცნიერულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ სექსუალური ნიშნები თავს შეგვახსენებს არა მხოლოდ სქესობრივი მომწიფების დროს, არამედ ეს გამოვლინებები თანდაყოლილია და ახალშობილსაც კი შეიძლება შევამჩნიოთ.

ახალშობილი ძალზე აქტიურად პასუხობს შეხებას, მაგ. როცა მშობელი მას ხელით ეფერება, ან დედა ძუძუს აწოვებს. ღიმილი და სხვა კმაყოფილების მომგვრელი გრძნობები, რომლებსაც ამჩნევენ სრულიად ახლადმოვლენილ არსებას, მშობლებს არ მიაჩნიათ ,,ეროტიკულ'' ნიშნად, თუმცა სწორედ ის არის ბალღური სექსუალურობის გამოვლინება. რაც უფრო იზრდება ჩვენი ნამცეცა, მით უფრო ვითარდება მისი მიზნობრივი მოძრაობა, ანუ ხელები უფრო და უფრო მიმყოლი ხდება და რამდენიმე თვის ჩვილი ხელებით ისინჯავს და აკვირდება საკუთარ სხეულს, მათ შორის სასქესო ორგანოებსაც. მშობლები ამას ამჩნევენ და იწყება მათი მღელვარება, რადგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაჩნიათ, რომ ესაა ნაადრევი სქესობრივი აღვირახსნილობა, ან რაღაც სნეულება. სინამდვილეში ბავშვის ასეთი ქცევა სრულიად ნორმალურია. ბავშვი აკვირდება თავის სხეულს, მის აგებულებას, შესაძლებლობებს, შეგრძნებებს. საკუთრივ ***ამ დროს მშობლების მხრიდან სქესობრივი აღზრდა უნდა მოიცავდეს, რაც შეიძლება მეტი სითბოს გადაცემას, ალერსს და ემოციურ ურთიერთობას.***

1-2 წლის ასაკში ბავშვები საკმაოდ კარგად მართავენ თავის ხელებს და სხეულის სხვა ნაწილებს, ამიტომ იშვიათად სხვადასხვა ფორმით სასქესო ორგანოებსაც ეხებიან, რადგანაც გრძნობენ რაღაც კმაყოფილებას. ესეც ნორმალური პროცესია ისევე, როგორც ქცევა იმ ბავშვებისა, რომლებიც ამას არ აკეთებენ. ამ ეტაპზე ბავშვის სქესობრივი აღზრდა მხოლოდ საკუთარი სხეულის სრული ათვისებით შემოიფარგლება. მშობლები ამას მშვიდად უნდა შეხვდნენ, რადგანაც ფსიქოსექსუალური განვითარების ამ ეტაპზე ბავშვს ერთნაირად აინტერესებს ხელების ფათური ყურში, ცხვირში და სასქესო ორგანოებში.

2 წლის ბავშვმა უკვე იცის საკუთარი სხეულის ნაწილების სახელები. ერთი წლის შემდეგ იგი გადადის ფსიქოსექსუალური განვითარების მომდევნო ეტაპზე. მას უკვე შეუძლია გოგო გაარჩიოს ბიჭისგან და იწყება შეგნება თავისი სქესობრივი კუთვნილებისა და მისი შეუცვლელობისა. ამ დროს თავს იჩენს სქესობრივი გამოვლინებების თანდაყოლილი თვისებები. გარდა ტანსაცმლისა და გარეგანი ნიშნებისა, გოგონების და ბიჭების გემოვნება და მოწონების საგნები განსხვავებულია: ბიჭებს იტაცებთ სათამაშო იარაღები, ტანკები და მანქანები, ბურთის და ომობანას თამაში, ხოლო გოგონები უფრო მშვიდ, ნაკლებად მოძრავ სათამაშოებს: თოჯინებს, საოჯახო ნივთებს, სახლობანას ეტანებიან. რაც მთავარია, ბიჭი ცდილობს მამას გაყვეს მინდვრის სამუშაოზე, ხოლო გოგო დედას ეხმარება საჭმლის მომზადებაში, ჭურჭლის გარეცხვა-დალაგებაში. ვიმეორებ, საქმიანობის ასეთი გამიჯვნა თანდაყოლილია, ბავშვი ოჯახშიც იძენს ამ თვისებებს და მისი განვითარება-სრულყოფა მშობლების მოვალეობაა. ***უნდა შევიცადოთ, რომ მათი საქმე აკეთონ, რათა ბიჭს არ ჩამოუყალიბდეს ქალური ქცევები („ქალაჩუნა"), ხოლო გოგოს მამაკაცური („ქალაბიჭა").***

პატარაობიდანვე მამაკაცურად გაზრდილი ბიჭი მოზრდილ ასაკში მხოლოდ ქალისადმი იჩენს ინტერესს და ჰომოსექსუალიზმით მისი გატაცება თითქმის მთლიანად გამორიცხულია.

ამ ასაკის ბავშვთა აღზრდის პროცესში შესაძლოა მშობლების წინაშე წამოიჭრას ერთგვარი სიძნელე; ბავშვი ცდილობს თავისი თავი შეადაროს მშობლების, ან სხვა ადამიანების აგებულებას. იძლევა შეკითხვებს, ცდილობს სხვებს ტანსაცმლის ქვეშ შეუჭვრიტოს და ა. შ. აქაც***საჭიროა ვიყოთ მშვიდი, უემოციო, რათა ბავშვს კიდევ უფრო არ გავუძლიერით ამ თემისადმი ინტერესი. მშვიდად უნდა ავუხსნათ ბავშვის ენაზე და მისი ყურადღება სხვა თემაზე გადავიტანოთ.***

4 წლის ბავშვს კარგად აქვს შეგნებული თავისი სქესი, ამავე დროს იზრდება ინტერესი, როგორც საკუთარი, ასევე სხვების სასქესო ორგანოებისადმი. ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია, თუ მშობლები მას არ შთააგონებენ სხეულთან, განსაკუთრებით სასქესო ორგანოებთან მოპყრობას, როგორც რაღაც სასირცხვილო ქცევას. ამ პერიოდის სქესობრივი აღზრდა გამოიხატება იმაში, რომ ***ბავშვს არ შევუქმნათ რაღაც შიში იმის გამო, რომ მას განსაკუთრებულად აინტერესებს, რით განსხვავდებიან გოგონები ვაჟებისგან.***

4-5 წლის ასაკში ბავშვებს ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი სიშიშვლის უხერხულობა და ტანის გახდა ერიდებათ. ეს ის დროა, როცა მოზრდილები ვალდებულნი არიან სკოლამდელის ბუნებრივი მოთხოვნილებების და ქცევების მიმართ განეწყონ ისევე, როგორც ინტიმურ საკითხებზე. თანდათანობით ბავშვი უკვე ერკვევა მრავალ სექსუალურ აკრძალვებში. ამ დროს აუცილებელი და სასარგებლოა ხშირი საუბრები, რათა მან კარგად აითვისოს თანაცხოვრების სოციალური ნორმები. რაც შეეხება ტრადიციულ შეკითხვებს ,,საიდან გავჩნდი'', ამაზე პასუხის გასაცემად სამწუხაროდ ქართული ორიგინალური ლიტერატურა არ გაგვაჩნია, არის უცხოურიდან თარგმნილი. მშობლებს, ბებია-ბაბუებს და აღმზრდელებს დიდად გამოადგებათ **ვირჯინია დიუმონის** ამავე სახელწოდების წიგნი, ,,საიდან გავჩნდი? სექსუალური ენციკლოპედია 5-8 წლის ბავშვებისთვის,'' რუსული თარგმანი (მოსკოვი. 2007 წ.) ეს წიგნი მთელს მსოფლიოში ითვლება ბავშვებზე მიძღვნილი ამ სახის ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მეორე წიგნი, რომლის ავტორები არიან **კრისტიან ვერდუ, ჟან კოენი, ჟაკლინ კანტანი** და **ჟილბერ ტორჟმანი.** წიგნს ჰქვია ,,სექსუალური ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ენციკლოპედია (ფრანგულ ენაზე). ჩვენ ამ წიგნიდან მოგვაქვს სანიმუშო პასუხი ბავშვის შეკითხვაზე: ,,როგორ ჩნდება ბავშვი?''

ბავშვს დედა და მამა ქმნიან. ამისთვის გამოიყენება სხეულის ზოგიერთი ორგანო, რომელთაც სასქესო ჰქვია. ისინი ისევე, როგორც გული, ფილტვები, ტვინი, განუწყვეტლივ მუშაობენ, მაგრამ ამას თვალით ვერ ვამჩნევთ ხოლმე. აბა, საათს დააკვირდით: ისრები ციფერბლატზე ნელა მოძრაობენ, მაგრამ შიგნით მბრუნავი უთვალავი გორგოლაჭი რომ დავინახოთ, საჭიროა საათს ხუფი ავხადოთ. სასქესო ორგანოების მუშაობის გასაგებად ადამიანის სხეული შიგნიდან უნდა წარმოვიდგინოთ. საათს უამრავი პაწაწინა ნაწილი აქვს, რომლის დანახვა მხოლოდ გამადიდებელი შუშით შეიძლება, ადამიანის უმცირესი ნაწილაკების დანახვას უსათუოდ სჭირდება მიკროსკოპი. ეს ნაწილაკები ქმნიან საოცარ და რთულ სამყაროს.

ახლა ერთმანეთს შევადაროთ ქალი და კაცი, გოგონა და ბიჭუნა. მამაკაცი უმეტესწილად ქალზე მაღალია, აქვს ფართე მხრები. შიშველს, მუცლის ქვეშ ბუსუსებს დავუნახავთ, ნიკა ჯერ პატარაა და თმა არ წამოზრდია, მაგრამ როგორც ყველა კაცს, მამათქვენივით მასაც აქვს კანის ნაოჭი - პარკუჭი, რომელშიც მოთავსებულია ორი ბურთულა - სათესლე ჯირკვლები და თავისებური მილაკი - ასო. სათესლე ჯირკვლები და ასო მამაკაცის სასქესო ორგანოთა გარე ნაწილია ისევე, როგორც ისრები - საათის მექანიზმისა.

ნიკას ორგანიზმში რომ ჩავიხედოთ, ორ წვრილ მოღუნულ მილს დავინახავთ, რომლებიც სათავეს სათესლე ჯირკვლებიდან იღებენ. ეს ორი მილი მუცლის ღრუში ოდნავ ზემოთ ერწყმიან ერთმანეთს და უერთდებიან სხვა მილს, საიდანაც მამაკაცების სასქესო ორგანოში შარდი მოედინება.

ბიჭუნას ასოდან მხოლოდ შარდი გამოდის, მაგრამ მოზრდილი ადამიანის ორგანოდან ზოგჯერ სხვა სითხეც გამოიყოფა, რომელიც კვერცხებიდან იღებს სათავეს. ამ სითხის ერთ წვეთს თუ მიკროსკოპში დავათვალიერებთ, დავინახავთ უთვალავ მოძრავ ,,თავკომბალას'', დიდ თავზე მობმული გრძელი, მოქნილი კუდით.

ამ პაწაწინა ნაწილაკებს სპერმატოზოიდი ჰქვია. სწორედ ისინია აუცილებელი ბავშვის შესაქმნელად.

ახლა ქალს დავაკვირდეთ. ის მამაკაცზე დაბალი და ტანკენარია. მხრებიც ვიწრო აქვს, თეძოები კი ფართე. მკერდი მამამკაცისას კი არ უგავს, არამედ ამობურცულია. მუცლის ქვეშ ქალს ბუსუსები აქვს, მაგრამ არც სათესლე ჯირკვლები და არც ასო არ გააჩნია. თუ მისი სხეულის სიღრმეში ჩავიხედავთ, დავინახავთ ორ ბურთულას, მას საკვერცხეები ეწოდება და იქიდან გამომდინარე იმ მილს, რომელიც მამაკაცისაზე მოკლე და მსხვილია. ეს მილები უერთდებიან სქელკედლიან, მსხლის ფორმის პარკს, რომელსაც საშვილოსნო ჰქვია. ეს პარკი ქვემოთ წვრილდება და გადადის მილში, რომელსაც საშო ეწოდება. საშოს ხვრელი ქალის ბარძაყების შიდა მხარესაა მოთავსებული. საკვერცხეები მიკროსკოპით რომ დავათვალიეროთ, პაწია, ქინძისთავის მსგავს წერტილებს დავინახავთ, სწორედ ესენია ჩანასახის უჯრედი (კვერცხუჯრედი). ქალის ორგანიზმში ეს უჯრედები ხილივით მწიფდება. ყოველ თვე მომწიფებული უჯრედი გამოდის საკვერცხედან, ეშვება ქვევით, პატარა მილში და საშვილოსნოში შემოდის. როდესაც კაცის სპერმატოზოიდი ერთ-ერთ კვერცხუჯრედს ხვდება, ისინი ერთდებიან და იქმნება ბავშვი.

საშოში ბევრი სპერმატოზოიდი შედის, მაგრამ მხოლოდ ერთი მიაღწევს მცირე მილში მოთავსებულ მომწიფებულ კვერცხუჯრედს. სპერმატოზოიდი ეკვრის უჯრედს, შემდეგ შეერთებისა და არევის შედეგად წარმოიქმნება ბირთვი, რომელსაც ნაყოფი ეწოდება. ნაყოფი იყოფა ჯერ ორ ნაწილად, შემდგომ ოთხად, შემდეგ რვად და ა. შ. მაგრამ ეს ნაწილაკები ერთმანეთთან გადაბმული რჩებიან. ეს ბირთვი მაყვალს ან ჟოლოს ჰგავს. ნაყოფი სულ უფრო და უფრო იზრდება, გადაადგილდება მილში და საშვილოსნოსკენ მიემართება. ასე და ამგვარად ქმნიან დედა და მამა მშვენიერ ბიჭუნას ან გოგონას.

- შემდეგ?

- შემდეგ ნაყოფი საშვილოსნოს კედელს ეკვრის და აღარ მოძრაობს. დედის სისხლის საშუალებით იღებს ნაყოფი ყველაფერს, რაც მისი განვითარებისა და ზრდისთვის არის აუცილებელი. ნაყოფი გამუდმებით იზრდება, ფორმას იცვლის და თანდათანობით ემსგავსება პატარა ცოცხალ არსებას. იგი თბილად და მყუდროს არის მოკალათებული იმ დიდ პარკში, სადაც იზრდება და ვითარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შეხვედრიდან ცხრა თვის, ანუ 280 დღის ფეხმძიმობის, ანუ ორსულობის შემდეგ ბავშვი ქვეყნიერებას მოევლინება, რასაც მშობიარობა ჰქვია.

* * *

სკოლამდელ ასაკში ბავშვი მოზრდილებს, ხშირად რომელიმე მშობელს ბაძავს. იმის მიხედვით, თუ გარშემომყოფთაგან როგორ მაგალითს აითვისებს, დამოუკიდებელია მისი სხვებთან ემოციური სიახლოვის შესაძლებლობები. სქესობრივი აღზრდის მთავარი ამოცანაა ბავშვის ირგვლივ მყოფი მოზარდების (დედის და მამის, ბებიისა და ბაბუის) მიმართ ჰარმონიულობის, დამაჯერებლობის, პატივისცემის დემონსტრაცია.

7-10 წლის მოსწავლეებს უყალიბდებათ სქესობრივი ქცევების მოდელი. იმის მიუხედავად, რომ ამ პერიოდში მეგობრობენ მცნებასთან, ,,ვაჟები გოგონების წინააღმდეგ,''ამ დროს წარმოიქმნება პირველი სერიოზული ერთგულება, ფლირტის პირველი ცდა და არშიყობა, პირველი განცდები და გულის მოსვლა.

მოზარდთა ასაკში (13-14 წელი) უკვე სახეზეა ბავშვის სქესობრივი აღზრდის შედეგი. რა თქმა უნდა, მოზარდის ცხოვრებაში გამოჩნდება ხოლმე სიძნელეები, რომლებიც შედარებით მსუბუქია, თუ ბავშვმა წარმატებით განვლო განვითარების ყველა ეტაპი. მას გამომუშავებული უნდა ქონდეს თავისი მრჩევლების, ამ შემთხვევაში მშობლების მიმართ ნდობა, რათა დაიჯეროს თავისი სხეულის შეუვალი ასაკობრივი ცვლილებები.

თუ ბავშვობიდანვე ბიჭს ჰქონდა ერთგვარი ინტერესი ქალური საქმეებისადმი, ტანსაცმლისადმი და ამ თვისებამ ამ ასაკამდე მიაღწია, მშობლებს და პედაგოგებს ჯერ კიდევ შეუძლიათ თავიანთი აღსაზრდელი ,,გადააკეთონ,'' გამოიმუშაონ მასში ინტერესი ვაჟკაცური თამაშების, კაცური საქმეებისადმი; აქ გონივრულად უნდა გამოვიყენოთ მოზარდის მიმბაძველობითი თვისება (ბიჭმა მამას, გოგომ დედას მიბაძოს). სიძნელეები შეიძლება შეგვექმნას, როცა ბავშვს რომელიმე მშობელი არ ჰყავს. აქ აღმზრდელ-პედაგოგის მოთმინებას და ბრძნულ რჩევებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასქესო ორგანოების ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი

სქესობრივი განვითარება ურთულესი პროცესია. იგი იწყება ჩასახვის დღიდან და ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. სპერმატოზოიდის და კვეცხუჯრედის 23-33 ქრომოსომის შერწყმის შემდეგ განაყოფიერებული უჯრედის 46 ქრომოსომიდან XX-სგან ვითარდება მდედრობითი სქესის, ხოლო XY-სგან მამრობითი სქესის ნაყოფი, თუმცა ანატომიის თვალსაზრისით, ქალის და მამაკაცის ემბრიონები პირველ კვირეებში ერთნაირად ვითარდებიან; მხოლოდ ორსულობის მე-5-6 კვირის შემდეგ ყალიბდება პირველადი სასქესო ჯირკვლები.

ერთი და იგივე ემბრიონალური ქსოვილისგან ვითარდება ე. წ. ჰომოლოგიური წარმონაქმნები, რომელთაც ძირითადად ერთიდაიგივე აგებულება აქვთ, მაგრამ მათი ფუნქცია სხვადასხვაგვარია. მაგალითისთვის მოვიტანთ ქალის და ვაჟის სასქესო ორგანოების განვითარებას:

ვაჟი	ქალი
სათესლე ჯირკვალი	საკერცხე
სასქესო ასოს თავი	სავნებოს თავი
სასქესო ასოს სხეული	სავნებოს (კლიტორის) სხეული
ასოს ჩუჩა	სავნებოს ჩუჩა
სათესლე პარკი	დიდი სასქესო ბაგეები
ასოს ქვემო ზედაპირი	მცირე სასქესო ბაგეები
კუპერის ჯირკვლები	ბართოლინის ჯირკვლები

3-7 კვირის სხვადასხვა სქესის ემბრიონი გარეგნულად ერთმანეთისგან არ განსხვავდება, შემდეგ კი თანდათანობით იწყება ემბრიონის, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი დიფერენციაცია.

ადამიანის სქესობრივი ქცევების სხვადასხვა ასპექტების სწორი გაგებისთვის და ჰიგიენური წესების დაცვისთვის აუცილებელია მოზარდებს ჰქონდეთ წარმოდგენა სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე. სასქესო სისტემის ყველა ნაწილი ორივე სქესში, ისევე, როგორც მრავალფეროვანი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოვლენები, დაკავშირებულია სქესთან და

ემსახურება ერთ ძირითად მიზანს: მამაკაცის სასქესო უჯრედი - სპერმატოზოიდი შეუერთდეს ქაის კერცხუჯრედს, რათა მოხდეს განაყოფიერება და ახალი ცოცხალი ადამიანის, ნაყოფის ჩასახვა. ამაშია ჩვენი ბუნების უდიდესი სიბრძნე, რომელიც კაცობრიობის მოდგმის გაგრძელება-განახლებას ემსახურება.

დედამიწაზე ადამიანთა ძირითადი სქესი, ქალი და ვაჟი გაუჩენია განგებას. მათი სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი პრინციპი ერთნაირია, ბევრი რამ საერთოც აქვთ, თუმცა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქალ-ვაჟის სხეულის აგებულება, ორგანოების და ორგანოთა სისტემების ცხოველმყოფელობა, მათი დანიშნულება ძირფესვიანად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ იშვიათად მოზარდის სასქესო ორგანოების განვითარებაში არის სერიოზული ბუნდოვანება.

სქესის განვითარების ერთ-ერთი გადახრაა **ჰერმაფროდიტიზმი,** როცა ახალშობილს აქვს, როგორც სათესლე, ისე სკვერცხის ქსოვილები, ამავე დროს მათ უვითარდებათ საშვილოსნო, ასევე ერთ მხარეს შეიძლება ჰქონდეთ ფალოპის მილი, ხოლო მეორეზე თესლის გამომყოფი არხი. ასეთ დროს სავნებო ჩვეულებრივზე დიდია და პატარა ასოს წააგავს. ზოგჯერ გარეთა სასქესო ორგანოების განვითარება იმდენად შორს მიდის, რომ ექიმსაც კი უჭირს განსაზღვროს ახალშობილის სქესი. ასეთ დროს აუცილებელი მაღალკვალიფიციური მედიკოსების კონსულტაცია.

გოგონები

ქალის საქესო ორგანოები ორ ნაწილად იყოფა: გარეთა და შიგნითა.

გარეთა სასქესო ორგანოებს მიეკუთვნება: ბოქვენი, დიდი და მცირე ბაგეები, საშოს შესავალი, საქალწულე აპკი, ბართოლინის ჯირკვლები, სავნებო და შარდსადენის გარეთა ხვრელი.

ბოქვენი წარმოადგენს მცირე შემაღლებას (ცხიმოვანი ქსოვილის დაგროვების გამო). იგი მდებარეობს მუცლის წინა კედლის ბოლო ნაწილში და მას მეორენაირად ,,ვენერას ბორცვსაც'' უწოდებენ. სქესობრივი მომწიფების დასაწყისში აქ იზრდება თმები, რომელიც პატარა სამკუთხედს ქმნის, რომლის მწერვალი ქვემოთ არის მიმართული. ამ ადგილზე თმიანობის გავრცელების კვალობაზე მშობლებს შეუძლიათ იფიქრონ გოგონას სქესობრივი მომწიფების ტემპსა და დროულობაზე.

ქვემოთ ბოქვენი გადადის დიდ სასქესო ბაგეებზე – გაგრძელებულ კანის ნაოჭზე, რომელიც მდიდარია ცხიმოვანი ქსოვილებით, სისხლის და ლიმფის ძარღვებით. ბაგეებს შორის წარმოიქმნება სასქესო ნაპრალი. სქესობრივი მომწიფების დროს დიდი ბაგეები ბოქვენთან ერთად მთლიანად თმებით იფარება. დიდი ბაგეების შიგნითა მხარეს, მის ქვემო მესამედში განლაგებულია ბართოლინის ჯირკვლები, რომელთა გამონაყოფი სითხე ასველებს სასქესო ნაპრალს.

სასქესო ნაპრალის ზემო კუთხეში მდებარეობს მცირე წარმონაქმნი– სავნებო, ანუ კლიტორი. თავისი აგებულებით და ფორმით იგი შეესაბამება მამაკაცის ასოს, მაგრამ მასზე გაცილებით პატარაა და შედგება არა სამი, არამედ ორი მღვიმოვანი (დაჩვრეტილი) სხეულისგან. მას ბოლოს გააჩნია კანისგან წარმოქმნილი კორძი. მშვიდ პირობებში სავნებო პატარა ბორცვს წარმოადგენს, რომელიც ძირითადად არ გამოდის სასქესო ბაგეებიდან, ამიტომ იგი გარედან არ ჩანს.

სქესობრივი აღგზნების დროს სავნებო მოდის ერექციის მდგომარეობაში, გამოდის სასქესო ბაგეებიდან 1-2, ზოგჯერ მეტი სანტიმეტრის სიდიდით. ასეთი რეაქცია გამოწვეულია სავნებოში არსებული ნერვული დაბოლოებების გაღიზიანებით. სავნებოს ოდნავ ქვემოთ სასქესო ნაპრალში გამოდის შარდსადენის გარეთა ხვრელი.

მცირე სასქესო ბაგეები მიდიან სავნებოსგან უკან და ქვემოთ. ესენია კანის ორი თხელი, ნაზი ნაოჭი, რომლებიც ასევე მდიდარია მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებებით და დაქსელილია დიდი რაოდენობით სისხლძარღვებით.

დიდი და მცირე ბაგეები ფარავენ საშოს შესასვლელს, სადაც მდებარეობს ***საქალწულე აპკი (ჰიმენი).*** ესაათხელი აპკი, რომელიც მდიდარიამგრძნობიარე ნერვებით და სისხლძარღვებით. საქალწულე აპკი მეტნაკლებად მკვრივია და აქვს სხვადასხვა ფორმის ერთი ან რამდენიმე ხვრელი.მენსტრუაციის დროს აქედან გამოიყოფა სისხლი. ჩვეულებრივ აპკის მთლიანობა პირველი სქესობრივი კავშირის დროს ირღვევა, რასაც დეფლორაცია (ძველ ლათინურად საქალწულე აპკი flos –ყვავილი) ქვია. აქედან წარმოსდგება ეს ტერმინი. პირველი კავშირი როგორც წესი, ოდნავ მტკივნეულია და თან ახლავს მცირე სისხლის გამოყოფა. ზოგჯერ ჩვეულებრივი სქესობრივი აქტის დროს აპკის მთლიანობა არ ირღვევა, ამიტომ არც სისხლი გამოიყოფა. ვაჟის ოჯახში ეს დიდ მღელვარებას იწვევს, მაგრამ ისინი

ვალდებულნი არიან დაადგინონ მიზეზი (ექიმის ჩარევით) და წინასწარი ხმაურით ნაჩქარევად არ დაარღვიონ ახალი ოჯახი. აპკის დაზიანება შესაძლებელია, შემთხვევითი ტრავმის, ანდა გამოუცდელობის გამო, ენერგიული ჰიგიეური პროცედურების დროს. საქალწულო აპკის მთლიანი დარღვევა ხდება პირველი მშობიარობის დროს. ძალზე ელასტიური აპკი, რომელიც თხელ ცხავს წარმოადგენს, შესაძლოა არ დაირღვეს მშობიარობის დროსაც. საქალწულე აპკი, რომელსაც აქვს ვიწრო ხვრელი შეიძლება დაირღვეს მხოლოდ ქირურგიული ჩარევით. ასეთივე ჩარევის საჭიროებაა მაშინაც, როცა აპკი მთლიანად შეხორცებულია და თვიურის დაწყებისას აუცილებელია სისხლის გამოსასვლელი გზის გაკეთება. არის აპკის სრული უარსებლობის შემთხვევებიც. საქალწულე აპკის დანიშნულება მეცნიერებამ ვერ გაარკვია. ფიქრებენ, რომ მთლიანობის დარღვევამდე, იგი ასრულებს ინფექციისგან და უსუფთაობისგან საშოს დაცვის ფუნქციას.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში გოგონას სხეულის ამ ერთ ციცქნა ნაწილს სულ სხვა ფუნქცია აკისრია. ქორწინებამდე მისი მთლიანობაში შენარჩუნება უბიწობის, სისპეტაკის, მაღალზნეობრობის და მორალური სიწმინდის ნიშნად ითვლება. ასეთი ტრადიცია გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში და მისი სიმტკიცეს ხელს უწყობს მართლმადიდებელი ეკლესია. ქართული წესის თანახმად ქორწილის მეორე დღეს პატარძლის დედ-მამას სიძის ოჯახში ეპატიჟებიან. მამამთილი მოყვარეს ღვინით სავსე ფსკერგახვრეტილი ფიალით ხვდებოდა და ღვინოს თითით აკავებდა. მოყვრების შეხვედრისას თითს აუშვებდა და ფიალა დაცარიელდებოდა, ასეთი დაწრეტილი იყო თქვენი ქალიშვილიო, იტყოდა, რაც იმას ნიშნავდა რომ პატარძალი ქალიშვილი არ იყო. წესით მამას ქალიშვილი უნდა მოეკლა, მაგრამ საქართველოში სირცხვილის ჩამორეცხვა აქამდე არ მიდიოდა. საქმეში სასულიერო პირი ჩაერეოდა და ნეფე-პატარძალს ან გაყრიდა ან შეარიგებდა (ჰანსშილტბერგერი. მეთხუთმეტე საუკუნის ადათები). განვითარების დღეანდელ ეტაპზე შესაძლებელია ზოგ ხალხებში ამ ტრადიციას კულტურულ ჩამორჩენად თვლიან. ჩვენში კი ე.წ. ქალიშვილობის ინსტიტური ჯერჯერობით არ კარგავს თავის მნიშვნელობას. საქმე იმაშია, რომ უბიწო ცოლი მთელი ცხოვრება გულმართლად და ამაყად გრძნობს თავს. მისი მეუღლეც ცდილობს თავი შეიკავოს შემთვევითი სქესობრივი კავშირისგან, რაც ხელს უწყობს ოჯახის სიმტკიცეს და ამ მაგალითზე შვილების აღზრდას.

შიგნითა სასქესო ორგანოებს მიეკუთვნება: საშო, საშვილოსნო, საშვილოსნოს (ფალოპის) მილები და საკვერცხეები.

საშო იწყება საქალწულე აპკიდან. ესაა კუნთვანი მილი 8-9 სმ-ის სიგრძის და 2-3 სმ სიგანის, რომელიც მდებარეობს მცირე მენჯში. საშო რამდენიმე ფუნქციას ასრულებს: ითავსებს მამაკაცის ასოს და მისგან ღებულობს თესლს სქესობრივი აქტის დროს; საშვილოსნოს ყელთან ერთად წარმოქმნის სამშობიარო გზას, სადაც მშობიარობის დროს გაივლის ნაყოფი და მომყოლი (პლაცენტა); აქვს აგრეთვე დამცავი ფუნქცია.

საშოს კედლები დაფარულია ლორწოვანი გარსით, რომელიც გამოყოფს გლიკოგენს– ცხოველურ სახამებელს; იგი ამაგრებს ლორწოვან გარსს, რაშიც მონაწილეობს საკვერცხის ჰორმონები, ესტროგენები. მეორე ჰორმონი პროჟესტერონი, პირიქით მოქმედებს –აფერხებს ამ პროცესს. ეს ჰორმონები აწესრიგებენ მენსტრუალური ციკლის პერიოდულობას.

საშოს შიგთავსის რეაქცია მჟავეა, ამიტომ იგი თავისუფალია საშიში მიკრობებისაგან, თუმცა იგი მუდმიმად შეიცავს რძის მჟავა ბაქტერიებს, რომლის დახმარებით გლიკოგენი გარდაიქმნება რძის მჟავად.

ჩვეულებრივ საშოში ყოველთვის არის უმნიშნელო გამონაყოფი, თეთრი ფერისა. ჰიგიენური წესების დაცვისას ამ გამონაყოფს ქალი არ გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ გამოყოფა ძლიერდება, სითხე იცვლის სახეს, შემადგენლობას, რასაც თან ახლავს უსიამოვნო შეგრძნება, ქავილი, ზოგჯერ კანის გაღიზიანება. ასეთ გამონაყოფს **თეთრად შლას** ეძახიან და ამ დროს აუცილებელია ექიმთან მისვლა.

ზოგჯერ ახალშობილ გოგონასაც პირველი ორი კვირის გამნმავლობაში აქვს თეთრ-ყვითელი გამონადენი, რასაც **ფიზიოლოგიურ თეთრად შლას** ეძახიან. იგი თავისით გაივლის და არ უნდა გამოიწვიოს მშობლების წუხილი. თუმცა ექიმთან მისვლა ურიგო არ იქნება.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში გოგონების 80-90%-ს შესაძლოა ჰქონდეთ თეთრად შლა. მართალია იგი ახალშობილებისგან ბუნებით განსხვავებულია, მაგრამ თვით მოვლნა ფიზიოლოგიური, ე.ი ნორმის ფარგლებშია. თუმცა ამ დროს გოგონებმა გულდასმით უნდა შეასრულონ ჰიგიენის წესები და საჭიროების შემთხვევაში რჩვეა მიიღონ ექიმისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვილოსნო კუნთოვანი ღრუ ორგანოა, აქვს მსხლის ფორმა და მოთავსებულია მენჯის ღრუში, შარდის ბუშტსა და სწორნაწლავს შორის. აქ განაყოფიერდება და ვითარდება ნაყოფი. საშვილოსნო ვიწრო ყელით უერთდება საშოს. საშვილოსნოს შიგნითა კედელი ლორწოვანი გარსითაა დაფარული, რომელიც მდიდარია სისხლის ძარღვებით. ჯანმრთელი ქალის საშვილოსნო თავისუფალია მიკრობებისაგან. საშვილოსნოს ძირითადი გარსი გლუვკუნთოვანი ქსოვილია.

საშვილოსნოდან გამოდის ორი მილი (ფალოპისა), რომელთა სიგრძე 10-12 სმ უდრის. იგი მეორე ბოლოთი, ე.წ. ძაბრით თავისუფლად იხსნება მუცლის ღრუში. ძაბრს კიდეებზე აქვს მრავალი ფოჩისებრი წანაზარდი. ქალის საკვერცხეში მომწიფებული კვერცხუჯრედი მილით გამოდის პირდაპირ მუცლის ღრუში, მაგრამ მისი უმრავლესობა იქ არ ხვდება, არამედ ჩერდება ძაბრის ერთ-ერთ ფოჩზე. ფოჩი თავისი მოძრაობით კვერცხუჯრედს შეაგდებს ძაბრში, შემდეგ ფალოპის მილში, სადაც შეიძლება განაყოფიერდეს. ამისათვის კი საჭიროა მამაკაცის სპერმატოზოიდი, რომელიც აქ ხვდება სქესობრივი აქტის შემდეგ. საშვილოსნოს მილის კუნთების შეკუმშვის შედეგად განაყოფიერებული კვერცხუჯრედი გადადის საშვილოსნოს ღრუში. მაგრდება მის ერთ-ერთ კედელზე და განაგრძობს განვითარებას, სანამ არ წარმოიქმნება ნაყოფი.

საკვერცხეები. წყვილი ქლიავისებრი სასქესო ჯირკვალია,მოთავებულია საშვილოსნოს ორივე მხარეს ფალოპას მილების ძაბრებს ქვემოთ. ამ ორგანოს ფუნქცია ორმაგია: რეპროდუქციული(აქ მწიფდება კვერცხუჯრედი) დაენდოკრინული (სასქესო ჰორმონების გამოყოფა). ქალის სიცოცხლეში, 35-40 წლამდე ყოველთვიურად საკვერცხეში (ხან მარჯვენა, ხან მარცხენა) მწიფდება და გამოდის ჩვეულებრივ ერთი (ზოგჯერ მეტი) სითხით სავსე ფოლიკული– ბუშტი, რომლშიც მოთავსებულია განაყოფიერების უნარის მქონეკვერცხუჯრედი. მაღალი წნევის გამო ბუშტი სკდება და კვერცხუჯრედი ვარდება მუცლის ღრუში იქ, სადაც მდებარეობს ფალოპის მილის ძაბრი. გამსკდარი ფოლიკულისგან წარმოიშობა ყვითელი სხეული–თავისებური შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელიც გამოყოფს ჰესტაგენის ჰორმონებს.ერთ-ერთი მათგანია პროჟესტერონი. იგი დიდ როლს თამაშობს განაყოფიერებაში, ორსულობის ნორმალურად მიმდინარეობასა და სარძევე ჯირკვლების ჩვილის საკვებად მომზადებაში. მშობიარობიდან 16 კვირის შემდეგ

ყვითელი სხეული ჭკნება, თუ ნაყოფი არ განვითარდა, იგი ერთ-ორ კვირაში გადაგვარდება და მის ადგილას წარმოიქმნება თეთრი სხეული– პატარა კვანძი, რომელიც შემდეგ შეიწოვება და გაქრება.

ყვითელი სხეულის ჰორმონის და ტესტოსტერონის გარდა საკვერცხეებში გამომუშავდება ქალის ჰორმონები ესტროგენები და მცირე რაოდენობით მამაკაცის ჰორმონები ანდროგენები. მათი ერთდროულად მოქმედების შედეგად გოგონებს უვითარდებათ მეორადი სასქესო ნიშნები: კანქვეშ ცხიმის დაგროვება და სხეულის ნაწილების დამრგვალება, ბოქვენზე და იღლიის ფოსოებში თმიანობა, მენჯის ფორმის შეცვლა (გაფართოება) და ხვა. ესტროგენი და პროჟესტერონი გავლენას ახდენენ ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაზე და სითბოს რეგულაციაზე. ისინი სხვა ჰორმონებთან ერთად (ჰიპოფიზის, ჰიპოთალმუსის), ასევე მენსტრუალური ციკლის დროს დიდ როლს ასრულებენ საკვერცხეში შესაბამისი ცვლილებების განვითარებაში.

მენსტრუაცია. თვიური. დედათა წესი. ჯანმრთელი, არაორსული ქალისთვის დამახასიათებელია სასქესო ორგანოებიდან არახანგრძლივი (3-5 დღე) სიხლის გამოყოფა საშუალოდ 50 დან 200 მლ. ოდენობით, რომელიც არ დედდება. მისი პერიოდულობა ჩვეულებრივ 28 დღე, ანუ ერთი სამთვარეო თვე, მერყეობა შეიძლება დასაშვები იყოს 21-35 დღემდე.

თანამედროვე გოგონებში პირველი თვიური იწყება 12-13 წლის ასაკში. ამაზე ადრე (8 წლის ასაკში), ან უფრო გვიან (15 წლის ასაკში) დედათა წესის დაწყება გვაფიქრებინებს შინაგანი სასქესო ორგანოების რაღაც გადახრაზე, ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ ექიმზე მიმართვა.

პირველ 6 თვეში ყალიბდება რითმული მენსტრუაცია. ამ პერიოდში რითმის დარღვევამ არ უნდა გამოიწვიოს შიში, თუმცა რაიმე საშიშროება რომ არ გამოგვეპაროს, აუცილებელია გინეკოლოგთან კონსულტაცია.

დედათა წესის დადგომა გოგონამ ადრე უნდა იცოდეს და ამისთვის მორალურად და ფიზიკურად მზად უნდა იყოს, რათა არ შეშინდეს. ამ პერიოდში დედა ან მისი შემცვლელი განსაკუთრებულ თბილ ურთიერთობას უნდა ავლენდეს გოგონას მიმართ, რათა მან არ დამალოს მისთვის სრულიად უცხო ფიზიოლოგიური პროცესი. უნდა მოემზადოს.გოგონებს რცხვენიათ და ზოგჯერ არ ამხელენ თვიურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებას. უფრო მეტიც, ცდილობენთვითმკურნალობას, რასაც შესაძლოა ძალზე საშიში შედეგი მოყვეს.

11 წლის ასაკიდან, ე.ი. თვიურის დაწყებამდე დედას უნდა ახსოვდეს ერთი პრინციპი: ,,უმჯობესია ერთი წლით ადრე ვიდრე ერთი წუთით გვიან''. ***შემთხვევითი საუბრის დროს ფრთხილად უნდა შევაპაროთ მენსტრუაციაზე და იმაზე, რომ ყურადღება მიაქციოს თავისთავს, უმიზეზოდ ხომ არ იღლება, არ ღიზიანდება, აქვს თავის ტკივილი, თავბურბვევა, ტკივილი მუცლის ქვემო ნაწილში და ა.შ.*** ეს ნიშნები მართლაც წინ უსწრებს თვიურის დაწყებას. გამოცდილ მშობელს, აღმრზდელს და მასწავლებელს ამ საუბრის შემდეგ აღარ გაუჭირდებათ გოგონებთან ურთიერთობა, რომელიც მოემზადება ამ მოულოდნელ მოვლენასთან შესახვედრად (ამ თემაზე იხ. ქვემოთ).

ქალების ერთ ნაწილში გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს თვიურის დაწყების შემდეგ გოგონა სიმაღლეში აღარ მოიმატებს, ამის გამგონე ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ ტანად პატარები არიან, ეძლევათ სრულიად გაუმართლებელი ნერვიულობის საბაბი, ჩუმად ტირიან, ჭირვეულობენ, დაბალი ტანის გარდა აღარაფერზე ფიქრობენ.

როგორც უკვე ვთქვით, დედათა წესის დაწყება რამოდენიმე წლით უსწრებს ფიზიკურ სრულყოფას, ამიტომ ასეთი უსაფუძვლო სტრესები ჩვენ გოგონებს უნდა ავაცილოთ.

ყურადსაღებია ისიც, რომ დედათა წესის დაწყება ნიშნავს შვილოსნობის უნარის დადგომას, ნებით თუ უნებლიედ გოგონა შეიძლება მართლაც გახდეს დედა. ამ მომენტიდან ოჯახის, სკოლის, საზოგადოების წინაშე იგი სოციალური პასუხისმგებლობის ახალ საფეხურზე ადის. ***ამგვარად მენსტრუაციის დაწყება ქალიშვილის ცხოვრებაში უნდა განვიხილოთ არამარტო მნიშვნელოვანი ბიოლოგიური, არამედ ძალზე საპასუხისმგებლო სოციალური მოვლენა.***

დედათა წესის დადგომა არ ემთხვევა გოგონას სრულ ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მომწიფებას. მისი, როგორც ქალის, რომელსაც უფლება აქვს იყო დედა, ნამდვილი მიმწიფება იწყება მაშინ, როცა ჩასახვის უნართან ერთად იგი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზადაა გააჩინოს ჯანმრთელი ბავშვი, გამოკვებოს და აღზარდოს თავის ორგანიზმზე ზიანის მიყენების გარეშე,გოგონას

ორგანიზმი ამ დონეს აღწევს 18 წლის ასაკში, თანაც იმ შემთხვევაში, თუ იგი თავისით, ან მშობლების დახმარებით ემზადებოდა დედობისთვის (სოციალური ფორმირება, ფიზიკური განვითარება, მორალური და ზნეობრივი ვალდებულება აქტიური ცხოვრება და ა.შ.).

ზოგჯერ თვიური გვიან იწყება, თუმცა ის არ ითვლება ნორმიდან გადახრად, თუ მას თან არ ახლავს რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობა. ზოგჯერ ეს გამოწვეულია მემკვიდრეობით (დედაც ასე იყო), ან გოგონას ორგანიზმის თავისებურებით (მსუქნებს შედარებით ადრე ეწყებათ ვიდრე გამხდრებს). დაჩქარება ან დაგვიანება შესაძლოა ინტენსიურმა სპორტულმა ვარჯიშებმაც გამოიწვიოს. მაგალითად, ტანვარჯიშით განსაკუთრებითდატვირთვა აფერხებს, ხოლო ცურვა აჩქარებს დედათა წესის დადგომას.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ***მშობლებმა, აღმზრდელმა და მწვრთნელმა უნდა იცოდნენ, რომ 6-8 თვით თვიურის გვიან დაწყება, ან ციკლის ხანგრძლივობა 2-5 დღეზე მეტხანს, სისხლის რაოდენობა 200 მლ-ზე მეტი ითვლება საკვერხის ფუნქციის დარღვევის წინაპირობად,*** ამიტომ საჭიროა ექიმთან მისვლა და შესაბამისი სამედიცინო რჩევების და პროცედურების მიღება.

მენსტრუაციის დაწყებამდე გოგონებს შესაძლოა მოულოდნელად დაეწყოთ ერთეული სისხლდენა. ეს მხოლოდ ერთჯერადია, თუმცა შეიძლება განმეორდეს კიდეც. ამის მიზეზი სხვადასხვაა: დიდი ფიზიკური დატვირთვა, გაცივება ან სითბოს დაკვრა, ინფექციური სნეულებანი, კლიმატის შეცვლა, ძლიერი სულიერი მღელვარება, სეზონის ცვლა, როცა ორგანიზმს აკლია ვიტამინები და სხვა. ასეთი ერთეული სისხლდენა მიანიშნებს ზოგადად ორგანიზმის, კერძოდ კი არასრულ სქესობრივ მომზადებაზე. ***მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ნებისმიერი სისხლდენა, რომელიც ნორმაზე მეტია, აუარესებს გოგონას ჯანმრთელობას, შესაძლოა გამოიწვიოს სისხლნაკლებობა და არასასურველი ფსიქოლოგიური ცვლილებები.*** ამიტომ ასეთ შემთხვევაშიც აუცილებელია ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია.

სასქესო ორგანოების სნეულებების თავიდან აცილებაში დიდია პირადი ჰიგიენის წესების დაცვის როლი. გოგონა, კბილების გაწმენდის მსგავსად, უნდა მოეჩვიოს გარეთა სასქესო ორგანოების სისუფთავეს, დასაწყისში მშობლის დახმარებით, შემდეგ კი ეს მისთვის წყლის სასიამოვნო პროცედურა გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგია თუ გოგონა შეადგენს თავისი მენატრუალური ციკლის კალენდარს, რომელშიც აღინიშნება ციკლის დასაწყისი და ხანგრძლიობა. ეს ერთგვარად ჩაეწერება მის დღის რეჟიმში ისე, რომ ამის შესახებ მხლოლოდ მას ეცოდინება. ასეთი აღრიცხვა განსაკუთრებით აუცილებელია გათხოვილ ქალებში, რომლებიც ამისმიხედვით გეგმავენ მეულესთან ურთიერთობას, შვილის გაჩენას და ა.შ.

ვაჟები

მამაკაცის სასქესო ორგანოებიც ორ რიგად იყოფა: გარეთა და შიგნითა. გარეთას მიეკუვნება: ასო და გარეთა სათესლე პარკი.

შიგნითა სასქესო ორგანოებია: სათესლე ჯირკვალი, მისი დანამატები, თესლის გამომტანი სადინარები, სათესლე ბუშტები და წინამდებარე ჯირკვლები.

სათესლეები წყვილი ჯირკვალია, რომელიც მოთავსებულია კან-კუნთოვან პარკში. ისინი ვითარდება მუცლის ღრუში და დაბადების მომენტში ან სიცოცხლის პირველი წლის ბოლოს (შესაძლოა პირველი 7 წლის განმავლობაში), საზარდულის მილით ეშვება პარკში. ამ პროცესის შეფერხებამ შესაძლოა თავი იჩინოს ბიჭის სქესობრივი მომწიფების ვადებში. ჯირკვლების სრული და ცალმხრივი შეფერხებების, ე.წ. კრიპტორქიზმის დროს აუცილებელი ხდება მედიკამენტებით მკურნალობა,უკიდურეს შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა, რადგანაც კვერცხის ასეთი შეფერხება, პარკში ჩამოსვლის დაგვიანება, სერიოზულად მოქმედებს ბავშვის სასქეო და საერთო განვითარებაზე. ოპერაცია უნდა გაკეთდეს 10 წლის მიღწევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი კლებულობს, ვითარდება ევნუქოიდიზმი, რასაც შესაძლოა უშვილობა მოყვეს. ასეთი ვაჟები მომავალში ვერ იქნებიან სრულფასოვანი მამაკაცები და მამები. ამასთან ერთად უადგილო ადგილას გაჭედილი კვერხები შესაძლოა სიმსინედ გადაგვარდეს. ***ამის შესახებ უნდა იცოდნენ მშობლებმა და დროდადრო ხელის შეხებით შეამოწმონ კვერცხების ჩამოსვლა ბუნებრივ ადგილებში; თუ ეს დაბადებიდან პირველ თვეებში არ მოხდა, აუცილებელია მივმართოთ ექიმს.***

სქესობრივი მომწიფებიდან ღრმა მოხუცებულობამდე სათესლე ჯირკვლებში შეუწყვეტლივ წარმოიშვება და მწიფდება მამაკაცის სასქესო უჯრედი-სპერმატოზოიდი. სათესლე ქსოვილში გამომუშავდება რთული, ბიოლოგიურად აქტიური ჰორმონი ანდროგენები, რომელთაგანაც ძირითადია ტესტოსტერონი.

ამგვარად სათესლე ჯირკვლებს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია: სპერმატოზოიდის წარმოქმნა და ჰორმონტესტოსტერონის გამოყოფა. ეს ის რთული ბიოლოგიური ნივთიერებაა, რომელიც ბიჭს კაცად აქცევს.სწორედ ანდროგენები და ტესტოსტერონი ხდებიან იმის საბაბი, რომ ვაჟს გაუჩნდეს მეორადი სასქესო ნიშნები: სხეულის კაცური აგებულება, მასზე თმის საფარველის განვითარება, ულვაშების და წვერის წარმოქმნა, ხმის შეცვლა, თესლის გამომუშავება, სასქესო ორგანოების ზომებში ზრდა და ა.შ.ყოველივე ამ ფიზიოლოგიურ პროცესს თან ახლავს ვაჟის ფსიქიკის შეცვლა, რომელიც მომავალ მამაკაცს შეესაბამება. ისე, როგორც გოგონას გამომუშავდება მამაკაცის ჰორმონის გარკვეული რაოდენობა, ვაჟის ორგანიზმიც საჭიროებს ქალის ჰორმონს. იგი აწესრიგებს ძვლოვანი ქსოვილის განვითარებას,მომწიფებას და კიდურების სიგრძეში ზრდის შეჩერებას.

სათესლეს დანამატი მცრე, 5-8 სმ. სიგრძის და 1 სმ სისქის წარმონაქმნია. იგი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს სპერტატოზოიდების მომწიფებას. ამ ორგანოს გაგრძელებას წარმოადგენს თესლის გამტარი მილი, რომლის სიგრძე 45 სმ-ს აღწევს. იგი ზემოთ ამოდის და საზარდულის არხის მეშვეობით შედის მუცლის ღრუში.აქ იგი ფართოვდება და ქმნის ამპულას, შემდეგ კი კვლავ ვიწროვდება და იხსნება შარდსადენ მილში, იმ ადგილზე, სადაც განლაგებულია სათესლე ბუშტები–მცირე წყვილი წარმონაქმნი, რომელიც გამოიმუშავებს სპერმატოზოიდების სასიცოცხლო თვისებებისგააქტიურებისთვის საჭირო სითხეს.

წინამდებარე ჯირკვალი ანუ პროსტატა შემოხვეულია შარდსადენ მილზე ირგვლივ, რომელიც აძლიერებს სპერმატოზოიდის აქტიურობას. ასაკის მატებასთან ერთად დაახლოებით 50-60 წლის მამაკაცებს წინამდებარე ჯირკვლის აქტიური უჯრედი იცვლება შემაერთებელი ქსოვილით; ეს უკანასკნელი ზოგჯერ იმდენად ვითარდება, რომ აწვება შარდსადენს და აძნელებს შარდის გამოყოფას. ამ პროცესს აჩქარებს ალკოჰოლის და ნიკოტონის მიღება, მჯდომარე ცხოვრება, ნაკლები მოძრაობა, ცხარე საკვების მიღება, გადაცივება, კარიესული კბილები, ანგინები და სხვა არასასიამოვნო მოვლენები.

სქესობრივი სიახლოვს დროს ვიწროვდება სათესლეს დანამატის თესლის გამტარი სადინარი, რის შემდეგ სათესლე სითხე გადაედინება შარდსადინარში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავის ძირითად ფუნქციასთან ერთად ასრულებს თესლის გამცილებლის როლს. ამ სითხეს ეწოდება სპერმა, რომელიც შეიცავს სპერმატოზოიდებს, სათესლის და მისი დანამატების, სათესლე ბუშტების, პროსტატის და ე.წ. კუპერის ჯირკვლების სითხეს.

სასქესო ასო ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: შარდის ბუშტიდან მოსული შარდის გამოყოფას და ქალის სასქესო გზებში სპერმის გადასროლას. იგი სამი მღვიმოვანი სხეულისაგან შედგება. როცა მისი ღრუები ივსება სისხლით, სასქესო ასო იძაბება და დგება პროცესი, რომელსაც **ერექცია** ეწოდება. ერთ-ერთი მღვიმოვანი სხეულის, კერძოდ, ტუჩისებრი ფენის სიღრმეში გადის შარდსადინარი და ქმნის ასოს თავს. სასქესო ასო გარედან დაფარულია კანით, რომელიც ასოს თავთან ქმნის ნაოჭს, ე. წ. ჩუჩას, რომელიც ფარავს მას და ასოს თავის სიღრმეში არსებულ ეროგენულ მიდამოს, ერთდროულად ჩუჩა ასოს თავს იცავს გაღიზიანებისა და მექანიკური დაზიანებისგან.

ჩუჩის შიგნითა მხარეს განლაგებულია მრავალი წვრილი ჯირკვალი, რომლებიც გამოყოფენ სითხეს–**სმეგმას.** იგი სქესობრივი აქტის დროს ასოს თავის გაპოხვის, აგრეთვე მიკრობებისგან გათავისუფლებს ფუნქციას ასრულებს. თუმცა მოშარდვის დროს საჭიროებს განბანვას. სმეგმის დიდი რაოდენობით გამოყოფის ან ჰიგიენური წესების დაუცველობის შემთხვევაში შიგთავსი იხრწნება და შესაძლოა ასოსთავის და ჩუჩის ლორწოვანი გარსის ანთების მიზეზი გახდეს. ამავე მიზეზს მიაწერენ ბავშვებში საკმაოდ ხშირ გადახრებს: ფიმოზსა და პარაფიმოზაა, როცა ჩუჩა ვიწროვდება, უჭერს ასოს, უკან აღარ გადმოდის და აძნელებს შარდის გამოყოფას.

მუსლიმან სუნიტებსა და ებრაელებში არის ჩუჩის მოკვეთის ე.წ. წინდაცვეთის ტრადიცია, რაც ასეთი საშიშროებისგან იცავს ვაჟს, თუმცა თვლიან რომ ასეთი ოპერაციის დროს შიშვლდება ასოს თავი, განიცდის მექანიკურ გაღიზიანებას, რაც მისი ეროგენულ ზონის აქტიობას აქვეითებს.

მოწინააღმდეგეები ყავს სმეგმასაც. მეცნიერებათა ერთი ნაწილი თვლის, რომ სქესობრივი აქტის დროს ქალის ორგანიზმზე სმეგმის სისტემატიური ზემოქმედება იწვევს საშვილოსნოს ყელის სიმსივნეს, ამიტომ ამ თეორიის მომხრენი მხარს უჭერენ წინდაცვეთის ოპერაციას.

ბავშვები მშობლებმა მცირე ასაკიდანვე უნდა მიაჩვიონ სასქესო ორგანოების სისუფთავის დაცვას. პატარებს დასაწყისში მშობლები უნდა დაეხმარონ, რაც შემდგომში ბავშვების ყოველდღიურ ჩვევად იქცევა. ამასთან ერთად მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ სიცოცხლის პირველ წლებში ***ასოს თავი მთლიანად არ თავისუფლდება ჩუჩისგან. ეს არის ნორმალური ანუ ფიზიოლოგიური ფიმოზი. რომელიც ასაკის ზრდასთან ერთად თავისით გაივლის. ამიტომ მშობელი არ უნდა ეცადოს ასოს თავის მთლიანად გაშიშვლებას.*** ამით იგი თავიდან აიცილებს სხვა არასასიამოვნო მოვლენებს.

სასკოლო ასაკის ვაჟებს სასქესო ორგანოების ჰიგიენა უნდა შეასწავლოს მამამ. საჭიროა ასოს თავის ყოველდღიური განბანვა საპნით და თბილი წყლით, გარდა ამისა კვირაში ერთხელაუცილებელია მისი გაშიშვლება და სმეგმისგან განთავისუფლება. ბიჭებმა ეს პროცედურა ისევე უნდა აითვისონ და ჩვევად უნდა აქციონ, როგორიცაა ხელების დაბანა, კბილების გახეხვა და ა.შ.

სქესობრივი მომწიფების, ანუ პუბერტატული პერიოდი

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საყურადღებო ხანა მოზარდის ცხოვრებაში. ამ პერიოდში იწყება იმდენად დიდი და მრავალფეროვანი ცვლილებები, ანატომიურ-ფიზიოლოგიური პროცესები, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი მას ,, ქარიშხლისა და ვნებების პერიოდს '' უწოდებს. რამდენადაც დიდია ეს ცვლილებები, იმდენად მეტია მოზარდის განცდებიც, ***ამიტომ ამ დროს, სწორედ ამ დროს საჭიროებს იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მშობლების, აღმზრდელების და სამედიცინო პერსონალის მხრიდან.***

მოზარდთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარების განხილვისას წინა თავში არაერთხელ გაკვრით შევეხეთ სქესობრივი განვითარების თავისებურებებსაც. ზოგი მათგანის განმეორება მოგვიხდება, რადგანადაც სქესობრივი განვითარება მჭიდრო კავშირშია ფიზიკურ და ფსიქიკურ ცვლილებებთან. მათზე ცალცალკე საუბარი შეუძლებელიცაა, პირიქით ისინი ერთობლივად ურთიერთქმედების ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ძველ სახელმძღვანელოებსა და სამედიცინო ლიტერატურაში გოგონებისა და ვაჟების სქესობრივი მომწიფების თვისებურებები ცალკე თავებად არაა გამოყოფილი,

ისინი ერთად განიხილება. ჩვენი წიგნის დანიშნულებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ როგორც ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარება, ისე ქალ-ვაჟის სქესობრივი მომწიფების ყველა მხარე უნდა განვიხილოთ ცალკ-ცალკე, რათა არაპროფესიონალებს, კერძოდ მშობლებს და აღმზრდელ-პედაგოგებს გაუადვილდეთ სქესობრივ აღზერდაში მათზე დაკისრებული მოვალეობის განსაზღვრა და შესრულება.

მიმაჩნია, რომ სქესობრივ აღზრდაზე საუბარი გაცილებით ადვილი და შედეგიანია გოგონებისა დ ვაჟების ცალკე ჯგუფებთან, განსაკუთრებით საშუალო სასკოლო ასაკში. *უმჯობესია ამ „საჩოთირო" საკითხზე გოგონებს თუ დედა და ქალი-აღმზრდელი ესაუბრება, ხოლო ვაჟებს მამა და კაცი-მასწავლებელი.* მოგვიანებით, სასკოლო ასაკის ბოლო წელს, როცა ასეთი საუბრებისთვის ყმაწვილები უკვე შემზადებული გვყავს, მოზარდების და აღზრდილების სქესის მიხედვით დაყოფა აუცილებელი აღარ იქნება. თუმცა მისი საჭიროება თვით აღმზრდელებმა უნდა გადაწყვიტონ.

სქესობრივი მომწიფების პერიოდს მეორენაირად პუბერტატულ პერიოდსაც უწოდებენ, რომელსაც ახასიათეობს მეორადი სასქესო ნიშნების გამოჩენა: სასქესო ორგანოების ზრდა, თმიანობა, ხმის შეცვლა, მკერდის ზრდა და საქესო ორგანოების და ჯირკვლების საბოლოო ჩამოყალიბება.

სქესობრივი მომწიფების ვადები მრავალ ფაქტორს უკავშირდება: ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების ხასიათი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, კლიმატი და სხვა. სქესობრივ მომწიფებაზე ერთგვარად გავლენას ახდენს მემკვიდრეობითი ნიშნებიც. ამ პირობების გაუარესებას შესაძლოა მოყვეს სქესობრივი მომწიფების შფერხება, ან დაჩქარება.

გოგონები

გოგონების მომწიფების დასაწყისის პირველი სიგნალი სარძევე ჯირკვლების წამოზრდაა. თვიური კი გოგონებს ეწყებათ სარძევე ჯირკვლების ჩამოყალიბების და სიმაღლეში ზრდის მაქსიმალური ნახტომის შემდეგ.

აშშ-ში, როგორც თეთრკანიან, ისე აფრო-ამერიკელებში მენსტრუაცია იწყება 12,5-12,8 წლის ასაკში, საყურადღებოა, რომ საუკუნის წინ ეს ასაკი 16 წელს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონებში სქესობრივი მომწიფება იწყება 9-10 წლიდან და 15-16წლამდე გრძელდება. ძველ სპეციალურ ლიტერატურაში ეს ასაკობრივი ზღვარი 1-2 წლით მეტია. თუმცა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით იგი ყველგან შემცირდა, ამიტომ მშობლებსა და პედაგოგებს იმ ასაკობრივ ვადებს ვთავაზობთ, რომლებიც ამჟამად აღიარებულია საერთაშორისონორმების მიხედვით.

სქესობრივი მომწიფების დაწყების პირველივე თვეებიდან ძალზე ჩქარა იზრდება გოგონების სასქესო ორგანოები. საშვილოსნოს სხეული ყელის სიფართოვეს აღემატება, საშვილოსნოს მილები კარგავს კლაკნილობას და სწორდება, იწყება მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება. სხეული ქალისთვის დამახასიათებელ მოხაზულობას ღებულობს. 10-12 წლის ასაკში ვითარდება სარძევე ჯირკვლები, შედარებით ფართოვდება მენჯ-ბარძაყები, მხრის სარტყელის და სხვა ზონების კანქვეშ ლაგდება ცხიმი, ბოქვებზე და იღლიის ფოსოებში წარმოიქმნება თმიანობა, ვითარდება სასქესო ორგანოები, იცვლება ხმა და ა.შ.

ამ პერიოდში იწყება ფოლიკულების მომწიფება და მწიფე კვერცხუჯრედის გამოსროლა (ოვულაცია). 12-13 წლის ასაკში, როგორც წესი, იწყება და თანდათან რეგულარულ ხასიათს ღებულობს დედათა წესი, თვიური ანუ მენსტრუაცია. გოგონა შეიძლება დედა გახდეს, მაგრამ ამ ასაკში საშიში და არასასურველია.

სკოლაში რამდენიმე საათით მეცადინეობის, სახლში ხანგრძლივად ყოფნის გამო გოგონები მოკლებულნი არიან სუფთა ჰაერს, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის მზარდი ორგანიზმის განვითარებაზე. შესაძლოა ზოგ მათგანს აღენიშნებოდეს ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა, კუნთების დაბალი ტონუსი და ა. შ. ამიტომ ***სქესობრივი მომწიფების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცადინეობის, ძილის, დასვენების, კვებისა და ფიზიკური ვარჯიშების რეჟიმის დაწესებას.***

ამ ასაკში ზოგჯერ მშობლებს აწუხებთ ძალზე მცირე ან ძალზე დიდი მკერდის ჯირკვლები. პირველ შემთხვევაში ამის მიზეზი შეიძლება იყოს განვითარებაში ჩამორჩენა, ხოლო მეორეში აჩქარებული განვითარება. თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ***სარძევე ჯირკვლების მომწიფება გამოიხატება არა მათი ზომებით, არამედ იმ ქსოვილით, რომლითაც ისინი არის აგებული.*** პატარა ძუძუ, რომელიც აგებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიური ჯირკვლოვანი ქსოვილით, შესაძლოა უფრო განვითარებული იყოს, ვიდრე დიდი, რომელიც მოცულობაში მომატებულია ცხიმოვან ქსოვილის ხარჯზე.

ვაჟების მსგავსად ქალებიც, შედარებით იშვიათად ნახულობენ ღამის ეროტიკული სიზმრები და პრილუცია, თუმცა სასკოლო ასაკის გოგონებში ძალზე იშვიათია. იგი უპირატესად გვხვდება გაუთხოვარ და ახალგაზრდა ქვრივ ქალებში. აქაც ადგილი აქვს ეაკულაციას, საშვილოსნოდან და ბართოლინის ჯირკვლებიდან სითხის გამოყოფას და ორგაზმს.

ვაჟები

სქესობრივი მომწიფება იწყება 10-12 წლის ასაკიდან. ამ პერიოდში შესამჩნევია სასქესო ასოს და სათესლე ჯირკვლების მნიშვნელოვანი ზრდა. 12-13 წლის ასაკში იცვლება ხორხის ფორმა, მოზარდს ეცვლება აგრეთვე ხმა. 13-14 წლის ასაკში იწყება ბოქვენის თმიანობა, ძუძუების შემკვრივება, ბიჭის ჩონჩხი ღებულობს მამაკაცის ფორმას. 15-16 წლის ბიჭების მთელი კანი თანდათან იფარება თმებით, იღლიის ქვეშ და ბოქვენზე კი ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება, შემდეგ თმები ჩნდება სახეზეც,დასაწყიში ულვაშები, ხოლო შემდეგ იგი ლოყებსა და ყელზეც გადადის.

15-16 წლის ასაკში ბიჭებს ხშირად აქვთ ღამის ეროტიული სიზმრები, რასაც ჩვეულებრივ თან ახლავს მცირე რაოდენობის თესლის გამოყოფა (პოლუცია). ამას წინ უძღვის ასოს ერექცია, რაც ორგაზმით თავდება. ღრმა ძილის დროს ვაჟმა შეიძლება ეს პროცესები ვერ აღიქვას. პოლუცია შეიძლება უფრო მოზრდილ ასაკში გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ ვაჟი თავს იკავებს ჩვეულებრივი სქესობრივი კავშირისაგან.

პოლუციის შემდეგ დგება ერთგვაროვანი კმაყოფილების, სიმსუბუქის შეგრძნება და მას თან არ ახლავს რაიმე ცუდი მოვლენები. იგი მეორდება 10 დღიდან ორ თვემდე ინტერვალში. მის გახშირებას თან ახლავს: საერთო სისუსტე, დამტვრეულობა, გონების დათრგუნვა, ძილის მოშლა თავის ტკივილი, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, ტკივილი ზურგის და წელის არეში. ყველაფერი ეს დაკავშირებულია არა მარტო თესლის გამოყოფასთან, არამედ თავის ტვინის შესაბამისი ცენტრის ხშირ გაღიზიანებასთან, რასაც შესაძლოა მოყვეს ნერვული სისტემის მოშლილობა, სქესობრივი უძლურობა და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივ, მშობლებთან ახალგაზრდები ერიდებიან პოლუციაზე და ღამის სიზმრებზე საუბარს, მაგრამ თუ მათ გაგვიმხილეს ზემოთ ჩამოთვლილი ჩივილები, *საჭიროა აუცილებლად მივმართოთ ექიმ-ნევროპათოლოგს ან სექსოლოგს.*

სქესობრივი განვითარების მოშლილობანი

სერიოზულ გადახრებს მიეკუთვნება სქესობრივი მომწიფების დაგვიანება, ან მისი ნაადრევად განვითარება. ორივე შემთხვევა მედიკოსების ზრუნვის საგანია, თუმცა როცა მოზარდი მათ მიაკითხავს,შესაძლოა სამედიცინო ზომების გატარება დაგვიანებულიც იყოს. მთავარი ამ საქმეში ისაა, რომ იგი ეხება მოზარდის ინტიმური ცხოვრების ისეთ მხარეს, რომელიც ძალზე დიდ სიფრთხილეს და თავაზიან მოპყრობას საჭიროებს. ამ გადახრებით მოზარდმა ექიმს დროულად რომ მიაკითხოს, *აუცილებელია ამ ასაკშიმასთან განსაკუთრებულად ახლო, გულღია და გულმართალი ურთიერთობა.* ეს კი ეხმარებათ პირველ რიგში მშობლებს და აღმზრდელ-პედაგოგებს ბავშვებთან საუბრის სწორად წარმართვაში.

დაგვიანებულ სქესობრივ მომწიფებად ითვლება გოგონებში 16-18 წელი, ხოლო ვაჟებში 18-20 წელი.

ჩვენს დროში არსებობს მრავალი მედიკამენტოზური და ჰორმონური საშუალებები, რომლითაც ამ გადახრის განკურნება შეიძლება.

ნაადრევი სქესობრივი მომწიფების დროს ბავშვს ძალიან ადრე ემჩნევა მეორადი სასქესო ნიშნები, ვაჟებში ადრე იწყევა ძვლების განვითარება, რაც მომავალში მის სიმაღლეში ზრდას აფერხებს, სწრაფად ეზრდება სასქესო ორგანოები, ეცვლება ხმა, სხეულის სხვადასხვა ნაწილებში ეწყება თმიანობა. ყოველივე ამას თან ახლავს ლტოლვა გოგონებისადმი, შესაძლოა ქონდეს ერექცია და პოლუციაც; ყოფილა შემთხვევები, როცა 4-6 წლის ბიჭის ორგანიზმიდან მიუღიათ აქტიური სპერმატოზოიდები.

გოგონები ასეთ დროს სწრაფად იზრდებიან, მენჯი ფართოვდება, იზრდება საშვილოსნოს და საკვერცხეს მოცულობა. აღწერილია შემთხვევები, როცა მენსტრუაციის ნიშნები ბავშვს შეამჩნიეს სკოლამდელ ასაკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დაგვიანებულ, ისე ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას მეცნიერები ხსნიან ტვინის დანამატის (ჰიპოფიზის) და სასქესო ჯირკვლების ფუნქციის შენელებით, ან, პირიქით, მისი მომატებით, ან კიდევ ამ ორგანოებში ადრეულ ასაკში სიმსივნურ წარმონაქმნის გაჩენით.

სქესობრივი მომწიფების ვადების დარღვევის მიზეზად ასახელებენ ე. წ. პუბერტატულგასუქებას, რომლის განვითარებას უკავშირებენ გენეტიკას, თუმცა მთავარ მიზეზად მაინც ბავშვის არასწორ (გადაჭარბებულ) კვებას და უძრაობას ასახელებენ.

არსებობს მეორე საწინააღმდეგო მოვლენაც, რომელსაც პუბერტატული სიგამხდრე ქვია. აქაც გარკვეულ როლს თამაშობს მემკვიდრეობითი ფაქტორი, თუმცა ხშირ შემთხვევაში მიზეზად ხდება გადატანილი ინფექციური სნეულებანი, ანთებითი პროცესები და არასრულყოფილი კვება.

ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის ისტორია და წინა პირობები

სქესობრივი აღზრდა არის სამედიცინო-პედაგოგიური ღონისძიებების მთელ სისტემა, რომელიც გულისხმობს მშობლების, ბავშვების, მოზარდი ახალგაზრდობის ჯანსაღ დამოკიდებულებას სქესის საკითხისადმი.

სქესობრივი აღზრდა მიზნად ისახავს მოზარდი თაობის ჰარმონიულ განვითარებაზე ხელის შეწყობას, სექსოლოგიური ცოდნის ამაღლებას, შვილოსნობის ფუნცქიის სრულყოფილად ჩამოყალიბებას მომავალ დედაში (მამაში), მოზარდებში, ე.ი. მომავალი მეუღლის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას, ქორწინებისა და ოჯახის განმტკიცებას, მორალურ და ზნეობრივ გაწონასწორებას.

სქესობრივი აღზრდა დაკავშირებულია ძალზე რთულ სამედიცინო-პედაგოგიურ და სოციალურ პრობლემებთან. მასში ერთმანეთთან გადახლართულია ფიზიოლოგიური, ჰიგიენური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, მორალურ-ეთიკური და ესთეთიკური ასპექტები.

საუკუნეების მანძილზე სქესობრივი აღზრდის საკითხები რელიგიური ტრადიციებით შემოიფარგლებოდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიის ყველა მიმართულება მეტნაკლებად ქადაგებდა სიწმინდეს და პატიოსნებას, ჯანსაღ და ბუნებრივ სქესობრივ ცხოვრებას, მაღალზნეობას და სისპეტაკეს. თუმცა საზოგადოებრიობის განვითარების მომდევო ეტაპზე ეკლესიის მიერ გატარებული ღონისძიებები საკმარისი აღარ აღმოჩნდა.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში იუწყება სექსუალური აღზრდისადმი მეცნიერული მიდგომის პირველი ცდები. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ამ საკითხებისადმი ინტერესი საყოველთო ხდება არამარტო სპეციალისტების, სექსოლოგების, პედაგოგების და ფსიქოლოგებისა, არამედ თვით საზოგადოებისა და სახელმწოფო ორგანიზაციების მხრიდან. იგი მსოფლიო პრობლემად იქცა და ამას ხელი შეუწყო ინფორმაციის ხელმისაწვდომმა საშუალებებმა (ტელევიზია, ინტერნეტი), რომლებიც ნებით თუ უნებლიედ მოზარდებს უნერგავს არა მაღალზნეობრიობას, არამედ გარყვნილებას და გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს. ზოგიერთი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის წარმოიშვა შეხედულება, რომელიც უარყოფდა სქესობრივ ცხოვრებისა და მორალურ ნორმებში რაიმე შეზღუდულობას. (,,ერთიანი სქესობრივი, მორალი, თავისუფალი სიყვარული''). ყოველივე ამას საქმე აღვისრახსნილობამდე მიყავდა, რასაც არაიშვითად თან ახლდა ქალის მიმართ ძალადობა.

სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულმა სნეულებებმა, პროსტიტუციის ფართო მასშტაბმა, სქესობრივმა და სხვა ძალადობამ, მოზარდი გოგონების ნაადრევმა ორსულობამ, ხშირმა აბორტებმა და მშობიარობებმა დაარწმუნა შესაბამისი სპეციალისტები და სახელმწიფო ორგანიზაციები იმაში, რომ საჭირო იყო ამ სფეროზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და შესაბამისი კომპლექსური ზომების შემუშავება. ,, თავისუფალმა სიყვარულმა'' განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეციაში, გერმანიაისა და სხვა ქვეყნებში, ამიტომ სწორედ ამ ქვეყნების მეცნიერებმა შექმნეს პირველი სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები და სხვა პოპულარული ლიტერატურა.

სქესობრივ აღზრდის მეთოდების შემუშავებას, შეუდგნენ რუსეთში, შემდგომში საბჭოთა კავშირშიც თუმცა მისი ეფექტურობის შედეგები ტაბუდადებული იყო. უცხოეთის გამოცდილება და ლიტერატურა ქვეყანაში არ შემოდიოდა, არ ქვეყნდებოდა, რის გამო მეცნიერებს, სხვა საკითხების მსგავსად, არ გააჩნდათ სხვა

ქვეყნის გამოცდილების გაზიარების საშუალება. უფრო მეტიც ზოგიერთ ქვეყანაში მათ შორის რუსეთის იმპერიაშიც ტერმინს, ,,სქესობრივი აღზრდა,'' საერთოდ არ იცნობდნენ. იმპერიის განაპირა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზე, ამის შესახებ საუბარიც ზედმეტი იყო.

ჩვენს ქვეყანაში სქესობრივი აღზრდის საკითხებზე ყურადღება გამახვილდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების და მასში მაღალკვალიფიციური პედაგოგოების, მედიკოსების და ფსიქოლოგების თავმოყრის შემდეგ. **(დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ნათიშვილი, ზაქარია მაისურაძე და სხვა).**

მოზარდთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სქესობრივ აღზრდას მოახმარა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა ალექსანდრე ყანჩელმა. ამ თემაზე მუშაობდნენ აგრეთვე: **მარიამ უგრელიძე, არდევან ახვლედიანი, მალხაზ აბდუშელიშვილი, ოთარ დედაბრიშვილი, ლევან ჩარკვიანი, ოთარ ახვლედიანი, გიორგი სტურუა, რამაზ სურმანიძე** და სხვა. თუმცა უნდა ითქვს, რომ მეცნიერთა დასკვნები შემოიფარგლებოდა ფიზიკური განვითარების პროპაგანდით, ისინი ძალზე ფრთხილი, მორიდებული, ამდენად ნახევრად მართალი იყო, ვიდრე სჭირდებოდა ჩვენს მომავალ თაობას. ამის მიზეზი გახლდათ მკაცრი საბჭოთა ცენზურა, რომელიც მსგავსი საკითხების გამომზეურებას კრძალავდა. ასეთ ვითარებაში დიდ მიღწევად შეიძება ჩაითვალოს ,,ქართულ საბჭოთა ენციკლობედიაში'' (ქსე) გამოქვეყნებული სტატიები (სქესობრივი აღზრდა, სქესობრივი გადარჩევა, სქესობრივი გამრავლება, სქესობრივი გაუკუღმართება, სქესობრივი დიმორფიზმი, სქესობრივი მომწიფება, სქესობრივი უძლურობა, ავტორები: **ი. ჭუჭულაშვილი, ლ. ნათაძე, ა. კანდელაკი**).რომლებიც ქართველ მეცნიერებს და მკითხველთა ფართო წრეს ერთგვარ წარმოდგენას უქმნის ამ მეტად მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხზე. ისიც უნდა ითქვას, რომ სტატიებთან მითითებული ლიტერატურის 10-ზე მეტი ავტორიდან ქართველი არცერთი არაა და მხოლოდ უცხოელები არიან. (ქსე.ტ.9. თბილისი. 1985 გვ. 622-624).

ახალგაზრდობის ზნეობრივი და მორალური გამოვლინებების, ამ სფეროში არსებული პრობლემების კვალობაზე ყველა ქვეყანა ცდილობს შექმნას საზოგადოებრივი აზრი, ახალი სპეციალური და პოპულარული ლიტერატურა, ამ საქმეში ჩააბას მოსახლეობის (მშობლების), აღმზრდელების და მედიკოსების რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ფართო წრე. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა იგრძნობა რუსეთში, სადაც 21-ე საუკუნის ხანმოკლე დროში არაერთი მეცნიერული და პოპულარული წიგნი გამოვიდა. წიგნის მომზადებისას,სამამულო და სხვა უცხოურ ლიტერატურასთან ერთად, ვსარგებლობდით რუსი ავტორების გამოცემებითაც (**ვ.ი. ლიახი, გ.ბ. მეიკსონი, ვ. დიუმონი, ლ. ბ. კოფმანი, ი. ტერენტიევა, ო.ა.სტეპანოვა,** და სხვ.), რადგანაც სხვა ქვეყნებთან შედარებით სექსუალურ სფეროსდა მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საკითხებს რუსეთის ფედერაციაში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. ამერიკელების მსგავსად, რუსეთში შესაძლოა ამ საკითხებისადმი დიდი ინტერესი ქვეყანაში არსებული მდგომარეობითაც აიხსნას (ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, დემოგრაფიული კრიზისი და სხვა).

რუსულ ენაზე სექსუალურ აღზრდაზე ორიგინალური სახელმძღვანელო ბოლო დროს არ გამოსულა, სამაგიეროდ რუსულად ითარგმნა **ვირჯინი დიუმონის,** აგრეთვე ავტორთა ჯგუფის: **უილიამ მასტერსის, ვირჯინია ჯონსონის და რობერტ კოლოდნის**ფუნდამენტური, 700-გვერდიანი წიგნი, ,,სექსოლოგიის საფუძვლები''. თუმცა რუსები სხვა გზითაც წავიდნენ. ქვეყნის რმდენიმე წარმომადგენელი უკვე ფლობს ე.წ. ,,ზღაპრებით მკურნალობასაც'' (сказкатерапия), რომელიც ფსიქოპედაგოგიკის ერთ-ერთი ახალი მეთოდია და აქტიურად იყენებენ ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდაში. არმავირელმა ფსიქო-პედაგოგმა და მასტერ-მეზღაპრე თერაპევტმა**ო. სტეპანოვამ**ვრცელი ნაშრომი, ,,ბავშვთა სექსუალური აღზრდის ასაკობრივი თავიებურებანი,''გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში.

როგორც ზემოთ ვთქვით, უცხო ავტორთაგან თავისი გულახდილობით, ობიექტურობით და ორიგინალურობით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფრანგი ავტორის **ვირჟინი დიუმონის წიგნი**, ,,საიდან გავჩნდი?'', რომლის ავტორიზებული რუსული თარგმანი 2007 წელს მოსკოვში გამოსცა გამომცემლობა ,,ასტრელმა''.

ამ წიგნს რუსეთის საზოგადოება ერთგვაროვნად არ შეხვედრია. მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდმა ნაწილმა იგი მოიწონა, ნაწილმა კი მავნე ნაშრომად მიიჩნია. მაგ. ურალის მშობელთა კომიტეტმა დიდი აღშფოთება გამოხატა და წიგნის ავტორი პორნოგრაფიის, გარყვნილების გამავრცელებლად მიიჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნაწილი თვლის, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიუმონის მიერ აღწერილ სქესობრივ აქტს, საშიში არაფერია; წიგნი 5-8 წლის ბავშვებზეა გათვლილი. ე.ი. იმ ასაკზე, როცა ძნელ კითხვებს ყოველ წუთს იძლევიან, ხოლო 5 წლის ასაკში, როგორც მოწინავე ფსიქოლოგები თვლიან, ძალზე მნიშვნელოვანია აუხსნა რა არის სქესი და სექსუალურობა. წიგნი მდიდარია სურათებით და არ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვა: როგორ იცხოვრა დედის მუცელში, როგორ დაიბადა, ბიჭები და გოგონები როგორ იქცევიან ქალებად და კაცებად.

ფრანგული ცხოვრების წესი და შეხედულება სექსუალურ ცხოვრებაზე, ბუნებრივია, განსხვავდება სხვა ქვეყნების, კერძოდ საქართველოს ტრადიციული ადათ-წესებისგან,მაგრამ ნებისმიერ მკითხველს შეუძლია წიგნიდან შეარჩიოს მოულოდნელი და მისთვის მისაღები რჩევები.საერთოდ ეს წიგნი ძალზედ დიდ დახმარებას გაუწევს მშობლებს, პედეგოგებს, ექიმებს, ფსიქოლოგებს.

ნაწილი მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქესობრივი აღზრდის თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში

საზოგადოების დიდ ნაწილშიგავრცელებული აზრი,თითქოს საკმარისია სქესობრივ აღზრდაზე ზრუნვა პუბერტატულ,ე.ი. მომწიფების პერიოდში ძირიდანვე მცდარია.სქესობრივი აღზრდა მეტნაკლები ინტენსიობით იწყება ბავშვის დაბადებიდანვე,რადგანაც ახალშობილი იბადება თანდაყოლილი რეფლექსებით,რომელთა ერთი ნაწილი სქესობრივ განვითარებას აწესრიგებს.

ჩვენი ნაშრომის თემა სკოლამდელ ბავშვთა და სკოლის ასაკის მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდაში არსებული სიძნელეებია,ამიტომ ჩვენს თხრობასაც სწორედ ამ პერიოდიდან დავიწყებთ,ჯერ ჰიგიენის ელემენტებით,ხოლო მოგვიანებით საკუთრივ სქესობრვივ აღზრდაზე ვისაუბრებთ.

სკოლამდელთა სქესობრივი აღზრდა

ადრეულ და სკოლამდელ, ანუ ბაღის ასაკის ბავშვთა სქესობრივი აღზრდა მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, მაგრამ მათ შორის მთავარია სასქესო ორგანოების ჰიგიენა, მათი დაავადებების, არაჯანსაღი ჩვევების თავიდან აცილება,ასევე ბავშვის მომზადება მაღალი ზნეობრიობის და თვითშემოქმედების გამომუშავების პრინციპებზე,რათა ადრეული ასაკიდანვე იგი მივაჩვიოთ საკუთარი სურვილების მართვას იმ გათვლით, რომ არ განუვითარდეს სქესობრივი გრძნობების ადრეული გამოვლინებები.

სქესობრივ აღზრდაში ძირითადი როლი მშობლებს,ოჯახს, როგორც საზოგადოების პირველად უჯრედს აკისრიათ. ბავშვი თავისი სიცოცხლის დიდ ნაწილს ატარებს ოჯახში,სადაც უპირველესად გამოვლინდება ხოლმე მისი პიროვნების თავისებურებები,აქ იგი იდგამს ფეხს და წარმოთქვამს პირველ სიტყვას.*როგორი იქნება ეს სიტყვა, ფაქიზი თუ უხეში,კეთილი თუ მაგინებელი, ეს თქვენზეა დამოკიდებული,ძვირფასო მშობლებო და ოჯახის წევრებო!*

საყოველთაოდ ცნობილია,რომ ხასიათის ძირითად თვისებებს და ჩვევებს ბავშვი პირველი ხუთი წლის მანძილზე იძენს.

ამ ასაკში ბავშვი საკმაოდ მგრძნობირეა,გამომუშავებული აქვს შეცოდების გრძნობაც,თვისებურად აღიქვამს გარემოს, ცოცხალ არსებებს. აკვირდება მწერებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასავით მცირე არსებებს და მათ თავის თავს ადარებს. მაგ.როცა ბავშვი მცოცავ დიდ და ორ პატარა ხოჭოს ხედავს, თქვენს შეკითხვაზე, ,,რა ქვიათ მათ?'', შეიძლება გიპასუხოს: ,,ერთი დედიკოა და ორი მისი შვილი" და ამ მავნე სულდგმულზე მოკრძალებით,შეცოდებით განგაწყოს.***ეს უაღრესად სუფთა გრძნობაა და მშობელი უნდა ეცადოს განავითაროს იგი. დიახ, მომდევნო წლებში მშობლები ამ თვისებებს კი არ უნერგავენ, არამედ მათს კიდევ უფრო განმტკიცებაზე ზრუნავენ.***

აღზრდის ძირითადი საკითხები დაკავშირებულია ბავშვის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თვისებებთან, რის შესახებაც ჩვენ წინა თავებში ვისაუბრეთ. აქ მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ მშობლებს ბავშვის აგებულებაზე, მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე და ასაკიბრივ ცვლილებებზე დაბადებიდანვე უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა.სკოლამდელ ასაკში ვაჟების სასქესო ორგანოების დაავადებები იშვიათია, სამაგიეროდ ამ მხრივ გოგონების მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ საშოს და საქალწულე აპკის ეპითელური საფარველი ძალზე თხელია და ადვილად ზიანდება. თვით საშოს შიგნითა გარემო ტუტოვანია, რაც ანთებითი პროცესების და ჩირქმბადი ბაქტერიების გამრავლების სასარგებლო ნიადაგს ქმნის.

ამ პერიოდის დაავადების 90% მოდის საშოს შესავლის და ლორწოვანი გარსის ანთებებზე (ვაგინიტი). საშოს ირგვლივ შეწითლება, შარდვის დროს წვის შეგრძნება, ამ მიდამოს ქავილი– ესენია დაავადების პირველი ნიშნები. თუ მათ დროულად არ მივხედავთ, პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება. მართალია, დასაწყისში ბავშვს შესაძლოა არ ქონდეს არასასიამოვნო შეგრძნებები, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, თვიურის დაწყებისას, თავს იჩენს ამ გადახრების შედეგები, კერძოდ ტკივილები მუცლის ქვედა ნაწილში.

ვაგინიტები ხშირია ისეთ ბავშვებში, რომელთაც დაქვეითებული აქვთ დაცვითი ფუნქცია (იმუნიტეტი), ადვილად ავადდებიან სხვადასხვა ინფექციებით (დიფთერია, ქუნთრუშა,ყივანახველა, დიზენტერია,წითელა, გრიპი და სხვ.).***ასეთი ბავშვები მშობლების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. თითოეული დასახელებული დაავადების გადატანის შემდეგ მშობლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ*** ბავშვის სასქესო ორგანოებზე და მცირეოდენი ეჭვის შემთხვევაშიც მიმართონ ექიმს.

ვაგინიტის მიზეზად ზოგჯერ თვით ბავშვი ხდება. მას სასქესო ორგანოებთან საკუთარი ხელებით გადააქვა მიკრობები და სოკოები სწორი ნაწლავიდან, პირის ღრუდან და სხეულის ნაწილებიდან.

დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე წვრილი ჭია, რომელიც გამოდის ნაწლავიდან და კვერცხებს დებს საშოსთან. ამას კი თან ახლავს ძლიერი ქავილი. თუ ბავშვს ხელი მიუწვდა შიშველ სხეულზე, პროცესი კიდევ უფრო რთულდება. ამ ***მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში ბავშვი უნდა გადავაჩვიოთ სასქესო ორგანოებთან ხელით თამაშს, მივაჩვიოთ ხელების ჰიგიენას და შევეცადოთ ეს მიდამოები აუცილებლად იყოს დაფარული ტანსაცმლით.***

აუცილებელია სასქესო ორგანოების ყოველდღე ჩამობანა თბილი, ნადუღარი წყლით წინიდან უკან ხელის მოძრაობით, ყურადღება უნდა მიექცეს საწოლის, თეთრეულის, ხელსახოცის, ცხვირსახოცის, კბილის ჯაგრისის, ტანსაბანი ნეჭას სისუფთავეს.

როგორც ვთქვით, გოგონებთან შედარებით, სკოლამდელ ასაკში ვაჟებში სასქესო სფეროს მოშლილობა ნაკლებია. თუმცა გადახრები მაინც გვხვდება და ყურადღება არც მათ უნდა მოვაკლოთ. პირველ რიგში არ უნდა გამოგვეპაროს წყვილი სათესლე ჯირკვალი. თუ ერთი მხარე თავის ადგილზეა, აქ საფიქრალი შედარებით ნაკლებია, ის ერთი თავის თავზე აიღებს მეორე ჯირკვლის ფუნქციას, მაგრამ როცა არცერთი არ აპირებს დაიკავოს თავისი ადგილი (კრიპტორქიზმი), აქ უკვე საკმაოდ ბევრი საფიქრალია. ალალბედზე ამ გადახრის მიტოვება არ შეიძლება, რადგანაც თუ მდგომარეობა ადრეულ ასაკში (სკოლამდელ) თავისით არ გამოსწორდა, გვეყოლება კაცი, რომელიც არ შეიძლება იყოს სრულყოფილი მეუღლე და მამა. გავიმეორებ, ასეთ დროს ერთად-ერთი ხსნა ბავშვის 10 წლის მიღწევამდე ქირურგიული ჩარევაა.

მეორე სერიოზული გადახრაა შარდსადინარის ძალზე მაღალი ან, პირიქით, ძალზე დაბალი მდებარეობა, რასაც ეპისპადიას და ჰიპოსპადიას ეძახიან. ბავშვებში ვითარდება აგრეთვე ფიმოზი – როცა ჩუჩის პირი იმდენად ვიწროა, რომ ძნელდება მისი უკან გადაწევა და ასოს თავის გაშიშვლება, ან კიდევ, როცა უკან გადაწეული ჩუჩა ვიწროვდება, უჭერს ასოს თავის ყელს და წინ აღარ გადმოდის (პარაფიმოზი). ეს გადახრები დროებითია და თავისით გაივლის, მაგრამ თუ გაძნელდა, საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა.

* * *

სკოლამდელი ასაკის გოგონების და ვაჟების ***ასაკობრივი აღზრდა იქამდე უნდა მივიყვანოთ, რომ ამ ასაკში ბავშვებს არ გაუღვივდეთ სქესობრივი გრძნობა და მანკიერი ჩვევები*** რაც მჭიდროდ უკავშირდება მათი ნერვული სისტემის თავისებურებებს. ამ ასაკში ბავშვებს უძლიერდებათ თავის და ზურგის ტვინის განვითარება და თანდათან ყალიბდება შინაგანი ორგანოების ფუნქციები.

ნერვული სისტემის განვითარებას თან ახლავს მისი ძირითადი ფუნქციის, აღგზნებისა და შეკავების გაძლიერება. შეკავების პროცესი ბავშვებს თანდათანობით უყალიბდებათ, რათქმაუნდა მშობლების ყურადღებიანი და მკაცრი მოპყრობით. ასეთ შემთხვევაში ბავშვები თავის გრძნობებში, მათ შორის სექსუალურში, თავშეკავებულნი არიან. საექიმო-პედაგოგიურმა დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ ბავშვებში ადრე გამომუშავებული მოთმინება და სურვილთა იმპულსურად წარმოქმნის დათრგუნვა, საშუალებას გვაძლევს დროულად ავიცილოთ თავიდან სექსუალური ხასიათის მანკიერი ჩვევები.

ბავშვის ნერვულობის, გაღიზიანების, ჭირვეულობის მთავარი მიზეზი აღზრდაში დაშვებული შეცდომებია. ***თუ განსაზღვრულ დროში მშობლები პირველივე სიტყვით ბავშვის ყველა სურვილს აკმაყოფილებენ, ხოლო შემდეგ ცვლიან ასეთ ურთიერთობას, სხვას, გარდა ზიანისა, არაფერს უნდა ველოდოთ.*** შემთხვევითი არაა, რომ ნევროპათოლოგები ბავშვთა ასაკში ნევროზის განვითარების მიზეზს თვით მშობლების გაუწონასწორებულობაში ეძებენ. მათი შვილებიც ჩვეულებრივ გაუწონასწორებელები, განებივრებულნი, თავისუფალნი არიან, ასეთი ბავშვებში კი ძალზე ადრე ვითარდება სქესის და სასქესო ორგანოების მიმართ ცნობისმოყვარეობა.

სასქესო ორგანოებზე ხელის შეხება დასაწყისში ჩვეულბრივი მოფერება და უწყინარი ურთიერთობაა, მაგრამ თუ ის რამდენჯერმე განმეორდა, შესაძლოა იგი პათოლოგიურ პირობით რეფლექსად (ნაადრევი ონანიზმი), არაჯანსაღ, აკვიატებულ ჩვევად იქცეს, რომლისგან თავის დახსნა ძალზე ძნელია. ამ გადახრასთან ბრძოლა რთულია, რადგანაც იგი ატარებს არამოტივირებულ, შეუგნებელ ხასიათს და განისაზღვრება სასქესო ორგანოებიდან მომდინარე ბუნდოვანი შეგრძნებებით.

ამ გადახრის თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში აუცილებელია ბავშვის ჰიგიენური მოვლა. ყველაფერთან ერთად ***ბავშვის თვალსა და ყურს უნდა***

მოვარიდოთ ოჯახური ჩხუბი, მოზრდილების ალერსი, მისი თანდასწრებით ტანი გახდა და ა. შ. თუ შევნიშნეთ სასქესო ორგანოებთან მისი საეჭვო მოძრაობა, იგი არ უნდა შევაშინოთ, არც დავსაჯოთ. უმჯობესია მისი ყურადღება სხვა გასართობზე გადავიტანოთ (ფიზიკური ვარჯიში, გამოწრთობა, მიმზიდველი თამაშები და ა. შ.), გავამრავალფეროვნოთ ბავშვის ცხოვრება, დიდხანს გვყავდეს ჰაერზე, ბავშვთა ჯგუფში, ბაგაში, ბაღში. სასურველია ბავშვს ხელები საბნის ზემოთ დარჩეს, ხოლო გაღვიძების შემდეგ ავუკრძალოთ საბნის ქვეშ ხელების ფათური. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ოჯახში და ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ამ წესების დაუცველობა იწვევს სასქესო ორგანოების მიმართ ნაადრევ ინტერესს, რაც საბოლოოდ არაჯანსაღი სქესობრივი გადახრებით მთავრდება.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა ბავშვი სექსუალურ თემებზე შეკითხვებს იძლევა. ყველა მათგანზე აუცილებელია პასუხის გაცემა, მაგრამ თუ ამისთვის მზად არ ვართ, განმეორებითი შეკითხვის ასაცილებლად საჭიროა მას ვუპასუხოთ მოკლედ და ლაკონურად, მოვიტანოთ მცენარეების, უმარტივეს ცხოველთა მაგალითები. თუ ინტერესი მაინც დიდია და შეკითხვებიც გაუთავებლად იღვრება, შეიძლება უეცრად დაწყებულ საუბარი მშვიდად შევწყვიტოთ სიტყვებით: ,,ამ შეკითხვებზე მოგვიანებით მოგიყვები. ზოგ საკითხს ასწავლიან სკოლის მაღალ კლასებში. დადგება დრო და შენც გეცოდინება.''

ამ ასაკში შეუნელებელ ყურადღებას საჭიროებს ბავშვთა კვება. იგი ბავშვის სიჯანსაღის და გამძლეობის საწინდარია. საკვები უნდა იყოს ცილოვანი, ადვილად მოსანელებელი, ვიტამინებით მდიდარი. ცილოვანი საკვების ათვისებას ხელს უწყობს ერთდროულად ბოსტნეულის მიღება. იგი აძლიერებს საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას და თავის მხრივ შეიცავს ვიტამინებს, მინერალებს, რომლებიც აუცილებელია ძვლოვანი ქსოვილის განვითარებისთვის. ორგანული ფოსფორის პრეპარატები (ფიტინი, ლიპოცერებრინი, კლციუმის გლიცეროფოსფატი და სხვ.) ხელს უწყობენ ცხიმების ათვისებას, რაც აუცილებელია თავის და ზურგის ტვინის ნორმალური განვითარებისთვის. ბავშვთა კვების რაციონში ყოველთვის უნდა ჩავრთოთ ვიტამინები: A, B, C, PP, E. ისინი თავიდან აგვაცილებენ სასქესო ჯირკვლების და მასთან დაკავშირებული ნერვულ-სასქესო ცენტრების განვითარებაში ჩამორჩენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვების მიღების დროის დარღვევა, მისი ნაკლები მიმზიდველობა, კვების იძულება, ძალზე დიდი რაოდენობით ტკბილეულის ხმარება არის ის ფაქტორები, რომლებიც არღვევენ ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საჭმლის მომნელებელი ორგანოების თანმიმდევრულ მოქმედებას (ციკლურ ფუნქციას).

უმცროსი სასკოლო ასაკი

ამ ასაკში ყალიბდება პიროვნება, ამიტომ გატარებულ აღმზრდელობით ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გუშინდელი სკოლამდელი დღეს სკოლაში მერხთან ზის, უკვე აქვს საიმედო, მკაცრი, ღირსეული, ამაყი გამომეტყველება.

მანამდე თამაშით გართული ბავშვი ახლა უკვე მოსწავლე გახდა, რომელსაც ევალება მასწავლებლის საუბრის მოსმენა, გაკვეთლების მომზადება, საკლასო და კლასგარეშე დავალებების შესრულება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს შევადარებდი ახალწვეულ ჭაბუკებს, რომლებიც ჯარში, სრულიად ახალ გარემოში მოხვდნენ და ახალ ადამიანთა ჯგუფის წევრები არიან. ეს ძალზე საპასუხისმგებლო და რთული მომენტია. მათ მსგავსად ბავშვი ეჩვევა ამხანაგებს, პატივისცემით ეპყრობა, ცდილობს ასიამოვნოს ისინი ისე, რომ საკუთარი სრვილები არ დათმოს და ეს სურვილები დაუქვემდებაროს ნებას და გონიერებას.

ამ ასაკის ბავშვთა აღზრდაში მნიშვნელოვანია: გოგონებსა და ვაჟებს შორის წესიერი ურთიერთობა, ბავშვში ამხანაგობის და პირველი მეგობრობის გრძნობის, პატიოსნების, სიმართლის, უბრალოების, მოკრძალებულობის გამომუშავება; ამასთან ბავშვის შეგნებამდე უნდა დავიდეს პასუხისმგებლობა, მართოს თავისი ქცევები, პატივისცემით მოეპყროს მშობლებს და გარშემომყოფთ და ეცადოს დაეხმაროს მათ.

ამ ამოცანების გადასაჭრელად პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები. როგორც წესი, ყველა ბავშვი მოძრავია და ზოგჯერ მშობლების უკმაყოფილებას იწვევს მისი თამაში და გართობა, როცა ***გაკვეთილები ჯერ კიდევ არ მოუმზადებია. ამის მიზეზი თვით მშობლები არიან. მათ ხომ ჯერ კიდევ არ უსწავლებიათ მისთვის ყველა დავალების შესრულება.***

ამ პერიოდში ბავშვები უფრო ცნობისმოყვარე ხდებიან. ადრინდელი გაუთავებელი კითხვები კიდევ უფრო ხშირდება, მაგრამ ისინი გარკვეულ აზრს, სიღრმეს მოიცავენ. თუ ადრე მან ნახევარმთვარეს შეხედა და იკითხა, რატომაა ღამის მნათობი ,,გატეხილი'', ახლა შესაძლოა ასეთი კითხვა აღარ დასვას და თვითონ დაფიქრდეს მთვარის ,,გატეხვის'' მიზეზებზე. ეს გასაგებიცაა. ბავშვები ვითარდებიან, თანდათან ერკვევიან გარესამყაროში, სადაც ყოველდღიურად რაღაც უცნობი, რაღაც ახალი ხდება.

ამ ასაკის ბავშვთათვის დამახასიათებელია ერთსულოვნება. ისინი ერთმანეთის ამხანაგები, თანამოაზრეები არიან, აქვთ ერთი ინტერესი, სილაღე, მისწრაფებები, სიცელქე და მასთან დაკავშირებული წყენა. მათ შორის ჯერ კიდევ გამოყოფილი არაა მეგობარი, თუმცა ერთმანეთის მიმართ მაინც ავლენენ გულღიაობას და თანაგრძნობას.

ამ ასაკში ბავშვები საკმაოდ გულისხმიერნი არიან. საკმარისია ვინმე ავად გახდეს და ბავშვი, რომელსაც ასეთი ტანჯვა არ განუცდია, მის თავთან ჩაცუცქდება, აძლევს მიამიტურ, მაგრამ გამამხნევებელ შეკითხვებს და ამით ცდილობს სნეულს შეუმსუბუქოს ტკივილები. ***ბავშვის ამ გულისხმიერებას დროულად უნდა მოვუმზადოთ ნიადაგი და შევეცადოთ, რომ ეს თვისება კიდევ უფრო განვითარდეს და მთელი ცხოვრების მანძილზე გაყვეს.*** უმცროსი სასკოლო ასაკი ამ ჩვევის განვითარების ყველაზე ნაყოფიერი ასაკია.

ძალზე შთამაგონებლად აღწერს ამ ასაკის ბავშვთა თვისებებსა და შესაძლებლობებს ფსიქოლოგი, ნეიროფსიქოლოგი **ირინა ტერენტევა:** ,,სწორედ ამ დროს (უმცროს სასკოლო ასაკში რ. ს.) ყალიბდება ხასიათი, გრძნობები, ნება-სურვილი და სხვ. მრავალი მშვენიერი თვისება. უმცროსკლასელები ძალზე უშუალონი არიან. მათთვის, როგორც წესი უცხოა ტყუილი, ორპირობა. ისინი ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. არ შეუძლიათ თავის შეკავება, უნებლიე მოძრაობების, სიცილის, სიცელქის დამუხრუჭება. ასეთ შემთხვევებში მათ ,,უკულტუროს'' უწოდებენ, მაგრამ საქმე განა მარტო კულტურას ეხება? დააყენეთ აღზრდა სათანადო დონეზე, შეასწავლეთ თავის შეკავება, ამის შემეგ ბავშვთან თანდათანობით მოვა გარეგანი კულტურა, მრავალი სხვა თვისება და მოსაზრებები.''

ერთი ასაკობრივი კატეგორიიდან (სკოლამდელი) მეორეზე (უმცროსი სასკოლო) გადასვლას თან ახლავს ფსიქიკური პროცესების ცვლილებები. ახლა ბავშვი არა მარტო უცქერის მის გარშემო მომხდარ მოვლენებს, არამედ აკვირდება და ცდილობს მათგან გამოიტანოს რაღაც დასკვნები. აღქმის შეცვლასთან ერთად იცვლება აზროვნებაც და თანდათან სახეზეა ზოგიერთ განზოგადებაზე ლოგიკური ანალიზი.

ბავშვს ასევე თანდათან უვითარდება ყურადღებაც. თუ მას ადრე ღლიდა ერთ ადგილას ყოფნა და მოსმენა, ახლა იგი ამას მიეჩვია და აღარც იღლება. მართალია, ამ დროს მისი ნებისყოფა ჯერ კიდევ სუსტია, არა აქვს იმედი დავალების შესრულებისა, ***თუმცა მშობელი და მასწავლებელი ამ იმედს თუ ჩაუსახავენ და განავითარებენ, პირველი წარმატების შემდეგ ბავშვი უფრო იმედიანი, თვითდარწმუნებული ხდება.***

ბავშვის ხასიათის სარკეს წარმოადგენს ამხანაგებთან ურთიერთობა. ზოგი ერთმანეთის მიმართ ძალზე კეთილი, გულისხმიერი და ყურადღებიანია, ზოგი პირიქით, გაღიზიანებული, გულჩათხრობილი, ახირებული, გაბოროტებულია. საბედნიეროდ, ეს გრძნობები დროებითია და კარგად დაგეგმილი აღმზრდელობითი ღონისძიებების შედეგად, შესაძლოა საერთოდ აღმოიფხვრას და სასიკეთო ფორმა მიიღოს.

კარგსა და ცუდს არა აქვს ასაკობრივი ცენზი. ბავშვი ყოველთვის გამოხატავს სიხარულს, როცა თავის მშობელს, აღმზრდელს, ამხანაგს დაინახავს, მაგ. ეკრანზე და დიდ უსიამოვნებას განიცდის, როცა იქვე გამოჩნდება ძალადობა, მკვლელობა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები. ამ თემაზე ზეპირი საუბრები არ იძლევა შედეგს. ბავშვმა კარგი და ცუდი რომ გაარჩიოს და შესაბამისი გრძნობებიც გამოხატოს, აუცილებელია სიტყვით აღზრდას თან ახლდეს ქცევების მაგალითები: ,,სცადეთ სერიოზულად, გულმხურვალედ მამაცი ადამიანის აღზრდა. ასეთ შემთხვევაში საკმარისი არაა სულის გადამრჩენი საუბრები'' –ამბობდა ა. ს. მაკარენკო.

როცა ამხანაგობას ვახსენებთ, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა სქესის ბავშვთა ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათი. გოგო-ბიჭების კარგი ურთიერთობის გამომუშავება იწყება სკოლამდელ ასაკში, სკოლაში იგი გრძელდება, მაგრამ უფრო რთულდება. ბავშვების ღირსეული ურთიერთობა მათი შემდგომში სწორი სქესობრივი აღზრდის საფუძველთა-საფუძველია.

ამ ასაკში შეიძლება გამოჩნდეს გოგონების სქესობრივი მომწიფების პირველი სიგნალი– მკერდის ჯირკვლების წამოზრდა. ჯირკვლების ჩამოყალიბების და სიმაღლეში ზრდის მაქსიმალური ნახტომის შემდეგ უნდა ველოდოთ დედათა წესის დაწყებას.

ამგვარად, მშობლებს აქვთ სქესობრივი განვითარების წინასწარი ნიშნები, როგორ უნდა წარმართონ საუბარი ამ დროს. ამის შესახებ წინა თავებში ვისაუბრეთ და ქვემოთაც ვიტყვით.

მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ***რაც უფრო მეტად გაღიზიანდება შვილის ასეთ საქციელზე, მით უფრო მეტად გამოავლენს მისივე ნაშიერი მტრობას, უნებისყოფობას, დაუმორჩილებლობას და თვითნებობას.*** ყმაწვილი განსაკუთრებით ძალზე მტკივნეულად განიცდის უფროსების, თვით მშობლების შენიშვნებს, რჩევებს, რომლებიც თანატოლებთან ან მეორე სქესთან მის ურთიერთობას ეხება. ახლა ის თვითონვე ეძებს ამხანაგს, მეგობარს, ვისაც თავისუფლად შეეძლება თავისი მოძალებული გრძნობები და განცდები გაანდოს.

უფროსების მხრიდან მეგობრის ძიების აკრძალვა მას კიდევ უფრო გულჩათხრობილს ხდის და ცდილობს თავისი განზრახვა საიდუმლოდ აღისრულოს.

საწინააღმდეგო სქესთან ინტერესს გოგონები და ვაჟები სხვადასხვაგვარად ავლენენ. როგორც ვთქვით, გოგონების სქესობრივი მომწიფება იწყება ადრე, თითქოსდა ახლა მოვიდნენ ამ ქვეყნად, გამოცოცხლდებიან, კეკლუცობენ, ერთმანეთს შორის ხშირდება ბიჭებზე ლაპარაკი, თუმცა ამ ინტერესს უმალავენ ახლო მყოფთ. ბიჭებიც ავლენენ გოგონების მიმართ ინტერესს, თუმცა უფრო კარჩაკეტილნი, გაუბედავნი არიან, ეშინიათ კიდეც ჭეშმარიტი გრძნობების გამჟღავნებისა. თავის ამხანაგებსაც კი ვერ ანდობენ. მშობლებსა და აღმზრდელებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

შესაძლოა მშობლებს არ გამოეპაროთ შვილების ასეთი ქცევები, თუმცა უხეში შენიშვნებით, „შენს ასაკში მე..." და ასეთი მიმართვებით შეიძლება კიდევ უფრო შეუწყონ ხელი მოზარდის კარჩაკეტილობას. ეს ცოტაა. ***თუ ამ შენიშვნებს თან ახლავს დაცინვა, შეიძლება მოზარდმა ვერ აიტანოს სულიერი ტრავმა და თავს რაღაც უბედურება შეამთხვიოს.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსიყვარულე მშობლები ამ დროს გონიერად, მეტი ტაქტით, თავშეკავებით ექცევიან თავიანთ შვილებს, ცდილობენ გაუგონ მათ და დაეხმარონ უხეშობისა და საკუთარი აზრების თავს მოხვევს გარეშე. პირიქით, ყმაწვილს თავიდან უნდა ააცილონ უხეშობა და ეგოიზმის გრძნობები, ***შთააგონონ, რომ ახლა მას შეუძლია ჩაიდინოს დიდი სიმამაცე და გმირობა, აღმოფხვრას შიში და გაუბედაობა.***

წარსულში ქალთა და ვაჟთა განათლება განცალკევებული იყო. გოგონები და ვაჟები ცალ-ცალკე იზრდებოდნენ, რაც ამწვავებდა ერთმანეთთან დაახლოების სურვილს. ახლა ისინი ბაღშიც და სკოლაშიც ერთად არიან, რაც მათ ერთმანეთთან ადრეული ასაკიდან აახლოებს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში ასეთი დაახლოება ანელებს სქესობრივი გრძნობის უეცარ მოზღვავებას.

სხვათაშორის, ამ მხრივ ჩრდილოეთის ქვეყნები უფრო შორს წავიდნენ. ადრეულ ასაკში ბაგის და ბაღის გოგონები და ბიჭები ზაფხულობით სულ ტიტლიკანები ერთად თამაშობენ, რითაც ისინი ეჩვევიან გარეგან განსხვავებას და ყმაწვილობის ასაკში თითქოს ამითაც ნელდება მათი ურთიერთლტოლვა (ლიბიდო).

* * *

თხილის ბუჩქის ძირას, მწვანე მოლზე მოთამაშე ბავშვებს ორი გამოეყო. სამიოდე წლის გოგოს და ბიჭს ნელი სიო პერანგებს უფრიალებს და აშიშვლებს. ქვედა საცვლები არ აცვიათ.

–შენ ლა გაქვს? –ენამოჩლექით ეკითხება ბიჭი.

–არაფერი– პასუხობს გოგო და სხარტად ხელს იფარებს.–შენ რა გაქვს? –ახლა ის ეკითხება.

–ბიჭმა პერანგი აიწია.

გოგო აკვირდება მას წელს ქვემოთ.

–გტკივა? –ეკითხება.

–ალა. –პასუხობს ბიჭი.

თხილთან მიმჯდარ ბებიას კისერი წაუგრძელებია და ამ დიალოგს უსმენს. არ ტუქსავს ბავშვებს იმის გამო, რომ ერთმანეთს აკრძალულ ადგილებზე უცქერენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედაც იქცევა. დეე, პატარაობიდანვე მიეჩვიონ ბავშვები ერთმანეთში არსებულ განსხვავებებს. მოკრძალება, მორიდება, სირცხვილის გრძნობა ჩვენი გონიერი შენიშვნებით შემდეგში გამოუმუშავდებათ.

ტრადიციებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოეთის ქვეყნების მაგალითების განხორციელება ძნელია, ამიტომ ჩვენი ერთად ერთი გზა არის პატარაობიდანვე შთაგონება იმისა, რომ საწინააღმდეგო სქესი მისგან პატივისცემას, მორიდებას და დაფასებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით ეხებათ ვაჟებს. გოგონები მათში დამხმარეს, მფარველს უნდა ხედავდნენ, თანაც უნდა ამაყობდნენ, რომ ასეთ ყურადღებას, მფარველობას იმსახურებენ.

უფროსი სასკოლო ასაკი (15-19 წ.)

ამ პერიოდში მთავრდება სქესობრივი მომწიფება, რომელიც, როგორც ვთქვით ყველაზე რთულ, ფიზიოლოგიურ მოვლენად ითვლება. იგი თითქმის 3-5 წელს გრძელდება. ყმაწვილი ბიჭი ჭაბუკად, ყმაწვილი* გოგონა ქალიშვილად გარდაიქმნებიან. ეს პროცესი ნერვული სისტემის და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტივობას იწვევს.

ორივე სქესში ადგილი აქვს სასქესო ჰორმონების (ესტეროგენების და ანდროგენების) გამოყოფის მომატებას, რომლის დიდი ნაწილი სისხლში გადადის. ამ ჰორმონების ზემოქმედებით საბოლოოდ ყალიბდება სასქესო ორგანოთა სისტემა,იწყება მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება (ულვაში, ბოქვენის და იღლიის ფოსოს თმიანობა, ხმის შეცვლა და სხვ.), ბიჭების სხეული კუნთოვანი ხდება, მხრები ფართოვდება.

როგორც უკვე ვიცით, სქესობრივი მომწიფება ვაჟებში 13-14 წლის ასაკში დაიწყო, როცა ,,გატყდა'' ხმა, გაჩნდა პირველი თმიანობა, იზრდება სხეული და მისი ნაწილები: ასო, წინამდებარე ჯირკვალი, გოგონებში საკვერცხეები. 15-16 წლის ასაკში ვაჟებს ეწყებათ თესლის გამოყოფა ძილში(პოლუცია) დაეროტიკული სიზმრები. ხშირ შემთხვევებში ეს პროცესები მოზარდთა კმაყოფილებას იწვევენ, თუმცა ზოგიერთებს

*უძველესი ქართული ტერმინი: ყმა და წული-სგან წარმოსდგება. ყრმა, მოყმე ვაჟია, ხოლო ,,ყრმაი ქალწულას უწოდებენ (საბა). მოყმე-ს, ყრმა-ს ხშირად იყენებს დიდი რუსთველი, ქართულ გენიალურ ბალადაში სათაურადაც გამოტანილია ,,ლექსი ვეფხისა და მოყმისა,'' დიდმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა კი ერთ თავის მოთხრობას ,,ყმაწვილები ჭალაში'' დაარქვა. ყოველივე ამის შემდეგ გასაოცარი და დასანანია, რომ ვინც საკუთარ მშვენიერ სიტყვას უნდა იცავდეს (ტელეჟურნალისტი, პედაგოგი და სხვ.), ხშირად ხმარობს ,,თინეიჯერს.'' რითი სჯობია იგი ყმაწვილს, ჟღერადობით თუ ლაკონურობით? გაუგებარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი აშინებს, აღელვებს და დეპრესიულ მდგომარეობაში აყენებს, განსაკუთრებით გოგონებს, რომლებსაც როგორც სქესობრივი მომწიფება, ისე პოლუცია (საშვილოსნოდან და ბართოლინის ჯირკვლებიდან სითხის გამოყოფა) ადრე ეწყებათ.

სიზმარეულ პოლუციას ახლავს სიამოვნების, ტკბობის შეგრძნება, თუმცა არა ისეთი მძაფრი, როგორც სქესობრივი კავშირის დროს. ასეთი შეგრძნება, რომელსაც ორგაზმი ჰქვია, არის მომწიფებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებში შესაბამისი ჰორმონების გამოყოფის, ერთმანეთის მიმართ ურთიერთლტოლვის გაგრძელება.

ღრმა ინტიმური შინაარსის მიუხედავად, თვით ორგაზმზეც შეიძლება მოზარდთან (და არა ბავშვთან) საუბარი. თუმცა დასაწყისშივე ამ თემაზე ადამიანის მაგალითის მოტანა სახიფათოა.

ჯერ უნდა ავხსნათ სამყაროში ყველა ცოცხალი არსების (ბუზების, ფრინველების, თევზების, ცხოველების) გამრავლების აუცილებლობა. ამისთვის ორი საპირისპირო სქესის შეჯვარების აუცილებლობა, მათი ურთიერთლტოლვა, რაც მოზარდმა, შესაძლოა შინაურ ფრინველებსა და ცხოველებში თავადაც შენიშნა („მამალი ჩინჩლავს”).

და შემდეგ ავხსნათ, რომ ამ ლტოლვის მიზანია რაღაც სასიამოვნო განცდის შეგრძნება. ასევეა ადამიანიც. იგი ორგაზმის დროს ამას განიცდის; სწორედ ეს გრძნობა უბიძგებს მას, რაც შეიძლება ხშირად განმეორდეს ბუნების კანონზომიერებით მონიჭებული უზენაესი ნეტარება.

ამ შეგრძნების გარეშე სქესობრივი კავშირი, როგორც ვაჟის, ისე ქალის მხრივ, იძულებითი, მოსაბეზრებელი, ზიზღის აღმძვრელი იქნებოდა და მას მხოლოდ მოვალეობის მოხდის სრულიად უინტერესო მიზანი ექნებოდა.

,,ბუნება მბრძანებელია.'' ახალი ადამიანის გაჩენა ორი სქესის ურთიერთლტოლვა (ლიბიდო) და სქესობრივი კავშირი (კოიტუსი) ბუნებამ შეავსო სასიამოვნო ტკბობის შეგრძნებით; სხვაგვარად არ იქნებოდა ასეთი ურთიერთმიზიდულობა, სქესობრივი კავშირი დაკარგავდა ინტერესს და კაცობრიობა გადაშენდებოდა.

ასეთი საუბრით მოზარდი დარწმუნდება, რომ სქესობრივი კავშირი არის არა რაღაც სასირცხო და საძრახისი ქცევა, არამედ ბუნების კანონზომიერება, ოღონდ მიზანმიმართულ და ზომიერების ფარგლებში.

ჩვეულებრივ, პოლუცია მეორდება 10 დღიდან 2 თვემდე შუალედ პერიოდში. მისი გახშირება დამოკიდებულია ან ჭაბუკის ორგანიზმში შინაგანი სეკრეციის სისტემის სერიოზულ დაავადებასთან, ასოს თავის ანთებასთან, ან კიდევ ოჯახურ აღვირახსნილობასთან, როცა მშობლები შვილების წინაშე მართავენ ეროტიკულ სცენებს (კოცნა, ალერსი) და თვით სქესობრივ აქტსაც. თვითონვე ხდებიან მიზეზი ეროტიკული გამღიზიანებლების ჩვენებისა: ფოტოსურათები, ნახატები, ლიტერატურა, კინოფილმი, ინტერნეტი და სხვ.

ასოს თავის გაღიზიანება და ანთება ძირითადად თან ახლავს ჰიგიენური წესების დარღვევას. ჩუჩის ნაოჭებში ხშირად რჩება შარდის წვეთები. პოლუციის შემდეგომ დარჩენილი თესლი, აგრეთვე ჩუჩის სეკრეტი– სმეგმა, რაც თავის მხრივ ხდება ასოს თავის ანთების მიზეზი. ამიტომ ამ ორგანოს ყოველდღიური ჰიგიენა, ჩამობანვა და გათავისუფლება ნარჩენებისგან, თავიდან აგვაცილებს ანთებითი პროცესების განვითარებას.

რაც შეეხებათ გოგონებს, გარდამავალი პერიოდი გაცილებით ადრე ეწყებათ. 10-12 წლის ასაკში ამოიზრდება სარძევე ჯირკვალი, დვრილები მოყავისფრო ხდება (პიგმენტაცია), სხეული ქალის ფორმას ღებულობს, ფართოვდება მენჯი, სწრაფად იზრდება გარეთა სასქესო ორგანოები, მატულობს წონა, ყოველივე ეს მენსტრუაციის დაწყებამდე ვითარდება, თუმცა ამ პროცესის დაწყებაც არ ნიშნავს სქესობრივ მომწიფებას.

მენსტრუალური ციკლი დროში უწესრიგოდ ნაწილდება, ხან ძალზე ადრე, ხან კიდე გვიან მეორდება, 16 წლის ასაკში კი იგი ღებულობს ნამდვილ რითმულ და ციკლურ ხასიათს.

ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებთან ერთად სქესობრივი მომწიფება ხასიათდება აგრეთვე ახალი ფსიქო-ფიზიოლოგიური მომწიფებითაც, რომლებიც გოგონებსა და ვაჟებში ძალზე სხვადასხვაგვარია. ვაჟები ასეთ დროს სრულიად შეგნებულად ცდილობენ დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილება. თუ ამას რაიმე გადაეღობება, შესაძლოა მის ხასიათში ნევროტულობამ იჩინოს თავი. თავის თავთან მარტოდ დარჩენილი ჭაბუკი ვერ გარკვეულა რა მოსდის. ამიტომ ***მშობლებმა და აღმზრდელებმა მისი ასეთი ძლიერი მოთხოვნილება და ბუნდოვანება უნდა გადაიყვანონ სოციალურად საჭირო კალაპოტში, გაუღვივონ ინტერესი სასწავლო-***

შრომითი პროცესების მიმართ, სპორტულ ვარჯიშებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გაცნობაზე და საერთოდ ქცევების კულტურული ნიშნების ათვისებაზე.

მშობლები ვაჟის ასეთ ქცევებს ზოგჯერ ვერ ამჩნევენ, ან ალალბედს მიანდობენ. მათგან აუცილებელი რჩევების მიუღებლობას ჭაბუკი შეავსებს თავისი ,,ავტორიტეტული'' ამხანაგებისგან, რომელთაც აქვთ ამის ,,გამოცდილება.'' სინამდვილეში ეს გამოცდილება არის მახინჯი და უხამსი, რასაც წმინდა გრძნობებთან არაფერი აქვს საერთო, არ შეიცავს გოგონების მიმართ ტაქტს, ზნეობრიობას და პატივისცემას.

ამგვარად, სქესობრივი საიდუმლოს გამხელის პირველივე ნაბიჯებიდან უხამსი ხდება სპეტაკი გრძნობა ქალიშვილის, მეუღლის, ზოგადად ქალის მიმართ. გადახრებს აძლიერებს ისიც, რომ ამ ასაკში ბიჭებს ახასიათებთ სწრაფი გატაცება, აფეთქებები, თავდავიწყებით შეყვარება, როცა ჭაბუკი ან ქალიშვილი არად აგდებს გარეგნობას და ასაკს, იდეალურად ეჩვენება თავისი რჩეული, რომელშიც მხოლოდ ღირსებებს ხედავს, ნაკლოვანებებზე კი თვალებს იბრმავებს. ასეთ დროს კარგია, *თუ მშობლები ვაჟს აუხსნიან იმ თვისებებზე, რომლებიც ქალს უნდა ქონდეს დედობის* **დროს;** გოგონებში უნდა გამომუშავდეს სიამაყე, რომელსაც უნდა ახლდეს მოკრძალება, სინაზე, კეთილშობილება და დასახული მიზნის მიღწევისათვის სიმტკიცე და ნებისყოფა. კარგია, როცა გოგონა თავის რჩეულში ხედავს ძლიერ, ჭკვიან, მოკრძალებულ მეგობარს, რომელთანაც შრომა, სწავლა და დასვენება სიამოვნების მომგვრელია.

ჩვენ საუბარი გვქონდა განვითარების იმ უმნიშვნელოვანეს პერიოდზე, როცა ახალგაზრდა თავისი ქმედებით იმზადებს არამარტო საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოსვლის, არამედ მშვიდი სიბერის საგზალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონების და ვაჟების ურთიერთობა სკოლაში

(ამხანაგობა და მეგობრობა)

სხვადასხვა სქესის ბავშვთა ურთიერთობას დაწყებითი სკოლის ასაკიდან უნდა მიექცეს მშობლების და აღმზრდელების ყურადღება.

გოგონების, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკური და სქესობრივი განვითარების პროცესი ადრე იწყება, ამიტომ ამხანაგური ურთიერთობის სურვილი მათ ადრე უჩნდებათ, ვიდრე ვაჟებს. ესაა: ერთად თამაში, თავის გარეგნობისადმი ყურადღება, კოხტად ჩაცმა და ა. შ. მშობლებს არ უნდა გაუკვირდეთ მათი მეორე კლასელი შვილის კეკლუცობა და ახალი ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მოთხოვნა. კარგია, ამ მოთხოვნას და სურვილებს თან თუ ახლავს ქცევა, იყოს წესიერი, ფაქიზი და სუფთა.

გოგონების თანატოლი ბიჭები ამხანაგობის სურვილისგან და სიკოხტავისგან ჯერ კიდევ შორს არიან. მათი ტანსაცმელი დაუდევრობით განცვიფრებთ, ქცევები ხომ თავგასულია.

უმცროსი სასკოლო ასაკი, როგორადაც ნაადრევად არ უნდა მიგვაჩნდეს, ითვლება სხვა და სხვა სქესის ბავშვთა ურთიერთობის აღზრდის საფუძვლად.*აქ პირველ რიგში ბიჭებს უნდა ჩავუნერგოთ თანაკლასელი გოგონების დაცვის გრძნობა.*მაშინ მოზრდილ ასაკში აღარ გაგვიკვირდება, თითქოსდა კულტურულ ოჯახში აღზრდილი კაცი ქალების მიმართ რატომ არის უხამსი, ნაკლებთავაზიანი, მოურიდებელი. პასუხი ერთია: უმცროს სასკოლო ასაკიდან დაწყებული, იგი ქალთაგან მხოლოდ დედას სცემდა პატივს, ხოლო თანაკლასელ გოგონას, მეზობელს, უცნობი ქალის მიმართ მოკრძალებას კი ვერ მიეჩვია.

ქალების მიმართ თავაზიანობა განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენს დროში, როცა ისინი მამაკაცის მხარდამხარ სწავლობენ, შრომობენ, ასრულებენ ისეთ საქმეს, რომელიც ადრე მხოლოდ მამაკაცს ასდიოდა ხელზე. სწორედ ამიტომ უნდა აითვისოს ეს ქცევა ბავშვმა უმცროსი სასკოლო ასაკიდან, რათა გაილამაზოს და გააკეთილშობილოს თავისი ცხოვრება.*თავაზიანობა ისევე უნდა ვასწავლოთ, როგორც წერა-კითხვა, ბუნება, გეოგრაფია და ა. შ.*

რითი უნდა დავიწყოთ სწავლება? პირველ რიგში ის თანაკლასელ გოგონას უნდა დაეხმაროს საკლასო ოთახის დალაგებაში, მერხების და დაფის გაწმენდაში, წყლის მოტანაში და ნაგვის გატანაში. მას უნდა გამოუმუშავდეს ჩვევა, რომ გოგონას კარებში არ გაეჩხიროს, წინ გაუშვას, ადგილი დაუთმოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხმაროს პალტოს ჩაცმაში. სამწუხაროდ, ბიჭების დიდი ნაწილი ამ ყურადღებას არ იჩენენ და ეს პირველ რიგში ოჯახის ნაკლია, ისინი მოუქნელები, ფიცხი, უხეში, საბოლოოდ უკულტუროები არიან.

ყურადღება უნდა მიექცეს სტუმრად მოსული ბავშვების, გოგონების და ბიჭების ქცევას, ურთიერთობას, მათ მიერ დაყრილ ქაღალდის ნაგლეჯებზე არ უნდა გამოვხატოთ საგანგებო უკმაყოფილება, ***მშვიდად მივუთითოთ, რომ თვითონ აალაგონ ზედმეტი ქაღალდები. არ გავუბრაზდეთ, პირიქით, ვთხოვოთ, კვლავ გვესტუმრონ. ამით მათ ჩვენ დვიახლოვებთ, ერთმანეთის მიმართ კი პატივისცემით განიმსჭვალებიან.***

ბიჭების და გოგონების ურთიერთობის საუკეთესო ფორმად ითვლება დაბადების დღის ზეიმი. ჩვეულებრივ, გოგონებს მარტის დღესასწაულებს ულოცავენ, ბიჭებს ქართული არმიის შექმნის დღეს, არის სხვა რელიგიური დღეებიც, რომელთა ნაწილი ქალებს, ნაწილი ვაჟებს ეკუთვნით. ასეთ დროს ისინი ერთმანეთს საჩუქრებს გადასცემენ ხოლმე, ნაყიდს, თავიანთ ნახელავ საგანს, ნახატს და ა. შ. კარგია შეხვედრა სახლში თუ გაიმართება, თუმცა ბოლო ხანებში პატარა, სპეციალურად გამოყოფილ კაფეებში, სადაც არის მუსიკა, საცეკვაო მოედანი და ყავთ ამ შეხვედრის წინამძღოლი, ყველაფერი კარგად იწყება და მთავრდება. ***აქაც თუ მშობლები სადღაც კუთხეში სხედან და აკვირდებიან თავიანთი შვილის ქცევებს, ურთიერთობას თანატოლებთან, რა თქმა უნდა, შედეგიც უკეთესია.***

დასვენების დღეებში ჩვენი ბავშვები ჩვეულებრივ, ტელევიზორს უცქერენ და კომპიუტერს ჩაჰკირკიტებენ. ზემოთაღწერილი შეხვედრები უნდა მოეწყოს არამარტო დაბადების დღის და სხვა ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად, არამედ შეიძლება მათი გამართვა შაბათ-კვირას, როცა ბავშვებს ძალიან დიდი თავისუფალი დრო აქვთ. აქ შეიძლება მოეწყოს ლექსების კითხვა, ამოცანების ამოხსნა, სიმღერებზე ერთმანეთისთვის ხმის შეწყობა; გოგონები ამ დროს განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას გამოხატავენ და ყველას თვალში ჭეშმარიტი დიასახლისის სახით წარუდგებიან.

უფროს კლასებში მაღალი კულტურის გამოსამუშავებლად მშვენიერი პირობები იქმნება თეატრში, მუზეუმში, გამოფენებზე, პარკებში ერთად ყოფნით. ასეთ ადგილებში ჩვეულებრივ, მთელი კლასი ერთად მიდის; ***კარგია თუ ამ დროს მათთან***

ერთად იქნებიან მშობლებიც. რათქმაუნდა, ყველა ვერ შეძლებს ბავშვებთან ერთად წასვლას, ამიტომ ერთნი თეატრში, მეორენი მუზეუმში და ასე შემდეგ, ბავშვებს გაყვებიან. სწორედ ასეთ ადგილებში ყველაზე კარგად გამოჩნდება ბიჭების თავაზიანობა გოგონების მიმართ, გოგონების მოკრძალებულობა და სიფაქიზე. დაბრუნების შემდეგ იქნება ერთგვარი გარჩევა, შთაბეჭდილებების გაზიარება, მაგრამ ნანახის შემდეგ არამც და არამც დამდურება, გაუგებრობა, მითუმეტეს მტრობა, რადგანაც ყველა მათგანს იზიდავს საერთო რომანტიკა.

ბავშვებში აუცილებლად უნდა გამომუშავდეს ადამიანების მიმართ ყურადღება, ავადმყოფზე, ხანდაზმულზე და ხეიბარზე დახმარების გრძნობა. ამ მიზნით კარგ შედეგს იძლევა მოხუცებულებთან ჯგუფური მისვლა. სოფლად ბიჭები შეშასაც დაჩეხავენ, წყალსაც მოიტანენ, გოგონებსაც დაეხმარებიან თეთრეულის გარეცხვასა და საკვების მომზადებაში. სხვათაშორის, ასეთ ადგილებში ყველაზე კარგად ხდება ქალის და კაცის საოჯახო საქმეების გამიჯვნა. გარდა ამისა, ბავშვი ეჩვევა სხვების ტანჯვის გაზიარებას, სიქველეს და კაცთმოყვარეობას.

ზემოთქმულის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მიუხედავად, *მშობლები ზოგჯერ პირიქით იქცევიან, ბიჭებს უკრძალავენ გოგონებთან თამაშს და გართობას,* რაც მათს დაშორიშორებას იწვევს. ასეთ დროს ბავშვები ცდილობენ უფროსებისგან მალულად სახლთან ახლოს ან სადღაც მივარდნილ ადგილას ითამაშონ, რაც მათ გამოუმუშავებს კარჩაკეტილობას, სიცრუის გრძნობებს.

ბავშვები ადრიდანვე უნდა ჩავაბათ საოჯახო საქმეებში. ისინი საოჯახო მეურნეობის თანამონაწილენი უნდა გახდნენ და მშობლებს ნებისმიერ საქმეში ეხმარებოდნენ. თვალს სიამოვნებდა ქართულ სოფელში დიდ ცელთან და თოხთან ერთად ეს იარაღები პატარებსაც რომ ჰქონდათ. მამას ზამთარში შეშის მოსატანად პატარა ციგით ათიოდე წლის ყმაწვილიც რომ ახლდა, ხვნის დროს ბიჭების მეხრეობა ხომ მთელი საქართველოს წეს-ჩვეულებად ითვლებოდა. ანალოგიური იყო გოგონების პატარა კეცი, ქვაბი, პატარა საჩეჩელი და ხერტალი.

ბავშვები საოჯახო ეკონომიკასაც კარგად უნდა იცნობდნენ, რათა არ მოითხოვონ იმაზე მეტი ხარჯი, რაც გააჩნიათ. *მშობლები ზოგჯერ კანიდან ძვრებიან და ცდილობენ მეოთხე კლასელ გოგოს ან ბიჭუნას შეუძინონ ძვირფასი საათი, მეშვიდეკლასელს ველოსიპედი, შემდეგ მოტოციკლი და ა. შ.* მაგრამ იმას არ

ფიქრობენ, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ასეთი ფსიქოლოგიით აღზრდილი ჭაბუკი მანქანითაც არ დაკმაყოფილდება და სხვა, კიდევ უფრო გაუგონარ საგანს მოითხოვს, არც კი იკითხავს, შეუძლია თუ არა ოჯახს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. აქედან იწყება საოჯახო კამათი, წინააღმდეგობები, რაც ზოგჯერ სავალალო შედეგით მთავრდება.

ასეთი უსიამოვნება არ მოხდება, თუ უფროსები შეეცდებიან ოჯახის ბიუჯეტის მიმართ ბავშვებს ააცილონ დაუდევარი დამოკიდებულება. ეს კი შესაძლებელია, თუ ისინი იმთავითვე შეეჩვევიან საგნის დროულად შეძენას, ოჯახის ხარჯების მიმართ სიფრთხილეს. ბავშვებს საშუალება უნდა მიეცეთ დამოუკიდებლად გასწიონ ხარჯი არამარტოპირად, არამედ საოჯახო საჭიროებაზე, მაგრამ ამას თან უნდა ახლდეს ხარჯების დანიშნულება და ყოველდღიური შემოწმება, თუ რამდენად სწორად იქნა იგი გაწეული. ამით ჩვენ მოზარდს ვასწავლით ხელმომჭირნეობას, სიფრთხილეს, ნაცნობ-მეზობლების მაგალითზე შთავუნერგავთ იმ საშიშროებას, რაც ოჯახის გაღატაკებას და გაკოტრებას მოსდევს.

უმცროსკლასელების კავშირი თანატოლებთან გამოიხატება ***ამხანაგობაში,***რომელსაც არა აქვს შერჩევითი ზღვარი, სამაგიეროდ მოზარდები ამ გრძნობას ინარჩუნებენ და კიდევ უფრო აღრმავებენ, რაც ***მეგობრობაში***გადაიზრდება ხოლმე, ამიტომ სხვადასხვა სქესის მოზარდებს შორის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრობის გრძნობის კიდევ უფრო გაღვივებას, მომწიფებულ ამხანაგებთან წესიერ ურთიერთობას, მეორე სქესის ღირსებების და მისწრაფებების პატივისცემას. მოზარდებმა უნდა ისწავლონ მეგობრებთან ლამაზი ურთიერთობა, სიწმინდე და ზნეობრიობა.

უმცროსკლასელების ამხანაგობისგან განსხვავებით, უფროსკლასელების მეგობრობას არჩევითი ხასიათი აქვს. კლასში მას შეიძლება ყავდეს ბევრი ამხანაგი, მაგრამ მათ შორის მეგობარი შეიძლება ერთი-ორი იყოს.

მეგობრის მცნება მოზარდებს სხვადასხვაგვარად ესმით: ზოგი ამას ალღოთი აკეთებს, ზოგი ფიქრობს, რომ შეუძლია ნებისმიერ გოგონას ხელი დაადგას და მეგობრობა შესთავაზოს; ზოგს სკოლაში მეგობრობა სახიფათოდ მიაჩნია, ფიქრობს, რომ ამხანაგები დასცინებენ, ამიტომ ურჩევნიათ ამ თემაზე ტელეფონით ესაუბრონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კეთილი გრძნობები ბუნებრივად, თავისით მოდის, მას ვერაფრით ვერ მოიფიქრებ. თუ მშობლები ამ მოვლენას მშვიდად ხვდებიან, ქალ-ვაჟის მეგობრობა ძალზე საინტერესო ხდება. მოზარდები ზოგჯერ კითხულობენ: ვის შეიძლება უწოდო მეგობარი? ამაზე ***მშობელიც და აღმზრდელიც ზოგჯერ მხრებს იჩეჩავს.***ერთ მოზარდს მიაჩნია, რომ მეგობარი ლამაზი უნდა იყოს, მეორე მეგობრად თვლის ვინც კარგად ცეკვავს ან მღერის, ან კიდევ ეხმარება დავალების შესრულებაში, ახლოს, მეზობლად ცხოვრობს და ა. შ. არიან გოგონები, რომლებსაც მეგობრის ამორჩევაში ანგარება ამოძრავებთ: ,,მდიდარია, მანქანით დადის, კაფეში მპატიჟებს'' და ა. შ. ეს, რათქმა უნდა, საშიშია, რადგანაც ასეთ დროს გოგონამ შეიძლება თავისი ღირსება დათმოს, მოითმინოს უხეშობა, მოურიდებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დროს კაფეში ატარებინებს, ან მანქანით ასეირნებს.

როგორ ფიქრობთ, ანგარების ნიადაგზე აღმოცენებული მეგობრობა და შექმნილი ოჯახი მტკიცე იქნება? შემდგომში ხომარ გაღვივდება ანგარების გრძნობა, არ გადაიქცევა იგი მოხვეჭის დაუოკებელ სურვილად და ხომ არ გახდება ოჯახის დანგრევის მიზეზი? დიახ, ეს ასეა.

არის შემთხვევები, როცა მოზარდმა არ იცის, რატომ დაუმეგობრდა გოგონას, ან პირიქით, გოგონა ვაჟს. არ იცის, იმიტომ, რომ ამ თემაზე მისთვის არავითარი განმარტება და რჩევა-დარიგება არ მიუციათ. ამიტომ სანამ არ დაგვიანებულა, ***მშობელმა და აღმზრდელმა მოზარდს უნდა აუხსნან ნამდვილი მეგობრობის არსი; რომ ნამდვილი მეგობარი შეიძლება იყოს:*** მიმნდობი, კეთილშობილი, თავაზიანი, ერთგული, გონიერი, გოგონებთან და ბიჭებთან ურთიერთობაში, მიზანმიმართულად მეგობრის დამცველი, დამხმარე, ცუდ საქციელზე მეგობრის კეთილი მრჩეველი, მეგობრისადმი მომთხოვნი და თავადაც მეგობრის შენიშვნის მიმღებ-გამზიარებელი.

ყველაზე მეტად საშიშია, როცა მოზარდი არაფრად აგდებს არც მეგობრის შეძენას და არც მასთან კავშირის გაწყვეტას, მისთვის სულერთია ვისთან იმეგობრებს. არადა მას ცხოვრება მოუხდება არა ათობით მეგობართან, არამედ ერთად-ერთ ადამიანთან, რომელთანაც უნდა შექმნას ოჯახი. ასეთი ფარვანები კი ნამდვილ, მტკიცე ოჯახს ვერასოდეს შექმნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის ზნეობრივი საფუძვლები

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სფეროს მსგავსად, ქორწინებამ და ოჯახმაც დიდი და რთული გზა განვლო. მონათმფლობელობის ხანაში ქალი მეუღლის ისეთივე მონა იყო, როგორც სხვა მონები და ასრულებდა მის ყველა ბრძანებას და სურვილებს. ამავე დროს ქმარი სარგებლობდა სქესობრივი თავისუფლებით.

ფეოდალიზმის ხანაში მემამულე ფლობდა ყმების, როგორც ქონებას და სიცოცხლეს, ასევე მათს სიყვარულსაც. ,,პირველი ღამის უფლება'' მაშინ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ჩვენს დროში ქვეყნიერებაზე ბევრი რამ შეიცვალა. ადამიანი, როგორც ნივთი, საკუთრება აღარაა, პირველ ღამესაც დაქორწინებულები ერთად ატარებენ, ***მაგრამ კულტურულმა რევოლუციამ ახალი საფიქრალი გაგვიჩინა. ეკონომიკურმა ურთიერთობამ, ქალთა უფლებების შელახვამ და მათზე ბატონკაცურმა დამოკიდებულებამ, საცხოვრებელი ბინების ნაკლებობამ,*** ზოგჯერ რასიულმა დისკრიმინაციამაც, პორნოგრაფიული ლიტერატურის, ფილმების, ტელეგადაცემების, ინტერნეტის ფართოდ გავრცელებამ დიდად შეუწყო ხელი სქესობრივ აღვირახსნილობას, პროსტიტუციის გახშირებას და გარყვნილებას, რაც მოზარდთა თვალწინ ხდება და ჯერ კიდევ ყმაწვილობის ასაკში ხრწნის მათ.

ახალგაზრდობის მორალური საფუძვლების მორყევამ ხელი შეუწყო ვენერული სნეულებების გავრცელებას. ამერიკის ერთ-ერთი ჟურნალი ,,პლეინ ტრუსი,'' წერს, რომ ,,ჩრდილო ამერიკაში ვენერული სნეულებები გასცდა ექიმთა კონტროლს.'' ასე ხდება ყველგან, სადაც ოჯახებში სქესობრივი ცხოვრება წუთიერ სიამოვნებად მიაჩნიათ; ამას თან ახლავს ხშირი გაყრა და ოჯახის დანგრევა.

ახლა უკვე შორსაა ის დრო, როგორც ოჯახის არასრულუფლებიანი წევრი, ყველაფერში ქმარზე იყო დამოკიდებული, მის გარეშე ვერავითარ საკითხს ვერ წყვეტდა, შეზღუდული იყო მისი დასაქმება, განათლების, ქონების საკუთრება, განქორწინების უფლება და ა. შ. მეუღლესთან გაყრის უპირატესობით სარგებლობდა ქმარი, ადამიანური ურთიერთობანი, მათ შორის სიყვარულიც, იზომებოდა ქონებრივი მდგომარეობით, დიდი ფულით.

ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება არამარტო სქესობრივი ურთიერთობები, არამედ ქცევის სხვა ნორმებიც, ჩვევები, სირცხვილის გრძნობა და

ა.შ.**ი. ლიპე** თავის ნაშრომში ,,საგანთა წარმოშობა'' (1954 წ. გვ. 259) აღწერს სამხრეთ აფრიკის ტომს, სადაც ქალებს არ რცხვენით სიშიშვლისა, მაგრამ ,,საშინლად რცხვენიათ, თუ მათ სუფრასთან წაასწრებენ,'' ან ქსოვილის ნაჭრით თავი არ ექნებათ დაფარული.

მართალია, ასეთი წესები მხოლოდ ზოგ ხალხებში გვხვდება და იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ რაკი ის არსებობს და ჩვენს მოზარდ თაობას ადვილად შეუძლია მას თვალი მოჰკრას, ***აუცილებელია მშობლებმა იზრუნონ თავიანთი შვილების ეთიკური სიწმინდისა და სისპეტაკისთვის. სწორედ ამიტომაა საჭირო აღმზრდელობითი საქმიანობის დაწყება ადრეული ბავშვთა ასაკიდან.***

ახალგაზრდობის ურთიერთსიყვარულის საუკეთესო საშუალებად ითვლება ოჯახში ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნა, მეუღლე-მშობლების ურთიერთსიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა, ბავშვების სიყვარული და პირიქით, ბავშვების მხრიდან მშობლების, დების, ძმების სიყვარული. ამის საფუძველზე შეიძლება აღვზარდოთ ამხანაგობის გრძნობა, მეგობრობა, შრომისადმი დამოკიდებულება, სკოლის, სამშობლოს სიყვარული.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყავს ისეთი მშობლები, რომლებიც ბავშვებთან გულგრილად, ზერელედ და უყურადღებოდ იქცევიან, ახასიათბთ უზნეო საქციელი, თავის თავს არ აკონტროლებენ, მცონარობენ და ა. შ. ყოველივე ამის შემხედვარე ბავშვი მშობლისგან ცუდ ჩვევას იძენს, აქვთ ზნეობრივი გადახრები, ფიზიკური და ფსიქიკური ჩამორჩენა. ასეთ ოჯახში იზრდება ნერვული, გაუწონასწორებელი ბავშვი, რომელსაც აქვს გაუკუღმართებული გემოვნება და მოთხოვნილებები, რაც მის ჩვევებში გადაიზრდება ხოლმე. დგება დრო, როცა ამ სიმახინჯის გამოსწორება აღარ შეიძლება, ***მშობლების და პედაგოგების მხრიდან არავითარი შეგონება აღარ მოქმედებს. ამიტომ შვილის პატრონი თავისთავს ხშირად უნდაეკითხებოდეს,***როგორიათვითონ, უარყოფითი თუ დადებითი: უხასიათო თუ მხიარული, ბრაზიანი თუ კეთილი, საინტერესო თუ მოსაწყენი. უარყოფითი ზნე-ჩვეულება ბავშვებზე დამთრთგუნველად მოქმედებს, აბნელებს და ამძიმებს მის ცხოვრებას. თუ დადებითი ნიშანი გახასიათებთ, ბავშვს უხარია თქვენთან ყოფნა, უყვარხართ, ზეიმობს თქვენთან ერთად და ასეთი უნარ-ჩვევები* მთელი სიცოცხლე მისი თანამგზავრი იქნება.ორი სხვადასხვა მშობლის ბავშვის გარჩევა გა-

*ბოლო წლებში ჩვენში დამკვიდრდა ტერმინი ,,უნარები,'' რაც უხეში გრამატიკული შეცდომაა– ასეთი სიტყვა ქართულში არ არსებობს, რადგანაც ,,უნარი'' და ,,ნიჭი'' მრავლობითში არ გამოითქმება. ,,უნარები'' არცერთი მწერლის ნაწარმოებში ან ლექსიკონში არ შემხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგნულადაც ადვილია: ერთი მოწესრიგებული, ცოცხალი, ენერგიულია, რომელიც სრულიად განსხვავდება მეორე– დაღონებული, უხასიათო არსებისგან. უმალ გაიგებ, რომელს როგორი მშობელი ჰყავს, როგორ მაგალითს ღებულობს უფროსისგან.

ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია მოკრძალებულობის, კდემამოსილების ჩვევის გამომუშავებას. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზნეობრივი თვისებაა, როცა მოზარდმა იცის, რომ თავი საზოგადოებაში უნდა დაიჭიროს მოკრძალებულად, თავშეკავებულად, მოზომილად. იგი მარტო გარეგანი ქცევების ნიშანი როდია. სიმორცხვე შინაგან სისუფთავეს და სილამაზესაც ნიშნავს. ადამიანი ამ თვისებას გამოავლენს, როგორც სიტყვებში, ასევე მიხრა-მოხრაში, ხელების მოძრაობაში, ქცევებში.

მშობლები ზოგჯერ ამ თვისებებს მეორეხარისხოვნად თვლიან და უკვირთ, როცა ოჯახში ნახევრადშიშვლებს მათი ბიჭი ან გოგო დაჟინებით უცქერის. ასეთ ოჯახში, სადაც მოზრდილებიც ურცხვად იქცევიან, ბავშვებს ადრე უღვივდებათ სქესობრივი მგრძნობელობა, ისინი მხოლოდ ამ ფიქრით არიან დაკავებულები და ხშირად დაუფიქრებელ დანაშაულს სჩადიან, რადგანაც მოძალებული სექსუალური მოთხოვნილება წინ უსწრებს და მას თან არ ახლავს ჭკუა-გონების განვითარება. ამის მიზეზი მორიდებულობის, მორცხვობის არარსებობაა, განსაკუთრებით გოგონას მხრიდან, რომელიც თავისი ჩაცმულობით და ქცევებით გამომწვევი და უნებისყოფო, ურცხვი და თავშეუკავებელია. გონებრივად მოუმწიფებელი ვაჟი ვერ იოკებს მოზღვავებულ გრძნობებს და...

მოდაზე არ დაობენო, ნათქვამია, მაგრამ ყმაწვილობის ასაკში, სკოლის მოსწავლეებისთვის უნდა არსებობდეს ჩაცმულობის რაღაც ნორმები, რომელიც შემაკავებლად იმოქმედებს მათს სექსუალურ განცდებზე. ფიზიკური და სქესობრივი სრულყოფილების მიღწევის შემდეგ, როცა ახალგაზრდა მშობლისგან დამოუკიდებელი მოქალაქეა, მზადაა ოჯახის შესაქმნელად, ეძლევა ჩაცმის თავისუფლება.თუმცა ზომიერება არც ამ ასაკში აწყენდა. სწორედ აქ გამოადგება ყმაწვილობის დროს შთაგონებული შემაკავებელი თვისება. ჩაცმულობა მარტო ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის. ადამიანი იმიტომ იცვამს, რომ ის საზოგადოებას, გარშემომყოფთ ანგარიშს უწევს, პატივს სცემს მათ. საზოგადოებაში დედიშობილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა და ტელეეკრანიდან ამით კეკლუცობა, მაყურებლის უპატივცემულობა შეიძლება ითქვას, მისი შეურაცხყოფაა.

სქესობრივი თავშეკავებულობა, ეს დიდი ღირსებაა, ამიტომ ***ბავშვობის სიმორცხვით და კდემამოსილებით აღზრდა ასევე მშობლების დიდი ღირსების საქმეა.***მწერალი **ვ. ვ. ვერესაევი,** რომელიც პროფესიით ექიმი იყო, ამბობდა: ,,სიმორცხვე ბარბაროსობის ნაშთი კი არა, არამედ კულტურის უძვირფასესი მონაპოვარიაო.''

ამ ბრძნულ ნათქვამს თუ გავითავისებთ, მაშინ ჩვენთვის მართლაც გასაკვირი და მიუღებელი იქნება ხალხის თვალწინ მჯდომი ჩახუტებული ქალ-ვაჟი, რომელთაც ,,ცა ქუდად არ მიაჩნიათ,'' არავის არაფრად აგდებენ, უხამსად ეალერსებიან ერთმანეთს და თავი ძელსკამზე კი არა, ლამის ლოგინში იგრძნონ. მორცხვი ყმაწვილი ამას არასოდეს იკადრებს. სიმორცხვეს კი პირველ რიგში მშობლების, მოზრდილების მაგალითი შთააგონებს და ჩვევად ექცევა.

,,სწორი სქესობრივი აღზრდა, ისევე, როგორც ადამიანის ყოველგვარი ხასიათის აღზრდა შეიძლება მიღწეულ იქნას, თუ ოჯახის ცხოვრება სწორადაა მოწყობილი, თუ მშობლების ხელმძღვანელობით ნამდვილი ადამიანი იზრდება'' – წერდა ა. ს. მაკარენკო. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ***მშობლებს შვილებიაღმერთებენ არა იმით, რომ*** მათ ძვირფასი ნივთები უკეთიათ და ძვირად ღირებული ტანსაცმელი აცვიათ, ძვირად ღირებული მანქანით დადიან, არამედ მათი **ქცევებით, სიტყვა-პასუხით, მოზომილი, მოხდენილი მანერებით,** ე. ი. მშობელს შვილის თვალში ავტორიტეტი და პატივისცემა მოხვეჭილი აქვს პირადი თვისებებით, რომლებიც ალამაზებს მას, მიმზიდველს ხდის მის ცხოვრებას.

მშობლების ერთი ნაწილი შესაძლოა ასე ბარბაროსულად არ ექცეოდეს თავის შვილებს, ცდილობდეს მასთან თბილი ურთიერთობა ჰქონდეთ, მაგრამ როცა საქმე ეხება გარდატეხის ასაკთან დაკავშირებულ გამოვლინებებს (დედათა წესი, ვაჟების ღამის სიზმრები, მკერდის ჯირკვლების ცვლილებები და ა. შ.), ***ისინი ,,მორცხვობენ'' და თვლიან, რომ ამ თემაზე უმჯობესია ესაუბროს აღმზრდელი ან სკოლის ექიმი.***

უფრო მეტიც, ზოგი მამა თვლის, რომ ბიჭი ადრეულ ასაკში უნდა გაერკვეს სექსუალურ საკითხებში და ცდილობს გამოუნახოს კაცი, ვინც პარტნიორს შეახვედრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, ზოგჯერ არც პედაგოგებს ჰყოფნით გამბედაობა, ისინი თავიდან იშორებენ ,,საჩოთირო საკითხებე'' საუბარს ***და თვლიან, რომ მშობლის ავტორიტეტი მათზე გაცილებით მაღალია, ამიტომ ამ თემაზე ის უნდა გაისარჯოსო.*** რაც შეეხებათ სკოლის ექიმებს, მათ ყოველთვის არ ჰყოფნით ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის გამოცდილება და თავიანთ ზრუნვას ბავშვების ფიზიკური განვითარების ნიშნების (წონა, სიმაღლე, გულმკერდის გარშემოწერილობა) შესწავლით ამოწურავენ ხოლმე.

მშობლის ავტორიტეტი შედეგს იძლევა მაშინ, როცა ის კარგად იცნობს საკუთარ შვილს, მის განცდებს და ქცევებს. ეს, ***ე. წ. ცოდნის ავტორიტეტი კავშირშია დახმარების ავტორიტეტთან,*** რომელიც მშობელმა შეიძლება რამდენიმე სახით გამოავლინოს: პირდაპირი რჩევა, გახუმრება, განკარგულება და ზოგჯერ ბრძანება. დახმარების ავტორიტეტი მშობლებს განსაკუთრებით სჭირდებათ ყმაწვილის მომწიფების პერიოდში, როცა მოზარდი ძალზე ემოციურია, ღიზიანდება უბრალო შენიშვნის ან გახუმრების დროს. მოზარდი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მეორე სქესისადმი, განიცდის კარგ, ნათელ გრძნობას მისდამი; იგია ყველა მისი ფიქრის საგანი, მაგრამ ეს ფიქრი მხოლოდ მისი საიდუმლოა, ვერავის უმხელს რომ იტანჯება. სწორედ ამ დროს სჭირდება მას მესამე პირი, გამოცდილი, ვისაც კარგად ესმის არსებული ვითარება და შეუძლია სწორად შეაფასოს იგი. ამ პერიოდში ***მოზარდისადმი მშობლების დამოკიდებულება მოითხოვს იყვნენ ტაქტიანი, გულთბილი, დაუახლოვდნენ, დაუამხანაგდნენ შვილს, რათა სწორედ მათ და არა ვინმე შემთხვევით პიროვნებას გაუმხილოს თავისი გულისტკივილი.***

მშობლების გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება შვილს დაარწმუნებს, რომ მას ენდობიან, მის ნათქვამს დაიჯერებენ და დაეხმარებიან. ასეთ დროს იგი გულღია, მართალი და სპეტაკია. თუმცა მშობელს ისიც უნდა ახსოვდეს, რომ მოზარდს არ უყვარს რჩევები, როგორი მორგებულიც არ უნდა იყოს ისინი. მას ურჩევნია მოუსმინოს თანატოლებს; ე. ი. პირდაპირი მოქმედება ყმაწვილზე ყოველთვის არ იძლევა შედეგს. ***ასეთ დროს უმჯობესია მშობელმა მოიტანოს სხვისი მაგალითი, თუნდაც გამოიგონოს თითქოს იგი ყმაწვილობის დროს მოხდა.*** შესაძლოა მოზარდს ვურჩიოთ რომელიმე წიგნი, ფილმი ან სპექტაკლი, რომლებშიც განვითარებულია მსგავსი განცდები; მათი გმირები მოზარდებს ასწავლიან ქცევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილამაზეს, არწმუნებენ სულიერი ძალის, სიმამაცის, ქალის მიმართ რაინდობისუპირატესობაში.

ძალაუნებურად გვახსენდება ეპიზოდი საბავშვო სალიტერატურო შედევრიდან, ,,ტომ სოიერის თავგადასავალიდან.'' ალბათ ყველას გვახსოვს მოსწავლე გოგონა, ბეკი ტეტჩერი, რომელიც თანაკლასელ ბიჭთან ტომთან ნაჩხუბარია და ემდურის. ბეკიმ მისდაუნებურად დახია მასწავლებლის წიგნი, რის გამოც მას საშინელი სასჯელი, გაწკეპლვა ელის. ტომი ამ საშიშროებას არაფრად აგდებს. თითქოს უხარია კიდეც, მაგრამ გადამწყვეტ დროს, როცა ბეკის განაჩენი უნდა გამოუტანონ, იგი აღარც დაფიქრებულა დანაშაული თავის თავზე აეღო და მოემზადა სასჯელისათვის. ეს მარტივად გააკეთა და ყველას დაუმტკიცა, რომ აქ უჩვეულო არაფერია, უმანკო სუსტი არსების გადასარჩენად, ასე უნდა მოიქცეს შედარებით ძლიერი კაცი, ვითარცა მისი მფარველი.

ყმაწვილური გატაცებები

ეს სათაური ცალკე შემთხვევით არ გამოგვიყვია. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი სხვა ფიზიოლოგიური მოვლენის გარდა, ამ დროს ახალგაზრდა (ვაჟი, ქალი) განიცდის ყველაფრისგან განსხვავებულ სიხარულს, აღტაცებას, გარშემომყოფთა მიმართ სიყვარულს, ფიქრობს მთებს გადავაბრუნებო, უღიმის მზეს, ცას და ჭექა-ქუხილსაც კი. ,,მიყვარსო,'' წამოსცდება და მშობლები მხრებს იჩეჩავენ: ,,ცხვირმოუხოცავი, ვითომც ამის რამე გაეგება, ცოტას გაიტანჯება და ყველაფერს მოესწრება'' – ამბობენ ისინი.

გამოდის, რომ ახალგაზრდის გულში გაელვებული სპეტაკი გრძნობა მხოლოდ ,,ცოტა გატანჯვაა.'' კი ბატონო, ასეცაა, მაგრამ პირველ რიგში იგი მშვენიერება, კეთილშობილება, სიახლე და მარადიულობაა.ეს ხომ სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა? *მშობელი ვალდებულია მოზარდი გრძნობათა მოზღვავებამდე მოამზადოს და ამ მოვლენას მშვიდად შეხვდეს. ეს კი შესაძლოა მაშინ, თუ უმცროსი სასკოლო ასაკიდან ბავშვს შევასწავლით მეორე სქესთან ურთიერთობას, პატივისცემას, ამხანაგობას, მეგობრობას, რაც ასაკში შესვლასთან ერთად შეიძლება*

მართლაც ჭეშმარიტ სიყვარულში გადაიზარდოს. ამას მშობელი შეძლებს მხოლოდ მაშინ, როცა ის საკუთარი ნაშიერის მეგობარია, ყველაზე ახლობელი და მრჩეველია. ასეთ დროს ჭაბუკის პირველი სიყვარული ოჯახის უბედურება და საწუხარი კი არა, იგი ოჯახის, მშობლების და თვით მათი შვილის დიდი სიხარული და საჩუქარია.

ძველ მწერლებს და ფილოსოფოსებს მიაჩნიათ, რომ სიყვარულის პირველი გრძნობა, ესაა გონებრივი და ფიზიკური ძალების არნახული მოზღვავება, სიძნელის წინაშე ადამიანის წინსვლის ბიძგი, კეთილშობილი ქცევის და გმირობის გრძნობის სულისჩამდგმელი, უარყოფითი თვისებებისგან ახალგაზრდის განწმენდის უებარი წამალი. დიახ, ეს ის ელექსირია, რომელიც ადრე თავგასულ და აღვირახსნილ ჭაბუკსაც კი კეთილშობილ ადამიანად აქცევს. სიცოცხლის ბოლომდე ყველა ადამიანი ვერ შეინარჩუნებს წმინდა გრძნობას, მაგრამ იგი მაინც გაყვება, როგორც ბრწყინვალე მანათობელი.

პირველი სიყვარული იმდენად ხალასი და სპეტაკია, რომ ქალ-ვაჟს ერთმანეთს შორის განსხვავებაც კი ავიწყდებათ, ისინი ამ გრძნობას ერთნაირად უფრთხილდებიან, ერთნაირად უჭირთ განშორება, თავს ისე ვერ ენდობიან, როგორც საკუთარი სიყვარულის სუბიექტს, მის მიმართ უსაზღვრო ერთგულებით არიან გამსჭვალული.

მშობლების ვალია ყურადღება გაამახვილონ საკუთარი შვილის ასეთ გატაცებაზე, დაეხმარონ, რათა გაუძლოს ამ გრძნობებს, თავიდან ააცილონ ნაადრევი სქესობრივი სიახლოვე, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს სპეტაკი მეგობრული ურთიერთობის მშვენიერება. ამბობენ კიდეც: ,,მეგობრობა სიყვარულის გარეშე შესაძლებელია, მაგრამ სიყვარული მეგობრობის გარეშე, არა.''

ამ დროს საუკეთესო აღმზრდელობით მეთოდად ითვლება არა მკაცრი, არამედ სიტყვაძუნწი განსჯა, გულთბილი მონაწილეობა ჭაბუკის და ქალიშვილის განცდებში, საუბარი, ჯერ გადაკვრით და ირიბად, სხვების მაგალითის მოშველიებით, ამხანაგობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ურთიერთობის კარგ და ცუდ მხარეებზე, მეუღლის მაგალითზე. ***ეს საუბარი მშობელმა და აღმზრდელმა პედაგოგმა ისე უნდა ააგოს, რომ ჭაბუკსა და ქალიშვილს კიდევ უფრო გაუძლიეროს პარტნიორისადმი პატივისცემა,***რომელშიც იგულისხმება მოქალაქეობრივი, ესთეთიკური და ადამიანური მოვალეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერამდენედ ვიმეორებ, ეს გრძნობები უმცროსი ასაკიდანვე უნდა შთავნერგოთ შევეცადოთ, რომ ბავშვს, მშობლების გარდა, უყვარდეს ძმები და დები, საკუთარი სკოლა, მასწავლებლები და მოსწავლეები, სამშობლო, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ეგოისტს, რომელსაც ისეთი სიწმინდით არასოდეს ეყვარება თავისი რჩეული, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ასეთებს მხოლოდ სქესობრივი გრძნობა ამოძრავებთ, მაგრამ სულიერი სიწმინდის და პატივისცემისგან შორს არიან, ადვილად ეცვლებათ ხასიათი და ახლოს არიან ცოლ-ქმრულ ღალატთან.

ბავშვობიდანვე ამ გრძნობებზე ყურადღების მიქცევა მშობლებსა და აღმზრდელებს ძალზე გაუადვილებს მათს მართვას მოზრდილ ასაკში, ,,ქარიშხლისა და ვნებების'' პერიოდში.

ქალ-ვაჟს სიყვარულის გრძნობა შეიძლება მოულოდნელად, პირველი შეხვედრისთანავე სრულიად უცნობთან აღეძრათ, მაგრამ ასეთი ნაცნობობის წარმატება ბევრ სხვა პირობაზეა დამოკიდებული; პირველ რიგში იმაზე, შეუძლიათ თუ არა მათ სპეტაკი მეგობრობა ისე, რომ ერთმანეთი არ შეურაცხყონ. შემთხვევითი შეხვედრა და ერთმანეთის მოწონება (,,ერთის ნახვით შეყვარება''), ეს ურთიერთობის მხოლოდ დასაწყისია. შემთხვევით გაცნობილი ადამიანი შემდგომში ისეთი აღარ აღმოჩნდება, როგორიც პირველ შეხვედრისას იყო. ადამიანის გამოცნობას დრო სჭირდება, უნდა გავიგოთ ვინ არიან მისი მშობლები, მეგობრები, სად ცხოვრობს, რას საქმიანობს.

ზოგჯერ შემთხვევითი გაცნობაც წარმატებით თავდება, მაგრამ წინასწარ იმის გამოცნობა, თუ როგორ წარიმართება მათი ცხოვრება, ძნელია, ამიტომ უმჯობესია, ***ჩვენს შვილებს, რაც შეიძლება ნაკლებად თუ ექნებათ ასეთი შემთხვევითი შეხვედრები, უმჯობესია მეგობრები აირჩიონ სერიოზულად და მოფიქრებულად.***

ამგვარად შემთხვევითი ქორწინება, შემთხვევითი სქესობრივი კავშირის მსგავსად, მოსალოდნელია, მაგრამ იგი უნდა განამტკიცოს დრომ, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, ერთმანეთის სიყვარულმა და პატივისცემამ. რაც უფრო კარგად გაიცნობენ ახალგაზრდები ერთმანეთს, მით უფრო მტკიცე და ჯანსაღი ოჯახი ექნებათ.

ოჯახის შექმნის მდიდარი ტრადიცია გააჩნია ჩვენს ქვეყანას. ახლა ზოგი ძველი ადათ-წესი მოძველდა, ძნელია გაარჩიო ,,მამაკაცის და ქალის საქმე,'' თუმცა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაწყენდა გაგვეხსენებინა, რომ საოჯახო საქმეები ქალის მოვალეობაა, გარეშედარებით მძიმე სამუშაო მამაკაცისა. ქალიშვილებს საგანგებოდ ასწავლიდნენ კერვას, ქსოვას, საჭმლის მომზადებას, გარეცხვას, ბავშვების და ავადმყოფების მოვლას და ა. შ. ბიჭები უპირატესად საველე საქმით, მიწის დამუშავებით, ხვნა-თესვით, ცელვით, სათბობით მომარაგებით, შეშის დაპობა-შენახვით, ცხენის მოვლით იყვნენ დაკავებულნი, ე. ი. ორივე მათგანი ამავდროულად ,,ცოლობას'' და ,,ქმრობას'' სწავლობდნენ. შეუღლებისას ასეთი ცოლ-ქმარი ჰარმონიულ ოჯახს ქმნიდნენ, მაგრამ ზოგჯერ რომელიმე მათგანი კარგად ვერ ფლობდა თავის საქმეს, რაც უსიამოვნების, ზოგჯერ ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდებოდა.

ნაწილი მესამე

ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდაში დაშვებული შეცდომები და მათი შედეგები

ზემოთ, შესაბამის თავებში, რომლებიც მიეძღვნა ბავშვის და მოზარდის ფიზიკურ, სქესობრივ და გონებრივ განვითარებას, არაერთგზის შევეხეთ ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში სქესობრივი აღზრდის წესებს, რჩევებს და მეთოდებს. მართალია ისინი სქემატურ ხასიათს ატარებენ, მაგრამ ჩვენი წიგნი უფრო ვრცელ განმარტებით მასალას ვერ დაიტევს; თუმცა ის, რაც ვთქვით, საკმარისია იმისთვის, რომ მოზარდებს ავაცილოთ სასქესო სფეროსთან დაკავშირებული გადახრები და მისი შედეგები.

პირველ რიგში რას უნდა უფრთხოდეს მშობელი, რა უნდა მოიმოქმედოს საკუთარ შვილთან, რომ თავიდან აიცილოს ოჯახისა და მოდგმის შეურაცხმყოფელი მოვლენები? შევეცდებით აქამდე სქემატურად წარმოდგენილი რჩევა-დარიგებები კიდევ უფრო შევავსოთ და შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახე მივცეთ.

ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდაში დაშვებული შეცდომების შედეგები საკმაოდ მრავალფეროვანი და რთულია; მათ მიეკუთვნება:

–საკუთრივ სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებული გადახრები:

ა) ნაადრევი სქესობრივი კავშირი;

ბ) შემთხვევითი სქესობრივი კავშირი;

გ) ნაადრევი ქორწინება;

დ) გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი (ჰომოსექსუალიზმი და სხვ.);

ე) ერთსქესიანთა კავშირები;

ვ) ონანიზმი;

ზ) აბორტი;

თ) ვენერული სნეულებანი;

ი) შეძენილი იმუნიტეტის დეფიციტის სინდრომი (შიდს-ი);

კ) ძალადობა, მათ შორის სექსუალური (პედოფილია) და ა. შ.

მშობლების და ბავშვის მანკიერი ურთიერთობებს გარდამავალ პერიოდში მოზარდების მიმართ უყურადღებობას, მათს ცხოვრებაში უმეცარ ჩარევას, არასწორ აღმზრდელობითი მეთოდებით ზემოქმედებას მივყავართ ბავშვების ამორალურ ქმედებებამდე.

ჩვენ არაერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ სქესობრივი მომწიფების დაწყებისთანავე მოზარდებს უძლიერდებათ ინტერესი მეორე სქესისადმი, სურთ მათთან ჯანსაღი ურთიერთობა, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ, რადგანაც ამისთვის აუცილებელია შესაფერისი მრჩეველი.

ვინ უნდა შეასრულოს ეს მოვალეობა? პირველ რიგში მშობელმა. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება.

ზოგი მამაკაცი თვლის, რომ რაც უფრო მკაცრად მოეპყრობა ცოლ-შვილს, რაც უფრო ხშირად დააბრიალებს თვალებს და მაგიდაზე მძლავრად დასცემს მუშტებს, მით უფრო ოჯახის კარგი უფროსი იქნება, მიაჩნია, რომ ყველას, დედ-მამას, ცოლშვილს, უფრო დებსა და ძმებს გამუდმებით მისი შიში უნდა ჰქონდეთ.

ცალკეულ შემთხვევაში შვილების, მამამთილ-დედამთილის და ოჯახის სხვა წევრების მიმართ აგრესიულობით გამოირჩევიან დიასახლისებიც. ისინი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენენ ქალიშვილების მიმართ, მუდმივ შიშში ჰყავთ, მცირეოდენ შეცდომაზეც თმებში სწვდებიან ხოლმე.

ოჯახში წესრიგს საქართელოში ვერავინ ვერავის ასწავლის, რადგანაც იგი ისტორიულ ადათ-წესებშია ჩაქსოვილი, ჩვევადაა ქცეული და ლამის გენეტიკურ თვისებად ითვლება. წესრიგი ერთია, მაგრამ ის უნდა დამყარდეს არა შიშით და მუშტების ქნევით, რადგანაც ამას უფრო უარყოფითი შედეგი ახლავს, ვიდრე დადებითი. შესაძლოა მეუღლეებმა ერთმანეთს მოუთმინონ, მაგრამ ბავშვებზე იგი იმდენად ცუდად მოქმედებს, რომ ისინი ასაკის ზრდასთან ერთად უცხოვდებიან, თითქოსდა ამ ოჯახის წევრები აღარ არიან; მათში თანდათან აღმოცენდება მშობლების მიმრთ სიძულვილი და მტრული დამოკიდებულება.

ასეთ ვითარებაში და ასეთ ოჯახებში მშობლების და შვილების ჯანსაღ, გულთბილ და გულახდილ ურთიერთობაზე, მითუმეტეს გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ ნიშნებზე, რჩევების მიცემაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ დროს, როცა მოზარდი მოკლებულია უფროსების კეთილ და თავაზიან რჩევას, ის იძულებულია მოიქცეს ისე, როგორც მათი ნაცნობები, შემთხვევითი პირები, ე. ი. ქუჩის მასწავლებლები ურჩევენ, ან რასაც უკარნახებს ჯერ კიდევ მოუმწიფებელი გონება და საკუთარი გულის თქმა.

ქუჩის მასწავლებელი რასაც ურჩევს ეს გასაგებია და სწორედ აქედან მოდის ყველა მავნე ჩვევა, დაკავშირებული, როგორც საკუთრივ სექსუალურ სფეროსთან, ასევე ორგანიზმის სხვა ორგანოებთან და სისტემებთან.

სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებული გადახრები: ნაადრევი მომწიფება და ნაადრევი კავშირი.

როგორც ზემოთ ითქვა, მოზარდებში სექსუალური შეგრძნებები, ღამის სიზმრები (პოლუცია) და ამასთან დაკავშირებული მოვლენები იწყება 13-14 წლის ასაკში, როცა მოზარდი ჯერ კიდევ შორსაა ფიზიკური, ფსიქიკური და საკუთრივ სქესობრივი სრულყოფისგან. სხვათაშორის, მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ნაადრევი პოლუცია შეიძლება გამოიწვიოს ტანზე შემოტმასნილმა ქვედა საცვალმა, ან კიდევ ჩვეულებრივზე რბილ ლოგინში წოლამ. პოლუცია და სიზმარეული სქესობრივი კავშირი მოზარდისთვის სრულიად ახალი განცდილი შეგრძნებაა, რომელსაც ახლავს სიამოვნებაც, მოზარდს სურს კვლავ განმეორდეს. ამას თავადაც ცდილობს გააზრების გარჩევის, პარტნიორის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცოდნის გარეშე. იგი ვეღარ ახერხებს თავისი გრძნობების დაოკებას, ეძებს ახალ პარტნიორს, რომლებთან ყოფნაც მის აკვიატებულ იდეად იქცევა და იგი ე. წ. ,,ველური სიყვარულის'' (ი. ბ. ლოხი) მსხვერპლი ხდება. მშობლები ხედავენ, რომ ადრე გულმხიარული, მოსიყვარულე შვილი (გოგო, ბიჭი) უხასიათო, გულჩათხრობილი, სულ რაღაცით უკმაყოფილო, ნერვული და მოუსვენარი, ეჭვიანი გახდა, შეეცვალა გარეგნობაც, სახეზე ფერმკრთალია, თვალები სადღაც გაურბის და თითქოს შეშინებულია.

ეს ძალზე სახიფათო მდგომარეობაა. თუ დროზე არ შეეშველებით, გამუდმებულმა სქესობრივმა ლტოლვამ შესაძლოა მოზარდი გარყვნილებამდე მიიყვანოს. დაუოკებელი სქესობრივი მოთხოვნილების გამო, იგი აღარც კი დაფიქრდება სად და ვისთან ამყარებს სქესობრივ კავშირს.

ნაადრევი, სრულიად შემთხვევითი სქესობრივი კავშირი ხშირად ვენერული სნეულების შეყრით მთავრდება, უფრო მეტიც, მოზარდს შეიძლება ფსიქიკაც მოეშალოს.

როგორც ითქვა, ყმაწვილობის ასაკში ინტენსიურად ვითარდება აზროვნება, მახსოვრობა, წარმოსახვები, მოზღვავებულია გრძნობები. ამიტომაც ამ დროს საჭიროა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდს სკოლასა და ოჯახში შევუქმნათ ნორმალური აღმზრდელობითი გარემო, რათა ყველა ფსიქიკური პროცესი თანაბარზომიერად განვითარდეს, ორგანიზმმა გაუძლოს მოზღვავებულ დატვირთვას, რაც თან ახლავს მძაფრ ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას.

თუ მოზარდმა ნაადრევად დაიწყო სქესობრივი ცხოვრება, თუ მან მთელი მისი აზროვნება გადართო მისთვის სასურველ პარტნიორთან ურთიერთობაზე, თუ ოჯახური და სასკოლო პირობები ისეთია, რომ ვერავითარ რჩევას ვერ ღებულობს, ან თვითონ ვერ უბედავს მშობლებს და აღმზრდელებს რაიმეს გამხელას, ასეთ შემთხვევაში ირღვევა მისი ორგანიზმის ფიზიკური, ფსიქიკური და სქესობრივი განვითარების თანაბარზომიერება.

ნაადრევი სქესობრივი გატაცება ამუხრუჭებს შესაძლებლობების განვითარებასაც, აზიანებს აქტიურობას, ცნობისმოყვარეობას, მაძიებლობას, მახსოვრობას, ზოგადად ენერგიულობას, სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ძლიერი განცდები ავიწროებენ და ზოგჯერ მოზარდის გონებიდან აქრობენ აუცილებელ წარმოდგენებსა და მცნებებს.

ახალი განცდებით დაკავებული მოზარდი ცუდად სწავლობს, დაბნეული და მოდუნებულია, მისთვის საინტერესო წიგნს აღარ ეკარება, ახლა ეძებს ისეთ საკითხავს, სადაც სიყვარულზე და მასთან დაკავშირებულ ქცევებზეა საუბარი. ყმაწვილის გონიერება ცუდად ვითარდება, რადგანაც მთელი თავისი განცდების ძალა, სულიერი განწყობა, რომელიც კვებავს გონიერებას, მიმართულია სქესობრივი დაკმაყოფილების სწრაფვისკენ.

მოზარდმა ჯერ კიდევ არ იცის და არც უსწავლია თავის მართვა, მისი ნებისყოფა განუვითარებელია, ამიტომ ვერ ჩერდება, ვერ უბრძანებს თავის თავს , დაამუხრუჭოს მძაფრი სექსუალური ლტოლვა. ამას სრულიად ახალჩასახული, განვითარებული ნებისყოფის კიდევ უფრო დასუსტება მოსდევს, რის გამო ისინი სხვებსაც ვერ ეწინააღმდეგებიან, ცდუნებას ვეღარ უძლებენ და ემორჩილებიან მათს სურვილებს. ასე იწყება გოგო-ბიჭების გარყვნილება ჯერ კიდევ სრულიად მოუმწიფებელ ასაკში. მათ აღარაფერი რჩებათ ნათელი მომავლისა, სუფთა გრძნობების იმედისა; ყველა ასეთი ვაჟი შემხვედრ ნაცნობ და სრულიად უცნობ გოგონაში ხედავს სქესობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმაყოფილების ობიექტს. მისგან შორსაა მტკიცე, სუფთა მეგობრობის აზრები. ამ აზრებს ცვლის შეგნება, ყავდეს ,,ბევრი იმნაირი'' მეგობარი.

ნაადრევი სქესობრივი კავშირი გოგონებში, ზემონათქვამის გარდა, რთულდება იმით, რომ ის შეიძლება დაორსულდეს, დასჭირდეს მუცლის ხელოვნური მოშლა, ან სხვა ოპერაცია. წარმოსადგენია, რას განიცდის თვითონ უმწიფარი გოგონა და რა დღეში არიან მისი მშობლები. ყმაწვილი ქალის სიცოცხლე მოშხამულია და ზოგჯერ მას თვითონ გამოაქვს საკუთარი თავისთვის საბედისწერო განაჩენი.

რა ვქნათ? ჩამოვყაროთ მხრები, ქუდჩამოწეული და თავდახრილი ვიყოთ საზოგადოებაში და ველოდოთ შვილების ფატალურ აღსასრულს? არა!

მათ უნდა იცოცხლონ, რადგანაც ყველაფერი მათი ბრალი არაა. ყმაწვილებმა ერთი-მეორის მიმართ ჩაიდინეს დიდი ცოდვა, ***მაგრამ უფრო დიდი ცოდვა მშობლების, აღმზრდელების კისერზეა, რომლებმაც თავის დროზე არ შთააგონეს და არ ააცილეს მათ მომავალ ცხოვრებაში მოსალოდნელი უკეთური და ავის მომასწავებელი რჩევები.***

ყმაწვილები უწლოვანი არიან და ჯერ კიდევ შეიძლება მათი სწორ გზაზე დაყენება. მათზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, საჭიროა მშვიდი, მოზომილი საუბრები. თვალი არ უნდა მოვაშოროთ არც დღე და არც ღამე. უნდა გამოუმუშავოთ მტკიცე ნებისყოფა, ზნეობრივი გრძნობები, აუცილებელია მათი სასარგებლო საქმეებით დატვირთვა, სხვადასხვა სპორტულ სექციებსა და ლიტერატურულ წრეებში, თვითმოქმედ კოლექტივებში გაერთიანება.

მშობლებმა, დაგეგმილიც რომ არ ჰქონდეთ, თავისუფალი დრო უნდა გამონახონ მოგზაურობის, ტურიზმის, დასვენებისთვის და თან უნდა იყოლიონ საკუთარი ნაშიერი.

როგორც ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ, გოგონებს და ვაჟებს ეწყებათ დაუოკებელი სურვილი, მონახონ პარტნიორი. იშვიათად იგი ვაჟის თანატოლი იქნება, უფრო ხშირად უფროსი ქალი. იგი, რათქმაუნდა, ვაჟს არ მოსწონს, პირიქით, მასთან ურთიერთობის რცხვენია, შესაძლოა ამ დროს სხვა თავისი თანატოლი მოსწონდეს და უყვარდეს კიდეც. რა ხდება? ანალოგიური თავგადასავლები გოგონებსაც ემუქრებათ. ხშირად ისინი პირველ სქესობრივ კავშირს ამყარებან ასაკით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროს მამაკაცთან, რომელთანაც არავითარ სიყვარულს არ განიცდიან. შესაძლოა დაორსულდეს ან სულ იმის ფიქრში იყოს, რომ რაიმე სენი არ შეეყაროს.

გამოდის, რომ მოზარდის ნერვული სისტემა ორ, ურთიერთგამომრიცხავ სიგნალს და შეგრძნებას ღებულობს. ის ქალი, ან კაცი, რომელთანყოფნა სიამოვნებდა, ამავე დროს მასში უარყოფით შეგრძნებასაც იწვევს.თითქოს უფრთხილდება საკუთარ ნერვებს, მაგრამ ისედაც მოუმწიფებელი სისტემა ასეთი შემთხვევითი კავშირებით განიცდის ვენერული დაავადებების შეყრის, დაორსულების შიშს და, ბოლოს, იმას, რომ ამ საიდუმლოს მშობლები და ახლობლები გაიგებენ.

ასე, რომ დაუფიქრებელ ნაბიჯს, თუნდაც რამდენიმეწუთიან სიამოვნებას ეწირება ახალგაზრდის ცხოვრების საუკეთესო ასაკი, რადგანაც მუდმივად არის უარყოფითი შეგრძნებების და აგზნებულობის გავლენის ქვეშ და ყველაფერი ეს თან ახლავს ნაადრევ სქესობრივ კავშირს.

ისე, როგორც სპორტსმენი და კოსმონავტი სტარტის წინ გულდასმით ემზადებიან, 15-16 წლის ახალგაზრდაც თავის თავს მომავალი ცხოვრების სტარტზე უნდა გრძნობდეს, მოემზადოს ამისთვის, რათა ფინიშთან ყოველმხრივ მომზადებული და გამარჯვებული მივიდეს.

აბორტი

სიტყვა ლათინურია და წარმოსდგება abortion-დან, რაც 28 კვირამდე ორსულობის შეწყვეტას ნიშნავს (28 კვირის შემდეგ მშობიარობაა), ქართულად მუცლის მოწყვეტას, მუცლის მოშლასაც ეძახიან. არსებობს აბორტის ორი ძირითადი ფორმა: თავისთავადი და ხელოვნური.

თავისთავადი აბორტის მიზეზები შეიძლება იყოს: სიმძიმის აწევა, ხანგრძლივი სიარული, ორსულის დაცემა, მუცლის ტრავმა, მძიმე ფსიქიკური განცდა, და სხვადასხვა სნეულება ან თვით ნაყოფის განვითარების ანომალიები.

ხელოვნური აბორტი ეწოდება ორსული ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე უშუალო ზემოქმედებით ორსულობის შეწყვეტას.

ორივე შემთხვევაში აბორტი წარმოადგენს ქალის ორგანიზმში მიმდინარე რთული ფიზიოლოგიური პროცესის დარღვევას, რაც ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

თავისთავადი აბორტის თავიდან ასაცილებლად არსებობს მრავალი სამედიცინო ჩვენება, რომელსაც ორსული ქალი მიიღებს ქალთა კონსულტაციის ექიმთან, ამიტომ მისი მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია.

ხელოვნური აბორტიც ზოგჯერ სამედიცინო ჩვენებებით კეთდება, როცა ეს ქალის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში აბორტს აკეთებენ სამედიცინო ჩვენების გარეშე, ფარულად, ზოგჯერ არასპეციალისტები, სანიტარიულად სრულიად მიუღებელ ვითარებაში. ასეთ აბორტს უკანონო, კრიმინალური ხასიათი აქვს, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და კანონითაც ისჯება.

საყურადღებოა, რომ ხელოვნურ მუცლის მოშლას საქართველოში ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელების პირველი წლებიდან კრძალავდა ეკლესია, ვახტანგ VI-ის დროსაც ითვლებოდა დანაშაულად, საგანგებო კანონიც გამოვიდა და თუ ამას თვით ორსული სჩადიოდა, მას სამშობლოდან დროებით აძევებდნენ. ვინც მუცლის მოსაშლელ წამალს მიცემდა, თუ ღარიბი იყო, შეიპყრობდნენ, გაროზგავდნენ და სამარცხვინოდ სჯიდნენ (გაკრეჭა, ვირზე უკუღმა შესმა და სხვ.). მდიდარ ხელშემწყობს დაარბევდნენ და გააძევებდნენ. თუ მუცლის მოწყვეტას ორსულის სიკვდილი მოყვებოდა, დამნაშავეს თავს მოჰკვეთდნენ.

ამგვარად, ხელოვნური, სამედიცინო ჩვენებების გარეშე ჩატარებული აბორტი ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იყო საზოგადოების, ეკლესიის და მაღალი იერარქიის ზრუნვის საგანი და ეს ძირითადად მოსახლეობის სიმცირის გამო გამრავლების სურვილით იყო გამოწვეული.

საკმაოდ ვრცელი შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ფარული, არაკეთილსაიმედო პირობებში ჩატარებულიაბორტის მსხვერპლი უხშირესად ხდებიან მოზარდი გოგონები, რომლებიც საკუთარი უგუნურებით თუ ნაძალადევი სქესობრივი კავშირით (გაუპატიურებით) ორსულდებიან, არ იცინ რა გზას დაადგნენ, მშობლებს ვერ უმხელენ და ვარდებიან არაპროფესიონალი აბორტმახერების ხელში, რასაც ხშირად სავალალო შედეგი მოსდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონასთვის განსაკუთრებით საშიშია ორსულობის შეწყვეტა, რადგანაც ორგანიზმი ჯერ კიდევ მოუმზადებელია. მას მრავალი გართულება მოსდევს მაშინაც კი, როცა იგი სამედიცინო დაწესებულებაში კეთდება. პირველი ორსულობის შეწყვეტამ შეიძლება მთელი სიცოცხლე დაამახინჯოს ქალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარღვეულია ვადები (გასულია 12 კვირაზე მეტი), ან სახეზეა რაღაც სხვა სნეულება. ამიტომ სრული სიფრთხილით უნდა შევაფასოთ მდგომარეობა და მოვუსმინოთ ექიმ მეან-გინეკოლოგს; იგი პირველ რიგში დაადგენს ორსულობის ვადებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და მოგცემთ შესაბამის რჩევა-დარიგებას.

მშობიარობას და დედობის გრძნობას შეუძლია სრულიად შეცვალოს მოზარდის ფსიქოლოგია, თუ ის ადრე ამ გრძნობებისადმი ფუქსავატურად იყო განწყობილი.

ნაჩქარევი მუცლის მოშლა, განსაკუთრებით სამედიცინო დაწესებულების გარეთ, რომელსაც მიმართავენ გოგონები თავისი ნებით თუ მშობლების დაჟინებით, რათა დამალონ მომხდარი ფაქტი და რაც შეიძლება მალე მოიშორონ ნაყოფი, შეიძლება დასრულდეს იმაზე უარესი შედეგებით, ვიდრე ორსულობის შენარჩუნება, შეცდომის მონანიება და სირცხვილის გრძნობის დაოკებაა.

აბორტის მავნე შედეგებზე რა უნდა იცოდეს გამოუცდელმა გოგონამ, რომელსაც შემთხვევითი სქესობრივი კავშირისკენ ჯერ კიდევ არ გადაუდგამს პირველი დაუფიქრებელი ნაბიჯი?

პირველ რიგში მას უნდა ავუხსნათ, რომ უხეში ლითონის იარაღებით ძალდატანებით აფართოებენ საშვილოსნოს ყელს და აქედან მიუდგებიან ნაყოფს. არანამშობიარებ ქალებში, მით უმეტეს მოუმწიფებელ გოგონებში ამ დროს არაიშვიათად ჩნდება ნახეთქები, ჩახევები, უფრო მეტიც, შესაძლოა საშვილოსნოს კედელი გახვრიტონ და ქალის გადასარჩენად ურთულესი ოპერაცია გახდეს საჭირო.

ნახეთქების და ჩახევების ადგილას ჩნდება ნაწიბურები, ხოლო საშვილოსნოს გამოფხეკის შემდეგ ირღვევა მისი კუნთების მთლიანობა. ეს ადგილები ინფექციის შეჭრის ღია ჭიშკარს წარმოადგენს და მომავალში ასეთი ქალების 60-65% სამუდამოდ ეთხოვება შვილის შეძენას.

ამგვარად, ხელოვნური აბორტი ქალს მრავალ სენს შეყრის, მოქმედებს მის ფსიქიკაზე, იწვევს მძიმე გართულებებს, სასქესო ორგანოების ანთებას, ჰორმონული

ფუნქციის და მენსტრუალური ციკლის მოშლას, ნაადრევ სიბერეს, ყველა ამის უაღრესად უარყოფითი დაგვირგვინება კი უშვილობაა.

ვიმეორებ, თუ ამ საკმაოდ საშიშ და არასასიამოვნო პროცესებს, რომლებიც თან ახლავს ხელოვნურ მუცლის მოშლას, კარგად შთავაგონებთ გოგონებს თვიურის მოსვლისთანავე, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ მინიმუმამდე შემცირდება იმათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ, ,,მერე რა მოხდა, აბორტს გავიკეთებო'' და ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ასაკში კიდეც დგამს ასეთ საბედისწერო ნაბიჯს.

უაღრესად დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური, ვიტყოდი, ეროვნული მნიშვნელობის მქონე ორსულობამ და ახალი ადამიანის გაჩენამ არ შეიძლება არ შეაწუხოს ყველა, ვინც საკუთარი ერის, ხალხის გამრავლებაზე ფიქრობს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი მომენტი ჩემი, როგორც ჯანდაცვის ორგანიზატორის გამოცდილებიდან, რომელსაც, შესაძლოა ახლაც არ ჰქონდეს დაკარგული მნიშვნელობა.

როგორც ვთქვით, ფარული, აკრძალული აბორტი კეთდება ფულის მოხვეჭის, გარკვეული გასამრჯელოს მიღების მიზნით. ერთ დროს ამ დანაშაულმა ისეთი ფართო სახე მიიღო, რომ წარმოიქმნა აბორტმახერთა უმდიდრესი ოლიგარქია, რომელთანაც ბრძოლა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ისინი კავშირში იყვნენ ზემდგომ კორუფციონერებთან და თავს არხეინად გრძნობდნენ.

ნათქვამია, მტერს მისივე იარაღით უნდა ებრძოლოო, და ჩვენ, როცა სხვა გზა ვერ გამოვნახეთ, გადავწყვიტეთ იარაღად ჯილდო, ფული გამოგვეყენებინა. ამ მიზნით დავაწესეთ პრემია-საჩუქარი იმ სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმი, ექთანი), ვინც მასთან მუცლის მოშლისთვის მისულ ქალს, განსაკუთრებით პირველად დაორსულებულს, ჩაუტარებდა შთამბეჭდავ საუბარს და ორსულობას შეუნარჩუნებდა. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებულ აღრიცხვას ექვემდებარებოდა.

ამ გადაწყვეტილებას სათანადო გავრცელებაც მოჰყვა და ერთხანს თითქოს დამაიმედებელი შედეგიც მივიღეთ, მაგრამ თავი იჩინა ფინანსურმა სიძნელემ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა გამორიცხული იყო, ჩვენ უპირატესად ვეყრდნობოდით თვით მედიკოსების კერძო შემოწირულობებს, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა და ამ პაექრობაში უფრო მდიდარ მეტოქესთან დავმარცხდით.

ამდენი პრემიის, დანამატის და საჩუქრის გამცემმა ხელისუფლებამ ოფიციალურად ხომ არ დააწესოს ჯილდო იმ ექიმისთვის, რომელიც მომავალი ადამიანის მუცლად ყოფნის დროს მოკვლისთვის აღებულ ჯილდოს ოდნავ სჭარბობდეს და ამით ყველა ღონე იხმაროს, რათა ქალს ორსულობა შეუნარჩუნოს? პატარა ერს, რომელსაც თავისი გენოფონდი მექანიკურად (მიგრაცია) ისედაც უმცირდება, მის შესაჩერებლად მგონი ყველა გზა და საშუალება უნდა გამოვიყენოთ.

ნაადრევი ქორწინება

წინა თავში ერთობ მძიმე და მუქ ფერებში გამომივიდა ნაადრევი მომწიფების და შემთხვევითი სქესობრივი კავშირის მავნე შედეგების აღწერა.

ამ მოვლენისგან დიდად არ განსხვავდება ნაადრევი ქორწინება, რომელიც ზოგჯერ თვით ახალგაზრდების ნაჩქარევ ნაბიჯს, ზოგჯერ კი მშობლების დაჟინებას და ახირებას მიეწერება. ასეთი კავშირი, მართალია, უკვე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის მყარდება, აქ ნაკლებად საშიშია ვენერული სნეულების შეყრა, მაგრამ ზრდა და მომწიფებადაუსრულებელი ყმაწვილების შეუღლებით ორგანიზმის ფიზიკურ, ფსიქიკურ და სქესობრივ განვითარებაში ისეთივე ნეგატიურ შედეგებს უნდა ველოდოთ, როგორც შემთხვევითი და ნაადრევი სქესობრივი კავშირის დროს. აქ საქმეს ართულებს ისიც, რომ კანონიერ მეუღლეებს შვილი უნდა შეეძინოთ, თავად კი მისი მოვლა-პატრონობისთვის მზად არ არიან.

ქორწინება, ესაა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თარიღი ქალ-ვაჟის ცხოვრებაში. კანონით, ადათ-წესით, ან რელიგიური რიტუალით, ან ყველათი ერთად მყარდება ნებადართული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, როცა ისინი ქმნიან ოჯახს, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მცირე უჯრედს და როცა განისაზღვრება ცოლ-ქმრის ადგილი საზოგადოებაში, განსაკუთრებით შვილების გაჩენის შემდეგ.

გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბების შემდგომ ეტაპზე ადამიანმა უარი თქვა ჯგუფურ ქორწინებაზე და დაამკვიდრა წყვილადი ქორწინება, რომელიც ამ საფეხურზე, ზნეობრივი განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი წიგნის თემა არაა განვითარების ამ პერიოდში ცოლ-ქმრის ცხოვრების წესის, ქონებრივი კუთვნილების და სხვა საკითხების განხილვა, ვიტყვით, მხოლოდ, რომ გვაროვნული წყობილების და გვარის დაშლის შემდეგ, როცა საფუძველი ჩაეყარა ტერიტორიულ თემს და მომზადდა ნიადაგი კლასობრივი საზოგადოებისთვის, შეიქმნა დიდი პატრიარქალური ოჯახი, ანუ საოჯახო თემი.

ამ პერიოდიდან იღებს სათავეს წყვილთა (ქალისა და მამაკაცის) ქორწინება (მონოგამია), რომლის ფორმირება დასრულდა პატარა ოჯახის ჩამოყალიბების დროიდან. ეს იყო ცოლ-ქმრული წყვილის და მათი მემკვიდრეების მტკიცე კავშირი, რომელიც ათეული საუკუნის მანძილზეკიდევ უფრო განმტკიცდა და სრულყოფილი, ცივილიზირებული სახე მიიღო.

თუმცა, მე-20 საუკუნეში ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა მოსაზრება სქესობრივი ურთიერთობის ინდივიდუალურობის და თავისუფლების შესახებ, რომელიც პიროვნების საქმეა და მასში საზოგადოება ვერ ჩაერევაო. ამას მოყვა სქესობრივი მოთხოვნილების ფუქსავატურად დაკმაყოფილების იდეები. მაშინ არ უფიქრიათ, რომ ეს პროცესები ერთ პიროვნებას კი არა, მეორესაც (ქალს, კაცს) და მომავალ მემკვიდრეებსაც ეხება. სამწუხაროდ, ზოგი ახლაც ასე ფიქრობს, რის გამოც სქესობრივი ცხოვრება ადამიანთა ცალკეული წარმომადგენლის ეგოისტური მისწრაფებების საგანი ხდება.

საქართველოში ქორწინებას წინ უსწრებს მრავალი პროცესი: წყვილთა გაცნობა, დაახლოება, მათი წარმომავლობის გარკვევა, შუამავლობა, გარიგება, დანიშვნა, რომელთა დაგვირგვინებას წარმოადგენს ჯვრისწერა და ქორწილი, საგანგებო ზეიმი, ნადიმი.

ქორწინების ერთ-ერთ შემზღუდველ მომენტს წარმოადგენდა ასაკი, თუმცა ძველად მას დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ და არც მცირეწლოვანთა შეუღლებას ერიდებოდნენ.

საზოგადოების განვითარების მომდევნო ეტაპებზე, როცა ქორწინება გასცდა ეკლესიის და ოჯახის ზრუნვის ფარგლებს, როცა საქმეში ჩაერია მეცნიერებათა სხვადასხვა დარგი (მედიცინა, სამართალი, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და სხვ.), ქორწინების ასაკს, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების, აგრეთვე შვილოსნობის და შთამომავლობის გამრავლების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა და საქორწინო და საოჯახო კოდექსშიც მიუჩინეს ადგილი; რაც მთავარია, განისაზღვრა საქორწინო ასაკი– 18 წელი, როცა ყმაწვილს აქვს საარჩევნო უფლება, ე. ი. არის სრულყოფილი მოქალაქე. ამაზე ადრე ქორწინება კანონის დარღვევაა და გარკვეულ ადმინისტრაციულ ზემოქმედებას ექვემდებარება (ვ. ითონიშვილი, შ. ჩიკვაშვილი– ქორწინება. ქსე. ტ. 10, თბილისი. 1986 წ. გვ. 551).

ისიც უნდა ითქვას, რომდიდად სასურველი არაა მაინცადამაინც ქორწინება 18 წლის ასაკში. ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ გვსურს გვყავდეს სამი და მეტი ჯანმრთელი შვილი, კარგია თუ პირველს დედა გააჩენს 22-23 წლის ასაკში.

სახელმწიფოს და ეკლესიის მხრივ დიდი ყურადღების მიუხედავად, ნებით თუ უნებლიედ, საკმაოდ ხშირად ირღვევა კანონი და ქორწინდებიან 15-16-17 წლის ახალგაზრდები, რასაც ხშირად ოჯახში ძალზე არასასიამოვნო სცენები მოსდევს. რაც მთავარია ნაადრევი ქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს ქალ-ვაჟის ჯანმრთელობაზე და მათ მომავალზე.

ადრეული ქორწინება, რომელსაც არ უსწრებს დროით ღრმად შემოწმებული მეგობრობა, აზრთა სიახლოვე, რაც განსაკუთრებით ხშირია უთანასწორო (ქმარი გაცილებით ხნიერია) შეუღლებისას, იმთავითვე ითრგუნება სიყვარულის უზენაესი გრძნობა, წინასწარ ბრკოლდება გონებრივი და ფიზიკური განვითარება. ახალგაზრდების სწრაფვა საკუთარი თავის სრულყოფის, შემოქმედებითი აღტყინების და მაღალი იდეალებისკენ, აღუსრულებელი რჩება ან შეზღუდულია. სიყვარული ხშირად მოჩვენებითია და ვეღარ იძლევა სიახლოვეს, მიზნის ერთობლივი მიღწევის დიდ სიხარულს, რაც ოჯახის დაშლის მიზეზი ხდება.

ინტიმურ ურთიერთობაში ქარაფშუტობა სხვა, კიდევ უფრო მეტად უსიამოვნო შედეგებსაც მოიცავს: ადრეული ორსულობა, აბორტი, მატერიალური სიძნელეები, სწავლის გაგრძელების სიძნელეები, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დაკარგვა და ა. შ.

ფიზიკურად და სულიერად სრულ განვითარებამდე, მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ სრულყოფამდე სკოლის მოსწავლე გოგონას არ ძალუძს შვილს აჩუქოს ჯანსაღი სიცოცხლე, რადგანაც იგი ვერ იქნება კარგი დედა და ვერ შეძლებს შვილის მოვლას და აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი უნდა იყვნენ ახალგაზრდა მშობლები?

პირველ რიგში უნდა შეეძლოთ საზოგადოებრივი და შრომით ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, რათა შექმნან თავის თავის და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. დაბრძენებულ ჭაბუკებსაც მოსწონთ ფიზიკურად განვითარებული, მომღიმარი, მტკიცე ასიათის, თავისი ქალობით ამაყი და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის მქონე გოგონები.

სპეციალურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ნაადრევი ქორწინების თავი და თავი პირველ რიგში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, აქამდე კი მივყავართ აღზრდის მანკიერ მეთოდებს, ახალგაზრდებზე წვრილმესაკუთრულ და თავკერძა გრძნობების შთაგონებას, რის გამო ისინი ეგოისტებად იქცევიან, არავითარ ანგარიშს არ უწევენ საზოგადოებას, ადამიანთა იმ ჯგუფს, სადაც გამუდმებით უხდებათ შრომა და ცხოვრება. ასეთ დროს მათ არ შეუძლიათ განსაჯონ ნაადრევი ქორწინების სოციალური შედეგები (ოჯახის შექმნა, შვილებზე ზრუნვა, ოჯახის ხანდაზმული წევრების მოვლა-პატრონობა, სტუმარ-მასპინძლობა და ა. შ.). ასეთი გამოვლინებები დამახასიათებელია წესიერად აღუზრდელი და განუვითარებელი პიროვნებისთვის. სოციალური საკითხები ახალგაზრდების სქესობრივი ქცევების განმსაზღვრელი ძალაა. ისინი თავს იჩენენ ქალ-ვაჟის ურთიერთობაში, მოფერებაში, მეგობრობასა და სიყვარულში.

სქესობრივი ურთიერთობები, ქორწინება და მათთან დაკავშირებული მოვლენები უხსოვარი დროიდან იყო საზოგადოების ყურადღების საგანი. გვინეაში, ავკას ოლქში ახლაც ასრულებენ საზეიმო ,,კურთხევის ცერემონიალს.'' გოგონებს მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ უფლება გათხოვდნენ, თანაც მხოლოდ მათ, რომლებმაც უკვე დაასრულეს ფიზიკური და სქესობრივი განვითარება. ამ ,,ცერემონიალამდე'' დაორსულებული გოგონა ურჩხულად მიაჩნიათ.

ცივილიზებულ საზოგადოებას დღეს უფრო მეტად სრულყოფილი, ადამიანური და ზნეობრივი წესების დაცვა არ მოეთხოვება?

მცირეწლოვანთა ქორწინების წინააღმდეგ მიმართულია ამ წიგნის ავტორის ჯერ კიდევ 1962 წელს გამოქვეყნებული ერთი წერილი, რომელიც ეხმაურება იმ მკვლევარების მოსაზრებებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ ნაადრევი ქორწინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალშვილიანობის გარანტიააო. მკითხველს ვთავაზობთ ამ წერილს მცირე შემოკლებით:

ოცი დედის 230 შვილი.

ქორწინების, ოჯახის წევრთა სიმრავლის და მეუღლეთა ურთიერთობის საკითხი ძველთაგანვე დიდ ინტერესს იწვევდა ადამიანებში. ქორწინების და მრავალშვილიანობის საუკეთესო ასაკი წარსულში და ახლაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთის აზრით მრავალშვილიანობისთვის საჭიროა ადრე (15-17 წლის ასაკში) დაქორწინება. დაგვიანებული ქორწინება, უეჭველია გავლენას ახდენს მოსახლეობის რიცხობრივ ზრდაზე, მეუღლეთა ოჯახურ ურთიერთბასა და საზოგადოებაზე. ასეთ წყვილებს რომ ბევრი შვილი არ ეყოლებათ, ეს ცხადია, მაგრამ დროულ და გვიან შეუღლებულთა შორის გარკვეული სიცხადეა შესატანი. 20-24 წლის ასაკში ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს გვიან ქორწინებად. პირიქით, ავტორიტეტული სპეციალისტების დასკვნით ქალის ორგანიზმი ისეთი რთული ფიზიოლოგიური პროცესისთვის, როგორიცაა ორსულობა და მშობიარობა, მზად არის 18-22 წლის ასაკში, რასაც სავსებით შეესაბამება კანონმდებლობაც, რომელიც 18 წლამდე ქორწინებას კრძალავს.

არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ცნობილ მკვლევარებს, რომელთაც შეუღლებისა და შთამომავლობის გაგრძელების საუკეთესო ხნად მიაჩნიათ 18-25 წელი.

შრომაში ,,ჯანსაღი ყოფაცხოვრებისათვის'', პროფესორი **ი. ბოგოროვი** წერს: ***„ქალის სქესობრივი მოწიფულობა დაახლოებით 18 წლის ასაკში მთავრდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ქალს ნორმალურად შეასრულოს დედობასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია. სქესობრივი ცხოვრებისა და განსაკუთრებით ორსულობის ადრეულ ასაკში დაწყება საზიანო გავლენას ახდენს, როგორც დედის ჯანმრთელობაზე, ისევე ახალშობილი ბავშვის მდგომარეობაზე. ამავე დროს ბავშვი ძალიან ახალგაზრდა დედამ არ შეიძლება შესაფერისად აღზარდოს.''***

15-17 წლის ასაკში მოზარდის ორგანიზმი ვერ ასწრებს სრულყოფილ სქესობრივ მომწიფებას და ფიზიკურ განვითარებას, რის გამოც ორსულობა და მშობიარობა ხშირად ქალის ფიზიკური და ფსიქიური გადახრებით მთავრდება. გარდა ამისა, ამ ასაკის ახალგაზრდები ჩვეულებრივ სკოლის მოსწავლეები არიან და მათი ქორწინება ეწინააღმდეგება ზნეობრივი აღზრდის ნორმებს.

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის ჩვენი დაკვირვება შუახევის რაიონის მრავალშვილიან დედებზე. შესწავლილი 1 300 მრავალშვილიანი დედიდან 20 გმირი დედაა, რომელთაც ყავთ 10-13 შვილი (ყველას ერთად 230 შვილი). გათხოვების საშუალო ასაკი უდრის 20 წელსა და 6 თვეს. აქედან არცერთი არ გათხოვილა 15-16 წლის ასაკში.

ნაადრევი შეუღლების საჭიროებას მისი ზოგიერთი მომხრე სამხრეთში სქესობრივი მომწიფების ადრე დაწყებით ხსნის, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ სქესობრივი მომწიფება არ ნიშნავს პიროვნების ფიზიკურ, ფსიქიურ, ესთეთიკურ და მორალურ ჩამოყალიბებას, რომლის გარეშე არ შეიძლება ჯანსაღი, მტკიცე ოჯახის შექმნა, მეუღლეთა კარგი ურთიერთობა, საზოგადოებაში მონაწილეობა და შთამომავლობის აღზრდა.

ნაადრევი ქორწინების საკითხთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციოლოგიის ერთი დეტალი. საქართველოს მთიან სოფლებში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ნაადრევი ქორწინება, რომლის მავნე გადმონაშთები აქა-იქ დღესაც გვხვდება. შეუძლებელია ეს ავხსნათ მხოლოდ გამრავლების სურვილით, ის წარსულში დაკავშირებული იყო სოციალურ პირობებთან. მძიმე შრომით ილაჯგაწყვეტილი კაცი სიღატაკიდან გამოსავალს ვაჟიშვილის ნაადრევად, ხელოვნურად ,,დავაჟკაცებაში'' და ოჯახში შრომისუნარიანი წევრის, ამ შემთხვევაში, რძლის შემოყვანაში ხედავდა. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ ქალიშვილის დაბადება ისეთ დიდ სიხარულს ვერ იწვევდა, როგორც ვაჟიშვილისა, რადგანაც შემდეგში ის ოჯახიდან წავიდოდა, როგორც ,,სხვისი ნაცარი.''

ონანიზმი
(მასტურბაცია, ჩუკუნება, გულდედლობა, საბა)

ონანიზმი ძველთაგანვე იყო ერთი მეტად სამარცხვინო ქცევა. მისი სახელი ლეგენდას უკავშირდება. უხსოვარ დროს ცხოვრობდა მწყემსი ონანი, რომელიც თავის ავხორცობას არაბუნებრივი წესით იკმაყოფილებდა. ღმერთმა იგი დასაჯა– წაართვა ორივე ხელი.

ამ მავნე ჩვევის მიმდევარს რცხვენია, ეშინია იმის აღიარება, რასაც აკეთებს, საიდუმლოებით ფუთავს მას, რადგანაც კარგად უწყის, რომ უწესობას სჩადის. ამიტომაც აღვსილია თავისთავისადმი ზიზღით, სიძულვილით, თვლის, რომ არის უნებისყოფო, სუსტი, არასრულფასოვანი, ზოგჯერ თავისთავს სიტყვას აძლევს, მიატოვებს ამ საძრახის საქციელს და ყველაფერი თავიდან იწყება.

გაიზრდება ეს ყმაწვილი და თავისთავისადმი ეს ეჭვები ცხოვრებაშიც თან გაყვება, მაგრამ სამწუხაროდ ყველაფერი ამით არ თავდება. იგი გაურბის თანატოლებს, ხდება გულჩათხრობილი, კარჩაკეტილი, მშიშარა, რადგანაც მუდმივად იმაზე ფიქრობს, რომ არავინ გაუგოს სინამდვილე.

მაინც რა არის ონანიზმი?

ონანიზმი ეწოდება სუბიექტის მიერ საკუთარი ეროგენულ ზონების მექანიკურ გაღიზიანებას სქესობრივი კავშირის გარეშე. იგი ძალზე ხშირია 14-18 წლის მოზარდებში. ვაჟებში იგი მხოლოდ ასოს გაღიზიანებით შემოიფარგლება. ქალებში კი, ეროტიკული ზონების განლაგების მიხედვით. შეიძლება, როგორც ძუძუს დვრილების და გარეგანი სასქესო ორგანოების ხელით, ისე საშოს და საშვილოსნოს გაღიზიანების შედეგად, რასაც ზოგჯერ უცხო სხეულების დახმარებით აღწევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ონანიზმის ფსიქიკური სახე, როცა მთელი თავისი ყურადღება გადააქვთ ფანტასტიურ წარმოდგენებზე. თუმცა ასეთი დაყოფა პირობითია, რადგანაც ცხოვრებაში მექანიკური და ფსიქიკური ონანიზმი შეხამებულია ერთმანეთთან.

საზღვარგარეთელი ავტორები აღწერენ ონანიზმის სიხშირის ზრდას, როგორც ვაჟებში, ისე ქალებში. ამავე დროს თვლიან, რომ მასტურბაცია აკმაყოფილებს მოზარდების სხვა მოთხოვნილებებსაც, ხსნის სტრესებს, სქესობრივ და ფსიქიკურ დაძაბულობას, არაა საშიში, ამაღლებს დამაჯერებლობას და სექსუალურ იმპულსებს.

მეცნიერთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მართალია, ისინი თვლიან, რომ ონანიზმი უნდა განვიხილოთ არა, როგორც სნეულება, არამედ მავნე ჩვევა, რომელიც უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე პარტნიორთან სქესობრივი კავშირი. რაც მთავარია, ერექციის დაქვეითების დროს ჩვეულებრივი კავშირი შეუძლებელი ხდება, ონანიზმი კი შესაძლებელია არასრული ერექციის დროსაც.

ონანიზმის მთავარი მავნეობა ისაა, რომ იგი იწყება ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ასაკში, ზოგჯერ სქესობრივ სრულყოფამდე, რის გამო დიდ ზიანს აყენებს ნერვულ სისტემას, უფრო დიდს, ვიდრე გადაჭარბებული სქესობრივი ცხოვრება.

როგორც ვთქვით, ონანიზმის დროს ერექციას და ეაკულაციას იწვევენ მექანიკური გაღიზიანებით. ფსიქიკური შთაბეჭდილებები, მხედველობითი, შეხებითი და სხვა ძლიერი ემოციები, რომელიც თან ახლავს სქესობრივ აქტს, ამ შემთხვევაში გამორიცხულია. ამიტომ ტვინის შესაბამის ცენტრებს უფრო დიდი დატვირთვა აქვთ, ვიდრე ჩვეულებრივი სქესობრივი კავშირის დროს. ისინი იმყოფებიან მომატებული პათოლოგიური გაღიზიანების მდგომარეობაში, ამას თან მოსდევს ფუნქციური გამოფიტვა, რაც ერექციის შესუსტებასა და სექსუალურ დაუძლურებაში (იმპოტენცია, ცვედნობა) გადადის.

შორს წაგვიყვანს ის უარყოფითი გავლენა, რასაც ონანიზმი ახდენს სასქესო სფეროს და სხვა ორგანოების ნორმალურ მუშაობაზე. ამის დაწვრილებით განხილვა ჩვენი წიგნის დანიშნულებას აღემატება.

ონანიზმის თავიდან აცილება *მშობლებს*შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი სკოლამდელი ასაკიდან გეგმაზომიერად და გულდასმით აკვირდებიან თავიანთი შვილების ქცევებს, მაგრამ ასეთი იდეალური შემთხვევებიძალზე იშვიათია, ამიტომ

მათთვის ეს უსიამოვნო პროცესი ცნობილი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა შემთხვევით წააწყდებიან, ან მოზარდის ქცევებში თავს იჩენს გარეგანი საეჭვო ნიშნები. ამ დროს მშობლის როლი ძალზე მცირეა და მოზარდი მთლიანად *ექიმის* ყურადღების საგანი ხდება.

ექიმი უნდა ეცადოს გარკვეული გავლენა მოახდინოს პაციენტზე ისე, რომ მან ხელი აიღოს ონანიზმზე, უნდა აუხსნას მას, რომ ***ეს არაა ავადმყოფობა, არამედ მავნე ჩვევაა, რომელიც ასუსტებს ორგანიზმს. მისი მთავარი შედეგი კი სქესობრივი უნარის დაქვეითება და საბოლოო უძლურებაა.*** გოგონებში ამ ჩვევასთან ახლავს გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესები, რაც ხშირად სქესობრივი გრძნობის დაქვეითებით, არაიშვიათად *უშვილობით* მთავრდება. ექიმმა ახალგაზრდებს უნდა შთააგონოს, რომ ასეთ საზიანო მოქმედებაზე იხარჯება ორგანიზმის დიდი ძალა, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სხვა უფრო მიმზიდველი და სასარგებლო საქმისთვის: ფიზიკური შრომის, ტანვარჯიშის და სხვა საქმისთვის, რაც მის გაჯანსაღებას და სექსუალური შესაძლებლობების მომატებას მოხმარდება და ა. შ.

ასეთი რჩევებით მოზარდი შეიძლება გავათავისუფლოთ მავნე ჩვევისგან და სწორ გზაზე დავაყენოთ.

ჰომოსექსუალიზმი (მამათმავლობა)

ბუნების კანონებით სქესობრივი კავშირი მყარდება და შთამომავლობას აგრძელებენ ორი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელი: ქალი და ვაჟი. ესაა ღვთით ბოძებული უწმინდესი თვისება, რაც ადამის მოდგმის შემდეგ მოდის. ამ ორი სქესის ქორწინების, მათი სულიერი, ფიზიკური და სქესობრივი კავშირის შემდეგ ქალის ორგანიზმში ჩაისახება ნაყოფი, რომელიც 280 დღის შემდეგ დაიბადება და ახალი ადამიანის სახით მოევლინება ქვეყანას.

დედამიწაზე ბუნების თითქმის ყველა კანონზომიერებას თან ახლავს მისი საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც არღვევს ამ კანონზომიერებას, ითრევს ადამიანებს და აიძულებს შეასრულოს მისთვის საზიანო მავნე ჩვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავნე ჩვევა მრავალია, ერთ-ერთი მათგანია მამათმავლობა, ანუ ჰომოსექსუალიზმი, რომლის ფესვები შორეულ წარსულში იმალება. ეს იყო გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი ერთსადაიმავე სქესის ორ პიროვნებას შორის. მას, როგორც არაბუნებრივ, სამარცხვინო ,,სოდომურ ცოდვას'' ქართული კანონი კრძალავდა ხოლო მის ჩამდენთ სასტიკად სჯიდა.

ძველ ქართულ სამართალში ამ არამართლზომიერ მოქმედების სამ ჯგუფად ჰყოფდნენ:

1. როცა უმწეოს მიმართ ჩაიდენდა ვინმე ამ ცოდვას; 2. ვინმე სხვასთან მამათმავლობდა; და 3. სხვა კიდევ სხვასთან.

პირველ შემთხვევაში უმწეოს წინაშე ადგილი ჰქონდა ძალადობას, ამიტომ მსხვერპლი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა. მეორე და მესამე შემთხვევაში სახეზეა აქტიური და პასიური (,,მამათ დედლობაი'') მამათმავალი, რომლებიც თავიანთი ნებასურვილით იდენენ ამ ცოდვას.

ერეკლე II-სა და ანტონ კათალიკოსის განჩინებით უმძიმესი და საგანგებო ტანჯვა-წამებით, სიკვდილით სჯიდნენ მამათმავლებს.

ჰომოსექსუალიზმი ადრეული ასაკიდან იწყება. მისი ერთ-ერთი სახეობაა ***პედოფილია,*** როცა მოზრდილი მამაკაცი მცირეწლოვან ბავშვთან იძულებით ამყარებს სქესობრივ კავშირს (იხ. თავში ,,ძალადობა''). ჩვენს ქვეყანაში მამათმავლობის დანაშაულის იშვიათობის გამო იგი მეცნიერულად არ შეუსწავლიათ და არც რაიმე სტატისტიკა არსებობს.

უცხოეთში, როგორც ნებადართული ჩვევა, მამათმავლობა ფართოდ არის გავრცელებული და შესწავლილი. იქ მრავალ მამაკაცს ერთხელ მაინც ჰქონია კავშირი მამათმავალთან. სორენსონის მონაცემებით 1973 წელს მამათმავლობა 13-15 წლის ასაკში 5%-ს უდრიდა.

მხედველობაში მისაღებია, რომ მოზარდთა ასაკში ჩადენილი ერთი შემთხვევა ყოველთვის არ გადაიზრდება ხოლმე ჰომოსექსუალიზმში, ამიტომ ასეთი პიროვნებები არ ითვლებიან მამათმავლებად, თუმცა ზოგიერთს უვითარდება დანაშაულის და გაუწონასწორებლობის გრძნობა, რასაც იგი დიდ სულიერ შფოთვამდე მიჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან მოზარდები, რომელთაც აქვთ ჰომოსექსუალური მიდრეკილებები, მაგრამ არ სურთ ასეთი ორიენტაცია, ამიტომ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი ჩვეულებრივი მამაკაცები არიან, რისთვისაც კავშირს ამყარებენ მეორე, ე. ი. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან.

ზოგი საერთოდ უარს აცხადებს სქესობრივ კავშირზე, ან მის პირველ გადაცდომას დროებით მოვლენად მიიჩნევს და ასაკთან ერთად მამათმავლობა წყვეტს არსებობას, ან კიდევ ზოგი მათგანი დახმარებისთვის მიმართავს ექიმს.

არიან ისეთებიც, საბედნიეროდ ცოტანი, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ საზოგადოებისგან გაკიცხვა, აგრძელებენ მამათმავლობას და ჰომოსექსუალიზმი დადებით მოვლენად ესახებათ, თუმცა კარგად უწყიან გარშემომყოფთა მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება და თავის სექსუალური გადახრებს უმალავენ შინაურებს, ნათესავებს და მეგობრებს.

ზოგჯერ ჰომოსექსუალიზმის მიზეზი მოზარდის ცუდი აღზრდაა, რის შესახებაც ჩვენ გაკვრით ვთქვით წინა თავებში, როცა ბიჭი გოგოს სათამაშოებს ეტანება, დედას არ შორდება და ეხმარება ქალის საქმეებში, ოდნავ წამოიზრდება და არავითარ რჩევა-დარიგებებს არ ღებულობს, განიცდის შიშს და სირცხვილს, მშობლების მიერ დაშვებული შეცდომების სიმძიმე, ე. ი. საზოგადოების რისხვა და ბოიკოტი მთლიანად მას აწვება.

ადრეულ ასაკში ბავშვის აღზრდაში დაშვებული შეცდომების გარდა ჰომოსექსუალიზმს ხელს უწყობს ჩვენს დროში არსებული ცხოვრების წესი, რომელიც განვითარებას პოულობს ბეჭდვითი სიტყვის, პრესის, კინოს და განსაკუთრებით ტელეგადაცემების მეშვეობით.

როცა ვამბობთ ცხოვრების წესზე, მხედველობაში გვაქვს ჩაცმულობა, ადამიანის საერთო გარეგნობა, მანერები, აღკაზმულობა და ა. შ.

ისტორიულად მხოლოდ ქალს ასდის ხელზე კეკლუცობა, სამკაულები, სიკოხტავე, მორთულობა, გრძელი თმები, ე. ი. ყოველივე ის, რაც კაცის ყურადღებას მიიქცევდა და მისდამი სექსუალურ ლტოლვას გამოიწვევდა. სხვათაშორის, ამისთვის ქალებს არასდროს სჭირდებოდათ სხეულის ნაწილების გამოჩენა, პირიქით, მალავდნენ და მამაკაცის ინტერესს კიდევ უფრო აღვივებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქალმა თანდათან შემოიცალა ტანსაცმლის საფარველი, ჯერ გულმკერდამოჭრილი სამოსით გამოვიდა, შემდეგ კაბა მუხლებსზევით დაამოკლა და ბოლოს საზოგადოებაში სრულიად ურცხვად შეიძლება გამოვიდეს შიშველი, როცა დაფარულია მხოლოდ მკერდის კერტები და გარეთა სასქესო ორგანოები.

გავიხსენოთ რუსთავი-2-ის ცნობილი ჟურნალისტი ქალბატონების გადაცემები, მათი სტუმრები როგორი ,,წარმატებით'' და ურცხვად ახდენენ საკუთარი სიშიშვლის დემონსტრაციას (ზოგი მათგანი იმდენად მახინჯი იყო, ქალს შეგაძულებდა). დიახ, მე ვამბობ ტელეგადაცემაზე, რომელსაც მილიონობით მაყურებელი უმზერს, მის უპატივცემულობაზე, საზოგადოების აზრის ფეხქვეშ გათელვაზე. ღმერთმა დამიფაროს, ენა ამგვარად მომიბრუნდე ჩვენს ლამაზმანებზე, ან სპორტსმენ ქალებზე, რომლებიც ვალდებულნი არიან საბანაო კოსტუმებით გამოვიდნენ სილამაზის კონკურსზე ან სპორტულ შეჯიბრებაზე, თუმცა მათ მაინც ემჩნევათ კდემამოსილება და ერთგვარი მორცხვობა საზოგადოების წინაშე, რაც კიდევ უფრო ალამაზებს მათ.

მოდაზე არ დავობენო, იტყვიან (ჯერ ერთი, რატომ არ უნდა ვიდავოთ?) და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ აქ სხვა. უფრო სერიოზულ შედეგებთან გვაქვს საქმე.

მამაკაცის თვალი იმდენად შეეჩვია შიშველი ქალის ცქერას, რომ მისი გარეგნობა უკვე აღარ იწვევს რაიმე ინტერესს, თვალი არც კი გაურბით ქალისკენ, ნაკლები და ჩაკლულია სქესობრივი ლტოლვა (ლიბიდო), ე. ი. ქალთა გადაჭარბებულმა თავისუფლებამ (მხედველობაში მაქვს მხოლოდ ჩაცმულობა) დააქვეითა მათი მამაკაცური ძლიერება და ზოგიერთები იმპოტენტებად აქცია.

ახლა საკითხის მეორე მხარეც უნდა გავარჩიოთ. მომრავლდა მამაკაცი, რომელიც თითქოს ვაჟკაცობს, მაგრამ ცდილობს თავისი გარეგნობით, სამკაულებით, მანერებით და სიტყვა-პასუხით ქალს დაემსგავსოს: ატარებს საყურეს, თმას ქალურად იხვევს, საუბარში ხმარობს სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ ქალებისაა.*

ქალის ყველაზე მიმზიდველი სამკაულია თმა. ყურებსა და მკერდზე ჩამოკიდებულმა ბრილიანტებმა შეიძლება მამაკაცი ისე არ მოხიბლოს, როგორც მოხდენილად ჩამოყრილმა ან დახვეულმა თმებმა.

მივმართავ მამაკაცებს: ატარეთ ძვირფასი საყურეები, ბეჭდები, სამაჯურები, ყელ-

*მართლაც არსებობს სიტყვების დიდი ჯგუფი, რომლებსაც მხოლოდ მამაკაცები ხმარობენ (უცენზურო არ მაქვს მხედველობაში) და არის სიტყვები, რომლებითაც მხოლოდ ქალები მეტყველებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამები, ამით ალბათ თქვენი სიმდიდრე გსურთ აჩვენოთ საზოგადოებას, მაგრამ გეკითხებით, ეს თმის წამოზრდა, შეღებვა, ჩამოყრა და ქალურად დახვევა, ფერ-უმარილით სახის აბზინება რა უბედურებაა? ესეც ხომ ოქროს განძი არაა, მტერს თვალი რომ დაუბნელოს? არა. ამით თქვენ მხოლოდ ქალს ემსგავსებით და ადამიანებს ეჭვებს აღუძრავთ თქვენს ორიენტაციაზე. ნამდვილ, სექსუალურად ძლიერ და თავშეუკავებელ მამაკაცებს ასეთი, ქალად გადაკეთებული პერსონების მიმართაც უღვივდებათ სქესობრივი ლტოლვა.

ერთმა ჭკვიანმა და მშვენიერმა ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში თქვა:

– ჩემს არაქართულ გვარს რომ გაიგონებენ, მამაკაცებს ერექცია ეწყებათო.

მე მისი მჯერა, ამიტომ ჩნდება კითხვა: თუ მამრებს ეს პროცესი სმენით გამღიზიანებელზე (გვარის გაგონებაზე) ეწყებათ, რატომ არ მოხდება იგივე და უფრო მეტი, როცა ვიზუალურად ქალის ამ გამომწვევ, ამგზნებ და მთავარ სამკაულს კაცის თავსა და სახეზე ნახავენ? გამორიცხული არაა, მოხერხებულ ადგილზე (სასტუმროში, მატარებლის კუპეში) ალკოჰოლის გავლენის ქვეშ მყოფმა შესთავაზოს კიდეც... ერთმა, მეორემ და შესაძლოა ამ ოქროებში ჩასმული ,,ვაჟკაციდან'' პასიური მამათმავალი დადგეს.

ალბათ ასეთი მისწრაფებით უნდა აიხსნას კიდევ ერთი საშიში მოვლენა, კერძოდ სიმრავლე მამაკაცებისა, რომლებიც ცდილობენ სქესის შეცვლას (ქალად გადაკეთებას). ქალთა შორის სქესის შეცვლის მსურველი გაცილებით ცოტაა.

დასკვნა: მამათმავლობა მარტო ადრეულ ბავშვთა ასაკში მშობლების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგი არაა, მოწიფულ ასაკში საზოგადოების წაყრუებით და მის თვალწინაც შეიძლება თურმე გამოიჩეკოს 21-ე საუკუნის პედერასტი.

ქართველი ერი მსგავსი სიმახინჯეებისგან გადაარჩინა ისტორიულმა ტრადიციებმა და ქრისტიანულმა მორალმა, თუმცა, როგორც დავინახეთ, ჩვენს დროშიც გაჩნდა ამის საშიშროება. ჩემს მახსოვრობაში, თბილისში ერთი-ორი ლეგალური მამაკაცი დადიოდა, ყველამ იცოდა ვინ იყვნენ ისინი. ახლა კი ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეების დემონსტრაციაზე ასეულობით ადამიანი გამოვიდა. შესაძლოა ზოგი უბრალოდ მხარდამჭერი იყო, მაგრამ ნახევარიც თუ ამ უსახურობის მომხრეა, საქმე კარგად არ უნდა გვქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესბოსიზმი

რაც შეეხებათ გოგონებს, მოზარდთა ასაკში ერთმანეთის მიმართ სქესობრივ ლტოლვას ისინი ნაკლებად ავლენენ, ასეთი რამ უფრო მოგვიანებით 25-35 წლის ქალებში გვხვდება, როცა სქესობრივი მოთხოვნილება თავის პიკს აღწევს. თუმცა ყმაწვილ გოგონებს შორისაც შეიმჩნევა ჰომოსექსუალიზმი, რომელიც ლესბოსელობის* სახელითაა ცნობილი.

სორენსონმა ჩაატარა გამოკითხვა ამერიკის სკოლებში და გამოარკვია, რომ ვაჟების 15%-ს ერთხელ მაინც ჰქონდა თავისივე სქესის წარმომადგენელთან სქესობრივი კავშირი. გოგონების ანალოგიური მაჩვენებელი 6%-ს უდრიდა. ჩვენი აზრით, ეს ციფრები კიდევ უფრო მაღალი იქნება, რადგანაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი ასეთ კონტაქტებს არ თვლის სქესობრივ კავშირად და პასუხსაც უარყოფითს იძლევა.

ლესბოსელობაც სექსუალური გადახრაა და საძრახის საქციელად ითვლება, თუმცა მოზარდების ასეთი გადაცდომა მოწიფულობის ასაკში, განსაკუთრებით შეუღლების შემდეგ, იშვიათად მეორდება. რაც მთავარია, ქალებში იგი არ ტოვებს რაიმე უარყოფით ფსიქოსომატურ შედეგებს. მამაკაცებში კი ასეთი ქცევა სცდება გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს, მათი ნახევარი პასიური მამათმავალი, ე. ი. პოტენციური ცვედანია, რომელიც კარგავს შთამომავლობის გაგრძელების უნარს.

პროსტიტუცია

წარმოსდგება ლათინური სიტყვისგან ,,პროსტიტუციო,'' რაც ქართულად შერცხვენას, წაბილწვას ნიშნავს. პროსტიტუციის მიმდევარი ჩვეულებრივ ქალია, როსკიპი, რომელიც მეძაობს გარკვეული საფასურის ხარჯზე, ე. ი. საკუთარი სხეულით ვაჭრობს.

ეს მავნე ჩვევა უძველესი დროიდან მოდის და დაკავშირებულია კერძო საკუთრების წარმოშობასთან. ქალი წარმოადგენდა საკუთრებას და ასრულებდა ვიღაცის სასარგებლო დაქირავებულ შრომას, რომელიც თანდათან პროფესიად, ხელობად იქცა. ამიტომ მას ,,უძველეს პროფესიას'' უწოდებენ.

*იგი პირველად შეამჩნიეს საბერძნეთის კუნძულ ლესბოსზე, საიდანაც მოდის ეს სახელი.

ძველი წელთააღრიცხვის III-II საუკუნეებში მეძაობა ცნობილია, როგორც სოციალური მოვლენა, გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთსა და რომში, სადაც მრავალი საროსკიპო გაიხსნა და ამ მოვლენამ ჩვენს დრომდე მოაღწია ისე, რომ 2000 წლის მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა.

მეძავებთან და როსკიპთან (,,ურიდად მეძავი,'' საბა) ერთად მოიაზრება სუტენიორი, ქალი ან კაცი, რომელიც მეძავის ხარჯზე ცხოვრობს. სუტენიორი თავს უყრის მეძავებს, მათთვის ქირაობს შენობას მამაკაცებთან შეხვედრისთვის და თვითონ მართავს მათ საქმიანობას. ზოგ ქვეყანაში პროსტიტუცია ნებადართულია, ამიტომ იქ არსებობს სპეციალური საროსკიპოები, ბორდელები, პრიტონები (გარყვნილების ბუნაგი, ჩვეულებრივ არალეგალური) და ა. შ.

პროსტიტუციის მიზეზებზე და საუკუნეების მანძილზე მის არსებობაზე მე-19 საუკუნეში გაჩნდა ორი მოსაზრება. ერთ-ერთი მათ შორის არის თვით ქალი, რომელშიც გენეტიკურად ჩაბუდებულია სექსუალური ცხოვრების გამუდმებული შეგრძნება, რაც თავისთავად ხშირი სექსისკენ უბიძგებს. მეორე, ასევე სერიოზული მიზეზია საზოგადოების სოციალური ძრწოლა, მორალური ღირებულებების გაუფასურება, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება, ადამიანთა დიდი ჯგუფის გადაადგილება-გადასახლება და სხვ.

პროსტიტუციის ერთ-ერთი სერიოზული მიზანთაგანი ადამიანის მიმართ შექმნილი ფსიქოლოგო-ფსიქიატრიული გარემოა, ქალის ირგვლივ მყოფი ადამიანები არიან, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებებით ცდილობენ გამოუცდელი, უპირატესად ზრდადაუსრულებელი, უმწიფარი მოზარდები ჩააბან პროსტიტუციაში.

ამ პროცესმა განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა მე-19 საუკუნეში, როცა სოფლებიდან სამუშაოს საძებრად ქალაქს მიაწყდა მოსახლეობა, მათ შორის მრავალი გოგონა, რომელთაგან უმრავლესობამ ადვილად აითვისა ,,უძველესი პროფესია,'' ბევრი მათგანი დაავადდა და მისი მსხვერპლი გახდა. ასეთ სოციალურ უბედურებას არაერთი მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნეს ქართველმა კლასიკოსებმა. გავიხსენოთ **ეგნატე ნინოშვილის** ,,ქრისტინე'', რომლის მთავარი გმირი პროსტიტუციის ტიპური მსხვერპლია, **ილია ჭავჭავაძის** ,,თამრო,'' რომელიც თავის თავს ,,ავლაბრის უნამუსოს'' უწოდებს, **მიხეილ ჯავახიშვილის** მრავალი პერსონაჟი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროსტიტუციის მიზეზების ფსიქოლოგიური მიმართულებებიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლების ქცევებს ოჯახში, როცა ჩვეულებრივი ცოლ-ქმრული ურთიერთბა სამიოდე წლის ბავშვის თვალწინ ხდება. მიაჩნიათ, რომ ბავშვისთვის ეს სრულიად გაუგებარია. სინამდვილეში მის მეხსიერებაში ეს სცენა რჩება, როგორც ძალადობის მოურიდებლობის, ურცხვობის შთაგონება, რაც შემდეგ ამორალურ საქციელში გადაიზრდება.

ყველაზე სერიოზულ მიზეზს მიეკუთვნება, როცა გოგონას დედა მეძაობს და ბავშვი ადრეული ასაკიდან შთაგონებულია, რომ გარყვნილება სრულიად დასაშვებია, ბავშვმა არც კი იცის, რომ სხვაგვარად, ე. ი. წესიერად მოქცევაც შესაძლებელია. ყველაზე ადრეული, პირველი გამოცდილება უფრო მკაფიო და მნიშვნელოვანია. ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დედის პარტნიორს. თუ ის გამოცდილებით ხნიერია, ბავშვი შემდგომში ასეთებისკენ ილტვის.

ზემოთ მოსახლეობის გაღატაკება ვახსენეთ. შემჩნეულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია, არ ყოფნით ხელფასი, მცირეა პენსია, პროსტიტუციის პროცენტული მაჩვენელი გაცილებით მაღალია. აქტიურობენ სუტენიორები, ისინი ნადირობენ უწლოვან გოგონებზე, რომლებიც ამ საქმეში ძვირად ფასობენ.

როსკიპი ქუჩაში გამოსული, სრულიად ზნეგამოცლილი არსებაა, მათგან განსხვავებით, მეძავების დიდ ნაწილს მორიდებულობა და სირცხვილის შეგრძნება შერჩენილი აქვთ, ისინი ცდილობენ საკუთარი საცხოვრისიდან შორს, სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში წავიდნენ. ჩვენს დროში ამის გაკეთება ძნელი აღარაა, ამიტომ ქართველ მეძავს არაიშვიათად შეხვდები სხვა ქვეყანაში და სხვა კონტინენტზე და პირიქით, ჩვენს ქვეყანაში მრავალი უცხო მეძავი ჩამოდის.

პროსტიტუციის ყველაზე ტრაგიკული შედეგია, როცა უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახში, სადაც შიმშილს დაუსადგურებია და ფატალურ დაბოლოებას ელოდებიან, მშობლები ღიად, ან ირიბად უბიძგებენ საკუთარ გოგონას, გადადგას ეს ნაბიჯი. უფრო მეტიც, სრულიად წესიერი ქალი მზადაა ასეთი რამ ჩაიდინოს, ოღონდ ქმარ-შვილი შიმშილით არ დაეხოცოს. მიმაჩნია, რომ ის არაა მეძავი, ის გაუსაძლისი სიღატაკის იძულებითი და დროებითი მსხვერპლია, რომელიც მალე ძველ გზას იპოვის და ამ ცოდვასაც მოინანიებს.

ამგვარად, პროსტიტუცია მოზარდებში მთლიანად დაკავშირებულია ოჯახურ პირობებზე და იმ სოციალურ გარემოზე, ადამიანთა წრეზე, რომელშიც ის ცხოვრობს. მოზარდები ამ გზას ხშირად ადგებიან ბავშვობის ასაკში მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო, რაზეც შესაბამის თავში, ,,ძალადობა,'' ვისაუბრებთ.

ვენერული სნეულებანი

ვენერა, უფრო სწორად ვენუსი რომაულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთია. იგი შეესაბამება ბერძნული მითოლოგიის აფროდიტეს. ჩემთვის უცნობია პირველად ვინ დაუკავშირა ქალღმერთის სახელს ამ ,,სიყვარულის'' შედეგი– საკმაოდ მძიმე სნეულებათა ჯგუფი, რომელიც, როგორც წესი, სქესობრივი კავშირით, სასქესო ორგანოების გზით გადადის. ეს სნეულებებია: სიფილისი (ათაშანგი, ლუესი), გონორეა (სუსუნატი), შიდს-ი, ტრიქომონადოზი, ქლამიდიოზი. ყველა ეს დაავადება ბავშვებსა და მოზარდებში საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს და ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ ორგანიზმს დიდ ზიანს აყენებს, აჩერებს ცალკეული ორგანოების და ორგანოთა სისტემების განვითარებას.

მათ შორის განსაკუთრებული საშიშროებით ხასიათდება **ათაშანგი,** რადგანაც დანარჩენი სნეულებები ასე თუ ისე ადგილობრივ, სხეულის რომელიღაც უბანში იწვევს ცვლილებებს და თუ დროზე ვუშველით ამით ამოიწურება მისი მავნეობა. ათაშანგი კი, რომლის გამომწვევი მიკროორგანიზმი მკრთალი სპიროქეტაა, კანისა და ლორწოვანი გარსების გზით შეაღწევს ლიმფურ კვანძებში და სისხლში. ამ გზით კი მოივლის მთელ ორგანიზმს და ყველა ძირითად სასიცოცხლო ორგანოებს.

მიკრობის შეჭრის ადგილზე დასაწყის ფაზაში ჩნდება ე. წ. მაგარი შანკრი, თუ ამ დროს მივუსწარით და დავიწყეთ მკურნალობა, შეიძლება ორგანიზმის სხვა უბნები გადავარჩინოთ, მაგრამ თუ სენი გასცდა მაგარი შანკრის საზღვრებს, სხვა ორგანოების დასნეულებაც გარდაუვალია და მეორე ეტაპზე, ადამიანის მკერდსა და ზურგზე ჩნდება დამახასიათებელი გამონაყარი. მესამე, მძიმე ფაზა, ესაა სიფილისის გუმოზური პერიოდი, როცა კიდურებზე ჩნდება ღრმა წყლულები.

ათაშანგი თავისი ვერაგობითაც გამოირჩევა. მას ადამიანი ზოგჯერ არ გრძნობს თვით პირველ-მეორე ფაზაშიც და აგრძელებს ჩვეულებრივ ცხოვრებას და შეიძლება

სენი სხვებს კოცნითაც კი გადასცეს. უფრო მეტიც, არსებობს ტერმინი ,,საყოფაცხოვრებო ათაშანგი'', როცა სნეულება ადამიანს გადაეცემა დასვრილი ჭურჭელით, სხვისი მოწეული სიგარეტით და ა. შ. ე. ი. არასქესობრივი გზით.

თავისი სიმძიმით ვენერულ სნელებებს შორის მეორე ადგილზეა **გონორეა,** რომელიც აზიანებს შარდსადენ მილს და სათესლე ჯირკვლებს. მისი გამომწვევია მიკრობი, გონოკოკი, რომელიც ჯანმრთელი ადამიანის ლორწოვან გარსებში შეიჭრება სქესობრივი კავშირის დროს. 3-7 დღის შემდეგ იწყება დასნეულების პირველი ნიშნები: შარდვის დროს ძლიერი წვის შეგრძნება, შემდეგ შარდთან ერთად ჩირქოვანი გამონადენი, რომელიც დიდი რაოდენობით გონოკოკებს შეიცავს. მისი მოხვედრა სხვა ორგანოებში, მაგ. თვალში, შესაძლოა გახდეს მძიმე დაავადების– ბლენორეის მიზეზი. თავიანთი სიმძიმის მიუხედავად სიფილისისა და გონორეის განკურნება შესაძლებელია, მკურნალობა მედიკამენტოზურია.

დანარჩენი სნეულებები არ მიეკუთვნებიან ვენერულს, რადგანაც სქესობრივი გზა არაა ერთად-ერთი. ისინი ჯანმრთელ ადამიანს სხვა გზითაც გადაეცემა. შიდს-ზე ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

ტრიქომონადოზი ძირითადად სქესობრივი გზით გადადის. იგი ძალზე გავს გონორეას, ასევე აზიანებს შარდსადენ მილს, წინამდებარე ჯირკვალს და სათესლეებს, ახასიათებს ისეთივე მძაფრი წვის შეგრძნება შარდვის დროს და ჩირქის გამოყოფა. განსხვავება არის სნეულების გამომწვევში. ტრიქომონადოზს იწვევს ამავე სახელის ტრიქომონადა, რომლის გარჩევა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება. იგი ორგანიზმში უფრო დიდ ცვლილებებს იწვევს, ვიდრე გონოკოკი და გაცილებით ძნელი მოსარჩენია, ვიდრე გონორეა.

ტრიქომონადოზის ვერაგობა იმაში გამოიხატება, რომ მამაკაცები მას ხშირად ვერ გრძნობენ, არ მკურნალობენ და ყოველი სქესობრივი კავშირის დროს გადასცემენ როგორც მეუღლეს, ასე სხვა პარტნიორებს, ამიტომ იგი ძალზე ადვილად ვრცელდება.

ტრიქომონადოზის სამკურნალოდ იყენებენ სხვადასხვა სახის მედიკამენტებს, პირველ რიგში მეტრონიდაზოლს.

შარდსასქესო ორგანოების სნეულებას **ქლამიდოზს** მედიკოსები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, თუმცა იგი საკმაოდ ხშირად გვხვდება ბავშვებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდებში. აზიანებს საშარდე გზებსა და სასქესო ორგანოებს. სნეულების გამოვლინებებია: ვულვოვაგინიტი, ცისტიტი, პიელიტი და პიელონეფრიტი. იგი შეიძლება გავრცელდეს სხვა ორგანოებზეც და გამოიწვიოს ყურის, ბრონქების, ფილტვების, თვალის, სახსრების ანთებები, კუჭ-ნაწლავის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოშლილობა. ამიტომ ეს სენი ექიმებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ქლამიდოზი სექსუალურად აქტიურ გოგონებსა და ვაჟებშიც ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ამიტომ სნეულება ადვილად ვრცელდება. მოზარდთა ეს ჯგუფი განსაკუთრებულ მეთვალყურეობას, აღრცხვაზე აყვანას და შესაბამის მკურნალობას საჭიროებენ. მკურნალობა მედიკამენტოზურია (ერითრომიცინი, აზითრომიცინი, დოქსიციკლინი და სხვ.).

სქესობრივი გზით გადადის აგრეთვე **მიკროპლაზმოზი** (სოკოვანი წარმოშობის) და პაპილომავირუსული ინფექცია. პირველ სნეულებას უპირატესად მკურნალობენ იმუნომასტიმულირებელი ციკლოფერონით, მაკროლიდებით, ცეფალოსპორიდებით, ხოლო მეორეს დროს იყენებენ ლაზერის სხივებს, აგრეთვე ვირუსების საწინააღმდეგო და იმუნიტეტის ასამაღლებელ პრეპარატებს.

ვენერული და სქესობრივი კავშირით გადამდები სხვა სნეულებები, მართალია სქემატურად წარმოვადგინეთ, თუმცა ესეც საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ გავიაზროთ მთელი საშიშროება, რაც შეიძლება ყმაწვილებს მოუტანოს ამ პათოლოგიებმა. ეს პირველ რიგში უნდა ესმოდეთ ***მშობლებს და პედაგოგებს; მათ მოზომილად, მაგრამ მთელი სერიოზულობით უნდა აგრძნობინონ მოზარდებს, რა შეიძლება მოყვეს შემთხვევით სქესობრივ კავშირს.***

,,გამოცდილი'' მეგობრებისგან მოზარდებმა იციან, რომ არსებობს ე. წ.პროფილაქტიკური პუნქტები, რომლებიც დღე და ღამე მუშაობენ და სქესობრივი კავშირის შემდეგ მათზე მიმართვა ააცილებს სნეულების შეყრას. პირველივე საათებში ჩატარებული პროცედურა მართლაც შედეგიანია, მაგრამ ჩვეულებრივ შემთხვევითი კავშირები სრულდება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, როცა ადამიანი საშიშროებას ვეღარ გრძნობს და მხოლოდ მეორე დღეს, გაღვიძების შემდეგ აფორიაქდება, დაგვიანებულ შემთხვევაში კი ეს პუნქტები უძლურია. მეორეც, მოზარდს უნდა ავუხსნათ, რომ მის ცხოვრებაში ერთ ყველაზე ძლიერ განცდას ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუკავშირებს ფაცი-ფუცის აუცილებლობას, თანაც მალულად, სახის საყელოში დამალვით, რაც ამ პუნქტში შესვლისას აუცილებელია, რათა გამვლელებმა არ დაინახონ.

არსებობს სიტყვები ,,სქესობრივი თვითაღზრდა.'' ტერმინს განმარტება არ სჭირდება და მისი შესრულება არასოდეს არ არის გვიანი, თუმცა რაც უფრო ადრე შევიგრძნობთ, რომ ადამიანი, რომელსაც სურს ალაგმოს და სწორი გზით ატაროს საკუთარი გრძნობები, ყოველთვის ტოვებს გონიერი და ბრძენი კაცის შთაბეჭდილებას. თუ ასეთი განსჯა ყმაწვილობის ასაკიდან იწყება, მომავალი ცხოვრებაც ნათელი და ბედნიერი იქნება.

შეძენილი იმუნიტეტის დეფიციტის სინდრომი (შიდს-ი)

ჩვენი დროის მრისხანე დაავადებამ მთელი მსოფლიო შეძრა, თუმცა მისგან განკურნების საიმედო საშუალებას ჯერჯერობით ვერავინ მიაგნო. ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სნეულების თავიდან აცილებას. უნდა ვეცადოთ, რომ იგი არ შეგვეყაროს. ამას კი ცოდნა სჭირდება.

ბავშვებთან საუბარი აუცილებელია ადრეული ასაკიდან. ყველაზე საუკეთესო, რასაც მშობლები 3-4 წლის ბავშვთან გააკეთებენ, ესაა ***ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომ ბავშვმა დასვას შეკითხვები სხეულზე, ჯანმრთელობაზე, სექსუალურობაზე. მან უნდა იცოდეს, რომ ამ თემაზე სახლში, მშობლებთან საუბარი შესაძლებელი და აუცილებელია, იგი არ უნდა იყოს შეზღუდული, მით უმეტეს შეშინებული.***

5-7 წლის ბავშვებს ამ თემებზე უფრო რთული საკითხები ესმით. მათ იციან ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება. შესაძლოა თანატოლებისგან ან ტელეგადაცემებში მოისმინეს შიდს-ზე და შიშს განიცდიან.***მათ ცოდნას მშობელმა სწორი მიმართულება უნდა მისცეს.*** მაგალითად, თუ ბავშვმა ხელი გაიჭრა და სისხლი წამოუვიდა, კარგია სწორედ ამ დროს ავუხსნათ მას, რომ ჭრილობაში შეიძლება შეიჭრან მიკრობები, რომლებიც იწვევენ შიდს-ს. ამ ასაკის ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მშობლების ნებართვის გარეშე წამლები არ უნდა მიიღოს. თუ თანაკლასელებში, რომლის გვერდითაც ის ზის, აივ-ით (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასნეულებული ურევია, თქვენმა ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მასთან თამაშით და საუბრით შიდს-ი არ გადაეცემა.

9-12 წლის ბავშვებში იწყება პუბერტატული პერიოდისთვის დამახასიათებელი ცვლილებები. მოზარდებს განსაკუთრებით აინტერესებთ საკუთარი სხეული, გარეგნობა და ეს ბუნებრივიცაა. ამ დროს იგი განიცდის ძლიერ სოციალურ გავლენებს. ამიტომ არ უნდა გადადოთ შიდს-ზე საუბარი, აუცილებელია ყველა ზომები იხმაროთ იმისთვის, რომ ბავშვმა იცოდეს, როგორ დაიცვას თავი შიდს-ისგან.

სქესობრივი მომწიფების დაწყებისას, 12-15 წლის ყმაწვილები დიდ ინტერესს იჩენენ ყველა იმ საკითხისადმი, რც დაკავშირებულია სქესობრივ ცხოვრებასთან. ამიტომ მათ უნდა მივაწოდოთ სრული და ზუსტი ცნობები. მათ უკვე უნდა იცოდნენ რა არის ნორმალური სქესობრივი კავშირი, ჰომოსექსუალიზმი, გაუკუღმართებული სექსი (ორალური და ანალური). მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვეულებრივ სქესობრივ კავშირს თან ახლავს გოგონას დაორსულება და ხშირ შემთხვევაში აივ-ით დასნეულებაც. მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ ის გაცილებით ადვილად დასნეულდება, ვიდრე ხანშიშესული ადამიანი. თანაც სენი უფრო მძიმედ მიმდინარეობს ყმაწვილებში, ამიტომ აუცილებელია სექსუალური კავშირისგან თავის შეკავება. მოზარდებმა ასევე უნდა იცოდნენ სნეულების შეყრის გზები და მისგან დაცვის საშუალებები, მათ შორის პრეზერვატივი.

ერთი შეხედვით ყოველივე ამის საკუთარ შვილზე ახსნა ძნელი საქმეა, თუმცა მისი შესრლება მშობლის მოვალეობაა, სასურველია ვაჟს მამამ, გოგონას დედამ ესაუბროს. სირთულის მიუხედავად შედეგი შთამაოგნებელია. თქვენს შვილს თქვენივე საუბრით დაეხმარებით მომავალი ჯანსაღი ცხოვრების წარმართვაში. ბავშვს უნდა შთავაგონოთ, რომ შიდს-ის და ზოგადად სექსუალური ცხოვრების შესახებ მხოლოდ თქვენგან მიიღებს სწორ და ზუსტ პასუხს, ამიტომ სხვა წყაროებს, თანატოლებს, ნაცნობებს, ინტერნეტს და ტელევიზიას ამ ცნობების მისაღებად არ უნდა მიმართოს.

მაინც როგორ ვითარდება ეს სნეულება?

აივ ინფექციას იწვევს ვირუსი აივ-1, იშვიათად აივ-2. ბავშვების უმრავლესობაზე ეს ვირუსი გადადის დედისგან მუცლად ყოფნისას ან მშობიარობის დროს. დაბადების შემდეგ ბავშვი შეიძლება დასნეულდეს დედის რძითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ბავშვთა და მოზარდთა დასნეულების სხვა გზებიც– მოზარდების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ გამოჩენილი ძალადობა– გაუპატიურება. სენი გადადის აგრეთვე არაჯანსაღი სისხლის გადასხმით და დაბინძურებული შპრიცებით, რაც ხშირია ნარკომანებს შორის.

აივ ინფექცია ვრცელდება, როგორც ჩვეულბრივი, ისე ჰომოსექსუალური კავშირის დროს.

ვირუსი არ გადაიცემა საკვებთ, წყლით, საოჯახო საგნებითდა ადამიანებთან ოჯახური თუ შრომითი ურთიერთობის დროს, თუ შემთხვევით სნეულის სისხლი არ მოხვდა ჯანმრთელის დაზიანებულ კანზე. ადამიანის ნერწყვში არსებული ვირუსიც მეორეს არ გადაეცემა, დავუშვათ, კოცნის დროს.

სენს თან ახლავს ორგანიზმის იმუნური სისტემის მოშლა, რის გამო პროგრესულად კლებულობს ორგანიზმის გამძლეობა, მას ადვილად ჯაბნის სხვადასხვა პათოგენური მიკრობები, ასეთ ადამიანებში, განსაკუთრებით ხნიერებში, ხშირია ავთვისებიანი სიმსივნეები.

აივ დასაწყის სტადიად ითვლება, ხოლო შიდს-ი ბოლო პერიოდია, რომელიც სიკვდილით მთავრდება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ეს სენი პირველ რიგში ახალგაზრდებს ემართებათ. აშშ-ის მონაცემებით ავადმყოფთა 2% ბავშვები და მოზარდები არიან. რუსეთში ამის სტატისტიკა არაა, მაგრამ იქაური მეცნიერები თვლიან, რომ მოზარდთა ასაკში სნეულების რიცხვი ძალზე ჩქარა მატულობს.

ბავშვებში ხშირია ამ სენის საწყისი ფორმები: ჰეპატიტი, გულის უკმარისობა, თირკმელების დასნეულება, შედარებით იშვიათად სიმსივნური წარმონაქმნები.წლინახევრის ზევით ბავშვებში და მოზარდებში აივ-ინფექციის დიაგნოზის დასასმელად იყენებენ ანტისხეულებზე სისხლის სტანდარტულ გამოკვლევებს.

აივ-ინფექციის სამკურნალოდ ყმაწვილებსა და მოზრდილ ადამიანებში იყენებენ წამლებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, თუმცა შედეგი ნაკლებია. ბავშვებში უფრო ეფექტურად ითვლება ეიდოვუდინი (რეტროვირი), ლამივუდინი (ეპივირი) და სხვ. ჩვილ ბავშვებს უნიშნავენ ანტიბიოტიკებს (კოტრიმოკსაზილი,

პენტამიდინი, დაპსონი), თუმცა მათი უმრავლესობა მხოლოდ 8-12 წლის ასაკს აღწევენ.

აუცილებელია ბავშვები ავცრათ ჩვეულებრივ ბავშვთა ინფექციებზე, რადგანაც აუცრელებს აივ-ინფექცია ურთულდებათ და ყველა შემთხვევა სიკვდილით მთავრდება.

სასურველია ამ ავადმყოფებს ექიმი ბინაზე მოემსახუროს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვის გადატვირთვა და გარშემომყოფებთან კონტაქტი.

სნეულების პროფილაქტიკა პირველ რიგში გულისხმობს სქესობრივი კონტაქტის დროს თავდაცვითი საშუალების გამოყენებას. ეს პირველ რიგში უნდა იცოდნენ მოზარდებმა.

ახალშობილზე სნეულების გადაცემის თავიდან ასაცილებლად ორსულობის დროს დედას შიგნით მისაღებად აძლევენ პრეპარატს ზიდოვუდინს, ხოლო მშობიარობის დროს ამავე პრეპარატს, ახალშობილს 6 კვირის განმავლობაში უკეთებენ ვენაში.აივ-ინფექციის არსებობის შესახებ არა მარტო სკოლაში, არამედ შეიძლება ოჯახშიც არაფერი იცოდნენ. იგი შეიძლება მოულოდნელად გამოჩნდეს, ამიტომ ბავშვთა ბაღებში და სკოლებში ამისთვის მუდამ მზად უნდა იყვნენ. შემთხვევითი ტრავმის ან ცხვირიდან სისხლდენის დროს უნდა შეძლონ სისხლისგან ზედაპირის გაწმენდა და დეზინფექცია.

ნარკომანია და ტოქსიკომანია

ნარკომანია ბერძნული სიტყვაა, ,,ნარკოზ''-იდან მოდის და გახევებას, გაშეშებას ნიშნავს. ბოლოსართი ,,მანია'' კი რაიმესადმი არაბუნებრივი სწრაფვა, სიგიჟეა.

ნარკომანია მთლიანად ვერ ასახავს ამ საშიში სენის არსს, რადგანაც წამლის მიღებისკენ პათოლოგიური ლტოლვა და მისი მიღებისგან თავშეკავების ნიშნები (აბსტინენცია) ვითარდება არამარტო ნარკოტიკული პრეპარატების ხმარებისას, არამედ სხვა ნეიროტროპული ნივთიერებების მიღების დროსაც. ამიტომ ბოლო დროს მრავალი ავტორი ,,ნარკომანიის'' ნაცვლად ხმარობს ტერმინს ,,ტოქსიკომანიას,'' ე. ი. შხამიანი ნივთიერებების მიღებისადმი პათოლოგიურ სწრაფვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ეს ტერმინებიც საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი დაფიქრდეს, რათა კარგად განსაჯოს ასეთი მისწრაფების არსი და იმთავითვე უარი თქვას მასზე.

ნარკომანიას იწვევს ნივთიერებები, რომლებსაც მედიცინაში იყენებენ ტკივილის გამაყუჩებელ, დამამშვიდებელ და ძილის მომგვრელ საშუალებად. ამ ნივთიერებებს მიეკუთვნება: ალკოჰოლი, ოპიუმი, ჰეროინი, მორფიუმი, პანტოპონი, კოკაინი, აგრეთვე ძილის მომგვრელი ბარბიტურატები: ვერონალი, ლუმინლი, მედინალი და სხვ.

არაიშვიათად ნარკომანია ვითარდება სტაციონარში ყოფნისას, როცა სნეულების ხასიათის გამო, სამედიცინო პერსონალი იძულებულია პაციენტს ხანგრძლივად დაუნიშნოს ნარკოტიკული საშუალებები და თანდათან მოუმატოს დოზები. აქ კონტროლი განსაკუთრებულია და ასეთი შემთხვევებიც ნაკლებია. უფრო ხშირად ნარკომანია სამედიცინო დაწესებულებების გარეთ ვითარდება, როცა ნარკოტიკულ საშუალებებს დანაშაულებრივი გზით იძენენ და მათი მოხმარებაც არაჰიგიენურ, ანტისანიტარიულ პირობებში ხდება.

ველური გზით ნარკოტიკების მიღების წესს მიეკუთვნება **ჰაშიშიზმი.** ჰაშიში ფისის მაგვარი ნივთიერებაა, რომელსაც ამზადებენ ინდოეთის კანაბის აყვავებული წანაზარდებისგან. სამხრეთ ამერიკაში ხარობს მცენარე კოკა, რომლის ფოთლებს ღეჭავენ, რათა მიიღონ მისი ნარკოტიკული გავლენა.

ჩვენში ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებლად იყენებენ ველურად მზარდ ან ხელოვნურად მოშენებულ ყაყაჩოს (ხაშიში), კანაფს და სხვა მცენარეებს.

ზემოთ ჩვენ ნარკოტიკულ საშუალებებთან ერთად დავასახელეთ **ალკოჰოლი,** რაც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის უჩვეულო და გაუგებარია. მართალია ალკოჰოლი თავისი საგემოვნო და საყუათო თვისებებით კვების პროდუქტების რიგს მიეკუთვნება, მაგრამ მას ამავე დროს აქვს ნეიროტროპული და ფსიქოტოქსიკური თვისებები და ***მიეკუთვნება მათრობელა-ნარკოტიკული შხამების რიგს.*** ამიტომ ალკოჰოლიზმიც ნარკომანია-ტოქსიკომანიის ერთ-ერთი, საკმაოდ გავრცელებული ფორმაა.

უკანასკნელ ხანებში, სამედიცინო პრეპარატებთან ერთად, გახშიდა მცენარეული წარმოშობის, აგრეთვე თვითნაკეთი ნარევების და საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებების გამოყენება. ესენია: ოპიუმის ჯგუფის პრეპარატები, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამედიცინო, ისე თვითნაკეთი, ველურად მზარდი კანაფის (ჰაშიში, ანაშა, მარიხუანა) ზეთოვანი მცენარეებისა და ყაყაჩოსგან. კანაფისგან დამზადებული ეფედრინი, აგრეთვე ბარბიტურატები, ბენზოდიაზეპინები, ზოგიერთი საგულე საშუალება (კორვალოლი, ვალოკორდინი), პარკინსონის და ასთმური სნეულების დროს ხმარებული დიმედროლი, პიპოლფენი, ციკლიდოლი, თეობრომინი, ასთმატოლი, აგრეთვე ზოგიერთი აქროლადი გამხსნელები (შესუნთქვის გზით). უკანასკნელ ხანებში ფართოდ იხმარება შინაურულად დამზადებული ეფედრონი, იგივე პერვიტინი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საშიში პრეპარატების და შხამების მომხმარებალი მოზარდების გარეგან იერს. პირველ რიგში თვალში გეცემათ მათი შეუსაბამობა ასაკთან (უფრო ხნიერი არიან), კანი ფერმკრთალი, მოყვითალო ელფერით, მშრალი, ელასტიურობა დაქვეითებულია. ყმაწვილის წონა ნორმაზე დაბალია. ვენების მდებარეობის ადგილებში კანი ფერშეცვლილია, შესაძლოა იყოს ჩხვლეტისშემდგომი კვანძებიც. ტანზე უწესრიგოდ აცვია, თვლები ჩაცვივნულია, ხმა გატეხილი, სუსტია. ენაზე ემჩნევა ნახეთქები, შეიძლება ქონდეს ენის, აგრეთვე ხელების და ქუთუთოების კანკალი. ასეთი ნიშნების აღმოჩენა საკმარისია იმისთვის, რომ მოზარდი გავგზავნოთ ნარკოლოგთან. ისინი ხშირად თვითონაც ცხადდებიან ექიმებთან, მალავენ ნარკოტიკის მიღებას და უჩივიან აგზნებულობას, უძილობას, ითხოვენ წამლებს, თანაც კატეგორიულად, მომაბეზრებლად. ასეთ დროს აუცილებელია გაკეთდეს ანალიზი, რაც დაადასტურებს წამლის მოთხოვნის მიზეზს.

უკანასკნელ ხანებში გახშირდა აქროლადი საყოფაცხოვრებო ხსნარების, როგორიცაა: თოლუოლი, ბენზოლი, პერხლორეთილენი, ბენზინი, სხვადასხვა სახის წებოების შესუნთქვით ხმარება. ასეთ ბავშვებს აღენიშნებათ მოდუნება, ბარბაცი, თავის ტკივილი, ზოგჯერ პირღებინება, იცვლება ხასიათი, გონება დაბინდულია, აქვს მხედველობითი მოჩვენებები. ასეთ დროს მოზარდმა შეიძლება ჩაიდინოს საკუთარი თავის და ახლომყოფებისთვის საშიში ქმედება: გადაჭრას ელექტროზონრები, რომლებიც გველი ჰგონია, გადახტეს ფანჯრიდან და ა. შ.

ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველას, პირველ რიგში სკოლის ექიმის და აღმზრდელის საზრუნავია. მშობლებმა შესაძლოა კარგად არ იცოდნენ ვითარება,ამიტომ ისინი ყველა ზემოთ აღწერილ გამოვლინებებს ჩვეულებრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნეულებად მიიჩნევენ და მიმართავენ პედიატრებს ჩივილებით: ადვილად დაღლილობა, ცუდი მოსწრება, სიფერმკრთალე, აღგზნებადობა, მოდუნება, ძილიანობა, სურვილების გაქრობა.

ნარკომანიის და ტოქსიკომანიის მკურნალობა შეუძლია მხოლოდ ფსიქიტრ-ნარკოლოგს. მკურნალობის პროცესი 5 ეტაპად იყოფა. პირველი და მეორე ეტაპი საჭიროა ჩატარდეს სტაციონარში, ხოლო დანარჩენი სამი შესაძლოა ამბულატორიულად. ყველა სტადიაზე იყენებენ წამლებს, რეფლექსებს, ნეიროელექტროსტიმულატორებს, აგრეთვე ფსიქოთერაპიის და ჯგუფური ფსიქოკორექციის სხვადასხვა მეთოდებს.

აღმზრდელებმა და მშობლებმა შეიძლება ყმწვილებს წაუკითხონ მოწოდება, რომელსაც ერთგვარი შთაგონების და რჩევის ხასიათი აქვს:

ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება იწყება სრულიად ახალგაზრდა ასაკში და ამის მოტივად, რომელიც მოზარდს უბიძგებს მისკენ, პირველ რიგში ასახელებენ ცნობისმოყვარეობას და მიბაძვას, ზოგჯერ იმის შიშს, რომ ,,გამოცდილი" ნაცნობები უსაყვედურებენ და დასცინებენ.

ნარკომანია გამალებით ვრცელდება. ვერც კი წარმოიდგენთ ბავშვური ცელქობა როგორ გადაიზრდება წამლებზე მონურ დამოკიდებულებაში. მალე კარს შეუვალი შურისძიებაც მოგვადგება: ძალ-ღონის გამოლევა, უძილობა, მადის დაკარგვა, სიგამხდრე, დახრულ-დაჭმული კბილები, ნაადრევი გამელოტება, კანის გაყვითლება, სახეზე ნაადრევი ნოჭები– ესაა ახალგაზრდა ნარკომანის ტიპური სახე.

ნარკოტიკების მიღებით აუცილებლად იცვლება ადამიანის ფსიქიკა. ნარკომანები უხეში, ეგოისტები არიან, აღარაფერი აინტერესებთ, არც მეგობრები და არც ნათესავები.

ნარკომანი ვერავის ველარ ეგუება, მათთან ურთიერთობა გაძნელებულია. მათი მთელი აზროვნება მიმართულია მხოლოდ ნარკოტიკის მოპოვებისა და მიღებისკენ. მტანჯველი მოთხოვნილება, ყოველგვარი გზით და საშუალებით მოიპოვოს წამალი, მას უბიძგებს ათასგვარი ქმედების და დანაშაულისკენ.

დაიმახსოვრეთ! გამოცდილი ნარკომანები და გამსაღებლები მოხერხებულად ითრევენ მოზარდებს თავის ბუდეში, პატიჟებენ ,,ძვირფას" წამლებზე, აჩვევენ მას,

შემდეგ კი მტანჯველი მოთხოვნილება ადამიანს ყველა უკეთურობისკენ, მოტყუების ქურდობის და მკვლელობისკენ უბიძგებს.

ნარკოტიკები ძვირს ფასობს. მისი გამავრცელებლები უდიდეს მოგებას ნახულობენ, მაგრამ გამყიდველს მუშტარი სჭირდება, ე. ი. გაუბედურებული ახალგაზრდა, რომელიც ერთ დოზაში ნებისმიერ დიდ თანხას გადაიხდის.

ამ ჩვევის საბოლოო გამოსავალი მძიმე სნეულება და ნაადრევი სიკვდილია. ჯერ ექიმ-ნარკოლოგს არ შეხვედრია მოხუცი ნარკომანი. არა იმიტომ, რომ ასაკში შესულმა მიატოვა ეს მავნე ჩვევა, არამედ ისინი შუახნის ასაკამდე ვერ აღწევენ, ადრე ეთხოვებიან წუთისოფელს, ზოგი დიდი დოზის მიღებით, ზოგი თანდართული მძიმე დაავადებით, ზოგიც თვითმკვლელობით.

ნარკომანები ღუპავენ თავისთავს და მომავალ თაობასაც, მათი შვილები იბადებიან ღრმა ფსიქიკური და ფიზიკური სიმახინჯეებით.

მივხედოთ ჩვენს თავს, ვიფიქროთ მომავალზე!

მოზარდები და ალკოჰოლი

მსოფლიოს მარავალი ქვეყნისთვის ალკოჰოლიზმი მძიმე სოციალურ პორობლამად ითვლება. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი გამონაკლისია, სადაც ყველაზე მეტი ღვინო იხარჯება, მაგრამ ალკოჰოლიზმი, როგორც სოციალური სენი, საზოგადოების განვითარებას არ ემუქრება.

არაერთხელ ვახსენე და ახლაც გავიმეორებ. ჩვენში ღვინის სმა და დროსტარება გამორჩეულია, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ადგილებში. სასმელს ღებულობენ ქორწილებში, ქელეხებში, საოჯახო და რელიგიური დღესასწაულების, ახალმოსახლობის, სკოლის დამთავრების, მეგობრების დაბადების დღის აღსანიშნავად და ა. შ. ამგვარად სასმელის მიღების საბაბი საკმაოზე მეტია.მაგრამ დიდები ყოველთვის აკონტროლებდნენ ახალგაზრდების მიერ სასმელის მიღებას და არამც და არამც არ აქეზებდნენ მათ. ქორწილებსა და დიდ ნადიმებზე ოჯახის უფროსი საგანგებოდ ყველაზე უფრო გამორჩეულ, შემძლე და მამაც კაცს მიუჩენდა სუფრას, რათა მას თვალყური ედევნებინა ახალგაზრდების მიერ სასმელის მიღებისთვის და არასასიამოვნო ხმაური დასაწყისიდანვე აღეკვეთა. ძველთაგანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვრალი კაცის საზოგადოებაში გამოსვლა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ამოტომ შედარებით ფხიზელი ამფსონები ცდილობდნენ იგი სახლში მიეყვანათ.

სიმთვრალეს მრავალი უსიამოვნება, აყალმაყალი, ჩხუბი და დავიდარაბა მოსდევს. ხშირია ხელჩართული შეტაკებაც, რაც ზოგჯერ ფატალური შედეგებით თავდება, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ეს კარგად იციდნენ ჩვენმა უახლოესმა წინაპრებმა. კარგად მახსოვს მამასთან მოსული სტუმრები, რომლებიც, სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, ცეცხლსასროლ იარაღს ჩუმად ამოიღებდნენ (მისი გამოჩენა სირცხვილად ითვლებოდა), ხელსახოცში შეახვევდნენ და დედაჩემს ჩააბარებდნენ, ვაითუ ბევრი დავლიო და რაღაც ფათერაკს გადავეკიდოო.

ასეთი წესებით ცხოვრობდა მათი და მომდევნო თაობებიც, მოზარდებიც, რომლებიც სრულ ასაკოვნობამდე ღვინოს ძალზე ნაკლებად ეტანებოდნენ, თუმცა სუფრასთან ყოველთვის აქტიურობდნენ და სტუმრებს ემსახურებოდნენ.

ქალი ღვინოს იშვიათად სვამდა. მას ამას არავინ უკრძალავდა, მაგრამ ოდითგანვე ყველამ კარგად იცოდა, რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს ქალის ორგანიზმისთვის ალკოჰოლს, ამოტომ გაურბოდნენ მას. გოგონებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგანაც ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ქართველი ერის ერთ-ერთ დამახასიათებელი თვისებაა მიმბაძველობა. მას ძალზე ადვილად გადმოაქვს სხვა ერების, უპირატესობად საზღვარგარეთლების როგორც სასრგებლო, ისე მავნე ჩვევები. მავნე წესი ჩვეულებრივ, როგორც კი შემოიჭრება ჩვენთან, იგი პირველ რიგში ამსხვრევს და ანადგურებს ისტორიულ ტრადიციებს, სასარგებლო ადათ-წესებს, რომლებიც ხალხმა, თავისი გამოცდილებით დააგროვა. ასეა ალკოჰოლის ხმარებაშიც, რომელსაც ახლა, უცხოელთა მიბაძვით, ჩვენი მოზარდები, მათ შორის გოგონებიც ეტანებიან.

ყველამ იცის, რომ ალკოჰოლიზმი დიდი სოციალური ბოროტებაა, რომელიც დაკავშირებულია სასმელების უზომო ხმარებასთან და რომელიც გამანადგურებლად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, შრომაზე, ადამიანის კულტურულ განვითარებაზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

შემჩნეულია,რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დნაშაული, განსაკუთრებით ძალადობა, მეტნაკლებად სიმთვრალეზე მოდის. სპირტიანი სასმელის მიღება განსაკუთრებით ადვილად მოქმედებს მოზარდის გონებაზე, ავიწყებს მას მორალურ-

ესთეთიკურ მოვალეობებს, წარმოქმნის უთანხმოებას ოჯახში, ამხანაგების და თანაკლასელების ჯგუფში და ზრდის ნერვულ-ფსიქიკურ და სხვა დარღვევათა შემთხვევებს.

მაგარი სასმელის მცირე რაოდენობით მიღების შემდეგაც ვითარდება თრობის პირველი საფეხური. მხიარულების, ფიზიკური ძალის და თვითდაჯერებულობის, მეტყველების მოშლის ლაგამახსნილობის და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის შემცირების შეგრძნება.

მორიგი სასმისის დაცლის შემდეგ ეს შეგრძნებები კიდევ უფრო ძლიერდება და თუ ეს ღრეობა ვინმემ არ შეაჩერა, მოზარდი თვრება, მისი სიტყვები გაუგებარია, ქცევები კი აუტანელი.

მოზარდთა ერთი ნაწილი, თავისი ბიოლოგიურ-გენეტიკური წარმომავლობის გამო სიმთვრალეშიც ცუდს არ ჩაიდენს, იგი უწყინარია, საუბარიც ნაკლებად მოსაბეზრებელია და არ ავლენს აგრესიულობას, მაგრამ არიან მოზარდები, რომლებიც სასმელის მიღების შემდეგ უცებ თავხედდებიან, საქმე გვაქვს მათს აღვირახსნილობასთან, ბილწსიტყვაობასთან და საშიშ მოქმედებასთან. მათთვის უკვე აღარ არსებობს ზნეობრიობა, სადაც ხშირ შემთხვევაში სქესობრივიდანაშაულით (ჯგუფური გაუპტიურობა, თანმხლები გოგონების, მცირეწლოვანთა შეცდენა, გახწრნა და ა.შ.) მთავრდება.

მთვრალ მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენზე არავითარი შეღავათი არ ვრცელდება. პირიქით იგი ითვლება დამამძიმებელ გარემოებად და საჯელიც შესაბამისად მძიმეა.

სად არის ამ უბედურების სათავე? პირველ რიგში ოჯახში, სადაც ,,მზრუნველი“ მამა საკუთარ ათიოდე წლის ყმაწვილს თვითონ აწვდის სასმისს და სტუმრების წინაშე სადღეგრძელოსაც ათქმევინებს. ცნობისმოყვარე ბავშვი გემოს გაუსინჯავს, შემდეგ უფროსებს მიბაძავს, გარეთ კი თნატოლებთან უჭკუოდ ბაქიაობს, აქაო და ამდენი დავლიეო.

მცირე დოზა საკმარისი აღარაა, იგი თანდათან მატულობს, ყმაწვილს ასაკიც ემატება და მოწიფულობაში მისგან ვღებულობთ ღვინის მოყვარულ სუბიექტს, რომელსაც ,, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“.

სასმელით გატაცების საბაბად ჩვენ ზემოთ სოციალური ფაქტორები დავასახელეთ, მაგრამ არანაკლებ ყურედსაღებია ყმაწვილების და ჭაბუკების ინდივიდუალური, პიროვნული თვისებები. სასმელის მიღებას ზოგჯერ განაპირობებსნევროზული ხასიათი, ნებისყოფის სისუსტე, ემოციური არამდგრადობა და მომატებული შთაგონება, სიძნელის შიში, თავის ძალებში ნაკლები დამაჯერებლობა, თვითკონტროლის უქონლობა და ა. შ. ეს თვისებები არასწორი აღზრდის გამო ადრეულ ასაკში ყალიბდება. სამწუხაროდ მშობელი ამ დროს უფრო ზრუნავს საკუთარი შვილის განებივრებაზე,,,ამას შემდეგაც მოვასწრებო'', ფიქრობს, გადადებს ხოლმე ისეთი აღმრზდელობითი ზომების მიღებას, რაც ბავშვებს თავიდან ააცილებს ჭირვეულობას,დაუმორჩილებლობას, პატივმოყვარეობას და სხვ. ამასობაში ბაშვები მოზარდებად იქცევიან, რომელთაც ნაკლებად აქვთ გამომუშავებული პასუხისმგებლობის გრძნობა თავისთავისადმი და იგივე სიყვარული გოგონას, ამხანაგების, მეგობრებისადმი. კიდევ უფრო სამწუხაროა,რომ ბავშვები ასევე უარყოფითად არიან განწყობილი საკუთარი მშობლებისადმი, რომელთაც საჭირო დროს არ გამოიჩინეს სიმტკიცე, ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობები და შვილის წინაშე ვერ მოიხვეჭეს ნამდვილი ავტორიტეტი, რათა თავიდან აეცილებინათ სპირტიანი სასმელის მიღებით გამოწვეული მრავალი უსიამოვნებანი.

* * *

მოზარდის ორგანიზმზეალკოჰოლის გავლენაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ამიტომ მკითხველს შევახსენებთ და ზოგიერთ რჩევა-დარიგებასაც მივცემთ, რაც სასარგებლო იქნება ყმაწვილების აღზრდის პროცესში.

სასმელის ხშირი მიღებით პირველ რიგში ზიანდებასაჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა, მოიშლება ნივთიერებათა ცვლა. სერიოზულად ითრგუნება მოზარდის ნერვულ-ენდოკრინული სისტემები და მასთან დაკავშირებული ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სქესობრივი ფუნქცია. სხვა ორგანოებიდან ალკოჰოლი ზიანს აყენებს გულს, ღვიძლს, ფილტვს, თირკმელს და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდებს ალკოჰოლის უმცირესი დოზაც კი აუჩქარებს მაჯის ცემას, იცვლება არტერიული წნევა, ნაადრევ ასაკში სასმელის მიღება ყველაზე მეტად საშიშ ცვლილებებს იწვევს ღვიძლში, რაც მისი ციროზით მთავრდება.

ქრონიკული ათებითი პროცესები: ფარინგიტი, ლარინგიტი, ტრაქეიტი, ბრონქიტი,მსმელ მოზარდებში 3-4 ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე არამსმელებში.

განსაკუთრებულ ცვლილებებს სასმელი იწვევს მოზარდთა სასქესო სფეროში, იგი ამუხრუჭებს სასქესო ჯირკვლების მოქმედებას და აქვეითებს სექსუალურ შესაძლებლობას. შეგრძნებები, რომლებიც კავშირშია სექსუალურ განცდებთან, ხდება ძალზე უბრალო, პრიმიტიული და უხეში, ასეთი მოზარდებისთვის უცხოა მაღალი სულიერი მისწრაფებები და ჭეშმარიტი სიყვარული. მათთვის აღვირახსნილობა ჩვეულებრივ თვისებად იქცევა, ისწრაფვიან, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ დაამყრონსქესობრივი კავშირი, ამ დროს არ ერიდებიან უცხო პირებს და ბავშვებსაც კი.

განსაკუთრებით ცუდად მოქმქმედებს სასმელი გოგონების შინაგან ორგანოებზე, პირველ რიგში ნერვულ სისტემაზე, მისი ერთჯერადი მიღებაც კი არღვევს საკვერცხეების ფუნქციას, იცვლება მენსტეუალური ციკლი და გამოყოფილი სისხლის ოდენობა. სასმელის განმეორებით მიღებისას თვიური იშვიათდება და ხანმოკლეა, ან პირიქით ხშირი, ხანგრძლივი, უხვი და მტკივნეული. სასმელის მოყვარულ დედებს ფიზიკურად სუსტი და სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობის მქონე, არასრულფასოვანი შვილები უჩნდებათ. ისინი ხშირად სნეულდებიან და ადრე კვდებიან.

მოზარდებში, როგორც ვაჟებში ისე გოგონებში, სასმელის ერთჯერადი მიღებაც ხსნის ისედაც სუსტ შემკავებელ რეფლექსებს, უჩენს მოჩვენებითი დიდი ძალისა და შესაძლებლობის გრძნობებს და უბიძგებს შემთხვევითი სქესობრივი კავშირისკენ დღეს გაცნობილ პიროვნებასთან, რაც ხშირად ვენერული სნეულების შეყრით მთავრდება.

სასმელის მიღების შემდეგ ენერგიის მოზღვავება მოჩვენებითია სინამდვილეში იგი ამცირებს რეაქციას და აქვეითებს სქესობრივი კავშირით მიღებულ განცდებს. თუ მოზარდთა ასაკში, როცა სასქესო სფერო ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული, ალკოჰოლის მიღება გრძელდება, შესაძლოა ძალიან მალე დადგეს სქესობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარის სრული შეწყვეტა-იმპოტენცია, როცა სქესობრივი კავშირის დამყარება შეუძლებელი ხდება. ამიტომაა, რომ მოწიფულობის ასაკში მამაკაცთა შორის უნაყოფობის მთავარ მიზეზად სასმელი ითვლება.

ხანში შესული უშვილო მამაკაცი თავს იმტვრევს გაიგოს უნაყოფობის მიზეზი, ათასგვარ გამოკვლევებს იტარებს, ამ საქმეში მეუღლეს ადანაშაულებს, მაგრამ აღარც კი ახსოვს, რომ ჯერ კიდავ ჭაბუკობის დროს ბოროტად იყენებდა ალკოჰოლს, აბრკოლებდა თავისი სასქესო სფეროს განვითარებას, მრჩეველი და მშველელი კი მის გვერდით არ აღმოჩნდა.

შემჩნეულია, რომ მსმელებში ალკოჰოლი ხოცავს სპერმატოზოიდებს, გადარჩენილებს უქვეითდებად, კვერცხუჯრედის განაოფიერების ფუნქცია, თუ განაყოფიერდა, შესაძლოა არასწორად განვითარდეს.

მოზარდებში სასმელით გატაცება პირველ რიგში იწყება მშობლებზე მიბაძვით. უფრო მეტიც, მთვრალი მამა ბავშვებს არ ერიდება, მეუღლესთან ეროტიულ სცენებს მართავს, რაც მოუმწიფებელ ბაუშვებში აჩქარებს სქესობრივი გრძნობების გაღვიძებას, იწვევს ნაადრევ მომწიფებას მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

თამბაქოს მოწევა

1492 წელს, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმიჩენის შემდეგ, ევროპელები პირველად ეზიარნენ თუთუნის მოწევას. ადგილობრივი ინდიელები გამხმარ ფოთლებს დაახვევდნენ, მისგან მილაკს გააკეთებდნენ და ერთ ბოლოში ცეცხლმოკიდებულს ეწეოდნენ. ევროპელებს უკვირდათ, რა სიამოვნება უნდა მიეღოთ კვამლისგან, რომელიც რაღაც ჯოჯოხეთურ სუნს გამოსცემდა. თუმცა ერთი საუკუნის შემდეგ იმავე ევროპელებმა თამბაქო შემოიტანეს ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, საიდანაც გავრცელდა აზიის და აფრიკის ყველა ქვეყანაში.

რუსეთში თამბაქო მე-17 საუკუნეში გავრცელდა, პირველი ნარგავები სოფელ ახტირკაში (ქალაქ ჩერკასის მახლობლად) გააშენეს და მისი მოწევაც გაჩაღდა, მაგრამ ამას დაერთო ხშირი ხანძრები, ამიტომ რომანოვთა დინასტიის მეფეებმა ერთხანს აკრძალეს თამბქოს გაყდვა და მოწევა. თუმცა მისი შეჩრება ვერ მოახერხეს, პირიქით, კიდევ უფრო გავრცელდა არა მარტო რუსეთში, არამედ მის მეზობელ ქვეყნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე პირველმა, რომელიც ერთ-ერთი გატაცებული მწეველი იყო, აკრძალვები გააუქმქ და სხვებსაც აიძულებდა მოეწიათ. მეფის ასეთმა ქცევამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი თამბაქოს კულტურის გაშენებას, რამაც იგი სახელმწიფოს დიდი შემოსავლების წყაროდ აქცია. საქმოსან-თაღლითები ავრცელებდნენ ხმებს ჯანმრთელობისთვის თამბაქოს სარგებლობაზე, მის თითქოს და აზროვნების მიმატების თვისებებზე. ატარებდნენ სპციალურ შეხვედრებს, საღამოებს, ამიტომ მოწევამ, როგორც სიამოვნების მომგვრელმა ჩვევამ, ყველა კლასსა და წოდებაში შეაღწია, როგორც ცხოვრებისეული სიდუხჭირისგან თავის დაღწევის საშუალებამ. მხოლოდ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შეიგნო კაცობრიობამ, რომ თამბაქოს კვამლი მრავალი დაავადების გამომწვევია, გამოჩნდა ამის დამადასტურებელი ცნობებიც.

საქართველოში თმბაქო ოდნავ მოგვიანებით მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა, თანაც დაბალი ხარისხის წეკო. შედარებით მაღალხარისხოვანი თაბაქო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთიდან გავრცელდა. პირველად იგი შავი ზღვის სანაპიროზე, ჯერ აფხაზეთში, შემდეგ ოსმალეთიდან აჭარაში და ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის, ბოლნისის, ყვარელის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში გავრცელდა.

საბჭოთა პერიოდში,როცა ყველამ იცოდა რა საშინელი იყო თვით ამ კულტურის მოშენება, რა გავლნას ახდენდა პლანტაციებში, საშრობებში მუშაობა ადამიანის ჯანმრთელობაზე, მას მაინც დიდი გაქანება მიეცა და საქართველოს ზემოთ დასახელებული ოლქები და რაიონები დაფარული იყო თამბაქოს პლანტაციებით, საიდანაც მოწეული პროდუქციის დიდი ნაწილი (ხმელი თამბაქო) ბარდებოდა სახელმწიფოს, მეორე ნაწილი რჩებოდა ადგილობრივი მოხმარებისთვის.

საბჭოთაკავშირის დაშლის შემდეგ თაბაქოს პლანტაციების რიცხვი საქართველოში თანდათან შემცირდა და ამჟამად, აქა-იქ თუ შეხვდებით პირადი მიხმარებისთვის განკუთვნილ მცირე ბოსტნებს. თუმცა ქვეყანაში შემოდის უცხოური სიგარეტები და, შეიძლება ითქვას, მოწევა ართუ მოისპო, არამედ კიდევ უფრო ,,არისტოკრატულ-კომფორტულ“ ჩვევად იქცა. ადამიანის ორგანიზმში შესუნთქვით შესული კვამლი, რომელიც შეიცავს ალკალოიდ ნიკოტინს,* პირველ რიგში აზიანებს

*სახელი შეერქვა ფრანგი დიპლომატის ჟან ნიკოს გვარის მიხედვით, რომელმაც 1560 წელს პირველმა შეიტანა თამბაქო საფრანგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასუნთქ ორგანოებს, ასეთ ადამიანებს მუდმივად აწუხებთ ხველა, მათი ხმა ჩახლეჩილი და უხეშია. ამ სისტემით დაავადებული თითქმის ყველა ადამიანი მწეველია.

თამბაქოს მოწევით ზიანდება აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ვითარდება სისხლის არტერიული წნევის მომატება, ათეროსკლეროზი, ენდარტერიტები, გულის იშემიური დაავადებები და ინფარქტი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ნიკოტინის უარყოფითი გვლენა აისახება კუნთების ძალაზე, რადგანაც ეს შხამი ავიწროებს კუნთების მკვებავ არტერიებს, რაც სისხლის ნაკადს ამცირებს. თითქმის ყველა კუნთში მცირდება შეკუმშვა, რახეც დაკავშირებულია ენერგია.

პროფესორ **გურამ კაციტაძეს**თავის ნაშრომში მოაქვს ჩვენი ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის საინტერესო მაგალითი. თურმე ავტორის ბავშვობისას სკოლაში მათ სახელოვანი სპორტსმენი ესტუმრათ. მათ თან ახლდნენ თანაგუნდელები: ნიაზ ძიაპშიპა, გოგი ანთაძე და ვიქტორ პანიუკოვი. საუბარი სპორტს, კერძოდ ფეხბურთს ეხებოდა.

გოგი ანთაძემ ისაუბრა პაიჭაძისწარმატებებზე და როცა სიიტყვა დაამთავრა, მას პაიჭაძემ, ასეთი რამ უთხრა: იყო ჩემზე უკეთესი,უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელსაც შეეძლო მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენის სახელი მოეხვეჭა, მაგრამ თამბაქოს წევა დაიწყო და მისი ფეხბურთელობაც ამით გათავდაო.

ადვილად წარმოსადგენია რაოდენ შთამბეჭდავი იქნებოდა სკოლის მოსწავლეებისთვის დიდი ფეხბურთელის დროულად ნათქვამი მაგალითი.

მოწევაზე დიდი გრძნობელობას ამჟღავნებს კუჭ-ნაწლავის სისტემაც. მწევლებს უზიანდებათ კბილები, უძლერდებათ ნერწყვის გამოყოფა, უქვეითდებათ მადა და უარესდება საჭმლის მონელება, ხშირია მათ შორის წყლულოვანი სნეულება, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტზე უარყოფითი ზემოქმედება, სნეულდება თირკმლებიც, კუჭქვეშა ჯირკვალი, ე.ი. ყველა ის ორგანო, რომელთა ნორმალურ მოქმედებაზე დამოკიდებულია ორგანიზმის ცხოველმყოფელობა.

თამბაქო აზიანებს ყველას, დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, მაგრამ იგი განსაკუთრებით სახიფათოაქალებისთვის. სამწუხაროდ მათ არ იციან, რომ იგი საშიშია მომავალი თაობისთვის. ასეთი ქაალების ახალშობილი 200-300 გრამით

ნაკლებს იწონიან, ვიდრე არა მწევლებისა. ისინი ფიზიკური და გონებრივი განვითარებითაც ჩამორჩებიან ჩვეულებრივ ბავშვებს. თუ მეძუძური დედა ეწევა, ეს კიდევ უფრო საშიშია, რადგანაც რძესთან ერთად პატარას 0,5 მგ ნიკოტინიც გადაეცემა. ახალშობილისათვის ერთი მგლ კი სასიკვდილოა.

ნიკოტინი განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ბავშვთა და მოზარდთა ორგამიზმს, ე.ი. იმ ასაკს,როცა უმეტეს შემთხვევაში ადამიანი მოწევას ეჩვევა. მრავალრიცხოვანი დაკვირვრბით დასტურდება, რომ ბავშვები ძალზე ადრე ეჩვევიან ამ მავნე სენს და, როგორც წესი,ძალზე ბევრს ეწევიან. შემჩნეულია ისიც, რომ მწეველთა შორის ბევრია ბიჭი და არანაკლები გოგონა. ასაკთან ერთად იმათი რიცხვი, ვინც მოსინჯა თამბაქოს გემო, მომდევნო წლებში, მაღალ კლასებში მცირდება. ჩვენს მიერ გამოკითხულ 14-16 წლის მოზარდთა შორის 68,7 % განაცხადა, რომ ისინი არ ეწევიან, 17-18 წლის ასაკში ამ მაჩვენებელმა 83,6%-ს მიაღწია. ამგვარად მოსწავლეთა ეს ჯგუფი წარმოადგენს შუალედურ ფენას მწეველთა და არმწეველთა შორის. საინტერესოა, რომ ყოფილი მწევლები პირველად გვევლინებიან 14-15 წლის ასაკში.ბიჭები, როგორც წესი, უფრო ადრე იწყებენ მოწევას, ვიდრე გოგონები. შემდეგ, ასაკის ზრდასთან ერთად, მწეველთა რიცხვი იზრდება ჭაბუკების, განსაკუთრებით ქალიშვილების ხარჯზე.

ბოლო ათწლეულებში ბავშვთა და მოზარდთა შორის თამბაქოს მოწევის საკითხი საკმაოდ გამწვავდა. უფრო და უფრო მეტი, არიან ისინი, ვინც ამას ეჩვევიან საკოლო მერხიდან.

დადგენილია, რიმ ისინი, ვინც 15 წლამდე ასაკში დაიწყეს მოწევა, 5-ჯერ მეტად იღუპებიან ფილტვების კიბოთი, ვიდრე ისინი, ვინც მოწევა დაიწყო 25 წლის ასაკიდან. მოზარდისთვის ნიკოტინის სასიკვდილო დოზაა ერთდროულად ნახევარი კოლოფი სიგარეტის მოწევა. ნიკოტინის გარდა სიგარეტი შეიცავს მრავალ შხამიან ნივთიერებას, რომელიც ანადგურებს მოზარდ ორგანიზმს! შემჩნეულია მოზარდის უეცარი სიკვდილი 2-3 სიგარეტის ზედიზედ მოწევის შემდეგ. ამის მიზეზია მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ცენტრების მწვავე მოწამლვა, რომელსაც მოსდევს გულის შეჩერება და სუნთქვის შეწყვეტა.

სქესობრივი მომწიფების დასაწყისში, როცა ძლიერდება ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება,როცა ყველა სისტემა ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებს და ვითარდება, ნიკოტინის მიღება არღვევს ამ ჰარმონიას და მოზარდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარება ფერხდება, ან მისი მხოლოდ რომელიმე სისტემა ვითარდება, რომელიღაც ჩამორჩება და ა.შ.

გვაქვს სხვა შემაშფოთებელი სტატისტიკაც. თამბაქოს მოწევა მოქმედებს საქესო ჯირკვლებზე და აქვეითებს განაყოფიერების ფუნქციას, როგორც ქალებში ისე მამაკაცებში(ინპოტენცია).ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 1977 წლის მონაცემებით 8000 აღრიცხვაზე მყოფი ქალიდან მუცლის მოშლის, ნაადრევი მშობიარობის, მკვდრად შობადობის და ნაყოფის განუვითარებლობის შემთხვევები მწეველ ქალებში ორჯერ მეტია.

მწეველი ქალების ბავშვები 7 წლამდე ფიზიკურ ზრდა-განვითარებაშიც ჩამორჩებიან. დაბადებიდან ერთ წლამდე ასაკის მიღწევამდე, მწეველი მშობლების ბავშვებს შორის ორჯერ მეტია სასუნთქი გზების დაავადებები, ბრონქიტები და ფილტვების ანთება.

ყველა ქალმა უნა იცოდეს რა დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს საკუთარი თავის და მომავალი შვილის წინაშე, როცა მოწევას იწყებს.

გოგონებს სურთ იყონ გარეგნულად მიმზიდველნი და ეს ბუნებრივია. ამისთვის იყენებენ სხვადა სხვა ხსნარებს, მალამოებს, ათასგვარ ეშმაკობებს,ზოგჯერ ამისთვის ძნელად მოსათმენ მსხვერპლსაც გაიღებენ ხოლმე. მათ შორისაა თამბაქოს მოწევა, თუმცა ეს საბედისწერო შეცდომაა. დაკვირვებული ექიმები თამბაქოს მწეველ ქალებზე თვალის შევლებით გამოიცნიბენ ,,ნიკოტინის სახეს“, კანის დამახასიათებელი სიფერმკთალით და ფერით. კბილები ხომ სამუდამოდ ყვითლდება და ვერასოდეს დაიბრუნებს ბუნებრივ ფერს. თითები ყავისფერია. დიდი დრო არც სჭირდება მოწევას, როცა მისი ნაზი ხმა ჩახლეჩილი, ბოხი და მამაკაცური გახდება. ამას მოყვება გამუდმებული ხველა ნახველით, რაც ქალის ესტეთიკურ ღირსებებს თავდაყირა აყენებს.

პედაგოგებმა და მშობლებმა უნდა გაიხსენონ რომ ,,ნოკოტინის ერთი წვეთი ცხენსაც კი კლავს“ და გასწიონ ყოველდღიური ახსნა-განმარტება ცხოვრების ჯანსაღ წესზე, სპორტით მოზარდთა დაკავებაზე, გასართობ ღონისძიებებზე, რამაც ყმაწვილს უნდა დაავიწყოს თამბაქოს წევაც და სხვა მავნე ჩვევებიც.

მაინც როდის და რატომ იწყებენ ბავშვები თამბაქოს მოწევას? უკრაინელმა მეცნიერმა ლ.ვ. ორლოვსკიმ 1967-1970 წლების დაკვირვებით დაადგინა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხულ ბავშვთა 17% განაცხადა, რომ მოწევა დიწყო 8-9 წლის ასაკში. მაინც რა იყო ამის საბაბი?

ამხანაგების გავლენა– 26,8%

ცნობის მოყვარეობა– 23,2%

ცელქობა– 17,8%

უფროსებზე მიბაძვა– 16,7%

ამგვარად მოწევის დაწყება არაა დაკავშირებული რაიმე მოთხოვნილებასთან, მაგალითად რაიმე მიმზიდველი მოვლენისკენ ბიძგთან, ან პირიქით, რისგანმე დაწყნარებასთან. ჩვეულებრივი მოწევის დაწყების საბაბი ძალზე მარტივი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რაც ბოლოს და ბოლოს ცნობისმოყვარეობამდე და მიბაძვამდე ეშვება ხოლმე. ამიტომ ამ შემთხვევაში მშობლების და პედაგოგების როლი გაცილებით მსუბუქია.პირველ რიგში მათ მოზარდებს უნდა მისცენ პირადი მაგალითი. მშობლებმა ოჯახში, ბავშვების თანდასწრებით თავი უნდა შეიკავონ მოწევისგან. მოსწავლეს მაინცდამაინც თვალში არ უდა მოხვდეს სიგარეტიანი მასწავლებელი.

მოზარდებთან საუბარი აქაც გულახდილი და მიმზიდველი უნდა იყოს. უმჯობესია თუ მოსწავლესესაუბრება არა მწეველი აღმზრდელი, მაგალითების მოყოლა მას არ უნდა გაუჭირდეს, გამოიყენოსჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი საკმაოდ ძნელად მოსასმენი სურათი, ჩართოს მასში გამოგონილი გვარები, ფატალური შედეგები და ა.შ.

დიდ სარგებლობას მოგვიტანს გასაგებ ენაზე მოთხობილი მეცნიერული მონაცემები, რომლებსაც პედაგოგები გამოიყენებენ საგნების სწავლებისას, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის შესწავლის პროცესში.

ამ საქმეში დიდია აგრეთვე სკოლის ექიმის როლი. მას ყველაზე კარგად ესმის, რა ზიანი მოაქვს ნიკოტინს მოზარდის ჯანმრთელობისთვის. ეს მოსწავლეებმაც კარგად იციან, ამიტომ ექიმის სიტყვა უფრო შთამბეჭდავია და დადებითად მოქმედებს მოზარდის გონებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდომანია– ყომარბაზობა

ამდენ მავნე ჩვევებში ეს კიდევ რაღა უბედურებაო, იტყვის მკითხველი. მართლაც რომ უბედურებაა და იგი ქართულში დამკვიდრებულ უცხო სიტყვას ყომარბაზობას ნიშნავს (არაბ. ყომარ– ფულზე თამაში). ეს ჩვევა ჩვენში ადრიდანვე ცნობილი იყო. ვერ ნახავდით დაბას თუ სოფელს, სადაც პატარა აზარტულ მოთამაშეთა ჯგუფი არ ყოფილიყო; თამაშობდნენ ფულზე, ნივთებზე, იყო ერთი გაწევ-გამოწევა, ზოგჯერ შეიცოდებდნენ წაგებულს და უბრუნებდნენ მის ფულს. ასეა თუ ისე, ასეთი თამაშები არსებობდა, მაგრამ მას უფრო გართობის შინაარსი გააჩნდა და, რაც მთავარია, დაკავებული იყვნენ უფრო ხანდაზმულები.

ჩვენს დროში აზარტული თამაშები სრულყვეს და იგი ბიზნესად აქციეს. მომრავლდა კაზინო-სამორინეები, რომლებმაც არაერთი ოჯახი გაანადგურა და ბევრი სასოწარკვეთილის სიცოცხლეც შეიწირა. მთავარი უბედურება ისაა, რომ ამ საქმეში ადვილად ერთვებიან მოზარდები.

სამორინე არ ჰგავს ჩვეულებრივ გასართობ კლუბს, სალონს ან კაფე-შანტანს. აქ ადამიანი სულ სხვა სამყაროში ხვდება, ისეთში სადაც შესვლისთანავე მიმზიდველი ვითარებაა, აქ ვერ ნახავთ კარსა და ფანჯარას, არსაიდან ანათებს მზე და სინათლე, კედელზე ვერ ნახავთ საათს და ნახატებს, ეს ყველაფერი იმისთვისაა, რომ ადამიანებს აერიოთდრო, არ იჩქარონ, თავისთავიც კი დაივიწყონ, მხოლოდ ერთზე, რულეტის ან პოკერის მაგიდაზე წარმატების მიღწევაზე იფიქრონ. რულეტთან მიმჯდარიმოთამაშე იმდენად გართულია, რომ მას ნემსით რომ უჩხვლიტო, არ გრძნობს. ამ ვითარებაში ერთჯერ მოხვედრილი ყმაწვილი, თავს ვეღარ აღწევს ცდუნებას და მეორეჯერაც ცდის ბედს. ეს კი უკვე საკმარისია, რომ სამორინეში სიარული მას მანიად ექცეს.

ისტორიას არ ახსოვს სამორინეს სტუმარი მოგებული გამოსულიყოს. შეიძლება ერთხელ სადღაც გამოანათოს წარმატებამ, მაგრამ შემდეგ ის მოგებულიც კაზინოს ყულაბას მიაქვს. საბოლოოდ მოგებულნი რჩებიან კაზინოს მეპატრონეები და მათი მფარველები, რომლებიც ათეულ ათასობით გაუბედურებული ოჯახის ხარჯზე მილიონებს ნახულობენ, აქვე ტრიალებს ე. წ. ,,შავი ფული,'' რომელსაც ,,სლოტ კლუბები'' ათეთრებენ და თავიანთ მფარველებს ამარაგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ირკვევა, ამჟამად ქვეყანაში აზარტულ მოთამაშეთა რიცხვი მატულობს. სათამაშო ბიზნეს-შენობებში მუდამ ხალხმრავლობაა და მათ შორის ნახევარზე მეტი ახალგაზრდაა. ამის გარეშეც, სახლიდან გაუსვლელად, ე. წ. ონლაინრეჟიმში საკმაოდ გავრცელდა აზარტული თამაში ისე, რომ მოთამაშის ასაკი სრულიად უცნობია. ოფიციალური წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ მოზარდთა შორის ბოლო წლებში გაორმაგებული თვითმკვლელობის შემთხვევები სწორედ დიდი წაგების შედეგია, დაიქცა და განადგურდა მრავალი ოჯახი; ამის მიუხედავად ჩვენში არ მოქმედებს არავითარი კანონი სათამაშო ბიზნესის მოსაწესრიგებლად. მეზობელ ქვეყნებში (თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი და სხვ.) სამორინეების გახსნა აკრძალულია, სხვა ქვეყნებში, სადაც იგი ნებადართულია, პირველ რიგში ყურადღება ექცევა მოთამაშის ასაკს. არასრულწლოვანს კაზინოში არ უშვებენ.

საქმეს ართულებს ბიზნესთამაშების აღვირახსნილი რეკლამა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სოციალურ ქსელში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სამლოცველოებთანაც კი.

ამ საშიში ტენდენციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღა ,,საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოება-21''-მა. მან კატეგორიულად მოითხოვა აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვა, ამის შესახებ პროექტი პარლამენტშიც შეიტანეს, ყველა მოელოდა, რომ მომავალი თაობისთვის ასეთი საჭირო კანონის მიღებას მხარს დაუჭერდნენ, თითქოს ასეც იყო, პირველ მოსმენაზე მას მხარი დეპუტატთა 70%-მა დაუჭირა, მაგრამ მეორე მოსმენის დროს მომხრეთა რიცხვი არასაკმარისი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ბიზნეს-რეკლამის მფარველ მაღალჩინოსანთა გავლენამ თავისი გააკეთა, რასაც შემოსავლების შემცირების საშიშროებით ხსნიან. წყალსაც წაუღია ისეთი შემოსავალი, რომელიც თუნდაც ერთ მოზარდს სულს დაუმახინჯებს და თვითმკვლელობამდე მიიყვანს.

,,დედა... ყველა ძალიან მიყვარხართ. მე ასე უნდა გავაკეთო, უნდა გავჩერდე, თორემ მეტ ზიანს მივაყენებ ირგვლივ მყოფთ, ყველას ბოდიშს ვუხდი. დედა, მე ჩემს თავს ვსჯი, მაგრამ ვიცი, რომ შენც გსჯი. გული მართლა ბევრჯერ გატკინე და ძალიან განვიცდიდი... იმედია ღმერთი მაპატიებს.''– ასეთი შემზარავი წერილი დატოვა დამაძინებელი გაზით თვითმკვლელმა ახალგაზრდა ლუდომანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ხელისუფლება თუ არაფრად აგდებს თავის მომავალ თაობას, ასეთ დროს კიდევ უფრო უნდა გააქტიურდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირები, მშობლები, პედაგოგები, მთელი ჩვენი მოწინავე ადამიანები, მხარში ამოუდგნენ ,,საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება-21''-ს და ყველა საშუალებით აიძულონ ხელისუფლება, შეამციროს სათამაშო სახლები და საერთოდ აკრძალოს აზარტული თამაშების ასეთი თავაშვებული რეკლამა.

სახლიდან გაუსვლელად ონლაინ რეჟიმით თამაშის სრული ზედამხედველობა მშობელს აკისრია. ოჯახის გარდა, სხვა ადგილას მოზარდი ამას ვერ გააკეთებს, ამიტომ შვილის კომპიუტერით განსაკუთრებული საეჭვო გატაცება მაშინვე უნდა აღიკვეთოს. ასეთ დროს დიდია მაგალითის ძალა, რაც მოხერხებულად უნდა გამოიყენონ სკოლის აღმზრდელებმაც, მოსწავლეთა წინაშე რაც შეიძლება მწვავედ გაარჩიონ წაგებულ-გაყიდული სახლები და ქონება, კიდევ უფრო შთამბეჭდავად სუიციდის შემთხვევები, ე. ი. ყველაფერი, რაც ყმაწვილებს ამ უბედურებაში ჩართვის შემდეგ მოელის.

ძალადობა

ეს ტერმინი, თანამედროვე გაგებით, არცერთ საბჭოთა ენციკლოპედიაში არ გვხვდება. სამაგიეროდ ვხვდებით ქართულ ,,ძალმომრეობა-''ს და რუსულ ,,ნასილიე''-ს, რომლებიც განმარტებულია: ,,იძულება, ზემოქმედება, რასაც მიმართავს საზოგადოებრივი ჯგუფი, კლასი სხვა სოციალური ჯგუფებისა და კლასების წინააღმდეგ მათი დამორჩილებისა და მათზე ბატონობის მიზნით.'' (ქსე, ტ. 11. თბილისი, 1987. გვ. 263). ეს არის და ეს. საუბარია მხოლოდ კლასების და ჯგუფების ძალადობაზე, თითქოს საბჭოთა ქვეყანაში არ არსებობდა პიროვნების მიმართ ძალადობა. ეტყობა, ,,საამური ცხოვრების'' შემოქმედთა იდეოლოგიას ამ მოვლენის რეალური სახის ჩვენება ხელს არ აძლევდა.

ძალადობა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე მეტ-ნაკლები მასშტაბებით არსებობდა და მისი მოქმედების ხარისხი დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ კანონებზე, სახელმწიფოს მიერ გატარებულ აღმკვეთ ზომებზე, სოციალურ პირობებზე და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლოა ჩემს სიტყვებს, რის თქმასაც ქვემოთ ვაპირებ, აკლდეს იურიდიული შინაარსი, მეტი დამაჯერებლობა და სცილდებოდეს კანონების ფარგლებს, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ძალადობის დღევანდელი შეფასებები, როცა საზოგადოებას ვაწვდით მის თითქმის ყველა გამოვლინებას და არსად არაა საუბარი ***სახელმწიფოებრივ ძალადობაზე,*** როცა ეს სისტემა თვით ხელისუფლების მიერ არის დაკანონებული, როგორც სისტემური პროცესი. შორს არ წავალ და ვიტყვი მე-20 საუკუნის 30-ანი წლების ძალმომრეობაზე, რომელიც გავრცელდა სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე, და რაც ჩვენი წიგნისთვის მთავარია, მათი ოჯახის წევრებზე: მეუღლეებზე, მშობლებზე და არასრულწლოვან შვილებზეც კი. ამის საილუსტრაციოდ აქ მომაქვს ვრცელი ამონაწერი ჩემივე წიგნიდან, თუ საბჭოთა სამართალმა როგორ დააკანონა რეპრესიები 15 წელს გადაცილებულ მოზარდებზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში მასობრივი დაჭერა-დაპატიმრებები დაიწყო 1937-1938 წლებში.

მანამდე, ჯერკიდევ 1934 წლის 8 ივნისს, სსრკ ცაკ-მა გამოსცა განკარგულება სათაურით ,,სამშობლოს ღალატისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ,'' რომელიც იმის მიუხედავად, ოჯახის წევრმა იცოდა თუ არა ოჯახის სხვა წევრის დანაშაულის შესახებ, პასუხს მაინც აგებდა. პასუხისმგებლობა კი, სულ მცირე, პატიმრობას ითვალისწინებდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ოჯახის წევრების, ცოლის, შვილების აწიოკება-დარბევას და დაპატიმრება-გადასახლებას, რამაც არნახული მასშტაბი სწორედ 1937-1938 წლებში მიიღო და შემდგომ პერიოდშიც გრძელდებდა.

სსრკ შსსკ 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №00486 ამ ბარბაროსული გადაწყვეტილების დაგვირგვინება იყო. ამდირექტივის საფუძველზე კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს მიეცათ შემდეგი დავალება: ,,ამ ბრძანების მიღებისთანავე შეუდექით სამშობლოს მოღალატეთა ცოლების რეპრესირებასო და დაწყებული 1939 წლის 1 აგვისტოდან, ,,მოღალატეთა''მეუღლეებისგარდა, შეგროვდა მოკლე ცნობები 15 წელზე უფროსი ბავშვების შესახებ, რომლებიც თურმე სოციალურად საშიშნი არიან და შეუძლიათ ჩაიდინონ ანტისაბჭოთა მოქმედება. დაპატიმრებულთა მთელი პირადი ქონება კონფისკებულ იქნას. დაპატიმრებულთა ბინები დაილუქოს.

ყოველ დაპატიმრებულ ცოლზე და ყოველ სოციალურად საშიშ 15 წელზე უფროს ბავშვზე შეიქმნება საგამოძიებო საქმე.

მსჯავრდებულ სამშობლოს მოღალატეთა ცოლები დამწყვდეულ უნდა იქნენ ბანაკებში, სოციალური საშიშროების ზომის შესაბამისი ვადით, არანაკლებ 5-8 წლისა.

მსჯავრდებულთა სოციალურად საშიში შვილები ასაკის, საშიშროებისა და გამოსწორების შესაძლებლობების მიხედვით, დამწყვდეულ უნდა იქნენ ბანაკებში.'' (რამაზ სურმანიძე). ტრაგედია ბათუმში. 1937-1938 წ. წ. თბილისი. 2014 წ. გვ. 281).

ესეც შენი საბჭოთა მორალი: ოჯახის უფროსმა, ამ შემთხვევაში მამაკაცმა, შესაძლოა მართლაც ჩაიდინა დანაშაული, ცოლ-შვილმა ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ ნურას უკაცრავად, იგი სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრია (სმოწ) და პასუხი უნდა აგოს ცოლმაც და მისმა 15 წლის ყმაწვილმაც. პასუხისმგებლობასაც გააჩნია, ცოლები დამწყვდეულ უნდა იქნენ ბანაკებში თავის შვილებთან ერთად.*

და ამოქმედდა საშინელი მონსტრი, შინსახკომი და მისი დაგეშილი ჩეკისტები. მტყუანს და მართალს არავინ კითხულობდა, თავადაც კარგად იცოდნენ, რომ მამაკაცს არაფერი ჩაუდენია, დაუშვათ მისგან მომავალში რაღაც ხიფათს მოელოდნენ და დააპატიმრეს, ადამიანს რატომ აწამებ, სიცოცხლეს რატომ უსპობ, ანდა მის სრულიად უდანაშაულო ცოლ-შვილს რატომ უნგრევ ოჯახს, უსპობ მომავალს?

ზემოთდასახელებული ავბედითი ბრძანება, ხელმოწერისთანავე (მ. კალინინი) შევიდა ძალაში და საქართველოშიც დაუყოვნებლივ დაიწყეს ოჯახების რბევა-აწიოკება, ქონების ჩამორთმევა და დაპატიმრებულ-დახვრეტილი მამაკაცების ცოლ-შვილის რეპრესიები.

უსამართლობა და გაუგონარი ტანჯვა-წამება ამით რომ ამოწურულიყო, შესაძლოა არაფერს ვიტყოდით, მაგრამ დასრულდა დახვრეტები, გავიდა დაპატიმრებულ-გადასახლებულთა ვადები და დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა 1944, 1951 წლებში, როცა მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს უცხოეთში ნათესავი ჰყავდა, მთელი ოჯახით, მოხუცებულ-ხეიბრებით, მცირეწლოვანი ბავშვებით, ერთი სიტყ-

*ამ თემაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების უფროსის მოადგილემ სოფიო ტორჩინავამ გადაიღო ფილმი ,,ბრძანება №00496,'' რომელშიც ქალთა რეპრესიების მრავალი ფაქტი აისახა.

ვით დედაბუდიანად აზიის მიყრუებულ სოფლებში, სრულიად მიუჩვეველ გარემოში ასახლებდნენ. მათი დიდი ნაწილი გზებში, ნაწილი კი არაადამიანურ საცხოვრებელ გარემოში დაიხოცა. მსხვერპლთა უმრავლესობა ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები იყო.

ვფიქრობ, ძალადობის ეს ფორმა, კერძოდ სახელმწიფოს მიერ შექმნილი სისტემა, უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს, რადგანაც მან თავის მხრივ წარმოშვა გონებაშეცვლილი, რისხვით და სისასტიკით სავსე მომავალი თაობა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 2006 წლის 25 მაისს პირველად მიიღეს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ. ამის შემდეგ ამ კანონმა ოთხგზის განიცადა ცვლილება (უკანასკნელად 2015 წ.) ე. ი. ეს პრობლემა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა.

ზოგადად, ძალადობის რამდენიმე სახე არსებობს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური, იძულებითი, რომლებიც შესაძლოა ოჯახური ძალადობის ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ.

* * *

ძალადობის ყველა სახის გარჩევა და ანალიზი ჩვენი წიგნის მიზანს სცილდება. ჩვენთვის საინტერესოა, რა გავლენას ახდენს ძალადობა არასრულწლოვანების აღზრდაზე და მათს მომავალ ცხოვრებაზე, როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ.

ეს პრობლემა ადრიდანვე აწუხებდა სხვადასხვა ქვეყანას, ამიტომ ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ ძალადობის აღრიცხვა, მისი ანალიზი და დაესახათ აღკვეთის გზები. ამერიკელ მკვლევართა მონაცემებით ყოველი მეოთხე ქალიშვილი და ყოველი მეექვსე ვაჟი 18 წლის მიღწევამდე ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. მოძალადეთა 75-80%-ს არასრულწლოვანები იცნობენ. მათი 45% არიან ნათესავები და მშობლებიც კი, უფრო ხშირად მათი შემცვლელები.

რუსეთში ყოველწლიურად არასრულწლოვანებზე სექსუალურ ძალადობას განიცდის 2000 ბავშვი და მოზარდი, თუმცა ეს ციფრი სულაც არ გამოხატავს რეალურ სურათს, რადგანაც ყველა შემთხვევა არ აღირიცხება და არ მიდის სამართალდამცავ

ორგანოებამდე. 1998 წელს რუსეთის 70 000-მდე ბავშვი ოჯახიდან წავიდა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გამო. იმავე ქვეყნის 19 მილიონ ოჯახში ბავშვების მიმართ ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმის ძალადობას.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ძალადობის ორი სახე: ძალადობა ოჯახში, აგრეთვე ბავშვისა და მოზარდისგან ჩადენილი და მათ მიმართ განხორციელებული ძალადობა. სანამ განცალკევებულად განვიხილავთ ამ ორ გამოვლინებას, მანამდე უნდა შევჩერდეთ ძალადობის მიზეზებზე.

ოჯახური ძალადობა საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, ამავე დროს ძალზე რთული, რადგანაც მრავალი მიზეზი აქვს. ჩვენს დროში უმთავრესი მიზეზი ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირე და უმუშევრობაა. მართალია, ჯერ კიდევ გვყავს

,,რთულ ცხოვრების უარმყოფი,

მცირედითაც კმაყოფილი'' (აკაკი),

მაგრამ მათ დიდ ნაწილს, ,,რთულს'' რომ თავი დავანებოთ, მარტივი ცხოვრების საშუალებაც არ გააჩნია, რათა ოჯახის წევრები გამოკვებოს, ჩააცვას, დაახუროს, ე. ი. იმდენიც არა აქვს, რომ თქვას:

,,ცოტა მაქვს ცოტას ვჯერდები,

ბეჩავთაც გავუზიარებ,

სიკეთისათვის სიკეთეს

არავის დავუგვიანებ.

ავის თქმით, ავის ქცევითა

გულს არვის დავუზიანებ'' (ვაჟა).

სამწუხაროდ, მომრავლდა ისეთი ოჯახები, სადაც ცოტას ვერ ,,ჯერდებიან'' და თავიანთი ,,ავი ქცევით'' საკუთარი ოჯახის წევრებს ,,გულსაც უზიანებენ'' და ზოგჯერ ფიზიკურადაც ეხებიან.

ხელმოკლეობის დროს მამაკაცები შედარებით ადრე ითრგუნებიან, მათ, როგორც ოჯახის მარჩენალებს და შემოსავლის ძირითად შემომტანებს, უმწეობის ბოღმა ახრჩობთ და მცირე საბაბიც საკმარისია (ზოგჯერ უსაბაბოდაც), რომ აფეთქდნენ და ირგვლივმყოფთა მიმართ საშინელება დაატრიალონ.

ოჯახური შეჭირვება ქალზეც მოქმედებს, მაგრამ იგი ერთხანს ითმენს, ბოლო შესაძლებლობამდე გაიბრძოლებს, ადვილად არ ითრგუნება და ყველა საშუალებით

ცდილობს ქმარ-შვილის მოვლა-პატრონობას და ოჯახში სიმშვიდის დამყარებას, მაგრამ ზოგჯერ მასაც იპყრობს სასოწარკვეთა, იქმნება ორმხრივი კონფლიქტი, რაც ოჯახური აურზაურით და ძალადობით თავდება.

ასეთი ვითარება გამანადგურებლად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე, მით უმეტეს, ეკონომიკური სიდუხჭირე მასაც თუ შეეხო, ვერ გამოკვებეს, ვერ ჩააცვეს, სასურველი ნივთები ვერ შეუძინეს. მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, ან მეუღლეებმა ერთმანეთთან არ გაარკვიეს ურთიერთობა და კვლავ განაგრძეს აყალ-მაყალი, მათი შვილებისგან სხვას არას უნდა ველოდეთ, თუ არა ჭირვეულ, ახირებულ ადამიანს და მომავალ მოძალადეს.

ყმაწვილთა შორის ძალადობის მიზეზი მრავალია. მათ შორის ყველაზე ხშირი ამისთვის საჭირო ნიადაგი– ოჯახური გარემო, მშობლებისგან მიღებული მაგალითი, ე. ი. ბავშვობიდანვე შვილის ულმობელ ადამიანად ჩამოყალიბება, ბავშვის მოჭარბებული ენერგიის დახარჯვის არასწორი მიმართულება, მისთვის თვითშემოქმედების უფლებების შეზღუდვა, ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობები, შეუფერებელი ფილმებით და კომპიუტერული თამაშებით გატაცება, ცუდი ამხანაგურ-მეგობრული წრე, სკოლაში არასწორად დაგეგმილი აღმზრდელობითი საქმიანობა და ა. შ.

ამ დანაშაულს ოჯახში ძირითადად მამაკაცები სჩადიან, ,,წარმატებით'' იყენებენ ღვთით ბოძებულ ფიზიკურ ძალას და ულმობლად ექცევიან მათზე უფრო სუსტ არსებებს: შინაურ ცხოველებს, მეუღლეს, შვილებს და ზოგჯერ მოხუცებულ, სრულიად უმწეო მშობლებსაც კი.

14 წლის ყმაწვილი, რომელსაც ყველა ცოცხალი არსება ეცოდება, დიდი გულისტკივილით წერს, როგორ წაიყვანა მამამ მისი ლეკვი და ყურები ისე დააჭრა, არაფერი კითხა: ,,სახლში რომ ყურებშეხვეული მომიყვანა, კინაღამ გავგიჟდი. ჩემი ძაღლი არც საჩხუბრად მჭირდება და არც ვინმეს შესაშინებლად, ყურები რატომ უნდა დაეჭრა? რომ ვფიქრობ როგორ ეტკინებოდა, გული მეკუმშება. მამას ეს რომ ვუთხარი, შენ ქალოია ხარო, მითხრა. მისი საერთოდ არ მესმის. მგონია, რომ ერთმანეთიც არ გვიყვარს.'' (ჟ. ,,სარკე.'' № 1, 2016 წ. გვ. 29).

ესეც შენი მამობრივი აღზრდა და ზნეობა. 14 წლის ბიჭი მას სრულიად სამართლიანად ასწავლის, რომ არ უნდა იყოს სასტიკი, შეუბრალებელი და მეორე: ამ გულქვა კაცს ჰგონია, რომ შეცოდების გრძნობა მხოლოდ ქალებს უნდა ჰქონდეთ.

,,ქალს ხელით შეეხო,'' იტყოდნენ წარსულში და ეს მამაკაცისთვის დიდად საძრახის საქციელად ითვლებოდა. თვით საპყრობილეშიც კი, სადაც თავს იყრის ათასი ჯურის კრიმინალი, უფრო დიდიდამნაშავენი, ისინიც კი სასტიკად უსწორდებოდნენ ქალის და ბავშვის მიმართ ძალადობის ჩამდენს.

ქვეყნიერებაზე სადმე თუ არსებობდა ქალის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა, სადაც ქალის ჭეშმარიტი კულტი ბატონობდა, სადაც ქალს ზეპირ და ბეჭდვით სიტყვაში წინ მოიხსენიებდნენ (გოგო-ბიჭი, ქალ-ვაჟი, დედ-მამა, ბებია-ბაბუა და ა. შ.) და ეს მთელს მსოფლიოში უნიკალურ ტრადიციად ითვლებოდა, ახლა სხვა ,,სიკეთესთან'' ერთად გაუფასურდა. უფრო მეტიც, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ შეიძლება ყველას ,,ვაჯობოთ'' სუსტის დაჩაგრვაში, დამცირებასა და ღირსების შელახვაში.

კიდევ ერთი რამ გავიხსენოთ ჩვენი ახლო წარსულიდან. საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, 117 წლის მანძილზე, ქვეყანას არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა, ე. ი. არავითარი ქართული კონსტიტუცია და კანონი, ბედოვლათი ადგილობრივი თავადაზნაურობის ხელშეწყობით გროშებად და ჩალის ფასად იყიდებოდა მამული, ხალხში ჩაკვდა ღვთისმოსაობა, რამეთუ გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, სკოლებში შეიზღუდა ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო გიმნაზიებში მხოლოდ რუსულ ენაზე ასწავლიდნენ, რადგანაც აკრძალეს ლაპარაკი ,,ნა საბაჩემ იაზიკე.'' გამოდის,რომ ჩვენ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე დავკარგეთ ყველა ის ეროვნული საუნჯე, რომელიც დიდმა ილიამ თვითმყოფადობის ლოზუნგად აქცია და მას ,,მამული, ენა, სარწმუნოება'' უწოდა.

მაშინ ჩვენთან, აწ უკვე რუსეთის განაპირა გუბერნიებში მრავალი უცხო მოგზაური, მწერალი, მეცნიერი და ორიენტალისტი ჩამოდიოდა და ამ უმამულო, ურწმუნო, უენო ქვეყანაში მისთვის სრულიად უცხო, განსაცვიფრებელი და გასაოცარი წეს-ჩვეულებების მოწმე ხდებოდა. პირველ რიგში ეს იყო ადამიანთა გარეგნობა, მოხდენილობა, მიხრა-მოხრა, შემდეგ სტუმარ-მასპინძლობის საოცარი მაგალითი, ძვალ-რბილში გამჯდარი სხვა ადათწესები, მაგრამ თვალში საცემად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც, ითვლებოდა ადამიანურობა, ქალის მიმართ უზენაესი პატივისცემა და რაინდული მოპყრობა, მანდილის უდიდესი ძალა, როცა ხმალშემართული მოშუღარნი ქალის გამოჩენისთანავე ხმალს ქარქაშში ჩააგებდნენ და მუხლებზე იჩოქებდნენ.

სად გაქრა ეს უდიდესი არამატერიალური სიმდიდრე? პირველ რიგში ოჯახებში, სადაც ბავშვები მხოლოდ ცუდ მაალითს ეჩვევიან, აგრეთვე სკოლებში, სადაც ზნეობრიობა, ერთმანეთისადმი პატივისცემა უკანა პლანზეც კი აღარ ჩანს, სადაც ისე აღარ ასწავლიან აკაკის ,,გამზრდელს,'' ვაჟას ,,სტუმარ-მასპინძელს,'' ყაზბეგის ,,ხევისბერ გოჩას.'' აღარ იდგმება ეროვნული ღირსებებით შეჯერებული სპექტაკლები, იკლო კინოეპოპეამაც, იწერება წიგნები, მაგრამ იქ თანამედროვეობის სიმახინჯეებს უფრო მეტს ნახავთ, ვიდრე სასიკეთო ტრადიციებს...

…და ახლა ჩვენს დროში, როცა სახელმწიფოებრიობაც აღვადგინეთ, მამული ჩამოჭრილი გვაქვს მაგრამ, იმაზე რაც ჩვენია, ჩვენი კანონები მოქმედებს, რწმენა დავიბრუნეთ და ჩვენისთანა საჭეთმპყრობელი მთელს დუნიაზეარ მოიძებნება, ენაც სახელმწიფო მნიშვნელობისად იქცა. თითქოს ახლა უფრო უნდა გავაკვირვოთ მთელი მსოფლიო... გავაკვირვეთ კიდეც, როცა მას ვაჩვენეთ სატუსაღოს კადრები, ქართველისათვის ყოვლად უცხო, შეურაცხმყოფელი, საძრახისი და დასაგმობი. ქვეყანა დავამსგავეთ ,,თავსმანდილჩამოხეულ ქალს'' (ვაჟა) და ცოლგაბახებულ მამაკაცს, რომელსაც საზოგადოებაში გამოჩენის ერიდება, ან თუ გამოვა ქუდჩამოწეული დადის.

არიქა, ეს კადრები ბავშვებს არ ვაჩვენოთო. ამაშიც გეთანხმებით, მაგრამ კარგს და ცუდს ასაკობრივი ცენზი რომ არ გააჩნია, ესეც ხომ ცნობილია. მათი ჩვენება საერთოდ უნდა აკრძალულიყო.

ზემოთ ვახსენე კანონი ძალადობისა და მის მსხვერპლთა შესახებ, რომელმაც ბოლო 10 წლის მანძილზე ოთხგზის განიცადა ცვლილება, ე. ი. კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა. პრაქტიკამ კი საწინააღმდეგო სურათი მოგვცა. ძალადობა, პიროვნების ღირსების შელახვა, დამცირება ჩვენს დროში თურმე სისტემად იქცა, რაც ვიღაც ცოდვილმა თუ უცოდველმა ფარულად გადაიღო... კიდევ კარგი, თორემ არც არაფერი გვეცოდინებოდა და ვინ იცის ეს შემზარავი დანაშაული კიდევ სად და როდის წამოჰყოფდა თავს...

ეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ერთი ეპიზოდიაო, მეტყვით. დიახ, ამაშიც გეთანხმებით, მაგრამ ის უნდა ვაქციოთ დიდ ტკივილად, განცდად, სირცხვილად და თავის მოჭრად, რათა აღარასოდეს განმეორდეს.

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ძალადობის საფუძველი ახალგაზრდობის დაბალი განათლებაა. **ფრანცის ბეკონის** აზრით განათლება ადამიანის გონებიდან განდევნის ველურობას, ბარბაროსობას, სისასტიკეს, სიშმაგეს და თავხედობას. იგი იძლევა გულუხვ რჩევებს სწორედ მაშინ, როცა საჭიროა გონებამ დაძლიოს მერყეობა, აწონ-დაწონოს მოვლენები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება (,,ესეები განათლებისთვის,'' ინტერნეტიდან).

ძალადობის მეორე ძირითად მიზეზად მიჩნეულია სამშობლოს, უფლის, საკუთარი თავის მიმართ რწმენის დაკარგვა. როცა ადამიანი შორდება ღმერთს, ცდილობს აღარ შეასრულოს მის მიერ დაკისრებული მოვალეობები, რომლებიც ერთგვარ შეზღუდვებსაც გვიწესებს. ეს ის შეზღუდვებია, რომლებიც ადამიანის სულს აფაქიზებს, განწმენდს და იხსნის აღვირახსნილობისგან. ასეთმა ახალგაზრდამ უკვე იცის საკუთარი ღირსებების ფასი, ჩამოყალიბებული აქვს პრინციპები და ცხოვრების ყოველგვარ ბიძგს მომზადებული ხვდება.

ძალადობა შეიძლება შეგვხვდეს ყველა ასაკში, თუმცა ბავშვებისა და მოზარდების მიერ მის გამოვლინებას მშობლები გვერდს უვლიან, არ აქცევენ ყურადღებას, რადგანაც თვლიან, რომ ,,ჯერ პატარაა, გაიზრდება, დაჭკვიანდება და აღარ ჩაიდენს.'' არა! ბავშვის მიერ ჩადენილი პირველივე ძალადობა თანატოლის, აგრესია ცოცხალი არსების, შინაური ცხოველის, თვით მცენარის მიმართაც კი საგანგაშო სიგნალია, რომელსაც მშობელმა მაშინვე უნდა მიაქციოს ყურადღება და აღკვეთოს იგი დინჯი, გონივრული საუბრით და რჩევა-დარიგებით.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში განსაკუთრებულად გამოვლინდება მოზარდის სიფიცხე, აგზნებადობა, ჩხუბის, მუქარის შემთხვევები, ზიანის მიყენების მცდელობა როგორც სხვაზე, ისე თავის თავზე. ეს ცოცხალი ორგანიზმის ერთგვარი რეაქციაა, რომელიც პოტენციურად ყველა ყმაწვილში არსებობს, თუმცა მათი ხარისხი დიდადაა დამოკიდებული სხვებისგან მიღებულ მაგალითზე, ოჯახში და საზოგადოებაში, აგრეთვე ტელევიზიაში, კინოში, კომპიუტერში ნანახ ძალადობაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენეტიკურ წარმომავლობაზე, ოჯახში გამეფებულ სტრესულ მდგომარეობაზე, ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, მშობლების გაუთავებელ აყალ-მაყალზე და ა. შ.

ვის არ უნახავს საათობით მიმჯდარი ბავშვი, ტელემულტსერიალებთან თუ კომპიუტერთან, რომლის ეკრანიდან შემზარავი ხმები ისმის: ,,ესროლე, მოკალი, გადააგდე...'' ამას ბავშვები ჯერ თამაშით იმეორებენ სკოლაში, ოჯახში, შემდეგ ეს ,,თამაში'' სერიოზულ მოქმედებაში გადადის, რადგანაც მის გონებაში უკვე საკმაოდ ღრმად აღიბეჭდა ძალადობა, სისხლი, მკვლელობა, სხვისი ტანჯვა-წვალება, უჩნდება დაუოკებელი სურვილი თვითონაც ესროლოს, დაჭრას, მოკლას ვინმე.

ყმაწვილების გადასარჩენად პირველ რიგში მათ ეს არასასიამოვნო მოვლენები უნდა ავიცილოთ თავიდან, რაც მშობლების ვალია, თუმცა პასუხისმგებლობა აღმზრდელებსაც მოეთხოვებათ. კერძოდ, მათ თავი უნდა შეიკავონ ბავშვების უმიზეზოდ დასჯისგან (ზოგჯერ მიზეზზეც თვალი დავხუჭოთ), ჩაატარონ თათბირ-სემინარები მშობლებთან, სწორედ დაგეგმონ და წარმართონ მოზარდთა შორის ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები და ა. შ.

ყმაწვილებში ძალადობის თავიდან აცილების ორი, რადიკალურად საპირისპირო მოსაზრება არსებობს: ერთნი თვლიან, რომ აუცილებელია მოზარდებზე დასჯითი ზემოქმედება, რაც, მათი აზრით, მათ დაეხმარება დათრგუნონ აგრესია საკუთარ თავში. მეორენი კი ფიქრობენ, რომ მოზარდებზე მკაცრი მოპყრობა კიდევ უფრო გააძლიერებს წინააღმდეგობის გაწევის სურვილს და აგრესიულობას.

ცნობილი ფსიქოლოგი **ზიგმუნდ ფროიდი,** რომელმაც ღრმად გააანალიზა მოზარდთა შორის არსებული ეს პრობლემა, თვლის, რომ ამ ასაკში ბავშვს გააჩნია დიდი ენერგია და თუ ის აგრესიის სახით გამოვლინდება, მისი ჩახშობა შეუძლებელია. დასჯითი ზემოქმედების შემდეგ მოზარდმა კიდეც რომ დათრთგუნოს, იგი საბოლოოდ არ ქრება და მალე სხვა სფეროში გამოვლინდება, ამჯერად კიდევ უფრო გამძაფრდება საკუთარი თავის წინააღმდეგ, რამაც შესაძლოა თვითმკვლელობისკენ უბიძგოს. ამიტომ მეცნიერის აზრით, საჭიროა აგრესიის არა ჩახშობა, არამედ მისი სხვა ენერგიად გარდაქმნა, რომელიც მოზარდის სურვილის მიხედვით დაიხარჯება სპორტზე, ხელოვნებაზე და ა. შ.

მშობლების და ახალგაზრდების როლი, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს. პირველ რიგში მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ ყმაწვილების ქცევებზე, ხომ არ ემჩნევათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ გაღიზიანება, ხასიათის ცვლილება (მუდმივი უკმაყოფილება, ღვარძლიანობა) მცირე მიზეზზე დიდი უარყოფითი რეაქცია, ან პირიქით, ხელჩაქნეულობა (იმედგაცრუება). ყველა შემთხვევაში მოზარდი საჭიროებს ფსიქოლოგის და ფსიქოთერაპევტის კონსულტაციას და მკურნალობას. ამავე დროს უნდა გამოსწორდეს ის მიზეზები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ და რომლებიც ერთგვარად ბავშვს უბიძგებენ ძალადობისკენ.

ზნეობრივი ძალადობა

სათაურიდანვე გასაგები უნდა იყოს, რის თქმას ვაპირებ. არის ზნეობრივი ძალადობა, როცა მოძალადე თავის მსხვერპლს ამცირებს, დასცინის, ცილს სწამებს და ავრცელებს კიდეც, რასაც შესაძლოა საბედისწერო შედეგი მოყვეს. ამ სახის ძალადობა ფიზიკურზე არანაკლებ ძნელი ასატანია, განსაკუთრებით მოზარდებში, რომლებიც ეს-ესაა გზას იკვლევენ თავისი ადგილის დასამკვიდრებლად ცხოვრებაში. მათი სურვილები რომანტიკული, ზოგჯერ ფანტასტიკურიცაა, მაგრამ წმინდა და სპეტაკია.

შეუღლდნენ ქალ-ვაჟი, შესაძლოა ნაჩქარევადაც, მაგრამ ეს ისეთი რამ არაა, რომ ვერ მოითმინო–თუმცა ზოგი მშობელი და დედამთილ-მამამთილი, ან სიდედრ-სიმამრი დადარაჯებულნი არიან, ეძებენ საბაბს, რომ მათთვის არასასურველი ქორწინება დაშალონ და ჯერ კიდევ არშემდგარი ოჯახი დაანგრიონ. ამის საბაბს ზოგჯერ პირველი ღამე იძლევა. ჩვენ სასქესო ორგანოების ანატომიის განხილვისას ვთქვით, რომ საქალწულე აპკი სხვადასხვა ფორმისაა, ზოგჯერ ისეთიც, რომ პირველი სქესობრივი აქტის დროს არ ირღვევა. და ბუნებრივია, ჩასაფრებულ დედამთილი სისხლის კვალს ვერ პოულობს... და ქორწილის მეორე დღესვე იწყება შფოთი და აყალ-მაყალი: ,,კახპა შემოგვასაღეს,'' ,,ბიჭი მყავს მოსაკლავი'' და ა. შ., რაც არათავმოყვარე ოჯახიდან ადვილად ვრცელდება. თუ მეორე მხარეც ასეთივე ამჩატებულია, როგორც იტყვიან: ,,მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა,'' მაშინ იქაც ქუხს შემაძრწუნებელი ეპითეტები: ,,სიძე ცვედანი აღმოჩნდა და ჩვენს გოგოს ცილს სწამებსო.''

მოსეირე ხალხს მეტი რა უნდა. ელვისებურად გავრცელებული ჭორი პირველ რიგში თვით ახლადდაქორწინებულებს ვნებს. მათი რომანტიკული გეგმები პირველივე ღამეს დაიმსხვრა და თუ ვინმე ჭკუათმყოფელი არ აღმოჩნდა, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააწყნარებს ორივე მხარეს, საქმის გარკვევას მოითხოვს, ექიმამდე მიიყვანს და ამ ჭორს გააბათილებს, საქმეს არაფერი ეშველება. ამაზე დიდი ზნეობრივ-მორალური ძალადობა, თანაც ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუსვლელი ახალგაზრდების მიმართ, მე მგონი არ არსებობს.

ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ყველაფერი გაირკვევა, ოჯახიც შეიქმნება, მოსიყვარულე ცოლ-ქმრის ურთიერთობაც სანიმუშოა, მაგრამ ის პირველი სულიერი დარტყმა, რაც მათ განიცადეს, თითქოსდა ბედნიერების მოლოდინში, გონებიდან არასოდეს ამოდის.

სექსუალური ძალადობა

ძალადობის ყველაზე გავრცელებული და მძიმე ფორმაა სექსუალური ძალადობა. მისი სიმძიმე გამოწვეულია იმით, რომ ამ სახის ძალადობის მსხვერპლი უპირატესად არასრულწლოვანია, მოზარდი, ამიტომ ჩვენი წიგნისთვის ეს თემა საკმარისზე მეტად აქტუალურია.

ერთი შეხედვით ქვეყნიერებაზე ბავშვებზე ძირფასი არაფერი გაგვაჩნია. თითქოს ყველაფერზე მეტად ვუფრთხილდებით მათ, თავზე ხელს ვუსვამთ, ყველა მოთხოვნებს ვუკმაყოფილებთ, მაგრამ მსოფლიო ,,ცივილიზაციის'' პრაქტიკამ და უკანასკნელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ბავშვებზე და მოზარდებზე მყიფე და სუსტი ადამიანთა ჯგუფი დღეს არ არსებობს. თუ აბორტების ლეგალიზაციიდან ადამიანის ემბრიონის და მუცლად მყოფ ნაყოფზე ჩატარებული მეცნიერული ცდების ლეგალიზაციამდე რამდენიმე ათეულმა წელმა გაიარა, ჰომოსექსუალიზმის დაკანონებას და მის დეკრიმინალიზაციას ძალზე ცოტა დრო დასჭირდა. აქედან კი პედოფილიამდე სულ რამდენიმე ნაბიჯიღა გვაშორებს.

პედოფილია– ანუ ბავშვთმოყვარეობა (უსაშინლესი გაგებით) ჰომოსექსუალიზ-მის (ერთი და იგივე სქესის კავშირი) ერთ-ერთი ფორმაა; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი დასავლეთის ქვეყნებში უხმაუროდ, წყნარად აღმოცენდა და ასევე ჩუმად იქცა ნებადართულ ჩვევად, რასაც ხელი შეუწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

ჰომოსექსუალისტთა მომხრეები ამას არ დასჯერდნენ, ისინი გამალებით იბრძვიან დაიკანონონ სექსუალური ცხოვრების რაც შეიძლება მცირე ასაკი და ამ ანტიჰუმანურ აქტში ევროპის ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან კიდეც.

ჩეხეთში, სადაც ჰომოსექსუალიზმი საერთოდ აკრძალული იყო, 1961 წელს ნება დართეს და დააკანონეს სქესობრივი კავშირის ასაკი, 18 წელი, 1990 წელს კი ეს ასაკი 15 წლამდე შეამცირეს.

უნგრეთმა, ლიტვამ, სერბიამ და ესტონეთმა დაახლოებით ასეთი ეტაპები გაიარეს, მაგრამ მათ ჩეხეთს ,,აჯობეს'': 2001 წელს ქალ-ვაჟის ურთიერთშეთანხმებით სქესობრივი კავშირის ასაკი 14 წლამდე ჩამოიყვანეს.

ლატვიაში და ფინეთში ახალგაზრდების ურთიერთშეთანხმებით სქესობრივი კავშირი დასაშვებია 16 წლის შემდეგ.

ამ უღირსი კანონის ერთ-ერთი რეკორდსმენია (ნიდერლანდების შემდეგ) ესპანეთი, რომელმაც 1999 წელს სქესობრივი კავშირის ასაკი 13 წლამდე შეამცირა. ანალოგიური მდგომარეობაა კვიპროსზე, სლოვაკიაში, სლოვენიაში, შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთში.

ყველგან, სადაც ვრცელდება **ჰომოსექსუალიზმი,** მას ლანდივით მიყვება **პედოფილია,** რომლის დაფარვას ძალზე ცდილობდნენ მარკეტინგების (ამ შემთხვევაში ყმაწვილების გაქირავების) მესვეურები, მაგრამ შუბი ხალთაში არ იმალება.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰომოსექსუალისტებს თავისი წარმომადგენლები გამოუჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც ,,ბავშვთა სექსუალური უფლებების'' დაცვის ნიღბით გამოდის. ამ მხრივ ყველაზე თავგამოდებით იბრძვის ნიდერლანდები (ზღვარი 12 წელი), სადაც არსებობს პედოფილების პარტია და მისი რამდენიმე გამოცემა.

ჰომოსექსუალისტთა გავლენის ქვეშ მყოფი ბავშვები (ამათ მოზარდებს ვეღარ ვუწოდებ) მოზრდილ ასაკში თვითონვე ხდებიან ჰომოსექსუალისტები და აღვირახსნილად ცდილობენ ამ სამარცხვინო საქმეში ჩააბან რაც შეიძლება მეტი და მცირე ასაკის ბავშვი. ამგვარად იქმნება ჯადოსნური წრე, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის და ტრადიციად იქცევა.

ამერიკაში მოქმედ პედოფილთა ასოციაციის წარმომადგენელი დევიდ ტორსტადი თვლის, რომ ,,ჰომოსექსუალიზმის ლიბერალიზაციური მოძრაობის საბოლოო მიზანი უნდა იყოს არა მარტო ჰომოსექსუალისტების და ლესბოსელების სექსუალური თავისუფლება, არამედ ახალგაზრდების და ბავშვების სექსუალური თვითგამოსახვის თავისუფლება.'' თვითგამოხატვაში კი იგულისხმება მათი პარტნიორობა და სხეულის დემონსტრაცია.

აშშ-ს მთავარი აკადემიური გამოცემაა ჟურნალიJurnal of Homosexualiti (ჰომოსექსუალიზმის ჟურნალი) სამეცნიეროს მსგავსი გამოცემა, რომლის უკან ცდილობენ დამალონ პედოფილია. აქ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია იმაზე, რომ მშობლებმა პედოფილი, რომელსაც უყვარს მათი ვაჟი (პედოფილია) ან გოგონა (ლიმფოფილია), უნდა აღიქვან ,,არა, როგორც მეტოქე, კონკურენტი და მათი საკუთრების მტაცებელი, არამედ აღზრდის საკითხებში მათი პარტნიორი; იგი საკუთარ სახლში კიდეც უნდა მიიღონ.''

აი, ასე ფარისევლობს ,,ყველაზე ცივილიზებული, ყველაზე საოცნებო ქვეყანა'' მომავალი თაობის წინაშე, ხოლო მისი კანონების შემოქმედნი ასე ანგრევენ ადამიანს, როგორც სულიერ არსებას, ღვთის შემოქმედებას. ასე ხდებიან თანამედროვე ბავშვები პედოფილების იოლ მონაპოვრად და მთელი სიცოცხლის მანძილზე გაუბედურებულ არსებებად.

* * *

საქართველოს მოახლეობა, ქართული ეკლესია ჯერჯერობით იგერიებს ჰომოსექსუალისტებს და სხვა ჯურის გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრების მოსურნეთ, ქვეყანაში ჯერ-ჯერობით რაიმე კანონების მიღებაზე არაა საუბარი, მის გვერდითაა მეობელი ქვეყნები და ხალხები, რომელთათვის სრულიად უცხოა ევროპულ-ამერიკული ,,სექსუალური ცივილიზაცია.'' ისინი კიდევ უფრო უნდა შემჭიდროვდნენ და არ დაუშვან მართლაცდა უღმერთოთა მიმართ თუნდაც მცირეოდენი დათმობები.

ამ მხრივ რეგიონში ისევ ჩვენი ქვეყანა რჩება ყველაზე საშიშ ზონად, ქვეყანა, რომელიც ევრაზიის მიჯნაზეა, ყველა სიახლეს, კარგსა და ცუდს ადვილად ითვისებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ტონს აძლევს კავკასიას, მის მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებს.

ღმერთმა დაგვიფაროს თანამედროვე პროგრესზე, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ეკონომიკის წინსვლაზე, ან ევროპული მონაპორვების გადმოტანა-დანერგვაზე უარი ვთქვათ. ჩვენ უარს ვამბობთ იმ პირუტყვობასა და ველურ ინსტიქტებზე, ანომალურ მოვლენებზე, ავადმყოფურ გადახრებზე, რომლებიც თითქმის ყოველთვის არსებობდა სამყაროს ამა თუ იმ კუთხეში, მაგრამ ჩვენთან ვერ შემოაღწია, არასოდეს ყოფილა, უცხო იყო და ახლაც სრულიად უცხოა ჩვენ ზნეობის, ადამიანური ურთიერთობების, სულიერი თანაცხოვრებისთვის, მომაკვდინებელია ჩვენი ისტორიული ტრადიციების, ქრისტიანული მორალის (სხვა რწმენისაც), ეროვნულობის, თვითმყოფადობისთვის.

* * *

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგჯერ სადღაც, ქალაქის მიყრუებულ ქუჩასა და დაშორებულ სოფელში გამოტყვრება არამზადა, რომელიც პედოფილობით აღარ კმაყოფილდება და მსხვერპლს ფიზიკურად უსწორდება. გონებიდან არ ამოდის, ერთმა ცნობილმა სპორტსმენმა ოთხიოდე წლის გოგონასთან რომ დაამყარა სქესობრივი კავშირი და შემდეგ, წამებით მოკლა. დიახ, ეს ჩვენთან იყო. იგი გამონაკლისს მიეკუთვნება, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი შემთხვევები განმეორდეს?

საქმე სანამ აქამდე არ მისულა, ჩვენ უნდა შევძლოთ ასეთი კაციჭამიების გამოცნობა. ეს არც თუ ისე ადვილია, რადგანაც ისინი ფლობენ ბავშვთა ნდობის მოპოვების მეთოდებს, მაგრამ მათ რომ ვაჯობოთ, მშობლებმა და აღმზრდელებმა უნდა იცოდნენ, რომ:

–პედოფილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკოვანი ადამიანი, განურჩევლად რასის, სქესის, რწმენისა, ჩვეულებრივ მიმზიდველი, გულთბილი და მოსიყვარულე, რომელიც თავის ბნელ ზრახვებს ოსტატურად მალავს.

–იგი წინასწარ იცნობს იმ ბავშვებს, რომლებსაც თავს ესხმის, მათი ნაწილი მამამთილ-დედამთილი, ე. ი. ნათესავი, ახლობელი (30 %), ნაცნობი (60 %), ან უცნობია (10 %). იგი შეიძლება იყოს საკუთარი აღმზრდელი, მწვრთნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო პირი, მუსიკოს-მასწავლებელი, ძიძა-აღმზრდელი, ახლო ნათესავი, მეზობელი, რომლებსაც ბავშვებთან ხშირად უხდებათ მარტოდ ყოფნა;

–მათი უმრავლესობა მამაკაცია, რომლის მსხვერპლი შეიძლება იყოს, როგორც ბიჭი, ისე გოგო. პედოფილი ქალები ჩვეულებრივ ვაჟებს ირჩევენ ხოლმე. საყურადღებოა, რომ მოძალადეთა უმრავლესობა ბავშვობაში თავად გახდა ძალადობის მსხვერპლი;

–ისინი ბავშვებს ჯერ დაუმეგობრდებიან, თანატოლად გაიხდიან, ექცევიან ისე, როგორც მოზრდილ მეგობარს ან საყვარელს, თანაც ხშირად იმეორებენ, რომ უყვართ ბავშვები და თავადაც ბავშვებად გრძნობენ თავს;

–მშობლების და ბავშვების ნდობის მოპოვებას პედოფილი ანდომებს თვეებს და ზოგჯერ წლებს, დროს მათთან ატარებს, მიყავს საყიდლებზე ან ექსკურსიებზე და ა. შ. იგი ძალადობას არ მიმართავს მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ ბავშვის ნდობა სრულიად მოპოვებულია;

–პედოფილი ირჩევს ისეთ ბავშვს, რომელსაც მარტოხელა მშობელი ჰყავს, სჭირდება ემოციური მხარდაჭერა ან ოჯახში აკლია ყურადღება. იგი მშობლებს არწმუნებს, რომ მასთან ბავშვის ყოფნა უსაფრთხოა, ცდილობს ასევე ჩანდეს ასევე როგორც მზრუნველი ,,მშობელი;''

–ბავშვის გამხრწნელი არსება იყენებს ყოველგვარ ხერხს და ოინს, მათ შორის სიტყვიერს, რაც ბავშვებს ძალზე მოსწონთ, სექსუალურ გართობებს, მოფერებას, კოცნას, შეხებას, რომელსაც თან ახლავს ქვეტექსტები, აჩვენებს უწმაწურ ფოტოებს, უძღვნის საჩუქრებს. ამით იგი იბირებს ბავშვს და თანდათნობით აშორებს მშობლებს.

–მშობლების მოვალეობაა: ყურადღება გაამახვილონ, ახლო-მახლო ხომ არ ყოფილა ბავშვებზე სექსუალური ძალადობა.

–მინიმუმამდე შეამცირონ ბავშვის გარეშე ყოფნის დრო, გააცილონ იგი სპორტულ სექციებზე და თვითმოქმედ წრეებში სამეცადინოდ. კარგად გაიგონ ბავშვის გვაერდით მყოფი მოზრდილების ვინაობა, აგრძნობინონ მათ, რომ იგი შეიძლება მივიდეს ნებისმიერ დროს.

–მოგზაურობის, სეირნობის, ექსკურსიების დროს თუ ვერ შეძლებთ ბავშვთან ერთად წასვლას, დარწმუნებულნი უნდა იყოთ, რომ მისი თანმხლები პირებიდან მინიმუმ ორს კარგად იცნობთ;

–ბავშვი მარტო არ დატოვოთ უცნობ მოზრდილთან, მათ შორის ახლობელთანაც კი;

–თუ გაქვთ ამის საშუალება და სახლში ძიძა გყავთ, დადგით ფარული კამერა, რათა გაიგოთ ძიძის შეუსაბამო ქცევები;

–შეეცადეთ ბავშვი ფრთხილად იყოს ინტერნეტთან, რათა პედოფილებმა თავიანთი თვალთმაქცობით ვერ შეძლონ მომავალი მსხვერპლის მიტყუება; შეამოწმეთ საიტები და ქსელში გატარებული დრო, ხშირად ჰკითხეთ ბავშვს, ვის უკავშირდება; აუკრძალეთ ბავშვს ინტერნეტით საკუთარი ფოტოსურათის გაგზავნა;

–გახსოვდეთ, შესაძლოა თქვენი ბავშვი მოსყიდულია და თქვენ ბევრ რაიმეს გიმალავს;

– დარწმუნდით, რომ თქვენგან ბავშვი პოულობს მხარდაჭერას და მიაღწიეთ იმის გაგებასაც, ხომ არავინ ცდილობს თქვენი შვილის გადაბირებას, რათა რაღაც საიდუმლო არ გაგიმხილოს, ბავშვი დაარწმუნეთ, რომ თქვენ ამ საიდუმლოს გაგება და მისი დატუქსვა კი არა, არამედ რაიმე არასასიამოვნო შემთხვევის თავიდან აცილება გსურთ;

–ასწავლეთ ბავშვს, რომ უცნობი ადამიანები მას არ უნდა შეეხონ. არსებობს ჯანსაღი შეხება, მაგალითად მხარზე ხელის დაკვრა, ან თავზე ხელის გადასმა და საეჭვო შეხება: ჩქმეტა, კეფის ქვეშ და ყელზე შეხება; თუ ასეთი რამ მოხდა, მიაჩვიეთ ბავშვი, რომ ამის შესახებ თქვენ აუცილებლად მოგიყვეს;

–ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ზოგ ადგილზე საერთოდ ვინმე არ უნდა შეეხოს, ეს კი ასე უნდა აუხსნათ: იმასთან, რასაც საცვლები ფარავს, უცხო ადამიანს არაფერი ესაქმება. თუ ეს მაინც მოხდა, ბავშვმა უნდა წამოიყვიროს: ,,არა!'' და ადგილიდან გაიქცეს მშობლებთან;

–თუ ბავშვს შენიშნეთ რაღაც უცნაური ქცევა, შეეცადეთ გაიგოთ მიზეზი; ხშირად დაუსვით კითხვა, როგორ ჩაირა დღემ, რა იყო კარგი და რა ცუდი ან გაუგებარი.

–აკრძალულ ადგილებზე ბავშვს თუ ვინმე შეეხო და ამის შესახებ მოგიყვათ, არავითარ შემთხვევაში არ გაუწყრეთ, ენდეთ მას უფრო მეტად, ვიდრე იმ საპატიო პიროვნებას, ვინც ნებით თუ უნებლიედ შეეხო. ბავშვის სურვილების და მოთხოვნილებების გარკვევით, თქვენ მისთვის დედამიწაზე ყველაზე საუკეთესო ადამიანად იქცევით და იგი არასოდეს და არაფერს თქვენს გარეშე არც ჩაიდენს და არც დაგიმალავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულინგი–მამლაყინწაობა

კიდევ ერთი უცხო და საკმაოდ ახალი უცხო ტერმინის მოტანა დაგვჭირდა. მას, ჩემი აზრით, ქართულად შეესატყვისება მამლაყინწაობა, რომელსაც რამდენიმე სინონიმი გააჩნია: ყოყლოჩინა, თავგასული, ცუდმედიდე, მატრაკვეცა და ა. შ.

ბულინგი ძალადობის ერთ-ერთი სახეა: ეს არის ერთი ადამიანის ან ბავშვთა ჯგუფის (მობინგი–mob-ბრბო) მიერ მეორეს დაჩაგრვა, აბუჩად აგდება, დამცირება, მისი ამოჩემება, მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა, ნივთების დაზიანება, ფულის გამოძალვა და სხვ.

ასეთი მოვლენები ძირითადად ბავშვთა ორგანიზებულ კოლექტივში გვხვდება და უპირატესად გავრცელებულია სკოლებში, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ბავშვის სოციალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში იწყება, ამიტომ სხვა პიროვნებაზე კარგი თუ ცუდი ზეგავლენის მოპოვებაც მაშინ გამოვლინდება.*

ბულინგს ორი მთავარი გმირი ჰყავს: მჩაგვრელი და ჩაგრული, იგივე მოძალადე და მსხვერპლი. ეს უკანასკნელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, რომელიც თავისი თანატოლებისგან განსხვავდება გარეგნულად (დაბალი, მაღალი, მსუქანი ან გამხდარი), კანის ფერით, ხასიათით, ქცევით, აქვს ფიზიკური ნაკლი ან მიეკუთვნება სხვა ეთნიკურ ჯგუფს, ცხოვრობს ხელმოკლედ ან ძალზე მდიდარია. ხშირად მსხვერპლი ხდებიან ძალზე ნიჭიერი, ჭკვიანი და წესიერი ბავშვები; მოძალადეს არ მოსწონს მათი გამოხედვა, სიარული და სხვა მიზეზები, რომლებიც ზოგჯერ აბსურდამდე მიდის.

მოძალადე ბავშვი მიზნად ისახავს მსხვერპლის დაშინებას, მის დამორჩილებას და ეს ხდება სხვა ბავშვების თვალწინ, რათა ისინიც დაარწმუნოს თავის უპირატესობაში, ლიდერობაში. მსხვერპლი უფრო ხშირად უმცროსკლასელები არიან, მოძალადე შეიძლება იყოს, როგორც ვაჟი, ასევე გოგონა. ბიჭები გამოირჩევიან ფიზიკური ზემოქმედებით (ხელის კვრა, პანღურის ამორტყმა, სხვისი საკუთრების დაზიანება და ა. შ.), ხოლო გოგონები ჭორების გავრცელებით, დამდურებით და ა. შ.

ძალზე დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა არ იწვევს მოყურადე ბავშვთა თანაგრძნობას, პირიქით, შესაძლოა ისინიც აყვნენ მოძალადის ქცევებს და ასეთი სცენის ცქერით გაერთონ ანთავადაც სცადონ მსხვერ-

*ეს თავი იწერებოდა სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური სასჯელის აკრძალვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლის დაჩაგვრა. ზოგჯერ ამ მოვლენას პედაგოგები არათუ აღკვეთენ, არამედ ყურადღებას არ აქცევენ, უფრო მეტიც, შესაძლოა თავადაც ჩაერთონ დაჩაგრული ბავშვის ათვალწუნებაში. ისინი მოძალადეს მხოლოდ ,,ჩხუბისთავად'' მოიხსენიებენ და მათს ასეთ აგრესიას ჩვეულებრივ თამაშად მიიჩნევენ, ამტყუნებენ მსხვერპლს, რომ ის ვერ უწევს წინააღმდეგობას.

ასეთ ვითარებაში, მსხვერპლი უიმედო, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, მასში თანდათან ინერგება უმწეობის, შიშის, სირცხვილის გრძნობები. იგი მოელის ახალ თავდასხმას, თავსაც ადანაშაულებს და თვლის, რომ მისდამი სხვების ასეთი მოპყრბა გამართლებულია. ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა ზოგჯერ იმდენად რთულდება, რომ აუცილებელია ფსიქოლოგის და ფსიქოთერაპევტის ჩარევა.

ბულინგის თავიდან ასაცილებლად მშობლებმა და აღმზრდელებმა პირველი კლასიდანვე უნდა იცოდნენ, როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის ძირითადი თვისებები. ჩვეულებრივ მსხვერპლები ძალზე მგრძნობიარე, მორიდებული და ერთგვარად განმარტოების მოსურნენი არიან, არ ჰყავთ მეგობრები, ადვილად ღელავენ და თავის თავზე აქვთ რაღაც არასრულყოფილობის წარმოდგენა. ცდილობენ ურთიერთობა დაამყარონ უფროსებთან, ჩვეულებრივ, ისინი ფიზიკურადაც სუსტად გამოიყურებიან, შესვენების დროს სათამაშოდ გარეთ არ გადიან, გაურბიან ბავშვებს, რჩებიან საკლასო ოთახში, სახეზე თითქმის ყოველთვის ემჩნევათ მოწყენილობა.

მოძალადე ბავშვის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა მოჭარბებული ენერგია, უხეშობა, როგორც სახლში, ასევე სკოლაში, მედიდურობა, სხვების ყურადღების მიქცევის სურვილი, მათი დამცირება, მბრძანებლობა, საკმაოდ კარგი საუბრის ნიჭი და სხვისი განცდების გაგების, შეცოდების უუნარობა.

მოზღვავებულ ენერგიას მოზარდი თავადაც გრძნობს. ისიც კარგად იცის, რომ ამ ძალას ცუდ საქციელზე, მტვრევა-დაზიანებაზე იყენებს, მაგრამ თავს ვერ იკავებს. ერთი სტუდენტი პირადად მომიყვა, ყმაწვილობისას რომ დააპირა მაღაზიის მინების დამტვრევა, თუმცა ,,ვიცოდი, რომ წვრილმანი ხულიგნობისთვის სულ ცოტა თხუთმეტი დღე საკანში გამომამწყვდევდნენ. როგორღაც თავი შევიკავე.

სახლში დაბრუნებულმა მამას ვერ გავუბედე რასაც ვაპირებდი, ბაბუას გავუმხილე. იმან ერთი შემომხედა, არც დაფიქრებულა, მითხრა: დედაშენს სარდაფში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიელი ქილები აქვს, შედი და რამდენიც გინდა დაამსხვრიეო. მეც შევედი და ქილები მივლეწ-მოვლეწე, თაროს ჩამოგდებასაც ვაპირებდი, მაგრამ ახლა ჩავუფიქრდი ბაბუას რჩევას, მივხვდი, რასაც ჩავდიოდი და დავწყნარდი.

სპორტში რომ ვყოფილიყავი, ან ხატვა, ცეკვა, სიმღერა მცოდნოდა, ამას არ ჩავიდენდი.''

ასე სწორად და გულღიად მსჯელობდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 19 წლის სტუდენტი; მშობლებს და აღმზრდელებს უფრო მეტი ჭკუა-გონება არ მოეთხოვებათ?

ოჯახის და სკოლის მოვალეობაა კარგად შეისწავლონ, როგორც მსხვერპლის, ისე მამლაყინწას თვისებები და საგანგებო აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებით შეეცადონ სწორი მიმართულება მისცენ ბავშვთა ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს.

საქართველოში 2007 წელს განხორციელებულმა რეფორმამ, რომელსაც ერთი წლის შემდეგ სკოლებში მანდატურების თანამდებობის შემოღება მოჰყვა, საკმაოდ შეამცირა ადრე არსებული უწესრიგობა, ხმაური და ზოგჯერ განუკითხაობა. ახლა ბავშვებმაც, როგორც მოძალადემ, ისე დაჩაგრულმა იციან, რომ ყველა ძალადობაზე შეიძლება საქმეში ჩაერიოს სათანადო რწმუნებების მქონე პიროვნება, რომელიც მტყუან-მართლის საქმეს გაარჩევს სკოლის დირექციაში მშობლების თანდასწრებით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მანდატურის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სკოლაში და მის ტერიტორიაზე, ძალადობას კი შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სკოლის ახლომახლო, მიყრუებულ ადგილზე, სახლისკენ მიმავალ გზაზე, ქუჩაში და ა. შ.

ბულინგის აღმოფხვრის მთავარ მოქმედ პირებად გვესახებიან მშობლები და აღმზრდელები, რომლებიც ჯერ თავად უნდა შეემზადონ ასეთ ბავშვებთან მოპყრობის წესებში და თუ ზემოთ დასახელებულ თვისებებს შეამჩნევენ, ერთობლივად და დაუყოვნებლივ შეუდგნენ პროფილაქტიკური ზომების გატარებას.

ბულინგის შედეგები საკმაოდ მძიმეა. ბავშვი მუდმივი შიშის, შფოთვის და მოსალოდნელი თავდასხმის მოლოდინშია, დათრგუნულია და დამცირებულს აღარ გააჩნია საკუთარი ძალების იმედი, იგი აცდენს გაკვეთილებს, ხშირად აგვიანებს და აკადემიური მოსწრებით ჩამორჩება სხვა ბავშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებს ვურჩევთ, თუ დარწმუნდებიან, რომ მათი შვილი ბულინგის მსხვერპლია, ***არ აყვნენ ემოციებს, არ შეეცადონ მოძალადის დასჯას, რადგანაც ამან შეიძლება ორივე მხარისთვის უარყოფითი შედეგი გამოიღოს. აქ სულგრძელობა, მშვიდი საუბარი, მეორე მშობლის და აღმზრდელების ტაქტიანი ჩარევა გაცილებით უფრო შედეგიანია, ვიდრე ახალი შეტევა და უსიამოვნების გაღრმავება.***

მშობლის მოვალეობაა ბავშვის სკოლაში წასვლის პირველი დღიდანვე გაეცნოს მის აღმზრდელებს, თანაკლასელებს, სკოლის გარემოს. ზემოთდასახელებული თვისებებიდან საკუთარ ბავშვს თუ რომელიმეს შენიშნავს, ამას სკოლაში საგანგებოდ მისვლა, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან მშვიდი საუბარიც უნდა ახლდეს.

კარგია, თუ მშობელი თავისი შვილის თანაკლასელებს სახლში მიიწვევს, პირველ რიგში იმათ, ვის მიმართაც მას კარგი ურთიერთობა აქვს. არაა გამორიცხული იმათი დაპატიჟებაც, ვინც რაღაც უხეშობა ჩაიდინა. სახლში ამ სტუმრებს უნდა მოუყვეთ თქვენს თავზე გადახდენილი შემთხვევები, გნებავთ მოგონილიც, რაც მათს ინტერესს გააღვივებს, დაარწმუნებს თქვენს ძალმოსილებაში, რომ თქვენ შეგწევთ უნარი არამარტო საკუთარი შვილის, არამედ მისითანატოლების დაიცვათ; ერთი-ორი ასეთი შეხვედრა და ბავშვებზე თავის გატოლება საკმარისია, რომ კლასში შეიქმნას პატარა მეგობრული წრე, რომელიც თანაკლასელს არათუ ჩაგრავს, არამედ იცავს სხვათა ძალადობისგან. კარგია თუ სხვა მშობლებიც ასევე მოიქცევიან და საერთოდ ერთმანეთთან ექნებათ მეგობრული ურთიერთობა.

რაც შეეხება საკუთარ ბავშვს, მასთან აუცილებელია პირისპირ გულახდილი საუბარი. მშობლებმა დამფრთხალ შვილს უნდა გამოუმუშავოს სიმამაცის გრძნობა, შთაუნერგოს, რომ მოძალადეს არ აგრძნობინოს სისუსტე და შიში, იცოდეს, ასეთ დროს ტირილი და ხვეწნა შედეგს არ იძლევა. ფიზიკურად ძლიერ მამლაყინწას წინაშე კი არ მოიკუნტოს და თავი დახაროს, არამედ მას წელგამართული, თავაწეული შეხვდეს, თვალებში პირდაპირ უცქიროს. შეიძლება უთხრას კიდეც: ,,რას სჩადიხარ, შენი ქცევა არავის მომწონს და შენგან არც არავის ეშინია.'' თუ მოძალადე განაგრძობს დაცინვას და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ზურგი შეაქციოს და წავიდეს. ბავშვს მშობელმა ეს ხერხები უნდა აჩვენოს და ურჩიოს არავითარ შემთხვევაში მოძალადის მიმართ თავად არ ჩაიდინოს საპასუხო ძალადობა, რათა კიდევ უფრო არ გაღრმავდეს მოზარდთა შორის არსებული კონფლიქტი.

ბულინგის პროფილაქტიკაში დიდია აღმზრდელ-პედაგოგების როლი. მათ განსაკუთრებული მოვალეობა აკისრიათ, რადგანაც მამლაყინწობის გამოვლინებების ძირითადი ადგილი სკოლაა. მათი აღკვეთის მიზნით ***სკოლამ ხშირად უნდა მოაწყოს ექსკურსიები, ლაშქრობები,***სადაც ბავშვები ერთობიან, ამავე დროს იმყოფებიან უფროსების ზედამხედველობის ქვეშ.

მოძალადე გარეგნულად მამაცს ჰგავს, მაგრამ ეს სულაც არაა ასე. ისინი მშიშრები და რწმენის უქონლები არიან. როცა უმიზეზოდ შმაგდებიან, ***შეიძლება აღმზრდელმა გაიკვირვოს და უთხრას: „რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა? დაწყნარდი და დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთ.”***როცა დაცხრება, შესაძლოა, ბოდიშიც მოიხადოს.

თუ ასეთმა ქცევებმა ქრონიკული ხასიათი მიიღო და ხშირად მეორდება, აქ დაყვავება და მოთმენა უშედეგოა, ახლა ტაქტიანად, მაგრამ მკაცრად უნდა უსაყვედუროთ: ***„ცუდად იქცევით და ეს იცოდეთ არავის მოსწონს, გირჩევთ, ასეთი ქცევებისგან თავი შეიკავოთ.”***

მოძალადე გოგონები თავის მავნე ქცევას ჭორებსა და დამცინავ ხუმრობებში გამოავლენენ ხოლმე და ამას ერთობ ფაქიზად, ჭკვიანურად და მზაკვრულად აკეთებენ, მათი ფრაზები ძალზე გამომწვევი და გესლიანია, მაგრამ აქაც მოთმინება გვმართებს. ***ასეთი გამოთქმები ან არ უნდა გაიგონო (ვითომც), ან ზურგი უნდა შეაქციო, ან კიდევ საუბარი რაღაც საინტერესო თემაზე გადაიტანო,***რათა ჩაახშო მისი გრძნობა-გონებიდან მომდინარე ავსიტყვაობა.

აღმზრდელებმა თავიანთი აღსაზრდელების მოჭარბებული ენერგიის დახარჯვა უნდა შეძლონ მათი სპორტულ სექციებში, მხატვრული თვითმოქმედების, მუსიკის, თეატრის წრეებში ჩაბმით. ერთად ცეკვა, ერთად სიმღერა, მუსიკის შეწყობა, სცენაზე გამოსვლა, გუნდური სპორტული თამაშები, საუცხოო ნიადაგია ერთმანეთის მიმართ მეგობრული განწყობის, სიყვარულის გრძნობის გამომუშავების და კარგი მოქალაქის აღზრდისთვის. ამას სხვა ვერაფერი ვერ შეედრება და ამაზე კარგი რეცეპტი არ არსებობს.

ბულინგი და მამლაყინწაობა არ არის ჩვეულებრივი ,,ბავშვური თამაში,'' როგორც ეს ზოგიერთ მშობელს და აღმზრდელს მიაჩნია, ესაა პირველი სიგნალი იმისა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პოტენციურად საშიშ პიროვნებასთან, რომელსაც თუ სკოლაშივე არ შევუკვეცეთ ფრთები, შესაძლოა მისგან მომავალში სისხლის სამართლის დამნაშავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღოთ. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სკოლის ,,ყოჩები,'' რომელთა ქმედება დროულად არ ალაგმეს, მოზრდილ ასაკში ადვილად ეჩვევიან იმ მავნე ჩვევებს, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამათ რიგში დგანან ე. წ. ,,ძველი ბიჭები'' და ,,კანონიერი ქურდები,'' რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში გამეფებული უკანონობის პროდუქტად მიმაჩნია. დიახ, იქ, სადაც არ მოქმედებს ჭეშმარიტად ჰუმანური, დემოკრატიული კანონი, ბავშვთა ბაღიდან და სკოლიდან დაწყებული მსხვილ საზოგადოებრივ ორგანიზაციამდე, თავს იჩენს ამ საზოგადოების ზოგიერთი წევრის, უპირატესად ბავშვობისდროინდელი მოძალადეების თვითშემოქმედებით შექმნილი ,,კანონი,'' რომლის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთული და ზოგჯერ უშედეგოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზსურმანიძისსამეცნიეროშრომებიდაპოპულარულისტატიებიფიზიკურიდა ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდის და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე

(1960-2007 წ. წ.)

1. ბავშვთა დაავადებანი. გაზეთი ,,დროშა,'' (შუახევი),1960 წ. N1, 4 იანვარი, გვ. 2.
2. მოზარდის აღზრდის შესახებ. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N 238, 1961 წ.5 დეკემბერი, გვ. 4.
3. 20 დედის 230 შვილი. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' 1962 წ. N 135, 8 ივლისი, გვ. 2.
4. საუბარი ჰიგიენის საკითხებზე. 1963 წ. ბათუმი. სახელგამი. 42 გვერდი. ტირაჟი 1000.
5. სხვადასხვა კლიმატურ-გეოგრაფიულ ზონებში მცხოვრებ სოფლის ბავშვთა სქესობრივი განვითარების საწყისის საკითხისთვის. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ტ. I, თბილისი, 1964 წ. გვ. 55-61.
6. მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების შეფასების მეთოდური მითითებანი და ნორმატივები. ბათუმი. 1964 წ. 36 გვერდი. ტირაჟი 500.
7. საჭიროა მეტი ყურადღება (ფიქრები ბავშვთა ასაკობრივ-სქესობრივ აღზრდაზე). ჟურნალი ,,სკოლა და ცხოვრება.''თბილისი, 1964 წ. N 9, გვ. 72-74.
8. ახალგაზრდობის აღზრდის ერთი ,,საჩოთირო'' საკითხი. (გამოხმაურება პროფ. **ჯამბაკურ ბაქრაძის** პუბლიკაციაზე ნაადრევი ქორწინების შესახებ). გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N119,1965 წ. 20 ივნისი, გვ. 4.
9. მოსწავლის დღის რეჟიმი. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N201, 1965 წ. 13 ოქტომბერი, გვ. 4.
10. მოზარდთა ზოგიერთი ფუნქციური ნიშანი. ბათუმის ახალგაზრდა ექიმთა პირველი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. 1965 წ. 26-27 ივნისი, გვ. 6-8.
11. Показатели Кариизного повреждения зубов среди школьников Верхней Аджарии. Тезисы докладов первой научной сессии молодых врачей г. Батуми. 1965 г. 26-27 июня. стр. 18-20 (соавтор. **Д. Каландадзе**).
12. Сравнительная характеристика некоторых показителей физического развития учащихся сёл Восточной Грузии и высокогорных районов Верхней Аджарии. Тезисы докладов выездной научной конференции

НИИ санитарии и гигиены Грузии. Тбилиси. 1965 г. 29-30 октября. стр. 25-26. Соавторы:**О. И. Дедабришвили**и **В. М. Цабадзе**.
13. Некоторые показатели состояния здоровья учащихся Верхней Аджарии. Тезисы докладов выездной научной конференции НИИ санитарии и гигиены Грузии.Тбилиси. 1965 г. 29-30 октября. стр. 25-26.
14. ბავშვის ფსიქიკური სამყარო. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N 86,1966 წ. 5 მაისი, გვ. 4.
15. აღვზარდოთ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N79, 1967 წ. 22 აპრილი, გვ. 4.
16. მოსწავლე დაბრუნდა სახლში. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N231,1967 წ. 25 ნოემბერი, გვ. 3.
17. Увеличение щитовидной железы и наличие зоба среди школьников Верхней Аджарии. журнал ,,Педиатрия,,ю Москва. 1967 г. N3, стр. 89.
18. ბავშვებში შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის საკითხისთვის. ბათუმის ახალგაზრდა ექიმთა მესამე სამეცნიერო სესიის თეზისები. ბათუმი. 1967 წ. გვ. 11-13 (თანაავტორი **ჯ. გაბუნია).**
19. მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი. ბათუმის ახალგაზრდა ექიმთა მესამე სამეცნიერო სესიის თეზისები. ბათუმი. 1967 წ. გვ. 32-35.
20. ყურადღება სკოლამდელ ბავშვთა ფიზიკურ განვითარებას. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N115, 1968 წ. 15 ივნისი. გვ. 4.
21. სპორტი და ჯანმრთელობა. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N 164, 1969 წ. 22 აგვისტო, გვ. 4.
22. მემკვიდრეობა და ჯანმრთელობა. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N 215, 1969 წ. 1 ნოემბერი, გვ. 3.
23. ეს საკითხი საჩოთირო როდია. გაზეთი ,,სახალხო განათლება,'' თბილისი. 1969 წ. N15. 20 თებერვალი. გვ. 3.
24. ერისა და ოჯახის საკეთილდღეოდ (მრავალშვილიანობის, დედისა და ბავშვის დაცვის პრობლემები). გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N3, 1971 წ. 6 იანვარი, გვ. 2.
25. ურბანიზაცია და გამრავლების პრობლემები. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' № 111, 1971 წ. 8 ივნისი, გვ. 2.
26. მრავალშვილიანობა სამარცხვინოა? ჟურნალი ,,საქართველოს ქალი,'' თბილისი, 1971 წ. N1, გვ. 23.

27. კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა მოზარდთა ფიზიკურ განვითარებაზე. აჭარის ექიმთა საზოგადოების შრომები, 1971 წ. ტ. 7, გვ. 56-63.
28. ჩვენი სისხლხორცეული საქმე (ბავშვთა სამედიცინო დახმარების პრობ-ლემები). გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N33,1975 წ. 15 თებერვალი, გვ. 3.
29. ბეშუმი (მაღალმთიანი ბავშვთა კურორტი აჭარაში). 1974 წ. გ-ბა ,,საბჭოთა აჭარა'', ბათუმი, 26 გვ. ტირაჟი 2000,
30. დედისა და ბავშვის ჯანმრთელობისთვის. ჟურნალი ,,საქართველოს ქალი.'' თბილისი. 1979 წ. N8, გვ. 6-7.
31. ჩვენი მომავალი - ჩვენი იმედი (ინტერვიუ **შოთა ზოიძესთან).**გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N 34, 1979 წ. 16 თებერვალი, გვ. 4.
32. ბავშვთა კეთილდღეობისათვის. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N68,1979 წ. 7 აპრილი, გვ. 4.
33. თამბაქო თუ ჯანმრთელობა - თავად ამოირჩიეთ. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' №73, 1980 წ. 12 აპრილი, გვ. 4.
34. შთამომავლობის საკეთილდღეოდ. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N69,1980 წ. 7 აპრილი, გვ. 4.
35. მტირალას მართლაც უნდა მივხედოთ (ბავშვთა კურორტის მომავალზე). გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N 168, 1987 წ. 2 სექტემბერი, გვ. 3.
36. კარიესი, თეთრი და ლამაზი კბილები. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა,'' N248-249, 1988წ. 29 დეკემბერი, გვ. 4.
37. გადავაქციოთ ჩირუხი კურორტად (ბავშვთა ჯანმრთელობის ადგილი). გაზეთი ,,საბჭოთა აჭარა.'' N130, 1991 წ. 23 ივლისი, გვ. 5 (თანაავტორი **ოთარ ცინარიძე).**
38. ,,სექსუალური'' რეპლიკა. (გამოხმაურება პროფ. არჩ. ხომასურიძის ინტერვიუზე, სადაც ქართველი ქალები დახასიათებულნი არიან, როგორც სექსუალურ აღზრდასა და ელემენტარულ ჰიგიენურ წესებში გაუთვითცნობიერებელნი). ჟ. ,,სარკე.''თბილისი. N30,2000 წ. 26 ივლისი, 1 აგვისტო, გვ. 4.
39. ბეშუმი (კურორტი. გზამკვლევი), II შევსებული გამოცემა. 2007 წ.გ-ბა ,,ალიონი.'' ბათუმი, 32 გვ. ტირაჟი 500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა

1. Энциклопедический словарь **Ф. А. Брокгауза и И. А. Ёфрона**. т. 24. С. –Петербург. 1898 г. с. 355-357.
2. проф. **А. Еуленбург**. Реальная Энциклопедия практической медицины. Половое влечение. изд. ,,Практическая медицина.'' с. Петербург. 1914.
3. проф. **Хьюлетт и Нэнкивелл**. Очерк по практической медицины. Здоровье юниошей и в взрослых. изд. Ленинград. 1927.
4. Большая медицинская енциклопедия. ,,Половое воспитание.''т. 26. Москва. стр. 282-351.1933 г.изд. ,,Советская енциклопедия.'' 1933.
5. სამედიცინო ტერმინოლოგია. შედგენილი **ზაქარია მაისურაძის** მიერ. რედაქტორი პროფ. ვუკოლ ბერიძე. თბილისი. 1947 წ.
6. Большая медицинская энциклопедия. т. 25. Москва. стр. 871-963.1962.
7. **И. К. Янушевский**. Не кури! Гос. издательство медицинской литератури. Москва. 1963.
8. **ანთეოს ასათიანი.** საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის თეორია და ორგანიზაცია. თბილისი. 1965 წ.
9. **ნ. ჩუჩელოვი.** სქესობრივი აღზრდის შესახებ. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1965 წ.
10. **Г. Р. Робачовский**. Гигиена брака. изд. Москва. 1969.
11. **დ. გაბუნია. თ. ნამორაძე.** ბავშვის ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა. გამომცემლობა ,,განათლება.'' თბილისი. 1971 წ.
12. **გ. ბეგიაშვილი.** ნარკომანია. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1971 წ.
13. **Стрельчук Иван Васильевич. Биттельман Мирон Семёнович.** Медицинские аспекты противоалкогольной пропаганды. Москва. 1972 г.
14. **გ. ბეგიაშვილი.** ნარკომანია. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი.1974 წ.
15. **С. Л. Полчанова. А. Н. Шибаева**. Гигиеническая подготовка будущих молодожёнов. Москва. 1974.
16. **Р. Х. Хмельницкий**. Пора возмужания. Москва. ,,медицина,,. 1974.
17. **Л. В. Орловский**. Роль общественности в борьбе против пьянства. в помощь лектору. Москва. 1974.
18. **Л. В. Орловский**. Сборник материалов по противоалкогольной пропаганде. в помощь

лектору. Москва. 1974.

19. Большая советская энциклопедия. т. 20. Москва. стр. 238-246.1975 г.

20. **Колюжная Рахиль Ароновна**. Школьная медицина. Москва. 1975.

21. **ავლიპ ზურაბაშვილი.** საუბარი ახალგაზრდობასთან. საზოგადოება ,,ცოდნა.'' თბილისი. 1976 წ.

22. **А. Н. Шибаева**. Социально-гигиенические асгекты полового воспитпния подрастающего поколения. Москва. 1977.

23. О пропаганде мер профилактики рецидивов хронического алкоголизма. Москва. 1977.

24. **მ. ს. ლიპატოვა., გ. ს. სლუცკაია.** მამაკაცთა და ქალთა შორის ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდის თავისებურებანი - მეთოდური მასალა. გამომც. ,,საბჭოთა საქართ-ველო.'' თბილისი. 1977 წ.

25. **Ю. Б. Тарнавский**. Курить – здоровьювредить. изд. ,,Медицина.''Москва. 1978.

26. მოზარდი თაობის სქესობრივი აღზრდის სოციალურ-ჰიგიენური ასპექტი და ვენერული დაავადებების პროფილაქტიკის ცოდნის პროპაგანდა. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1978 წ.

27. **ვ. ერკოვი. ვ. ტიშეცკი.** ყველაზე საშიში კვამლი თამბაქო - ჩვენი საერთო უბედურებაა. გაზ. ,,კომუნისტი.'' №216. 1978 წ.

28. **ლ. ორლოვსკი.** ნუ მოწევთ თამბაქოს, ჩემო ნორჩო მეგობარო! (სამახსოვრო). რესპუბლიკური სანიტარული განათლების სახლი.თბილისი. 1978 წ.

29. **В. А. Качан**. О вреде курения. изд. ,,Беларусь,,. Минск. 1979.

30. **Р. О. Лирман**. Один-пьт страдают многие. . изд. ,,знание,,. Москва. 1979.

31. **И. И. Веляев**. Табак-враг здоровья. изд. ,,медицина,,. Москва. 1979.

32. Алкоголизм и женщина. Методические материалы. Москва. 1980.

33. **ს. ი. გვაზავა.** თამბაქოს მწეველი წამლავს საკუთარ თავსაც და სხვებსაც. თბილისი. 1980 წ.

34. **В. Т. Бахур**. От первой папироси до рака. изд. ,,Знание,,. Москва. 1980.

35. **Ф. Ф. Гордееня**. Подростку о вреде алкоголя. изд. ,,Беларусь.,, минск.1981.

36. **Е. Б. Попова**. Пасивное курение. Москва. 1981.

37. **Ю. Г. Ярмошкевич**. Гигиена Девушки. изд. ,,медицина,,. Москва. 1982.

38. **Е. Б. Попова. А. Г. Шевчук**. Антитабачное гигиеническое воспитание школьников.

Москва. 1983.

39. **Г. С. Васильченко**. Частная сексопатология (руководство для врачей). изд. ,,медицина,,. Москва,,. 1983.

40. **И. И. Алекперов**, **М. Д. Глинштеий.**Активная борьба с курением – важная социалная задача. Москва. 1983 г.

41. **Е. С. Черник.Е. Б. Попова.**Здоровье или сигарета? изд. ,,Знание,,. Москва.1984.

42. **გ. მგელაძე - ბეჟანიშვილი.** ბავშვის ჰიგიენა და სქესობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1984 წ.

43. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9, თბილისი. გვ. 622-624. ი. ჭუჭულაშვილის, ლ. ნათაძის და ა. კანდელაკის სტატიები. 1985 წ.

44. Памятка о курении. Москва. 1985 г.

45. Антитабачное воспитание молодежи. Москва. 1985.

46. ალკოჰოლი და მისი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე (რეკომენდაცია ექიმის დასახმარებლად). თბილისი. 1985 წ.

47. ალკოჰოლი და ტრავმატიზმი (ექიმის დასახმარებლად). თბილისი. 1985 წ.

48. **В. В. Нагаев**. Организация полового просвещения и воспитания в детских дошкольных учреждениях и учебных заведениях. Методические рекомендации для медицинских работников. Москва. 1985.

49. И. В. Галина. Алкоголь и дети. изд. ,,Знание.'' Москва. 1985.

50. Методы, форми и средства антитабачного гигиенического воспитания школьников и студентов. Москва. 1986.

51. **Е. Б. Попова**. Лучше не принимать. Москва. 1986.

52. ე. გობრონიძე. ალკოჰოლი და ფსიქიური დაავადებები. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1986 წ.

53. ალკოჰოლი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. მეთოდური მასალა ლექტორის დასახმარებლად. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1986 წ.

54. **ლ. ენუქიძე.** როგორ შევინახოთ ჯანმრთელობა. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1986 წ.

55. **გ. ბეგიაშვილი.** ნარკომანია და მასთან ბრძოლა. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1986 წ.

56. **ვ. ალადაშვილი.** ვებრძოლოთ თამბაქოს წევას. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1986 წ.

57. **А. Н. Кудрин, Н. П. Скачун**, Я. М. Несторович. Алкоголь и лекарство. 1987.

58. ფრთხილად, ნარკომანია. ტრაგედია!. (სამახსოვრო მშობლებისათვი). თბილისი. 1987 წ.

60. **М. К. Николаев**. Осторожно, наркотики! Москва. 1987.

61. **М. К. николаев.** Молодёжи об опасности наркомании. Москва. 1987. Подростку о наркотиках. Москва. 1987.

62. **С. Гурский**. Внимание-наркомания! изд. ,,медицина,,. Москва. 1988.

63. **პოლჩანოვა ს. ლ., შიბაევა ა. ნ.** ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ჰიგიენური მომზადება. გამომც. ,,საბჭოთა საქართველო.'' თბილისი. 1988 წ.

64. **მირიან მესტიაშვილი.**საჭიროა თუ არასექსზე საუბარი ბავშვებთან. ჟ. ,,მანდილი.''№7. 1990.

65. მოზარდთა სექსუალური აღზრდა. ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია. გამომც. ქართული თეატრი. თბილისი. 1991.

66. **ვახტანგ გოცაძე.** მოზარდ გოგონას (უფროს კლასელთათვის). თბილისი. 1997 წ.

67. **გ. ფოფხაძე.** ახალგაზრდობის მესაიდუმლე. თბილისი - 1998 წ.

68. **გურამ კაციტაძე.** რა გზას დავადგეთ? (მოსწ.ჰიგიენური აღზრდა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირება საშუალო სკოლებში, მეთოდური სახელმძღვანელო). თბილისი. 1998 წ.

69. **Н. Карасева**. Неравный брак. изд. ,,Алиони,,. Батуми. 2007.

70. Виржини Дюмон. Откуда я взялся. авторизованный перевод на рус. яз. Москва. 2007.

71. **შორენა ვაშაძე.** აგრესია მოზარდებში. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა №5.თბ.2007წ.42-45.

72. **შორენა ვაშაძე.**მოზარდთაფსიქო-სოციალური მდგომარეობისშესახებ.

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა №5.თბ.2007წ. გვ.52-54.

73. **შორენა ვაშაძე.** დეპრესიისა და პიროვნული მახასიათებლები რესპირაციული სნეულებით დაავადებულ მოზარდებში. ISSN 1512-2778. საქართველოს რესპირაციული ჟურნალი.თბილისი, ტომი 4, 11.2008 21-28.

74. **შორენა ვაშაძე**. ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან. რსუ გამომცემლობის მიერ გამოცემულიქნამონოგრაფია.2009.1-135.

75. **Шорена Вашадзе.** Суицид является актуальной медико-социальной проблемы. Shevchenkivska vesna-2011, Kiev 21-25 march. 2011.Стр. 345-346.

76. **Shorena Vashadze.**თრომბოციტები და დეპრესია გენდერული მაჩვენებლების მიხედვით. international conference from maturity to ageing, Batumi. 27-29. 2012.

77. მშობელთა ჩართულობა. მშობელთა და მასწავლებელთა პარტნიორობა. USAID – საქართველოს დაწყებითი განათლებისპროექტი. 2012 წ.

78. **მარინე გურგენიძე.** სკოლის ექიმი. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი. 2012 წ.

79. **ლევან ჯიოშვილი.** სპორტი აჭარაში. გამომც. ,,ალიონი.'' ბათუმი - 2012 წ.

80. **Терентьева Ирина**. Половое воспитание детей и подростков. (ინტერნეტი).

81. **Степанова Оксана Владиславовна**. Возростные особенности полового воспитания детей (ინტერნეტი).